# სარჩევი

## ბიზნესის ადმინისტრირება

**მარიამ ლაშხი**
ჩრდილოვანი საბანკო სისტემა და ეკონომიკური სტაბილურობა: შერჩეული განვითარებადი ეკონომიკების პანელური ანალიზი .......................................................... 9

**დემურ გიორხელიძე**
ფირმის მდგრადობის არაწრფივი დინამიკური მოდელი ................................................ 19

**გიგა თვაური, თენგიზ თაქთაქიშვილი**
შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტი - გავლენა საქართველოს ეკონომიკასა და ენერგეტიკულ უსაფრთხოებაზე ................................................................................ 33

**ნონა კუხიანიძე**
სატრანზიტო-სატრანსპორტო სფეროში ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის განვითარება .............. 45

**ნინო შოშიტაშვილი, ელისო ჩაფიძე, თამარ თავხელიძე, თინათინ ჟორჟოლიანი, ანნა დიბალა, ლიზი ძიმისტარიშვილი**
ინფორმაციული ნაკადების გავლენა ადამიანთა გადაადგილებაზე - ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში .................................................................. 54

**თამარ ბიწაძე, ნინო საჩალელი**
მდგრადი განვითარება და მისი ინტეგრაცია თანამედროვე მართვის პარადიგმებში ................................................................................................ 71

**ირაკლი მაკალათია**
ინფლაციის სტატისტიკური ანალიზი საქართველოში ..................................................... 88

**ანა გვარამაძე, მაია მელაძე**
საერთაშორისო ბაკალავრიატის (The International Baccalaureate) პროგრამის სასკოლო შეფასების ინოვაციური მეთოდები ..................................................................... 103

**თენგიზ თაქთაქიშვილი, დავით სიხარულიძე, მარიამ ლაშხი, ვახტანგ ჭარაია, მურთაზ კვირკვაია**
არასაბანკო საფინანსო ინსტიტუტების რისკების ანალიზი საქართველოში ................. 113

## საჯარო მმართველობა

**მანანა გოგაშვილი, მიხეილ გოგატიშვილი**
ცნობადი სახეების მატება პოლიტიკაში და პოლიტიკური განათლების ნაკლებობის ზეგავლენა დემოკრატიაზე ........ 131

## სამართალი

**გოჩა ოჩიგავა**
სუროგაცია - ხსნის გზა თუ ახალი სირთულეები ........ 148

**გია დეკანოზიშვილი, ნინო ანდრიაშვილი**
ფემიციდი როგორც ქალთა მიმართ ძალადობის უკიდურესი ფორმა: სამართლებრივი შეფასება, ვიქტიმოლოგიური და ფემინისტური კრიმინოლოგიური ანალიზი ........ 160

**ლელა გუდაძე, ამირან მოსულიშვილი**
მტკიცების ცნება და მისი ტრანსფორმაცია სისხლის სამართლის საპროცესო მეცნიერებაში ........ 172

**გია დეკანოზიშვილი,  გიორგი კვარაცხელია**
საზოგადოებრივი ჩართულობა დანაშაულის პრევენციაში საერთაშორისო პრაქტიკის შედარებითი ანალიზი ........ 189

**ზაზა მჭედლიშვილი, სერგი ჯორბენაძე**
უფლებათა მეოთხე თაობა და მოდერაციის პრივატიზაცია: სამართლის ადაპტაცია ციფრულ გამოწვევებთან ........ 196

**ნატო ჭითანავა, მაკა სალხინაშვილი**
სამედიცინო დაწესებულებების ლიცენზირება და სახელმწიფო ზედამხედველობა: სამართლებრივი ანალიზი საქართველოსა და ევროპულ კონტექსტში ........ 216

**ამირან მოსულიშვილი, ანნა ბუცხრიკიძე**
ნარკომანიით დაავადებული პირის სავალდებულო მკურნალობა საქართველოში; ადამიანის უფლებათა დაცვისა და საჯარო ინტერესის ბალანსი ........ 233

**გიორგი შაშიაშვილი, თათია სიმსივე**
უცხოელის საქართველოდან გაძევება და საქართველოში შემოსვლის აკრძალვა სასჯელის სახით: სამართლებრივი ანალიზი და საკანონმდებლო საფუძვლები ........ 252

# Contents

## Business Administration

**Mariam Lashkhi**
Shadow Banking and Economic Stability: A Panel Analysis of Selected Emerging Economies ........ 9

**Demur Giorkhelidze**
Nonlinear dynamic model of firm stability ........ 19

**Giga Tvauri, Tengiz Taktakishvili**
The Black Sea Submarine Cable Project - Impact on the country's economy and energy security ........ 33

**Nona Kukhianidze**
Development of cooperation in the transittransport domain among member states of the economic cooperation organization ........ 45

**Nino Shoshitashvili, Eliso Chapidze, Tamar Tavkhelidze, Tinatin Zhorzholiani, Anna Dybala, Lizi Dzimistarishvili**
The Impact of Information Flows on Human Movement - Prospects for Tourism Development in Georgia ........ 54

**Tamar Bitsadze, Nino Sachaleli**
Sustainable Development and its Integration into Modern Management Paradigms ........ 71

**Irakli Makalatia**
Inflation and analysis of the consumer basket composition in Georgia ........ 88

**Anna Gvaramadze, Maia Meladze**
Innovative methods of school assessment of the International Baccalaureate program ........ 103

**Tengiz Taktakishvili, David Sikharulidze, Mariam Lashkhi, Vakhtang Charaia, Murtaz Kvirkvaia**
Risk analysis of non-bank financial institutions in Georgia ........ 113

## Public Administration

**Manana Gogashvili, Mikheil Gogatishvili**
The Growth of Recognition of People in Politics and The Influence of The Lack of Political Education on Democracy ........ 131

## Law

**Gocha Ochigava**
Surrogacy - a way out or new difficulties ........ 148

**Gia Dekanozishvili, Nino Andriashvili**
Femicide as the Extreme Form of Violence Against Women: Legal Assessment, Victimological and Feminist Criminological Analysis ........ 160

**Lela Gudadze, Amiran Mosulishvili**
The Concept of Proof and Its Transformation in The Science of Criminal Procedure ........ 172

**Gia Dekanozishvili, Giorgi Kvaratskhelia**
Public Involvement in Crime Prevention, Comparative Analysis of International Practice ........ 189

**Zaza Mtchedlishvili, Sergi Jorbenadze**
Fourth-Generation Rights and The Privatization of Moderation: Adapting the Law to Digital Challenges ........ 196

**Nato Chitanava, Maka Salkhinashvili**
Licensing and State Supervision of Medical Institutions: Legal Analysis in the Georgian and European Context ........ 216

**Amiran Mosulishvili, Anna Butskhrikidze**
Compulsory Treatment of Persons with Drug Addiction in Georgia: Balancing Human Rights and Public Interest ........ 233

**Giorgi Shashiashvili, Tatia Simsive**
Expulsion of a Foreigner from Georgia and Entry Ban as a Form of Punishment: Legal Analysis and Legislative Grounds ........ 252

# Shadow Banking and Economic Stability: A Panel Analysis of Selected Emerging Economies

**Mariam Lashkhi**
East European University
**Corresponding author:** mariam.lashkhi@gruni.edu.ge

**Abstract[1].** This study investigates the influence of shadow banking on financial stability in a panel of nine emerging economies: Georgia, Malaysia, Thailand, Colombia, Peru, Philippines, Poland, Ukraine, and Egypt, over the period 2010–2021, with focused attention on the Georgian financial system. Utilizing a fixed-effects panel regression framework, a composite financial instability index, derived from volatility in interest rate spreads, private credit expansion, and the M2-to-GDP ratio, is modeled as a function of the natural logarithm of shadow banking assets, real GDP growth, broad money supply growth, and consumer price inflation. Empirical findings robustly demonstrate that the expansion of shadow banking activities significantly exacerbates financial instability across both restricted and full-sample specifications. In contrast, sustained economic growth consistently emerges as a powerful stabilizing factor. Additionally, rapid monetary expansion is found to elevate systemic risk, with inflation contributing modestly to instability in the more constrained model. These results highlight the enduring risks posed by regulatory arbitrage, maturity transformation, and opacity in non-bank financial intermediation within emerging market contexts. The analysis contributes novel evidence on shadow banking dynamics in transition and frontier economies, including the construction of Georgia's first dedicated financial stability index, and underscores the critical importance of coordinated macroprudential policies to mitigate systemic vulnerabilities arising from the parallel financial system.

**Key words:** Shadow Banking, Systemic Risk, Financial Stability, Emerging Economies

## Introduction

The modern financial landscape has evolved far beyond the boundaries of traditional deposit-taking institutions. Starting in the 1970s, successive waves of deregulation in the United States enabled the rapid expansion of non-bank financial intermediaries (NBFIs), often termed shadow banks. These include hedge funds, money market funds, mortgage originators, and fintech-driven peer-to-peer platforms. Operating outside the prudential framework applied to commercial banks, they perform credit intermediation—maturity transformation, liquidity provision, and leverage—yet escape equivalent capital, liquidity, or disclosure requirements (Edwards & Mishkin, 1995; Charaia et al., 2021, 2022).

The label "shadow banking" entered widespread use after Paul McCulley's 2007 address at the Jackson Hole symposium, where he highlighted a parallel credit system vulnerable to runs and contagion (Carboni et al., 2024). The Financial Stability Board later formalized the concept as credit intermediation conducted wholly or partly outside the regular banking perimeter (FSB, 2015).

[1] This research [PHDF-23-629] has been supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG).

Academic consensus now ties the sector's unchecked growth to the 2007–2009 crisis: subprime securitization, reliance on wholesale funding, and opaque derivatives amplified systemic risk when short-term markets froze (Lysandrou & Nesvetailova, 2014; Hansen et al., 2024; Mariscal-Cáceres et al., 2024).

Regulatory arbitrage lies at the heart of shadow banking's emergence. As Basel accords raised capital hurdles for traditional banks, activities migrated off balance sheets or to less-supervised entities (Malhotra et al., 2024). Financial engineering—securitization, repos, and derivatives—further blurred institutional boundaries. While shadow banking can enhance credit access and market efficiency, unequal oversight creates moral hazard and procyclical vulnerabilities.

In emerging markets, these dynamics intersect with local institutional realities. Georgia's banking sector, formalized in 1989 and anchored by the National Bank of Georgia (NBG) since 1991, has undergone rapid consolidation and regulatory upgrading (National Bank of Georgia, 2025; Lashkhi et al., 2022). Post-2013 reforms aligned capital rules with Basel III, introduced responsible-lending caps, and mandated IFRS 9 and Pillar 3 disclosures. Tighter on-balance-sheet constraints have predictably spurred off-balance-sheet innovation, from securitization vehicles to fintech lending, mirroring global patterns yet shaped by Georgia's small, open, and geopolitically exposed economy (Doruk, 2014; Charaia & Lashkhi, 2021, 2023; Akande, 2025; Pellegrini et al., 2022).

Despite extensive research on shadow banking's role in advanced-economy crises, evidence from developing and transition countries remains sparse. This study bridges that gap by examining whether shadow banking—proxied through off-balance-sheet exposures—serves as a determinant of financial stability across ten emerging markets (2005–2023), with a focused lens on Georgia. We construct a novel Financial Stability Index for Georgia and test bidirectional linkages between non-core liabilities and stability metrics (following Doruk, 2014; Karim et al., 2007).

## Literature review

Shadow banking arises from the interplay of regulatory constraints, credit expansion, and financial innovation. Non-bank intermediaries conduct maturity and liquidity transformation without access to central bank liquidity or deposit insurance, creating inherent vulnerabilities (Adrian & Ashcraft, 2012, 2016). Their reliance on short-term wholesale funding to finance long-term assets generates classic maturity mismatches—amplifying liquidity risk during market stress (Calomiris & Jaremski, 2024). When investor confidence erodes, fire sales and funding runs ensue, transmitting distress across the financial system (Sunaryo et al., 2024).

Regulatory arbitrage underpins this dynamic. Stringent capital and liquidity rules on traditional banks incentivize migration of credit activity to less-supervised entities or off-balance-sheet vehicles (Davies, 2009; McCulley, 2009). Securitization, repos, and derivatives enable banks to expand lending without corresponding capital charges, inflating leverage and interconnectedness (Shin, 2009; Altunbas et al., 2014). This opacity hinders risk pricing and regulatory oversight, allowing systemic risk to accumulate undetected (Claessens et al., 2012).

The 2007–2009 crisis exemplified these mechanics. Subprime mortgage origination, packaged into complex securities and funded via asset-backed commercial paper, collapsed when housing prices fell

and short-term funding evaporated (Nersisyan & Wray, 2010a, 2010b). Money market funds, facing redemption pressures, triggered widespread asset devaluation (Thakor, 2015). Such episodes reveal how shadow banking transforms idiosyncratic shocks into system-wide threats.

Excessive credit creation—particularly when directed toward existing assets rather than productive investment—distorts resource allocation. Turner (2017) terms this “liquidity pollution,” analogous to environmental degradation: even fully repayable loans inflate real estate and financial asset prices, eroding economic stability. Historical thinkers like Fisher and Simons argued that money creation is too consequential to be left to market forces alone, necessitating public oversight (as cited in Turner, 2017). In emerging markets, shadow credit often flows into speculative real estate or consumption, exacerbating boom-bust cycles (Bezemer et al., 2018; Rubio & Carrasco-Gallego, 2014; Duca, 2016).

In lower-income jurisdictions, shadow banking fills critical gaps left by underdeveloped traditional banking systems. Microfinance institutions, peer-to-peer platforms, and informal lenders extend credit to SMEs and unbanked populations where commercial banks hesitate due to high costs or risk (Ghosh et al., 2012). In India and China, online lending platforms have scaled rapidly, enhancing financial inclusion (Isayev, 2024). Yet this growth introduces dual-edged effects: diversification reduces reliance on bank credit, but weak governance and rapid leverage build-up heighten crisis probability (Bryane, 2014; Gabor & Ban, 2016).

The Financial Stability Board (2023) reports that while non-bank financial intermediation (NBFI) assets remain a smaller share of total financial assets in emerging markets compared to advanced economies, their growth trajectory raises supervisory concerns. In Georgia, shadow banking is nascent—encompassing pension funds, leasing companies, and microfinance—but systematic analysis remains limited despite rising off-balance-sheet exposures in commercial banks (Lashkhi, 2025a, 2025b).

Traditional banks contribute to shadow banking through off-balance-sheet (OBS) operations—guarantees, loan commitments, securitization, and derivatives. Introduced in the 1980s to bypass regulatory capital requirements, these activities now serve revenue diversification and risk transfer (Yang et al., 2019; Huang, 2018; Chen et al., 2018). Empirical evidence is mixed: some studies find OBS enhances efficiency and performance (Elsas et al., 2010; Sanya & Wolfe, 2011; Aktaş et al., 2013), while others link it to income volatility and reduced stability (Stiroh, 2004b; Mercieca et al., 2007; Maudos, 2017).

Context matters. Boyd and Graham (1986) found no consistent risk impact from non-bank activities in the 1970s, but positive risk correlations under lax regulation. Stricter oversight later attenuated this link. Canadian banks, analyzed via Kalman filtering, showed OBS-driven leverage growth complicating traditional risk metrics (Calmés & Théoret, 2011). In India, securitization failures highlighted monitoring gaps (Li et al., 2024; Le et al., 2024).

Shadow banking thrives were regulation lags innovation. Regional variations in structure—hedge funds in the U.S., trust companies in China, or integrated securities operations in Spain—complicate uniform oversight (Tucker, 2010; Brananova, 2012; Bridges, 2012). Basel I’s introduction in the 1980s spurred OBS growth globally; Basel III’s tighter rules may repeat this pattern unless macroprudential tools target non-bank vulnerabilities (Adrian & Shin, 2009).

Effective policy requires monitoring non-bank leverage, liquidity transformation, and interconnectedness with the banking sector. While complete suppression risks stifling innovation,

unaddressed regulatory gaps invite recurrence of 2008-style crises. In emerging markets like Georgia, harmonizing supervision across bank and non-bank entities is essential to prevent arbitrage-driven instability.

## Methodology

The study utilized a fixed effects panel regression framework applied to data from nine emerging economies (Georgia, Malaysia, Thailand, Colombia, Peru, Philippines, Poland, Ukraine and Egypt) spanning the period from 2010 to 2021. This extended time frame captures pre- and post-crisis dynamics, including the aftermath of the 2008–2009 global financial crisis and subsequent regulatory reforms. The fixed effects specification controls for time-invariant country-specific heterogeneity that may correlate with regressors (Wooldridge, 2010). Estimation was conducted via within-transformation, with robust standard errors to address potential heteroskedasticity.

Two model variants were estimated:

**Model 1:** $FS_{it} = \beta_0 + \beta_1 SHB_LN_{it} + \beta_2 GDPGr_{it} + \beta_3 INF_{it} + \beta_4 M2_Growth_{it} + \alpha_i + \varepsilon_{it}$

**Model 2:** $FS_{it} = \beta_0 + \beta_1 SHB_LN_{it} + \beta_2 GDPGr_{it} + \beta_4 M2_Growth_{it} + \alpha_i + \varepsilon_{it}$

Where:

- $\mathbf{FS_{it}}$ = Financial instability index for country *i* in year *t*
- $\mathbf{SHB_LN_{it}}$ = Natural logarithm of shadow banking assets (narrow measure)
- $\mathbf{GDPGr_{it}}$ = Real GDP growth rate (%)
- $\mathbf{INF_{it}}$ = Consumer price inflation (%)
- $\mathbf{M2_Growth_{it}}$ = Annual growth in broad money supply (%)
- $\boldsymbol{\alpha_i}$ = Country fixed effect
- $\boldsymbol{\varepsilon_{it}}$ = Idiosyncratic error term

Model 1 excludes Argentina due to incomplete inflation data over the full 2010–2021 period. Model 2 includes all nine countries by omitting the inflation variable. Model fit was evaluated using $R^2$ and adjusted $R^2$, with overall significance tested via the F-statistic. Coefficient significance was assessed at $p < 0.1$, $p < 0.05$, and $p < 0.01$ thresholds.

**Table 1. Variable Definitions**

| Variable | Symbol | Explanation | Source |
|---|---|---|---|
| Financial instability | FS | Composite index based on volatility in interest rates, private credit growth, and M2-to-GDP ratio | Author calculation |
| Shadow banking (log) | SHB_LN | Log of non-bank financial intermediation assets (narrow FSB definition) | FSB |
| GDP growth (%) | GDPGr | Annual % change in real GDP | World Bank |
| M2 growth (%) | M2_Growth | Annual % change in broad money (M2) | World Bank |
| Inflation (%) | INF | Annual % change in CPI | World Bank |

## Research Results

The analysis covers nine emerging economies (Georgia, Malaysia, Thailand, Colombia, Peru, Philippines, Poland, Ukraine and Egypt) over the 2011–2021 period, encompassing the global recovery from the 2008–2009 financial crisis, commodity price volatility, and the onset of post-crisis regulatory reforms. The dependent variable is the **Financial Instability Index (FS)**, constructed from standardized deviations in interest rate spreads, private sector credit growth, and the M2-to-GDP ratio. Independent variables include **SHB_LN** (log of shadow banking assets), **GDPGr** (real GDP growth), **M2_Growth** (broad money growth), and **INF** (inflation).

**Model 1** includes all variables over the full sample (N = 99; 9 countries × 11 years).

**Model 1: FS = f (GDPGr, INF, M2_Growth, SHB_LN)**

**Table 2. Fixed Effects Model – Model 1 (with Inflation)**

| Variables | Coefficient | Std. Error | t-statistic |
|---|---|---|---|
| GDPGr | - 0.6781** | 0.3054 | - 2.220 |
| INF | 0.3614* | 0.2012 | 1.796 |
| M2_Growth | 0.0025* | 0.0014 | 1.786 |
| SHB_LN | 5.4128** | 2.4631 | 2.197 |
| Constant | - 81.9352* | 41.8765 | - 1.957 |
| **$R^2$** | 0.4312 | | |
| **Adjusted $R^2$** | 0.3987 | | |
| **F-statistic** | 13.214 | **p-value** < 0.0001 | |
| *Note: * p < 0.1, ** p < 0.05, *** p < 0.01* | | | |

**Model 2** omits inflation to include all nine countries (N = 99; 9 countries × 11 years), improving sample coverage and statistical robustness.

**Table 3. Fixed Effects Model – Model 2 (without Inflation)**

| Variables | Coefficient | Std. Error | t-statistic |
|---|---|---|---|
| GDPGr | - 0.7264** | 0.2876 | -2.526 |
| M2_Growth | 0.0020** | 0.0009 | 2.222 |
| SHB_LN | 6.2987** | 2.3314 | 2.702 |
| Constant | - 95.6147** | 39.4281 | -2.425 |
| **Number of observations** | 99 (9 countries, 11 years) | | |
| **R²** | 0.4027 | | |
| **Adjusted R²** | 0.3791 | | |
| **F-statistic** | 17.893 | **p-value** < 0.0001 | |
| *Note: * p < 0.1, ** p < 0.05, *** p < 0.01* | | | |

## Interpretation of Results

The fixed-effects panel regressions reveal robust relationships between key macroeconomic and financial variables and the Financial Instability Index (FS) across nine emerging economies from 2011 to 2021.

Real GDP growth (GDPGr) exhibits a statistically significant negative coefficient in both models ($p < 0.05$), confirming that higher economic growth consistently reduces financial instability. This stabilizing effect reflects improved borrower solvency, stronger corporate balance sheets, and reduced credit risk during expansionary phases.

Broad money supply growth (M2_Growth) is positively and significantly associated with financial instability ($p < 0.05$ in Model 2; $p < 0.1$ in Model 1). The result indicates that rapid monetary expansion—particularly prevalent in 2011 amid post-crisis stimulus—can fuel excessive credit creation, inflate asset prices, and heighten systemic fragility.

The size of the shadow banking sector (SHB_LN) emerges as a strong and positive driver of financial instability ($p < 0.05$ in both models), with coefficients of 5.41 (Model 1) and 6.30 (Model 2). This finding underscores the systemic risk posed by non-bank financial intermediaries, which operate with high leverage, engage in maturity transformation, and remain subject to lighter regulatory oversight than traditional banks.

Inflation (INF), included only in Model 1, shows a weakly positive relationship with instability ($p < 0.1$), suggesting that rising price pressures introduce uncertainty, complicate monetary transmission, and contribute to financial stress, albeit with limited statistical strength.

Model diagnostics indicate sound specification: $R^2$ values range from 0.403 (Model 2) to 0.431 (Model 1), with adjusted $R^2$ close behind, reflecting good explanatory power after accounting for degrees of freedom. F-statistics are highly significant ($p < 0.0001$), and t-statistics confirm the reliability of

individual coefficients. The larger sample in Model 2 (N = 90) yields tighter standard errors and greater precision compared to Model 1 (N = 80).

Overall, the results affirm that shadow banking expansion constitutes a critical determinant of financial instability in emerging markets, even after controlling for growth, monetary conditions, and inflation. The findings highlight the dangers of regulatory arbitrage, liquidity mismatches, and unmonitored credit growth within non-bank financial systems. They further emphasize the need for macro-prudential frameworks that extend beyond traditional banking to encompass the full spectrum of credit intermediation, particularly in small, open, and transition economies like Georgia.

## Conclusion

The empirical analysis of financial stability across nine emerging economies from 2011 to 2021 reveals clear and consistent determinants of systemic risk. Economic growth stands out as a primary stabilizing force, with a statistically significant negative relationship to financial instability in both model specifications. Sustained GDP expansion strengthens household and corporate balance sheets, enhances debt-servicing capacity, and reduces default probabilities, thereby reinforcing the resilience of the financial system.

Monetary expansion, measured by broad money (M2) growth, emerges as a significant source of instability. The positive and robust coefficient indicates that excessive liquidity creation—particularly during periods of aggressive post-crisis stimulus—fuels credit booms, asset price inflation, and speculative behavior, laying the groundwork for future financial corrections. This finding underscores the critical need for central banks to adopt disciplined and forward-looking monetary frameworks that balance growth support with risk containment.

Most notably, shadow banking activity—captured through the logarithmic size of non-bank financial assets—demonstrates a strong, positive, and statistically significant impact on financial instability. As shadow banking expands, it introduces heightened leverage, maturity mismatches, and interconnectedness outside the traditional regulatory perimeter. These institutions, while enhancing credit access and financial innovation, operate with limited capital buffers and liquidity backstops, making them vulnerable to sudden funding withdrawals and contagion. The consistent magnitude of this effect across models confirms that shadow banking represents a systemic vulnerability in emerging markets.

Inflation, though less statistically prominent, contributes positively to instability by generating uncertainty, distorting investment decisions, and complicating interest rate transmission. Even moderate inflationary pressures can erode real incomes and trigger abrupt policy responses, amplifying financial stress.

These findings carry direct implications for policy design. Promoting sustainable economic growth remains a cornerstone of financial stability. Central banks must calibrate monetary policy to prevent liquidity overhangs that distort risk-taking. Regulatory authorities, particularly in transition economies, should extend macroprudential oversight to non-bank intermediaries, focusing on leverage limits, liquidity requirements, and transparency in off-balance-sheet exposures. A harmonized supervisory

approach—bridging traditional banks and shadow entities—is essential to close arbitrage channels and contain systemic risk.

In sum, while shadow banking supports financial deepening, its unregulated growth poses a clear threat to stability. Effective governance of this parallel system, alongside sound macroeconomic management, is indispensable for building resilient financial architectures in emerging markets.

## References


Adrian, T. & Ashcraft, A. B. (2012). Shadow banking regulation. *Annu. Rev. Financ. Econ.*, *4*(1), pp. 99-140. https://www.newyorkfed.org/medialibrary/media/research/staff_reports/sr559.pdf

Akande, J. O. (2025). *Measurement of non-bank financial intermediation*. In *Shadow banking and financial risk in emerging and developing markets: The growth and development of non-bank financial intermediation* (p. 51). Routledge.

Adrian, T. & Ashcraft, A. B. (2016). Shadow banking: a review of the literature. *Banking Crises: Perspectives from The New Palgrave Dictionary*, pp. 282-315. https://www.newyorkfed.org/medialibrary/media/research/staff_reports/sr580.pdf

Adrian, T. & Shin, H. S. (2009). *The shadow banking system: Implications for financial regulation* (FRBNY Staff Report No. 382). https://doi.org/10.2139/ssrn.1441324

Bezemer, D., Ryan-Collins, J., Van Lerven, F. & Zhang, L. (2018). *Credit where it's due: A historical, theoretical and empirical review of credit guidance policies in the 20th century.* Institute for Innovation and Public Purpose. https://www.ucl.ac.uk/bartlett/publications/2018/nov/credit-where-its-due

Bryane, M. (2014). *Playing the Shadowy World of Emerging Market Shadow Banking.* ZBW. Preprint. https://www.econstor.eu/bitstream/10419/108996/1/Shadow%20Banking%20Brief2.pdf

Calomiris, C.W. & Jaremski, M. (2024). The Puzzling Persistence of Financial Crises: A Selective Review of 2,000 Years of Evidence. *Journal of Financial Intermediation*, *58,* pp. 1-17. https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S1042957324000184

Carboni, M., Dell'Atti, S., Gianfrancesco, I. & Onorato, G. (2024). The Impact of Cyber Enforcement Actions on Stock Returns. *Research in International Business and Finance*, *71.* https://doi.org/10.1016/j.ribaf.2024.102460

Charaia, V., Chochia, A. & Lashkhi, M. (2021). Promoting Fintech Financing for SME in S. Caucasian and Baltic states, during the COVID-19 Global Pandemic. *Business, Management and Economics Engineering*, *19*(2), 358-372. https://www.ceeol.com/search/article-detail?id=1039010

Charaia, V., Lashkhi, M. & Ebralidze, L. (2022). *Shadow Banking Challenges in Georgia*. Abstracts. Sustainable Development in Georgia, pp. 3-4. https://gruni.edu.ge/uploads/files/publications/28.pdf#page=2

Duca, J.V. (2016). How capital regulation and other factors drive the role of shadow banking in funding short-term business credit. *Journal of Banking & Finance*, *69*, pp. 10-24. https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0378426615001843

Edwards, F.R. & Mishkin, F.S. (1995). The Decline of Traditional Banking: Implications for Financial Stability and Regulatory Policy. *Economic Policy Review, 1*(2), 27-45. https://www.newyorkfed.org/medialibrary/media/research/epr/95v01n2/9507edwa.pdf

FSB. (2015). Global *Shadow Banking Monitoring Report. Technical Report.* Financial Stability Board. https://www.fsb.org/uploads/global-shadow-banking-monitoring-report-2015.pdf

FSB. (2023). *Global Monitoring Report on Non-Bank Financial Intermediation.* Financial Statibility Board. https://www.fsb.org/2023/12/global-monitoring-report-on-non-bank-financial-intermediation-2023/

Gabor, D. & Ban, C. (2016). Banking on bonds: The new links between states and markets. *Journal of Common Market Studies, 54*(3), pp. 617-635. https://www.bu.edu/pardeeschool/files/2014/12/Banking-on-Bonds.-The-New-Links-Between-States-and.-Ban.Gabol_pdf

Ghosh, S., Gonzalez del Mazo, I. & Ötker-Robe, I. (2012). Chasing the shadows: How significant is shadow banking in emerging markets? *World Bank Economic Premise, 88*, pp. 1-7. https://documents.worldbank.org/en/publication/documents-reports/documentdetail/478121468153275380/chasing-the-shadows-how-significant-is-shadow-banking-in-emerging-markets

Hansen, L.P., Khorrami, P. & Tourre, F. (2024). Comparative valuation dynamics in production economies: Long-run uncertainty, heterogeneity, and market frictions. *Annual Review of Financial Economics*, p. 16. https://larspeterhansen.org/wp-content/uploads/2024/04/Comparing_DSGE_Models_current.pdf

Isayev, Z. (2024). Shadow Banking and Financial Stability in Emerging Market Economies. *Journal of Emerging Economies, 12*(3), pp. 45-67.

Lashkhi, M. (2022). *The Impact of FinTech Companies on Financial Institutions: Case of Georgia.* Generis Publishing.

Lashkhi, M., Charaia, V., Boyarchuk, A. & Ebralidze, L. (2022). The Impact of Fintech on Financial Institutions: The Case of Georgia. *TalTech Journal of European Studies*, *12*(2). https://sciendo.com/article/10.2478/bjes-2022-0010

Lashkhi, M. (2025a). Unveiling Shadow Banking In Georgia: Balancing Innovation and Stability. *German International Journal of Modern Science/Deutsche Internationale Zeitschrift für Zeitgenössische Wissenschaft*, (107).

Lashkhi, M. (2025b). Shadow Banking and Economic Stability: Panel Analysis of Emerging Economies. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, vol. 19*(3), 215-222. http://science.org.ge/bnas/t19-n3/31_Lashkhi_Economics.pdf

Lysandrou, P. & Nesvetailova, A. (2014). The Role of Shadow Banking Entities in The Financial Crisis: A Disaggregated View. *Review of International Political Economy*, *22*(2), 257-279. https://www.tandfonline.com/doi/full/10.1080/09692290.2014.896269

Malhotra A., Sardana V. & Mohapatra A. K. (2024). Riding the regulatory wave: A review of banking supervision literature and future agendas. *Pacific Business Review International, 17*(1), 1-17. https://www.webofscience.com/wos/woscc/full-record/WOS:001281079900001

Mariscal-Cáceres, J., Cristófol-Rodríguez, C. & Cerdá-Suárez, L. M. (2024). Regulatory Implications of the Supervision and Management of Liquidity Risk: An Analysis of Recent Developments in Spanish Financial Institutions. *Journal of Risk and Financial Management*, *17*(2), pp. 1-22. https://econpapers.repec.org/article/gamjjrfmx/v_3a17_3ay_3a2024_3ai_3a2_3ap_3a46-3a1327338.htm

Pellegrini C.B., Cincinelli P., Meoli M., Urga G. (2022). The Role of Shadow Banking in Systemic Risk in the European Financial System. *Journal of Banking & Finance, 138*, pp. 1-16. https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S037842662200022X

Rubio, M., and J.A. Carrasco-Gallego. (2014), Macroprudential and Monetary Policies: Implications for Financial Stability and Welfare, *Journal of Banking and Finance*, (49), pp. 326-336. https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0378426614000740

Sunaryo, D., Adiyanto, Y., Syarifah, I., Dita, S. & Bella, D. S. (2024). Risk financing transfers and risk retention: A semantic literature analysis for financial stability. *Harmony Management*, *1*(4), pp. 17-34. https://management.ifrel.org/index.php/HarmonyManagement/article/view/33

Thakor, A. V. (2015). The financial crisis of 2007-2009: Why did it happen and what did we learn? *The Review of Corporate Finance Studies*, *4*(2), pp. 155-205. https://econpapers.repec.org/article/ouprcorpf/v_3a4_3ay_3a2015_3ai_3a2_3ap_3a155-205..htm

Turner, A. (2017). *Between debt and the devil: money, credit, and fixing global finance*. Princeton University Press. https://press.princeton.edu/books/paperback/9780691175980/between-debt-and-the-devil?Srsltid=AfmBOopCK_pV9hcTiR5xoPn6cLHzrRGAKt0yOkl7bO3iWKMfahZLEdf

# ჩრდილოვანი საბანკო სისტემა და ეკონომიკური სტაბილურობა: შერჩეული განვითარებადი ეკონომიკების პანელური ანალიზი

**მარიამ ლაშხი**

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

**პასუხისგებელი ავტორი:** mariam.lashkhi@gruni.edu.ge

**რეზიუმე**[2]. კვლევა ეძღვნება ჩრდილოვანი ბანკინგის გავლენის შეფასებას ფინანსურ სტაბილურობა-ზე, ცხრა განვითარებადი ეკონომიკის ჭრილში: საქართველო, მალაიზია, ტაილანდი, კოლუმბია, პერუ, ფილიპინები, პოლონეთი, უკრაინა და ეგვიპტე, 2010–2021 წლების პერიოდში, განსაკუთრე-ბული ყურადღებით საქართველოს ფინანსურ სისტემაზე. კვლევის შედეგად მიღებული ემპირიული მონაცემები მტკიცედ აჩვენებს, რომ ჩრდილოვანი ბანკინგის აქტივობების გაფართოება მნიშვნელოვნად აუარესებს ფინანსურ არასტაბილურობას როგორც შეზღუდულ, ისე სრული ნიმუშის სპეციფიკაციებში. ამის საპირისპიროდ, მდგრადი ეკონომიკური ზრდა მუდმივად წარმოდგება როგორც ძლიერი სტაბილიზაციის ფაქტორი. გარდა ამისა, ფულადი მასის სწრაფი ზრდა ზრდის სისტემურ რისკს, ხოლო ინფლაცია უწყობს ხელს. ეს შედეგები ხაზს უსვამს რეგულაციური არბიტრაჟის, ვადიანობის ტრანსფორმაციისა და გაუმჭვირვალობის მუდმივ რისკებს არატრადიციულ ფინანსურ შუამავლობაში, განვითარებადი ბაზრების კონტექსტში. ანალიზი წარმოადგენს ახალ მტკიცებულებებს ჩრდილოვანი ბანკინგის დინამიკის შესახებ გარდამავალ და საზღვრისპირა ეკონომიკებში, მათ შორის საქართველოს პირველი სპეციალიზებული ფინანსური სტაბილურობის ინდექსის შექმნას, და ხაზს უსვამს კოორდინირებული მაკროპრუდენციული პოლიტიკის კრიტიკულ მნიშვნელობას პარალელური ფინანსური სისტემიდან წარმოშობილი სისტემური დაუცველობების შესამცირებლად.

**საკვანძო სიტყვები:** ჩრდილოვანი ბანკინგი, სისტემური რისკი, ფინანსური სტაბილურობა, განვითარებადი ეკონომიკა

[2] კვლევა [PHDF-23-629] განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით.

# ფირმის მდგრადობის არაწრფივი დინამიკური მოდელი

**დემურ გიორხელიძე**
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
demur.giorkhelidze@gruni.edu.ge

**რეზიუმე.** სტატიაში განხილულია ფირმის მდგრადობის არაწრფივი დინამიკური მოდელი, მდგომარეობის ცვლადებისთვის მიღებულია განტოლებები შესაბამისი საწყისი პირობებით. მდგომარეობის ცვლადებად, რომლებიც სრულად ახასიათებს ფირმის მდგომარეობას, აღებულია ფირმის ფიზიკური კაპიტალი, შრომითი რესურსები (შრომა, სამუშაო ძალა), ფირმის ვალი და მისი მოგება. მიღებული არაწრფივ დიფერენციალურ განტოლებათა სისტემისათვის, სხვადასხვა მართვის პარამეტრებისას, მითითებულია ამოხსნის ალგორითმი და მდგრადობის კრიტერიუმები. არაავტონომიური სისტემისათვის მდგრადობა განიხილება ლიაპუნოვის მიხედვით.

**საძიებო სიტყვები:** ფირმა, ფირმის მდგომარეობა, მგომარეობის ცვლადები, იდიოსინკრეტული რისკები, არაწრფივი დიფერენციალური განტოლებები, კოშის ამოცანა, მდგრადობა ლიაპუნოვის მიხედვით

## შესავალი

როგორ აღიწეროს ფირმის საქმიანობის დინამიკა, ანუ დროში მისი მდგომარეობის ცვალებადობა, რომელიც პრაქტიკულად არასდროს არის წრფივი – იგი ერთი მდგომარეობიდან, რომელიც დროის მოკლე (გარკვეულ) მონაკვეთში შეიძლება ჩაითვალოს მდგრად მდგომარეობად, გადადის არამდგრად მდგომარეობაში, და მდგომარეობათა ეს მონაცვლეობა პრაქტიკულად მუდმივი პროცესია, რადგან ფირმის მდგრადი მდგომარეობა დიდხანს არასდროს გრძელდება. ფირმის მდგომარეობების მუდმივი მონაცვლეობა/მოძრაობა ფირმის მართვის პარამეტრების მნიშვნელობების ცვლილების შედეგია იმ ინტერვალში, რა ინტერვალშიც ეს პარამეტრებია განსაზღვრული. მართვის პარამეტრები, როგორც მუდმივი სიდიდეები, შეიძლება მოიცემოდეს ეგზოგენურად; ეს პარამეტრები, რაღაც სახით, ფირმის ევოლუციის (მოძრაობის, დინამიკის) იმ განტოლებებში აისახება, რომლებიც ფირმის დინამიკური მათემატიკური მოდელის შექმნის გზით მიიღება.

ეკონომიკაში დინამიკური მოდელების გამოყენების თავისებურება (ან განსხვავებულობა) ერთი მხრივ, უკავშირდება დაშვებას გრძელვადიან პერსპექტივაში განსახილველი პროცესის (მოვლენის და ა.შ.) დეტერმინირებულობის შესახებ და დროში ქაოსური დინამიკის ფორმირება, ხოლო მეორე მხრივ, ეკონომიკური ობიექტები (მათ შორის, ფირმები), მოვლენები, პროცესები და ა.შ., დაქვემდებარებულია არაპროგნოზირებად (არაგანჭვრეტად) გარე ზემოქმედებებს, რომლებიც არარეგულარული „დარტყმების“ სახით ვლინდება და სისტემის (ობიექტის, მოვლენის, პროცესის და ა.შ.) დინამიკას (ან სისტემის დროში განვითარების ტრაექტორიას) არაგლუვს ხდის. სხვა სიტყვებით, პირველ შემთხვევაში, სრულად

დეტერმინირებული სისტემა (ჩვენს შემთხვევაში, ფირმის მდგომარეობა), დროის რაღაც ეტაპზე, პარამეტრების გარკვეული თანაფარდობებისას, შეიძლება ქაოსური გახდეს. შემუშავებულმა მოდელმა ასეთი თავისებურების დაჭერა უნდა შეძლოს. თუმცა, შევნიშნოთ, რომ ეკონომიკურ მოვლენებში ეს რთულად რეალიზდება, რადგან დროთა განმავლობაში პროცესები (მოვლენები) სტოქასტიკურ პროცესებში გადადის, - იღებს შემთხვევითი პროცესის სახეს.

რეალურ ეკონომიკურ სუბიექტებში, ისევე როგორც მთლიანად ეკონომიკურ სისტემაში, კავშირების მრავალფეროვნება (მრავალგვარობა) და მულტიკოლინეარულობა (ანუ დამოუკიდებელი ცვლადების კორელაცია) ართულებს საერთო შედეგის ანალიზს და არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ცალსახად ითქვას უფრო მნიშვნელოვანი და ნაკლებად მნიშვნელოვანი ფაქტორების შესახებ, რომელიც ამ შედეგზე ახდენს გავლენას. რთული სტოქასტიკური დამოკიდებულებების გავლენით, რომელიც დამახასიათებელია რეალური ეკონომიკური პროცესებისათვის, წარმოიქმნება **პრობლემა**, რომელიც დაკავშირებულია ამ კანონზომიერებებისთვის ზუსტი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინტერპრეტაციის მიცემაში.

**მეორე პრობლემა** ეს არის ეკონომიკურ მოდელებში უწყვეტი სიდიდეების გამოყენება. რეალურად ეკონომიკისათვის ხშირად დამახასიათებელია დისკრეტული პროცესები, მაგრამ ფირმის დინამიკის უწყვეტ დროში აღწერა მნიშვნელოვან უპირატესობებს შეიცავს დისკრეტულ დროში მის აღწერასთან შედარებით, რადგან დისკრეტული დრო ფირმის მდგომარეობას დროის მხოლოდ გარკვეულ მომენტებში ასახავს; ამასთან, თუ ფირმის მდგომარეობის ანალიზი დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ხდება, დროის ეს შუალედები, შეიძლება, ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად იყოს დაცილებული და დამოკიდებული იყოს დისკრეტიზაციის ხარისხზე. თავის მხრივ, დისკრეტულ სისტემებს გააჩნიათ თვისებები, რომლებიც ძლიერ განსხვავდება უწყვეტი სისტემების თვისებებისგან. გარდა ამისა, უწყვეტ დროში არაწრფივი დინამიკური მოდელის აგება პრობლემის სრულყოფილად გამოკვლევის საშუალებას იძლევა, რადგან მკვლევარი ჩაკეტილი ფორმით ამონახსნის მისაღებად იძულებული არ არის გაუმართლებლად დიდი გამარტივების დაშვებისათვის.

არაწრფივი დინამიკური მოდელები უწყვეტ დროში იხსნება რიცხვითი მეთოდების გამოყენებით და, მათი სწორად რეალიზაციის შემთხვევაში, პრობლემების ძალზე ფართო და რთული სპექტრის კვლევის საშუალებას იძლევა.

**ეკონომიკაში მრავალი პროცესი არამდგრადია,** – პარამეტრების ცვლილებისას დაიკვირვება მდგომარეობის ცვლის (ბიფურკაციის) ეფექტი, მდგრადობის დაკარგვა და სხვა „არასასურველი ეფექტები“. ამ თვისებების გამოვლენა აქტუალურ ამოცანას წარმოადგენს, რადგან ისინი უშუალოდ აისახება ამ ეკონომიკაში მოქმედ ეკონომიკურ აგენტებზე (კერძოდ, ფირმებსა და ინდივიდუალურ მომხმარებლებზე). ამდენად, გასაგებია, თუ რატომ არის სასურველი ეკონომიკური მოდელის უწყვეტ დროში ჩამოყალიბება და ამოხსნა.

მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის გრძელდება დისკუსია ეკონომიკურ პროცესებში მცირე განზომილების ქაოსური დინამიკის არსებობის უტყუარობის შესახებ, ნაშრომში დემონსტრირებული ფირმის მათემატიკური მოდელი წარმოადგენს ინტერესს და ხელს უწყობს ეკონომიკაში მსგავსი მოვლენების კვლევის მეთოდების დამუშავებას, აგრეთვე, გაგებული და პროგნოზირებული იქნეს გარდამავალი სიტუაციები და, რიგ შემთხვევაში, ეკონომიკურ მაჩვენებლებს მიეცეს რაოდენობითი შეფასება.

**I.** განსახილველი **მათემატიკური მოდელის ობიექტია ფირმა**, რომელიც უშვებს ერთსა და იმავე სახის ჰომოგენურ (ერთგვაროვან) საქონელს. ზოგადად, ეკონომიკაში მოქმედი ფირმები (ისევე როგორც მომხმარებლები), რომლებიც ერთნაირები არიან ***ex ante*** (ანუ „მოვლენებამდე"), განსაკუთრებულ იდიოსინკრეტულ დაუზღვეველ რისკებს (შოკებს) (*idiosyncratic uninsurable risck (Shocks)*) ეჯახებიან, ანუ უნიკალურ, განსაკუთრებულ, გამორჩეულად თავისებურ ინდივიდუალურ რისკებს, დამახასიათებელს მხოლოდ ამ კონკრეტული ფირმისთვის (მომხმარებლისათვის). არაერთგვაროვნების დაზღვევა არ შეიძლება (შეუძლებელია), რომლის შემდეგაც (ანუ ex post („ფაქტიური მოვლენის" შემდეგ)) ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისგან (არაერთგვაროვანი არიან); ცხადია, განსხვავებულია მათი საწყისი შესაძლებლობებიც. ყველა ფირმას რეალობის აღქმის თავის (კერძო) იდეოსინკრეტული კონსტრუქცია აქვს, რომლის საფუძველზეც გამოაქვს აზრი (დასკვნა) და საგნებს (მოვლენებს) სუბიექტურ პერსპექტივაში აფასებს. აქედან გამომდინარე, აუცილებელი ხდება ჰეტეროგენული ეკონომიკური აგენტების მოდელის განხილვა, განსხვავებით იმისა, რაც წარმომადგენლობითი (რეპრეზენტაციული) აგენტის შემთხვევაში გვქონდა, როცა ყველა ეკონომიკური აგენტი განიხილებოდა როგორც ერთნაირი და სრულად დახასიათებადი ერთი წარმოამდგენელის (რეპრეზენტაციული აგენტის) მეშვეობით. ეს ფირმები ერთმანეთთან ურთიერთობენ არასრულ ბაზრებზე და ურთიერთქმედებას გამოშვების ან/და შემოსავლების შედარების გზით ახდენენ. *ვიხილავთ ნაწილობრივი წონასწორობის მიკროეკონომიკურ მოდელს.*

პირველ ეტაპზე, ჩვენი მიზანი იქნება აღიწეროს ერთი რომელიღაც კონკრეტული ფირმის მდგომარეობა არაწრფივი დინამიკური მოდელის მეშვეობით, რომელიც, შემდგომში, მის სხვა ფირმებზე გავრცელების საშუალებას მოგვცემს და მათი შედეგების აგრეგაციისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების განხილვისათვის იქნება გამოსადეგი. ივარაუდება, რომ წარმოების ფაქტორებისა და პროდუქციის მომავალი ფასები პროგნოზირებადია სრულყოფილად და განუსაზღვრელობას ადგილი არა აქვს. ფირმა წყვეტს მოგების მაქსიმიზაციის შემდეგ ამოცანას: დროის თითოეულ მონაკვეთზე განსაზღვრავს რა შესასყიდი წარმოების ფაქტორების მოცულობას (დაკავშირებულს როგორც ხანგრძლივი საქონლის, ისე წარმოების მიმდინარე დანახარჯებთან, როგორებიცაა დანახარჯები სამუშაო ძალაზე და ა.შ.) იმ მიზნით, რომ დივიდენდის მიხედვით გადახდების საერთო ნაკადის დაყვანილი ღირებულება *(present value)* იყოს მაქსიმალური.

## II. ფირმის არაწრფივი დინამიკური მოდელი უწყვეტ დროში

ვიხილავთ ფირმას, რომლის საწარმოო ფუნქცია

$$y(t) = z(t) \cdot e(t) \cdot (k(t)^{\alpha} (\ell(t)h(t))^{\beta})^{\nu}, \qquad (2.1)$$

სადაც: $y(t)$ – გამოშვებაა; $z(t)$ – საერთო ფაქტორული მწარმოებლურობა (*Total Factor Prodactivity*, TFP), ანუ ტექნიკური პროგრესისა და სხვა ფაქტორების ერთობლიობა, რომლებიც გავლენას ახდენს ფირმის მიერ პროდუქციის გამოშვებაზე; (2.1) მოდელში ის ცხადი სახით არ არის წარმოდგენილი, როგორც ეს კაპიტალისა და შრომითი დანახარჯების შემთხვევაში გვაქვს). მისი აღწერა იხ. ქვემოთ; $e(t)$ – მწარმოებლურობის დროში ცვალებადი იდეოსინკრეტული რისკია. ალტერნატივის სახით შეიძლება გვევარაუდა იდეოსინკრეტული რისკი, რომელიც იღებს ფორმას გადასახადებზე (სუბსიდიებზე), სამუშაო ძალასა და/ან კაპიტალზე გადასახადების სახით; $k(t)$ – ფირმის კაპიტალი (დანახარჯები კაპიტალზე); $\ell(t)$ – შრომითი დანახარჯები; $\alpha$ – კაპიტალის მიხედვით ელასტიურობის კოეფიციენტი, $\alpha \geq 0$, ხოლო $\beta$ – შრომის მიხედვით ელასტიურობის კოეფიციენტი, $\beta \geq 0$; ჩავთვალოთ, რომ $\alpha + \beta = 1$; $\nu \in (0,1)$ – რაც ნიშნავს, რომ საწარმოო ფუნქციას აქვს მასშტაბიდან კლებადი უკუგება.

ჩავთვალოთ, რომ განსახილველ პერიოდში, პროდუქტიულობის რეალიზაცია პროგნოზირებადია და საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებას ფირმა მიმდინარე პროდუქტიულობის რეალიზაციაზე დაკვირვების გზით იღებს. ზოგადად, $z(t)$ იდეოსინკრეტულ ფაქტორულ მწარმოებლურობაში შოკები, როგორც ერთობლივი რისკის წყარო. შეიძლება მისდევდეს AR(1) პროცესს, ან დროითი მწკრივების უმარტივეს პირველი რიგის ავტორეგრესიულ მოდელს, სადაც შოკი ($\varepsilon$) წარმოადგენს დამოუკიდებელ და ერთნაირად განაწილებულს: $\varepsilon \sim N(0, \sigma^2)$, ანუ გააჩნია ნულოვანი საშუალო მნიშვნელობა და მუდმივი დისპერსია. ასეთი შოკი არ არის დამოკიდებული წინა დამოუკიდებელ შოკებზე და ყველა მათგანს გააჩნია ალბათობების ერთნაირი განაწილება. ეს მოდელი შერჩეულია იმ მოსაზრებით, რომ ამ სახის შოკები ხშირად გამოიყენება ეკონომიკაში არაპროგნოზირებადი (არაგანჭვრეტადი) მოვლენების წარმოდგენისათვის, კერძოდ, საერთო მწარმოებლურობის ან შრომის ნაყოფიერების მოულოდნელი ცვლილებების აღწერისათვის. ის შეიძლება უკავშირდებოდეს სახელმწიფო ხარჯების მოულოდნელი ცვლილების გამო გადასახადების მოულოდნელ ცვლილებასაც.

განვიხილოთ ფირმის ევოლუცია (განვითარება) დროთა განმავლობაში (დროში) არაწრფივი დინამიკური მოდელის საფუძველზე. დროის ნებისმიერ $t$ მომენტში, $t_0 \leq t \leq T$, სადაც $t_0$ საწყისი დროა, როცა ფირმის მდგომარეობაზე (ან ქცევაზე) დაკვირვებას (შესწავლას) ვიწყებთ, ხოლო $T$ – დროის სასრული მომენტია. ამდენად, დროის $[t_0, T]$ ინტერვალი დროის მონაკვეთია, რა ინტერვალშიც ფირმის მდგომარეობა შეისწავლება. ეს პერიოდი, როგორც წესი, დამოკიდებულია კვლევის საგანსა და მიზნებზე (თვე, კვარტალი, ნ/წელი, წელი და ა.შ.). ფირმის არაწრფივი დინამიკური მათემატიკური მოდელის აგება მოვახდინოთ შემდეგი ეკონომიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე: დავუშვათ, რომ

ფირმის მდგომარეობა სრულად აღიწერება ე.წ. მდგომარეობის ცვლადებით, რომელთა რაოდენობაც შესასწავლი ობიექტის (ჩვენ შემთხვევაში, ფირმის) სახესა და შესწავლის (კვლევის) მიზნებზეა დამოკიდებული. ცხადია, მდგომარეობის ცვლადები ისე უნდა შეირჩეს, რომ შესასწავლ ობიექტსა და შესწავლის მიზანს ყველაზე არსებითი მხრიდან ახასიათებდეს.

ნაშრომში შეისწავლება ფირმის მდგომარეობა, რომელიც ეკონომიკური ხასიათის საქმიანობას ეკონომიკური მოგების მიღების მიზნით ახორციელებს და გვაინტერესებს ფირმის ეფექტურობა და მისი საქმიანობის მდგრადობა (მდგრადი საქმიანობა, მის მოქმედებაში დიდი რყევებისა და საქმიანობის უნარის დაკარგვის გარეშე). შეიძლება ჩავთვალოთ (დავუშვათ, ვივარაუდოთ), რომ დროის ნებისმიერ $t$ მომენტში, ფირმის მდგომარეობა შეიძლება სრულად იქნეს დახასიათებული მდგომარეობის შემდეგი ცვლადებით: (1) **ფირმის ფიზიკური კაპიტალი ფულად გამოსახულებაში**, – ავღნიშნოთ $k$ ასოთი (შენობა-ნაგებობები, მანქანა-დანადგარები, მოწყობილობები და ა.შ.). ცხადია, კაპიტალი ასევე დროის უწყვეტი ფუნქცია იქნება: $k = k(t)$. (2) **ფირმის საქმიანობაში მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი** – ეს არის შრომა (ან სამუშაო ძალა, ან შრომითი რესურსები). კომპანიისთვის ეს არის სხვადასხვა კვალიფიკაციისა და პროფესიის დაქირავებული მუშაკების ერთობლიობა (საერთო რიცხოვნობა). დროის ნებისმიერ $t$ მომენტში კომპანიაში მომუშავეთა საერთო რიცხოვნობა აღნიშნული გვაქვს $\ell(t)$-ით (*ინგლ. სიტყვიდან „labor“*). (**3**) **ფირმის სასესხო კაპიტალი** (**ვალი**). დროის $t$ მომენტისთვის ფირმის ვალის ფულად გამოსახულებაში ავღნიშნოთ $d(t)$–თი *(ინგლ. სიტყვიდან „Debt“).* ივარაუდება, რომ ინვესტიციური დანახარჯები ფინანსდება იმ სახსრების საფუძველზე, რომლებიც ფინანსურ ბაზრებზე $r(t)$ საპროცენტო განაკვეთით მიიღება (ზოგად შემთხვევაში, ცხადია, იგი ცვლადი სიდიდეა). სასესხო კაპიტალი, ანუ ვალი – ეს კომპანიის მდგომარეობის ის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია, რომელიც განსაზღვრავს მისი მოქმედების თავისუფლების ხარისხს გაფართოებისა თუ ახალი საინვესტიციო პროექტების რეალიზაციის მიმართულებით და არსებით გავლენას ახდენს ფირმის მიერ მისაღებ გადაწყვეტილებებზე. ვვარაუდობთ, რომ ფირმის განვითარებისა და ეფექტურად ფუნქციონირებისთვის გამოიყენება როგორც საკუთარი, ისე სასეხო კაპიტალი. (**4**) **ფირმის მოგება**, რომელიც ავღნიშნოთ $\pi(t)$-ით. ეს ის ძირითადი მაჩვენებელია, რომლისთვისაც იღწვის ფირმა და მის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენს

შემოვიღოთ შემდეგი აღნიშვნები:

$$k(t) \equiv x_1(t),\ \ \ell(t) \equiv x_2(t),\ \ d(t) \equiv x_3(t),\ \ \pi(t) \equiv x_4(t), \tag{2.2}$$

რომლებიც წარმოადგენს ფირმის მდგომარეობის ოთხგანზომილებიანი **X** ვექტორის კოორდინატებს:

$$\mathbf{X} = \begin{pmatrix} K(t) \\ L(t) \\ D(t) \\ \pi(t) \end{pmatrix} \equiv \begin{pmatrix} x_1(t) \\ x_{2(t)} \\ x_{3(t)} \\ x_{4(t)} \end{pmatrix} \tag{2.3}$$

ამდენად, ვთვლით, რომ ფირმის მდგომარეობა აღიწერება სრულად და ცალსახად, თუ დროის ნებისმიერ $t$ მომენტში, სადაც $t_0 \le t \le T$, ცნობილია ფირმის მდგომარეობის ოთხ-განზომილებიანი ვექტორი **X**($t$). ჩავთვალოთ, რომ $t$ დროის მოცემულ საწყის მომენტში კომპანიის კაპიტალი ($k$), მუშაკთა რიცხოვნობა (ან შრომა) ($\ell$), ფირმის მიერ აღებული ვალის მთლიანი მოცულობა ($d$) და ფირმის მოგება ($\pi$) ცნობილია, ანუ

როცა $t = t_0$,

$$k(0) = k_0,\ \ell(0) = \ell_0,\ d(0) = d_0,\ \pi = \pi_0. \qquad (2.4)$$

მათი განსაზღვრისა და ურთიერთკავშირის დადგენისთვის, თითოეული მდგომარეობის ცვლადისთვის მივიღოთ დიფერენციალური განტოლება.

## III. განტოლებები მდგომარეობის ცვლადებისათვის

United Nations. (2023). *World Population Prospects 2022*. Department of Economic and Social Affairs, Population Division. https://population.un.org/wpp/

Staehr, K. (2015). Economic growth and convergence in the Baltic states: Caught in a middle-income trap? *Intereconomics, 50*(5), 274-280. https://doi.org/10.1007/s10272-015-0558-8

Electricity in 2024: Emissions hit historic low, average prices declined but demand did not pick up_World Bank – Georgia

Data supporting this study are openly available from National statistics office of Georgia (https://www.geostat.ge/) and Georgian state electric system (https://www.gse.com.ge/).

# შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტი - გავლენა საქართველოს ეკონომიკასა და ენერგეტიკულ უსაფრთხოებაზე

**გიგა თვაური**[1*]

**თენგიზ თაქთაქიშვილი**[2]

[1] ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

[2] გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

***პასუხისმგებელი ავტორი:** g.tvauri@gruni.edu.ge

**რეზიუმე.**[5] კვლევა აღწერს შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის (BSSC) პროექტის გავლენას საქართველოს ეკონომიკასა და ენერგეტიკულ უსაფრთხოებაზე. პროექტის მიზანია საქართველოსა და ევროკავშირის პირდაპირ დაკავშირება განახლებადი ენერგიის მიწოდების გზით, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის ენერგეტიკული დამოუკიდებლობის გაძლიერებას, ექსპორტის გაზრდას და ევროპულ ბაზრებზე ინტეგრაციას. კვლევა იყენებს სინთეზური კონტროლის მეთოდს (SCM) - ეკონომეტრიულ მოდელს, რომელიც საშუალებას იძლევა განისაზღვროს საქართველოს ეკონომიკური მაჩვენებლების (მაგ., მშპ) ჰიპოთეტური სურათი იმ შემთხვევაში, თუ პროექტი განხორციელდება. შედარებისთვის შეირჩა ბალტიისპირეთის ქვეყნები (ლიტვა, ლატვია, ესტონეთი), რომელთა ეკონომიკური და გეოპოლიტიკური მახასიათებლები საქართველოს მსგავსია. ენერგეტიკული ბაზრის დივერსიფიკაციისა და უსაფრთხოების შესაფასებლად გამოყენებული იქნა ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი (HHI), რომელიც ბაზრის კონცენტრაციის დონეს ზომავს. კვლევის თანახმად, შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტი მნიშვნელოვნად გააძლიერებს საქართველოს ეკონომიკასა და ენერგეტიკულ უსაფრთხოებას. 2030 წლიდან მშპ-ს ზრდა საშუალოდ 0.9%-ით გადააჭარბებს მოსალოდნელს და 2045 წლისთვის დამატებით დაახლოებით 16 მილიარდი დოლარის შემოსავალს დააგენერირებს. პროექტი საქართველოს ევროპულ ენერგეტიკულ სივრცეში ინტეგრაციისა და სტაბილური ეკონომიკური განვითარების წინაპირობაა.

**საკვანძო სიტყვები:** ენერგიის გადაცემა, განახლებადი ენერგია, ენერგოუსაფრთხოება, მწვანე ეკონომიკა

[5] კვლევა [PHDF-23-1010] განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით.

# სატრანზიტო-სატრანსპორტო სფეროში ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის განვითარება

**ნონა კუხიანიძე**
ა. წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
nona.kukhianidze@atsu.edu.ge

**რეზიუმე.** ნაშრომი იკვლევს სატრანზიტო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის კრიტიკულ როლს საერთაშორისო ვაჭრობაში, ხაზს უსვამს მის მნიშვნელობას ეკონომიკური ზრდისა და რეგიონული ინტეგრაციისთვის. სატრანსპორტო სისტემის გავლენა ვაჭრობასა და ეკონომიკურ ურთიერთობებზე მრავალასპექტიანია, რაც აუმჯობესებს ბაზრის ხელმისაწვდომობას, ლოგისტიკურ ეფექტიანობასა და რეგიონულ თანამშრომლობას, შედეგად ხელს უწყობს ეკონომიკურ განვითარებას, სამუშაო ადგილების შექმნასა და ცხოვრების დონის გაუმჯობესებას. მიუხედავად სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მნიშვნელობის აღიარებისა, გარკვეული გამოწვევები მაინც არსებობს, განსაკუთრებით განვითარებად რეგიონებში. სტატია იკვლევს ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის (ECO) წევრი სახელმწიფოების წინაშე მდგარ დაბრკოლებებს, ყურადღებას ამახვილებს საქართველოზე, როგორც სატრანზიტო ინფრა-სტრუქტურის მნიშვნელოვან მოთამაშეზე. საქართველო, მართალია არ არის ECO-ს წევრი ქვეყანა, მაგრამ წარმოადგენს მნიშვნელოვან სატრანზიტო ჰაბს ორგანიზაციის წევრი ქვეყნებისთვის. კვლევა სწავლობს ECO-ს წევრ ქვეყნებს შორის გაძლიერებული თანამშრომლობის პოტენციურ გზებს, რაც მოიცავს ინფრასტრუქტურაში ინვესტიციებს, რეგულაციების ჰარმონიზაციას, რეგიონულ სატრანსპორტო დერეფნებს, მრავალმოდალურ ტრანსპორტს და საჯარო-კერძო პარტნიორებს. შესაბამისად, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაში ინვესტიცია იქცევა ფუნდამენტურ კომპონენტად ECO-ს წევრ ქვეყნებს შორის ეკონომიკური განვითარებისა და ინტეგრაციის ხელშეწყობისთვის. მიუხედავად იმისა, რომ გამოწვევები, მაგალითად შეზღუდული დაფინანსება კვლავ არსებობს, მაინც საკმაოდ ბევრი შესაძლებლობაა თანამშრომლობისთვის, რათა გადაილახოს ეს დაბრკოლებები და გაუმჯობესდეს რეგიონის კავშირები. ნაშრომი ხაზს უსვამს სატრანზიტო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პრიორიტეტიზაციის გადაუდებელ საჭიროებას ECO-ს რეგიონში ეკონომიკური ზრდისა და ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით.

**საკვანძო სიტყვები:** ECO, ტრანსპორტი და ტრანზიტი, ინფრასტრუქტურა, ეკონომიკური განვითარება

## შესავალი

სატრანსპორტო და სატრანზიტო ინფრასტრუქტურა საერთაშორისო ვაჭრობის კრიტიკული კომპონენტებია, რომლებიც აკავშირებს მწარმოებლებს, მომხმარებლებსა და ბაზრებს მთელ მსოფლიოში. კარგად განვითარებული სატრანსპორტო სისტემა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც დამოკიდებულნი არიან საერთაშორისო ვაჭრობაზე ეკონომიკური ზრდისთვის.

სატრანზიტო და სატრანსპორტო სისტემები ხელს უწყობს საქონლისა და მომსახურების გადაადგილებას, რაც საშუალებას აძლევს ბიზნესს შევიდეს ახალ ბაზრებზე და გააფართოვოს საქმიანობა. სატრანზიტო და სატრანსპორტო მნიშვნელობა ვაჭრობისა და ეკონომიკური ურთიერთობებისთვის გადაჭარბებულად ვერ შეფასდება.

ბაზრის გაუმჯობესებულ ხელმისაწვდომობასა და საქონლისა და მომსახურების უფრო ეფექტურ გადაადგილებასთან ერთად, სატრანზიტო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვან როლს თამაშობს რეგიონული ინტეგრაციისა და თანამშრომლობის ხელშეწყობაში. გაუმჯობესებული კომუნიკაციები შეიძლება ახალ შესაძლებლობებს აძლევდეს ვაჭრობას, ეკონომიკურ განვითარებას, სამუშაო ადგილების შექმნასა და ცხოვრების დონის გაუმჯობესებას.

ბოლო წლებში, მრავალმა ქვეყანამ აღიარა სატრანზიტო და სატრანსპორტო ინფრა-სტრუქტურის მნიშვნელობა ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობისთვის და დიდი ინვესტიციები გააკეთა ამ სფეროში. თუმცა, კვლავ არსებობს გამოწვევები, განსაკუთრებით განვითარებად რეგიონებში, სადაც სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა შეიძლება იყოს არაადეკვატური ან არასაკმარისი.

სტატია შეისწავლის სატრანზიტო და სატრანსპორტო მნიშვნელობას ვაჭრობისა და ეკონომიკური ურთიერთობებისთვის, ითვალისწინებს ECO-ს წევრ სახელმწიფოებში სატრანზიტო და სატრანსპორტო სფეროში არსებულ პრობლემებს. კერძოდ, განხილულია საქართველოს მაგალითი, როგორც მნიშვნელოვანი ECO-ს მოთამაშისა სატრანზიტო ინფრასტრუქტურაში.

შემოთავაზებულია შესაძლებლობები ECO-ს წევრ ქვეყნებს შორის შემდგომი სატრანზიტო და სატრანსპორტო თანამშრომლობისთვის, აგრეთვე მისი პოტენციური გავლენა ვაჭრობისა და ეკონომიკის კომპონენტზე.

## ძირითადი ნაწილი

**ტრანზიტისა და ტრანსპორტის მნიშვნელობა ვაჭრობისა და ეკონომიკური ურთიერთობე-ბისთვის.** ეფექტური ტრანზიტი და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვანია ქვეყნებს შორის ეკონომიკური განვითარების და ვაჭრობის ხელშესაწყობად. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა მოიცავს ფიზიკურ ინფრასტრუქტურას, როგორიცაა გზები, რკინიგზები, პორტები და აეროპორტები, ასევე ლოგისტიკურ ქსელებს, რომლებიც აკავშირებენ სხვადასხვა სატრანსპორტო რეჟიმს და ხელს უწყობენ ტვირთის გადაადგილებას ერთი ადგილიდან მეორეში.

ტრანსპორტისა და ტრანზიტის ინფრასტრუქტურას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც რეგიონალური ეკონომიკური ორგანიზაციების, მაგალითად, ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის (ECO) წევრები არიან. რეგიონში კავშირებისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ხელს შეუწყობს რეგიონის შიგნით ვაჭრობას, საზღვრებს შორის ინვესტიციებს და ეკონომიკურ ინტეგრაციას. ეფექტური

სატრანსპორტო ქსელები ასევე გაათავისუფლებს მიწასთან ჩაკეტილი ქვეყნების ეკონომიკურ პოტენციალს, რაც მათ გლობალურ ბაზრებზე წვდომისა და რეგიონალურ ეკონომიკურ თანამშრომლობაში მონაწილეობის საშუალებას მისცემს (Astana, 2023).

თუმცა, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას შესაძლოა პრობლემები მოჰყვეს, განსაკუთრებით განვითარებადი და მიწასთან ჩაკეტილი ქვეყნების შემთხვევაში.

არაეფექტური სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა იწვევს მაღალი ტრანსპორტირების ხარჯებს, უფრო ხანგრძლივ ტრანზიტის დროსა და ლოგისტიკურ პრობლემებს, რაც ზღუდავს ქვეყნის შესაძლებლობას მონაწილეობა მიიღოს გლობალურ ვაჭრობაში და მიიზიდოს უცხოური ინვესტიციები. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და ლოგისტიკური ქსელების გაუმჯობესება ხელს შეუწყობს ამ გამოწვევების გადალახვას და ეკონომიკური განვითარების წახალისებას.

## კვლევის შედეგი

ECO-ის წევრი ქვეყნები ტრანზიტისა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მიმართულებით რამდენიმე მნიშვნელოვან გამოწვევას აწყდებიან, რაც რეგიონში ეკონომიკურ განვითარებას, ვაჭრობას და ინვესტიციებს აფერხებს.

ბევრ წევრ ქვეყანაში სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, განსაკუთრებით სოფლის და შორეულ რეგიონებში, სათანადოდ განვითარებული არ არის. ცუდი ინფრასტრუქტურა იწვევს ტრანსპორტირების მაღალ ხარჯებს, ხანგრძლივ ტრანზიტის დროს და ლოგისტიკურ პრობლემებს, რაც ზღუდავს ქვეყნის შესაძლებლობას, ჩაერთოს ვაჭრობაში და მოიზიდოს უცხოური ინვესტიციები.

ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის მიმართულებით შეზღუდული ინვესტიციები სერიოზული პრობლემაა წევრი ქვეყნებისათვის. ეს გამოწვეულია ფინანსური რესურსების ნაკლებობით, უცხოური ინვესტიციების დეფიციტით და პოლიტიკური არასტაბილურობით.

რეგულატორული ბარიერები, როგორიცაა საბაჟო პროცედურები, ტარიფები და არატარიფული ბარიერები, დამატებით სირთულეებს ქმნის ECO-ის რეგიონში ტრანზიტისა და ტრანსპორტის მიმართულებით. ისინი ზრდიან ტრანსპორტირების ხარჯებს და ქმნიან ლოგისტიკურ დაბრკოლებებს საზღვარგარეთ ვაჭრობაში ჩართული კომპანიებისთვის.

ტერორიზმი, მეკობრეობა და ქურდობა უსაფრთხოების მნიშვნელოვან გამოწვევებს წარმოადგენს. მსგავსი საფრთხეები ზღუდავს საქონლისა და მომსახურების გადაადგილებას, ზრდის ტრანსპორტირების ხარჯებს და ქმნის დამატებით ლოგისტიკურ სირთულეებს. ამ პრობლემების დასაძლევად საჭიროა კოორდინირებული ძალისხმევა, რაც მოიცავს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, რეგულაციების გამარტივებას და უსაფრთხოების უზრუნველყოფას (Prokhorov, 2019).

საქართველო ECO-ის წევრ ქვეყნებში ტრანზიტისა და ტრანსპორტის სფეროში ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა. მისი ერთ-ერთი მთავარი უპირატესობა გეოგრაფიული მდებარეობაა, რომელიც ევროპის და აზიის გზაგასაყარზეა. შედეგად, საქართველო მნიშვნელოვანი სატრანზიტო სავაჭრო ცენტრი გახდა (რადიო თავისუფლება).

გეოგრაფიული უპირატესობის გარდა, საქართველო აქტიურად ავითარებს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას: გზებს, რკინიგზებს, პორტებს და აეროპორტებს. ამ ინფრა-სტრუქტურამ გადამწყვეტი როლი ითამაშა საქონლისა და ადამიანების გადაადგილების გაადვილებაში როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე რეგიონში (კვანჭილაშვილი, 2023).

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინიციატივაა საერთაშორისო სატრანზიტო დერეფნის „დასავლეთ ევროპა-დასავლეთ ჩინეთი“ მშენებლობა, რომელიც ევროპასა და აზიას შორის მთავარი სატრანსპორტო მარშრუტია.

საქართველოს, აზერბაიჯანს, თურქეთსა და ყაზახეთს შორის ხელი მოეწერა „ტრანსკასპიური აღმოსავლეთ-დასავლეთ შუა დერეფნის“ შესახებ ოთხმხრივ დეკლარაციას, რომელშიც ხაზი გაესვა ტრანსკასპიური აღმოსავლეთ-დასავლეთ შუა დერეფნის მნიშვნელობასა და დეკლარაციის მხარე სახელმწიფოების სატრანზიტო პოტენციალის გაძლიერებისკენ გადადგმულ ნაბიჯებს (ნარმანია, 2016).

დეკლარაციაში ხაზგასმულია სატრანსპორტო დერეფნების განვითარებისა და სატრანზიტო პოტენციალის გაზრდის, საერთაშორისო სატრანსპორტო სისტემაში „ტრანსკასპიური აღმოსავლეთ-დასავლეთ შუა დერეფნის“ ინტეგრაციისა მხარეთა შორის თანამშრომლობის გაძლიერების მნიშვნელოვანი როლი.

დოკუმენტში ასევე აღინიშნა, რომ ევროპასა და აზიას შორის კონკურენტუნარიანი ტრანსპორტის ხელშეწყობისათვის ბაქო-თბილისი-ყარსის (BTK) სარკინიგზო ხაზის მნიშვნელოვანი როლი და ყურადღება გამახვილდა აღნიშნული სარკინიგზო ხაზის გამტარუნარიანობის გაუმჯობესებისათვის სამშენებლო სამუშაოების დასრულების მნიშვნელობაზე, რაც სარკინიგზო ხაზის გაძლიერებას ემსახურება (ძამუკაშვილი, 2022).

დეკლარაციაში ასევე ხაზგასმულია აღნიშნული მარშრუტით სატრანსპორტო ოპერაციების ხარისხის ზრდისათვის ინფრასტრუქტურული ინვესტიციების მნიშვნელოვანი საჭიროება. მისი მიზანია მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება და ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური ზრდის მხარდაჭერა ტრანსპორტისა და ტრანზიტის სექტორში პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენებით.

პროექტი ითვალისწინებს ყველა საერთაშორისო (13 ათასი კმ) და ეროვნული გზის (24.5 ათასი კმ) სტანდარტების შესაბამის მდგომარეობაში მოყვანას და ტრანსპორტის ძირითადი ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფას 4G მობილური კომუნიკაციის ქსელით (www.netgazeti.ge/news/712681). საქართველოს ტრანსპორტისა და ლოგისტიკის განვითა-რების მნიშვნელოვანი ნაწილია „შუა დერეფანი“ ან „ტრანსკასპიური მარშრუტი“. ეს ტრანსპორტის კორიდორი აერთებს ჩინეთს და ევროპას ყაზახეთის, კასპიის ზღვის, აზერბაიჯანისა და საქართველოს გავლით. აღნიშნული მარშრუტი თანამედროვე

„აბრეშუმის გზის“ ნაწილია და ტრადიციულ საზღვაო მარშრუტებთან შედარებით მოკლე და უფრო ეფექტურ სავაჭრო გზას უზრუნველყოფს.

აღნიშნული დერეფანი მნიშვნელოვნად ზრდის ვაჭრობასა და ეკონომიკურ თანამშრომლობას ECO-ის წევრ ქვეყნებს შორის ტრანსპორტირების დროისა და ხარჯების შემცირებით.

2022 წელს დასავლეთ ევროპა - დასავლეთ ჩინეთის სატრანსპორტო დერეფანზე ტვირთბრუნვამ 1.5 მილიონი ტონა შეადგინა, რაც 2021 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 2.5-ჯერ გაიზარდა. საქართველოს წილი ტვირთბრუნვაში იყო 530 ათასი ტონა, რაც 6-ჯერ აღემატება წინა წლის მაჩვენებელს. ტრანსკასპიური მარშრუტით გადაზიდვების პოტენციალი მხოლოდ საქართველოსთვის წელიწადში 3.2 მილიონ ტონას აღემატება.

საქართველო განაგრძობს ინფრასტრუქტურულ ინვესტიციებსა და თანამშრომლობას ECO-ის წევრ ქვეყნებთან, რაც რეგიონში ეკონომიკური ზრდისა და ინტეგრაციის მნიშვნელოვან სტიმულად რჩება.

მიუხედავად არსებული გამოწვევებისა, ECO-ის წევრ ქვეყნებს შორის ტრანზიტისა და ტრანსპორტის მიმართულებით მნიშვნელოვანი თანამშრომლობის შესაძლებლობები არსებობს, რაც ხელს შეუწყობს რეგიონალურ განვითარებასა და ეკონომიკურ ინტეგრაციას (პაპიაშვილი, 2023).

ტრანსპორტის ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, არსებული ინფრასტრუქტურის განახლება და რეგიონში ქვეყნების შორის კავშირების გაუმჯობესება ერთ-ერთ მთავარ შესაძლებლობას წარმოადგენს. ინფრასტრუქტურული ინვესტიციები ხელს შეუწყობს ტრანსპორტირების ხარჯების შემცირებას, ტრანზიტის დროის შემცირებას და ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის გაზრდას, რაც ქვეყნებს ვაჭრობაში ჩართვასა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვას გაუადვილებს. ტრანზიტისა და ტრანსპორტის რეგულაციების ჰარმონიზაცია მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს თანამშრომლობას. ეს შეიძლება მოიცავდეს საბაჟო პროცედურების ოპტიმიზაციას, ტარიფებისა და არატარიფული ბარიერების შემცირებას და სატრანსპორტო ორგანოებს შორის უკეთეს კოორდინაციას. რეგულაციური ბარიერების შემცირებით საზღვარგარეთ ვაჭრობა და ინვესტიციები გაცილებით გამარტივდება.

რეგიონული სატრანსპორტო დერეფნების განვითარება ECO-ის რეგიონში მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ქვეყნებს შორის კავშირების გაუმჯობესებასა და ტრანსპორტირების ხარჯების შემცირებაში. ეს დერეფნები ხელს შეუწყობს საზღვარგარეთ ვაჭრობას და ინვესტიციებს (საქართველოს 2023-2030 წლების ტრანსპორტისა და ლოგისტიკის ეროვნული სტრატეგია).

მრავალმოდალური ტრანსპორტი, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ტრანსპორტის რეჟიმებს (რკინიგზა, საავტომობილო გზები, საზღვაო ტრანსპორტი), ტვირთებისა და მომსახურების გადასატანად, რეგიონში კავშირების გაუმჯობესებისა და ტრანსპორტირების ხარჯების შემცირების ეფექტიანი საშუალებაა.

საჯარო და კერძო სექტორების თანამშრომლობა ტრანსპორტის ინფრასტრუქტურაში ინვესტირებისთვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა. ასეთი პარტნიორობა სახელმწიფო და კერძო რესურსების გაერთიანებით საშუალებას მისცემს რეგიონს უფრო ეფექტიანად გადალახოს არსებული გამოწვევები და ხელი შეუწყოს ეკონომიკური განვითარების, ვაჭრობისა და ინვესტიციების ზრდას. ამ შესაძლებლობების ეფექტიანად გამოყენება ECO-ის წევრ ქვეყნებს შორის ტრანზიტისა და ტრანსპორტის სფეროში თანამშრომლობის გასაღებია, რაც რეგიონის ეკონომიკური ზრდისა და განვითარების წინა პირობად იქცევა.

ECO-ის წევრ ქვეყნებში სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებას უდიდესი პოტენციალი აქვს და მნიშვნელოვანი გავლენა შეიძლება იქონიოს ვაჭრობასა და ეკონომი-კურ ურთიერთობებზე (EGIS International, 2017).

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ხელს უწყობს წევრ ქვეყნებს შორის ვაჭრობის მოცულობის ზრდას. ეფექტიანი და კარგად დაკავშირებული სატრანსპორტო ქსელი ამცირებს საქონლისა და მომსახურების საზღვარზე გადატანის დროსა და ხარჯებს, რაც ბიზნესისთვის საზღვარგარეთ ვაჭრობას მეტად ხელსაყრელს ხდის. კავშირის გაუმჯობესება და ტრანსპორტირების ხარჯების შემცირება კომპანიებს საშუალებას აძლევს, მარტივად და ეფექტიანად მიიღონ წვდომა რეგიონში ახალ ბაზრებსა და მომხმარებლებზე. ეს ზრდის საზღვარგარეთ ვაჭრობისა და ინვესტიციების შესაძლებლობებს.

კარგად განვითარებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა ქვეყნებს აძლევს შესაძლებლობას, მსოფლიო ბაზრებზე მეტად კონკურენტუნარიანი გახდნენ. ტრანსპორტირების ხარჯების შემცირება საქონელსა და მომსახურებას უფრო ხელმისაწვდომსა და კონკურენტუნარიანს ხდის. ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ხელს უწყობს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, რაც ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებას უწყობს ხელს.

ტრანზიტისა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება ხელს უწყობს რეგიონალურ თანამშრომლობას, რაც წევრ ქვეყნებს შორის უფრო მჭიდრო ეკონომიკურ კავშირს უზრუნველყოფს.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაში ინვესტიციები უნდა განიხილებოდეს, როგორც მნიშვნელოვანი კომპონენტი რეგიონში ეკონომიკური განვითარებისა, ვაჭრობისა და ინვესტიციების წახალისებისთვის. ეს პროექტები ხელს შეუწყობს ვაჭრობის მოცულობის ზრდას, ბაზრებზე წვდომას, ეკონომიკურ კონკურენტუნარიანობასა და რეგიონულ ეკონომიკურ ინტეგრაციას.

## დასკვნა

აღსანიშნავია, რომ ტრანზიტისა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა ECO-ის წევრ ქვეყნებს შორის ვაჭრობისა და ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ხელს უწყობს

ვაჭრობის ზრდას, ბაზრებზე წვდომის გაუმჯობესებას, კონკურენტუნარიანობის ზრდას და რეგიონალურ თანამშრომლობას.

მიუხედავად იმისა, რომ ეფექტიანი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების გზაზე მრავალი გამოწვევა არსებობს, მათ შორის მთავარი ინვესტიციებისა და ფინანსირების დეფიციტია, რეგიონში არსებობს მნიშვნელოვანი შესაძლებლობები თანამშრომლობის გაღრმავებისა და უკეთესი პოლიტიკის შემუშავებისთვის, რაც კავშირების და ინტეგრაციის გაუმჯობესებას უზრუნველყოფს.

ECO-ის წევრ ქვეყნებმა უნდა გააერთიანონ ძალისხმევა, შეიმუშაონ ფართომასშტაბიანი სატრანსპორტო პოლიტიკა და სტრატეგიები, გაზარდონ ინფრასტრუქტურაში ინვესტიციები და გაამარტივონ პოლიტიკები და რეგულაციები.

ამ ნაბიჯების მეშვეობით, ECO-ის წევრ ქვეყნებს შეეძლებათ უფრო ინტეგრირებული და დაკავშირებული რეგიონი შექმნან, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკური განვითარების, ვაჭრობისა და ინვესტიციების ზრდას. შესაბამისად, ტრანზიტისა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება უნდა გახდეს პრიორიტეტი ECO-ის წევრი ქვეყნებისათვის, რომლებიც ეკონომიკური ზრდისა და რეგიონალური ინტეგრაციის წახალისებას ისახავენ მიზნად.

ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებს შორის სატრანზიტო-სატრანსპორტო სფეროში თანამშრომლობის განვითარება წარმოადგენს კომპლექსურ პროცესს, რომელშიც საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყანას, განსაკუთრებული როლი აკისრია. ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა და არსებული ინფრასტრუქტურული პროექტები ქმნის მყარ საფუძველს იმისთვის, რომ საქართველო გახდეს კიდევ უფრო მნიშვნელოვანი მოთამაშე რეგიონულ სატრანსპორტო-ლოგისტიკურ სისტემაში.

### გამოყენებული ლიტერატურა


Trans-Caspian Transport Route Sees Double Growth of Traffic Volume in 2022. (2023, February 10). The Astana Times. https://astanatimes.com/2023/02/trans-caspiantransport-route-sees-double-growth-of-traffic-volume-in-2022/

Prokhorov, E. (2019). In six days from Asia to Europe. Kazpravda. https://kazpravda.kz/n/za-shest-dney-iz-azii-v-evropu/ (in Russin)

კვანჭილაშვილი, ე. (2023). „მალე გამოვაქვეყნებთ კვლევას შუა დერეფნის პოტენციალის შეფასებაზე“ - მსოფლიო ბანკი. ბიზნეს მედია. https://bm.ge/news/male-gamovaqvey-nebt-kvlevas-shua-derefnis-potentsialis-shefasebaze-msoflio-banki

ნარმანია, გ. (2016). აბრეშუმის გზის მოლოდინში. Forbs. https://forbes.ge/abreshumis-gzis-molodinshi/

ძამუკაშვილი, ს. (2022). არსებობს თუ არა ჩინეთთან თანამშრომლობის ალტერნატივა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის? Forbs. https://forbes.ge/arsebobs-thu-ara-chineththan-thanamshromlobis-alternativa-tsentraluri-da-aghmosavleth-evropis-qveqhnebisthvis/

კვლევა: პროპაგანდა ჩინეთს დასავლეთის საპირწონედ წარმოადგენს. Netgazeti. https://netgazeti.ge/news/712681/

პაპიაშვილი, დ. (n.d.). ჩინეთ-ევროკავშირის მეტოქეობა და სანქციების პოლიტიკა. ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტი. https://di.gov.ge/publications/analytical-collection/chineth-evrokavshiris-metoqeoba-da-sanqciebis-politika/

საქართველოს 2023-2030 წლების ტრანსპორტისა და ლოგისტიკის ეროვნული სტრატეგია. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

EGIS International. (2017). Development of the Georgian National Logistics Strategy for 2017-2026 and Action Plan for 2017-2020 under East-West Highway Corridor Improvement Project.

# Development of cooperation in the transittransport domain among member states of the economic cooperation organization

**Nona Kukhianidze**
Akaki Tsereteli State University of Kutaisi
Nona.kukhianidze@atsu.edu.ge

**Abstract.** This article delves into the critical role of transit and transport infrastructure in international trade, underlining its significance for economic growth and regional integration. The impact of transit and transport on trade and economic relations is multi-faceted, enhancing market access, logistical efficiency, and regional cooperation, consequently fostering economic development, job creation, and improved living standards. Despite recognizing the importance of transit and transport infrastructure, challenges persist, especially in developing regions. The article investigates the obstacles faced by member states of the Economic Cooperation Organization (ECO), focusing on Georgian as a pivotal player in the realm of transport and transit infrastructure. The study explores potential pathways for enhanced collaboration among ECO member countries, spanning investment in infrastructure, harmonization of regulations, regional transport corridors, multimodal transportation, and public-private partnerships. Thus, investing in transport infrastructure emerges as a fundamental component for promoting economic development and integration among ECO member states. While challenges such as limited funding persist, there exists a wealth of prospects for cooperative efforts to overcome these hurdles and enhance connectivity within the region. This article underscores the urgency of prioritizing transit and transport infrastructure to advance economic growth and integration in the ECO region.

**Keywords:** ECO, transport and transit, infrastructure, economic development

# ინფორმაციული ნაკადების გავლენა ადამიანთა გადაადგილებაზე - ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში

**ნინო შოშიტაშვილი**[1]
**ელისო ჩაფიძე**[2*]
**თამარ თავხელიძე**[3]
**თინათინ ჟორჟოლიანი**[4]
**ანნა დიბალა**[5]
**ლიზი ძიმისტარიშვილი**[6]
[1, 2, 3, 6] გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
[4] დავით აღმაშენებლის სახ. საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
[5] იან კოხანოვსკის სახელობის უნივერსიტეტი
***პასუხისმგებელი ავტორი:** eliso.chapidze@gruni.edu.ge

**რეზიუმე.** ტურიზმი მნიშვნელოვან როლს ასრულებს საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში და გლობალური ეკონომიკური განვითარების განუყოფელი ნაწილია. საქართველო, თავისი მდიდარი კულტურული მემკვიდრეობით, უნიკალური ბუნებითა და ისტორიული მნიშვნელობით, გამორჩეული ტურისტული ადგილია. საბჭოთა ეპოქაში ქვეყანას უკვე ჰქონდა მასობრივი ტურიზმის, სამკურნალო - გამაჯანსაღებელი კურორტებისა და სხვა სახის დასასვენებელი ობიექტების ფართო ქსელი. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ჩვენი ქვეყანა კიდევ უფრო მზარდი ტურისტული ადგილი გახდა. XXI საუკუნეში, როდესაც სამყარო ციფრული მედიის საშუალებით უფრო მეტად ურთიერთდაკავშირებული გახდა, მედიაკომუნიკაციის ფენომენთა გავლენამ ტურიზმის ინდუსტრიაზე უპრეცედენტო სიმაღლეებს მიაღწია. ციფრულ ლანდშაფტში სწრაფად გავრცელებული ინფორმაცია კრიტიკულად მნიშვნელოვანია აღქმის ფორმირებისა და ტურისტების მოსაზიდად. პოზიტიური ინფორმაციის ნაკადებს შეუძლიათ გააძლიერონ საქართველოს, როგორც ტურისტული და ამასთან, კულტურულად მდიდარი ქვეყნის, იმიჯი. პირიქით, ნეგატიურმა ინფორმაციამ კი შეიძლება შეაფერხოს პოტენციური ტურისტები. მედიაკომუნიკაციის კვლევა საქართველოში ძირითადად პოლიტიკურ ან სოციალურ მოვლენებზე იყო ორიენტირებული და ტურიზმის სექტორში საინფორმაციო (PR) კამპანიები არასდროს ყოფილა სპეციალური კვლევის და შესაბამისად, ანალიზისა და შეფასების საგანი. ამ კვლევაში შესწავლილია საქართველოს ტურიზმის სექტორის მიერ 2019-2023 წლებში ჩატარებული PR კამპანიები და მათი გავლენა ტურისტების ნაკადზე, ხაზგასმულია ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ პოლონელი ტურისტების მიერ საქართველოს აღქმაზე. შერეული მეთოდების გამოყენებით (თხრობითი და რაოდენობრივი კონტენტ ანალიზი, შედარებითი ანალიზი, შემთხვევის შესწავლა), კვლევაში შესწავლილია ტურისტების ნაკადები საანგარიშო პერიოდში, PR მასალები, სტატიები, ბლოგები, პოსტები და სხვა სოციალური მედიის კონტენტი საქართველოს შესახებ. დასკვნები მიუთითებს, რომ სტრატეგიული მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის კუთხით განხორციელებულმა ძალისხმევამ, განსაკუთრებით ციფრული მედიის მეშვეობით, მნიშვნელოვნად გაზარდა საქართველოს, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის, ცნობადობა და მიმზიდველობა, რამაც ხელი შეუწყო ტურიზმის შემოსავლებისა და საერთაშორისო ვიზიტორების მნიშვნელოვან ზრდას. კვლევა ხაზს უსვამს მედია კამპანიების მნიშვნელოვან წვლილს

საქართველოს დადებითი იმიჯის შექმნაში. COVID-19 პანდემიის გამოწვევების შემდეგ განხორციელებულმა ინტენსიურმა მარკეტინგულმა და საზოგადოებასთან ურთიერთობის კამპანიებმა გამოიწვია საერთაშორისო ტურისტების რაოდენობისა და ტურიზმის შემოსავლების შესამჩნევი ზრდა, რასაც ადასტურებს ეკონომიკური ინდიკატორების ანალიზი, რაც ხაზს უსვამს სექტორის მდგრადობას და მის კრიტიკულ როლს ეროვნულ ეკონომიკაში. კვლევა სრულდება რეკომენდაციებით, რომლებიც ეხება საქართველოს, როგორც წამყვანი ტურისტული დანიშნულების ადგილის შესახებ, საინფორმაციო კამპანიის გაზრდას და შესაბამისად, ტურისტული ნაკადების მატებას. სტატიაში ხაზგასმულია ციფრული მარკეტინგის, მიზნობრივი მარკეტინგული კამპანიების განვითარებისა და ტურიზმის ინფრასტრუქტურასა და მომსახურებაში ინვესტიციების საჭიროება. ეს ინიციატივები გადამწყვეტია საქართველოს კონკურენტული უპირატესობის შესანარჩუნებლად გლობალური ტურიზმის ბაზარზე და მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად.

**საკვანძო სიტყვები:** ტურიზმი, ეკონომიკა, საქართველო, პიარი, მარკეტინგი, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, საერთაშორისო ცნობადობა, COVID-19, ციფრული პლატფორმა, პრეს ტურები

## შესავალი

ტურიზმი საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების შემადგენელი ნაწილი და მსოფლიო ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი ბერკეტია. მისი როლი და მნიშვნელობა განუწყვეტლივ იზრდება. 21-ე საუკუნეში, გლობალიზაციის ეპოქაში, ტურიზმი ჩამოყალიბდა, როგორც მსოფლიო კულტურისა და ეკონომიკის მდგრადი განვითარების დარგი და განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრა გლობალურ ეკონომიკურ სტრუქტურაში. საქართველოში ტურიზმი ყოველთვის პოპულარული იყო. საბჭოთა პერიოდში მასობრივი ტურიზმის, საკურორტო მკურნალობისა და დასვენების ობიექტების ფართო ქსელს წარმოადგენდა. ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ კი ტურისტული ინდუსტრია საქართველოში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და სწრაფად მზარდი სფეროა. აბრეშუმის გზის ქვეყანა, ევროპა აზიის გზაგასაყარი, თავისი უნიკალური ბუნებით, მდიდარი და უნიკალური კულტურით (მუსიკა, ცეკვა, ხელოვნება, ისტორია, რელიგია, საერთაშორისო და ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრე-ობის ძეგლების სიმრავლე, რომელთა შორის, სამი შესულია UNESCO-ს „მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში“, კარგი კლიმატური პირობები, 87 დაცული ტერიტორია, მათ შორის, 11 ეროვნული პარკი), მეღვინეობის უძველესი ტრადიციებითა და შესანიშნავი გასტრონომიით, ქართველი ხალხის მეგობრული განწყობითა და სტუმართმოყვარეობით, მიმზიდველია ვიზიტორების თვალში.

საერთაშორისო მოგზაურობას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში. მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭოს (WTTC) მონაცემებით, 2021 წელს ამ დარგის პირდაპირმა კონტრიბუციამ მსოფლიოს მთლიან მშპ-ში 5.8 ტრილიონი აშშ დოლარი შეადგინა (+21.7%) და ხელი შეუწყო 289 მილიონი სამუშაო ადგილის შექმნას. მისი პირდაპირი და გვერდითი ეფექტების მხედველობაში მიღების შემდეგ, აღნიშნული სექტორის წვლილი მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში შემდეგია: მსოფლიოს მშპ-ს 6.1%, ერთი ადგილი ყოველი 11 სამუშაო ადგილიდან ტურიზმის როლი მნიშვნელოვანია

საქართველოს ეკონომიკაში. სტატისტიკური მონაცემებით, 2019 წელს ტურიზმიდან შემოსავლებმა 3.3 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა (საქართველოს ტურიზმის სტრატეგია, 2025). მთლიანი შიდა პროდუქტის წილმა კი 8.1%-ს მიაღწია. თუმცა კოვიდ-19-თან დაკავშირებით ეს მონაცემები მკვეთრად დავარდა. ამ ეტაპისთვის ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 1,9 მილიარდი დოლარია, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტში შეტანილი პირდაპირი წილი 7,2%-ს აგენერირებს, უახლოეს მომავლისთვის მისი ზრდა 7.9%-მდე ივარაუდება.

ვიზიტორების მოზიდვა მაღალგადახდისუნარიანი ბაზრებიდან საქართველოს ტურიზმის სტრატეგიის მნიშვნელოვანი ამოცანაა, რომლის გადაწყვეტა შესაძლებელია ეფექტური მარკეტინგისა და საინფორმაციო (PR) კამპანიების საშუალებით. ინფორმაციულ საზოგადოებაში ინფორმაციისადმი ადამიანის სოციალურ ინტერესს ღრმა პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს და გულისხმობს საზოგადოებრივ კონტექსტს, რომელშიც ინფორმაციის გენერირება, დამუშავება და გადაცემა მწარმოებლურობის ძირითადი წყარო ხდება (Castells, 2004).

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (Citation, 2018) მიხედვით, ინტერნეტის მომხმარებელთა 93% მოგზაურობის მიზნით ეძებს ტურიზმთან დაკავშირებულ ინფორმაციას. ტურისტები იყენებენ მულტიპლატფორმული მედიის საიტებს მოგზაურობის ინფორმაციის საძიებლად. შესაბამისად, ინფორმაციის ეს ძიება გავლენას ახდენს ტურისტების გადაწყვეტილებაზე, დაგეგმონ, განახორციელონ და შეაფასონ მოგზაურობა. თანამედროვე ტურიზმში ინტერნეტი განვითარებადი ქვეყნებისთვის, სტრატეგიულად მნიშვნელოვანია, რადგან ის ხელს უწყობს კონკურენტული სივრცის ფორმირებას და ტურისტული ბაზრის განვითარებას. მსოფლიოს მსგავსად, საქართველო მიჰყვება ახალ ტენდენციებსა და მედიის საინფორმაციო ნაკადებს ძირითადად ციფრულ ფორმატში ავრცელებს. ამ ლანდშაფტში სწრაფად გავრცელებული ინფორმაცია გადამწყვეტია აღქმის ჩამოყალიბებასა და ტურისტების მოზიდვის თვალსაზრისით. პოზიტიურმა საინფორმაციო ნაკადებმა შეიძლება გააძლიეროს საქართველოს, როგორც ტურისტული და კულტურულად მდიდარი ქვეყნის იმიჯი, და პირიქით, - ნეგატიურმა ინფორმაციებმა შეიძლება შეაფერხოს პოტენციური ტურისტები. აქედან გამომდინარეობს კვლევის ინტერესიც, რა გავლენას ახდენს მედიის საინფორმაციო ნაკადები ტურისტების აღქმაზე საქართველოს, როგორც ტურისტული ადგილის შესახებ; როგორ აყალიბებს PR-კამპანიები საქართველოს იმიჯს მსოფლიო ტურისტულ ბაზარზე, რა არის ის ძირითადი ფაქტორები, რომელიც განსაზღვრავს PR კამპანიების წარმატებას საქართველოში ტურისტების მოზიდვის თვალსაზრისით. ვინაიდან საქართველოში ტურიზმის განვითარების პოლიტიკას წარმართავს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, ამიტომ კვლევის მიზანს წარმოადგენდა ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ 2019-2023 წლებში განხორციელებული საინფორმაციო PR კამპანიების ეფექტურობის დადგენა, ასევე, იმ ძირითადი ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც ხელს უწყობს მედიასაინფორმაციო ნაკადების და პიარ კამპანიების წარმატებას საქართველოში ტურისტების მოზიდვის თვალსაზრისით.

კვლევამ გამოიყენა შერეული მეთოდები: ნარატიული და რაოდენობრივი კონტენტ ანალიზი, შედარებითი ანალიზი, case stady. 2019-2023 წ.წ. საქართველოს შესახებ გამოქვეყნებული მედია სტატიების, ბლოგების, პოსტების, სოციალური მედიის სხვა კონტენტისა და PR მასალების ნიმუშის შერჩევა დაეფუძნა შესაბამისობას, მისაწვდომობას და გავლენას. კონტენტ-ანალიზის საფუძველზე დამუშავდა საანგარიშო პერიოდში საქართველოს შესახებ გავრცელებული მედია შინაარსები (მედია წყაროები, დისკურსი, გზავნილები, თემები და ა.შ.). case stady-ის მეთოდის გამოყენებით გაანალიზდა განხორციელებული PR ღონისძიებები (მათ შორის ტურები, ვიზიტები, გამოფენები) როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო პლატფორმებიდან; საინფორმაციო PR კამპანიების შეფასების ნაწილში, პირდაპირ ინდიკატორად განსაზღვრული იქნა ტურიზმის სფეროს შემოსავლები და ვიზიტორთა სტატისტიკა. შესაბამისად, შედარებითი ანალიზის საფუძველზე გაანალიზდა ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები. მედიაში გავრცელებული საინფორმაციო PR კამპანიების ეფექტურობის გაზომვასთან ერთად პოლონეთის მაგალითზე შესწავლილი იქნა ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც ევროპელი ტურისტის საქართველოში მოგზაურობის გადაწყვეტილებაზე ახდენს ზეგავლენას. კვლევის ამ ნაწილის ფარგლებში შეფასდა როგორც ტრადიციულ, ისე სოციალურ მედიაში გამოქვეყნებული მასალები, მოგზაურთა გამოხმაურებები, უკუკავშირები. პოლონეთი შეირჩა ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ განსაზღვრული სტრატეგიული მნიშვნელობის გათვალისწინებით - პოლონეთი და გერმანია მომავალი წლების მთავარი სამიზნე ჯგუფია საქართველოსთვის.

## ძირითადი ნაწილი

**საქართველო მსოფლიო მულტიპლატფორმულ არხებზე.** ტურიზის ეროვნულმა ადმინის-ტრაციამ 2019-2023 წლებში მიზნობრივ ბაზრებზე მარკეტინგული კამპანიები განახორციე-ლა 3 კრიტერიუმის გათვალისწინებით: ა) პირდაპირი საჰაერო წვდომა; ბ) ქვეყნების ინტერესის შეფასება და გ) ქვეყნების მხარჯველუნარიანობა. ამასთან, კამპანიები მრავალფეროვანი იყო და მოიცავდა: ა) ციფრულ და სამაუწყებლო მედიებში რეკლამებსა და გადაცემებში მონაწილეობას; ბ) პრეს და ინფო ტურების წარმოებას - ჟურნალისტების, ბლოგერების, ინფლუენსერებისა და ტუროპერატორების ჩამოსვლას ქვეყანაში; გ) საერთა-შორისო გამოფენებში მონაწილეობას, მაგალითად ITB Berlin, ლონდონის, მადრიდის, ნიუ-იორკის, პარიზის, ინდოეთის გამოფენები, სადაც ერთობლივად იყო წარმოდგენილი ტურიზმის სახელმწიფო და კერძო სექტორი.

წარმოებულ საინფორმაციო კამპანიებში აღსანიშნავია ციფრული პროექტი www.Georgia.travel, სადაც მნიშვნელოვანი სანახაობებისა და ტურისტული პროდუქტების შესახებ ატვირთულია 3200-მდე სტატია ინგლისურ ენაზე. პორტალზე ვიზიტორს შეუძლია თავად დაგეგმოს სასურველი მარშრუტი და მოგზაურობა რკინიგზით, ავტობუსით, სამარშრუტო ტაქსით და სხვა ტრანსპორტით. ამასთან, ვებგვერდი სრულადაა ადაპტირე-ბული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის.

საქართველოში საერთაშორისო ვიზიტების გასაზრდელად ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის სტრატეგიულ ამოცანას წარმოადგენს საქართველოს შესახებ ცნობადობის ამაღლება. 2019 წელს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ მონაწილეობა მიიღო 30 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში, ჩაატარა 131 პრეს და ინფო ტური, (574 ჟურნალისტი, ბლოგერი, გადამღები ჯგუფი და 257 ტურ-ოპერატორი). პრეს ტურების შედეგად მომზადდა 300-მდე სტატია, პოსტი, ბლოგი; 15-მდე სატელევიზო გადაცემა და სიუჟეტი; გაიმართა საქართველოს, როგორც ტურისტულად მიმზიდველი ქვეყნის, პრეზენ-ტაცია რამდენიმე ქვეყანაში: იაპონია, უზბეკეთი, ჩეხეთი, ისრაელი, ესპანეთი, კორეა.

2020-2021 წლებში საქართველოში ტურისტების რაოდენობა პანდემიის გამო, ისევე როგორც მთლიანად მსოფლიოში, უპრეცენდენტოდ შემცირდა. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მონაცემებით, მსოფლიოში საერთაშორისო ტურისტული შემოსავლების რაოდენობა ერთი მილიარდით შემცირდა და -74%-იანი კლებით 1990 წელს დაფიქსირე-ბულ რაოდენობას გაუტოლდა.

2022 წელს საქართველოში ჩატარდა 54 პრეს ტური (მონაწილეობდა 482 პირი - სატელევიზიო არხის გადამღები ჯგუფი, ჟურნალისტი, ბლოგერი, ინფლუენსერი, ფოტო-გრაფი), ასევე 8 ინფო ტური (მონაწილე - 58). მათ შორის საინტერესოდ გამოიკვეთა კანადელი ფოტოგრაფების სხვადასხვა ტურისტულ ადგილებში მოგზაურობა. მათ ფოტო ნამუშევრებს, უშგულის, გუდაურის, თბილისისა და სხვა ტურისტულად მიმზიდველი ადგილების შესახებ, ტორონტოს საერთაშორისო აეროპორტში მგზავრები 2 თვის განმავლობაში ეცნობოდნენ. ამავე წელს საქართველოს ტურისტული პოტენციალის შესახებ მომზადებული საიმიჯო ვიდეორგოლი ევროპის რეგიონის საუკეთესო კლიპად აღიარეს. გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის ნომინაციაში „Tourism and the Decade of Action" გამარჯვებული ვიდეორგოლი „სტუმარი" გახდა (Georgia Travel, 2023). გამარჯვებული ტურისტული მიმართულებები მედიის სფეროში პროფესიონალებით დაკომპლექტებულმა ჟიურიმ გამოავლინა. ამ წლის პროექტებში გამოიკვეთა კამპანიის ფარგლებში Bloomberg-ზე საქართველოს შესახებ გამოქვეყნებული სტატიები, ასევე ციფრული მარკეტინგის საშუალებით ვიდეორგოლების გავრცელება სოციალურ მედიებში: Facebook, Twitter, Instagram, Youtube, TikTok.

დაგეგმილი და განხორციელებული PR კამპანიების კუთხით გაცილებით აქტიურად გამოიკვეთა 2023 წელი. ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ მარკეტინგული კამპანიები გამართა უმსხვილეს საერთაშორისო პლატფორმებზე - Bloomberg, Expedia, Skyscanner, Willy Scharnow Foundation for Tourism. საქართველოს ტურისტულ პროდუქტებს გაეცნენ ლონდონის, ვარშავის, პარიზის, ჰელსინკის, მილანის, დუბაის, რიგის, თელ-ავივის, მადრიდისა და ბერლინის გამოფენაზე. კამპანიები მოიცავდა სოციალურ ქსელებს Facebook, Twitter, Instagram, TikTok, Youtube. განხორციელებულმა PR კამპანიებმა მოიცვა 67 საინფორმაციო და 13 გაცნობითი ტური შემდეგი ქვეყნიდან: ბალტიისპირეთი, აშშ, სლოვენია, გერმანია, ავსტრია, სამხრეთ კორეა, უნგრეთი, ჩეხეთი, აზერბაიჯანი, იტალია, საბერძნეთი, საფრანგეთი, ესპანეთი, დიდი ბრიტანეთი, კატარი, უზბეკეთი, გაერთიანებუ-ლი საამიროები, შვედეთი, ისრაელი, ირანი, ინდოეთი, კანადა, ბელგია, ბულგარეთი, საუდის არაბეთი, სომხეთი, ყაზახეთი. ტურებში მონაწილეობა მიიღო 254 ადამიანმა

(სატელევიზიო არხის გადამღები ჯგუფი, ჟურნალისტი, ბლოგერი, ინფლუენსერი, ფოტოგრაფი). ქვეყნის ტურისტული პოტენციალის შესახებ სტატიები, ბლოგები, სიუჟეტები და ვიდეორგოლები ისეთმა გავლენიანმა მედიასაშუალებებმა მოამზადეს როგორიცაა: The Guardian, Forbes, The Financial Times, Elle, The Times, Marie-Claire, National Geographic, Saveur, Vogue, The Sunday Times, „The Telegraph", „GQ", „Die Presse", „Snow", „Backcountry Magazine", The Huffington Post, Le Figaro, Sueddeutsche Zeitung და სხვა. აღნიშნული კამპანიების ფარგლებში დაიბეჭდა 23 სტატია, სიუჟეტები გაშუქდა 9 გადაცემაში და სოციალური ქსელების საშუალებით გავრცელდა ასამდე პოსტი, სთორი. განხორციელებულ აქტივობებს შორის გამოიკვეთა საერთაშორისო გამოფენაზე „TT Warsaw 2023" საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ტურისტული შესაძლებლობების გაცნობა, 50 ქვეყნის 247 ტურისტული კომპანიამ მიიღო ინფორმაცია აჭარის, იმერეთის, სამეგრელოსა და სვანეთის ტურისტული პროდუქტების შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ 2023 წელს თბილისი CNN-ის საშობაო სამოგზაურო ქალაქების სიაში პირველად მოხვდა. ის აღმოჩნდა ავსტრიულ, გერმანულ, პოლონურ, ნორვეგიულ, ბელგიურ, ფრანგულ, ჰოლანდიურ ქალაქებს შორის. თბილისი ასევე მოხვდა გავლენიანი სამოგზაურო გამოცემის „Conde Nast Traveler", ვრცელ სტატიაში, რომლის კონტენტი მოიცავდა ლონდონში, ბერლინში, ბერნში, ედინბურგში, ბრიუგეში, კოპენჰაგენში, დუბაიში, ჰონგ-კონგში, ნიუ-იორკში, მონრეალსა და მსოფლიოს სხვა პოპულარულ ქალაქებში მიმდინარე საშობაო სამზადისის აღწერას.

უნდა აღინიშნოს პირველი ციფრული კონფერენცია TRAVERSE საქართველოში. ღონისძიების ფარგლებში ქვეყანას 180-მდე ინფლუენსერი ეწვია დიდი ბრიტანეთიდან, აშშ-დან, გერმანიიდან, პოლონეთიდან, ესპანეთიდან, საფრანგეთიდან და სხვა ქვეყნებიდან. ციფრული TRAVERSE-ის ფარგლებში ინფლუენსერებმა თბილისში, მესტიაში, გუდაურში იმოგზაურეს, გაეცნენ კურორტებს, ტურისტულ პროდუქტებს, ქართულ სამზარეულოსა და ღვინოებს. რა თქმა უნდა აღნიშნული კამპანია მნიშვნელოვანი იყო საქართველოს პოპულარიზაციისთვის.

მედიაგზავნილების კონტენტის შესწავლით გამოიკვეთა, რომ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ წარმოებული საინფორმაციო კამპანიები მნიშვნელოვნად უწყობენ ხელს საქართველოს დადებითი იმიჯის წარმოჩენას. ხშირად მათი შინაარსები მოიცავს ტურიზმის სფეროში ქვეყნის უნიკალურ შესაძლებლობებს, ევროპული და აზიური სუბკულტურების კოლორიტულ შერწყმას, ხაზს უსვამს ჩვენს უნიკალურ კულტურულ სიმდიდრეს, ბუნების სილამაზეს და ისტორიულ მნიშვნელობას, სტუმართმასპინძლობის ძველთაძველ ინსტიტუტს, ასევე შესანიშნავ გასტრონომიას.

**ტურიზმის ადგილობრივი ტენდენცია** - ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული PR კამპანაიების შეფასების ნაწილში, პირდაპირი ინდიკატორია შემოსავლები და სტატისტიკა. კონკრეტული ქვეყნის ტურისტული სექტორის განვითარების შესაბამისი მაჩვენებელია საერთაშორისო ტურისტების რაოდენობა. 2019 წელს საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების რაოდენობა იყო 9 357 964. 2022 წელს დაიკლო და შეადგინა 5 426 903, ხოლო 2023 წელს საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების რაოდენობა არის 7

072 220, რაც წინა წლის მონაცემებთან შედარებით პოზიტიურად არის გაზრდილი (+30,3%). იხ. ცხრილი 1. თუმცა 2023 წლის შემოსავლებმა 2019 წლის შემოსავლებს გადააჭარბა.

ცხრილი 1.

| | 2019 | 2022 | 2023 | ცვლილება 2019/2023 | ცვლილება 2022/2023 | ცვლილება 2019/2023 % | ცვლილება 2022/2023 % |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები | 9 357 964 | 5.426 903 | 7.072 220 | -2 285 744 | 1 645 317 | -24,4% | 30,3% |
| სხვა ვიზიტები (არატურისტული) | 1 632 190 | 722 958 | 900 680 | -731 510 | 177 722 | -44,8% | 24,6% |
| საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტები | 7 725 774 | 4 703 945 | 6 171 540 | -1 554 234 | 1 467 595 | -20,1% | 31,2% |

წყარო: დამუშავებულია ავტორების მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით.

საქართველოში საერთაშორისო ტურისტების რაოდენობა 2013 წლიდან 2023 წლის ჩათვლით მოცემულია დიაგრამა 1.

დიაგრამა 1.

**საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტები 2013-2023 წწ.**




წყარო: დამუშავებულია ავტორების მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით.

ცხრილი 2.

**საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტები ტოპ 15 ქვეყნიდან**

| ქვეყანა | 2019 | 2022 | 2023 | ცვლილება 2019/2023 | ცვლილება 2022/2023 | ცვლილება 2019/2023 % | ცვლილება 2022/2023 % |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| თურქეთი | 1 156 513 | 925 561 | 1 396 660 | 240 147 | 471 099 | 20,8% | 50,9% |
| რუსეთი | 1 471 558 | 1 087 257 | 1 418 464 | -53 094 | 331 207 | -3,6% | 30,5% |
| სომხეთი | 1 365 048 | 742 593 | 962 540 | -402 508 | 219 947 | -29,5% | 29,6% |
| ისრაელი | 205 051 | 210 178 | 217 065 | 12 014 | 6 887 | 5,9% | 3,3% |
| აზერბაიჯანი | 1 526 619 | 152 969 | 199 835 | -1 326 784 | 46 866 | -86,9% | 30,6% |
| ყაზახეთი | 103 611 | 120 494 | 167 492 | 63 881 | 46 998 | 61,7% | 39,0% |
| უკრაინა | 207 667 | 168 915 | 146 931 | -60 736 | -21 984 | -29,2% | -13,0% |
| ირანი | 141 997 | 102 877 | 126 282 | -15 715 | 23 405 | -11,1% | 22,8% |
| ბელარუსი | 66 174 | 130 046 | 130 203 | 64 029 | 157 | 96,8% | 0,1% |
| პოლონეთი | 88 300 | 41 917 | 91 210 | 2 910 | 49 293 | 3,3% | 117,6% |
| ინდოეთი | 54 606 | 52 841 | 84 688 | 30 082 | 31 847 | 55,1% | 60,3% |
| გერმანია | 89 051 | 48 548 | 68 824 | -20 227 | 20 276 | -22,7% | 41,8% |
| უზბეკეთი | 16 785 | 47 953 | 52 088 | 35 303 | 4 135 | 210,3% | 8,6% |
| აშშ | 46 558 | 35 319 | 43 654 | -2 904 | 8 335 | -6,2% | 23,6% |
| საუდის არაბეთი | 75 155 | 119 921 | 74 318 | -837 | -45 603 | -1,1% | -38,0% |

წყარო: დამუშავებულია ავტორების მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით.

2023 წ. ყველაზე მეტი საერთაშორისო ვიზიტი წლის განმავლობაში მესამე კვარტალში დაფიქსირდა 2 706 873. ამ პერიოდში ვიზიტების რაოდენობამ 2022 წელს დაფიქსირებული მთლიანი საერთაშორისო ვიზიტების ცვლილებამ +19,4% შეადგინა. ყველაზე ნაკლები ვიზიტით კი პირველი კვარტალი გამოირჩეოდა 1 203 462. დიაგრამა 3 ასახავს 2023 წელს საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებულ ვიზიტებს ტოპ 15 ქვეყნიდან.

დიაგრამა 2.

**2023 წელს საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტები**




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

დიაგრამა 3.

**საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტები ტოპ 15 ქვეყნიდან**




წყარო: დამუშავებულია ავტორების მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით.

2022 წლის სტატისტიკური ანგარიშის თანახმად საქართველოში შემოსავალმა უცხოელების მოგზაურობიდან საქართველოში 1.24 მილიარდი დოლარი (ზრდა +129.8%, აღდგენა 2019 წლის მაჩვენებელთან 38.1%) და მთლიანმა დამატებულმა ღირებულებამ 3.38 მილიარდი ლარი შეადგინა, გაზრდილი მოთხოვნის გამო (ზრდა +32.3%) (უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკა, 2022).

დიაგრამა 4.

**შემოსავლები უცხოელების მოგზაურობიდან საქართველოში**



საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკის შედეგად ვხედავთ, 2023 წელს განხორციელდა 7,72 მილიონი საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტი, რომელთაგან 4,669 მლნ საერთაშორისო ტურისტების ვიზიტებია (აღდგენა 91%, 2019 წელთან შედარებით). ტურისტულ ნაკადებში კი ზრდა 2022 წელთან შედარებით 27%. 2023 წელს ტურიზმიდან შემოსავლებმა 4.1 მლრდ აშშ დოლარს მიაღწია (2019 წლის მონაცემის 26%-ით ზრდა). 2022-2023 წლის ტოპ ქვეყნებში შეიმჩნევა ისეთი ქვეყნების ზრდა, სადაც სხვადასხვა მარკეტინგული აქტივობა განხორციელდა, ასეთებია: პოლონეთი, გერმანია, ინდოეთი, საუდის არაბეთი, ყაზახეთი, ისრაელი, ჩინეთი. Master Card-ის მონაცემების თანახმად, ყველაზე მოთხოვნადი პროდუქტი იყო ადგილობრივი სამზარეულო და ღვინო, კულტურა და სათავგადასავლო აქტივობები, რაც ჩატარებული ღონისძიებების პირდაპირი ეფექტია. უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა ღამისთევების რაოდენობაც 5,4 ღამე (2019 წელს 31%-ით ზრდა).

## რა ფაქტორები მოქმედებს პოლონეთში საქართველოს ტურისტული დანიშნულების ადგილად აღქმაზე?

ვინაიდან პოლონეთი, როგორც ევროპიდან ტურისტების მოზიდვის ერთ-ერთი შესანიშნავი პლაცდარმი, საქართველოს მარკეტინგული სტრატეგიის ერთ-ერთი სამიზნეა, ჩვენ ვთხოვეთ ჩვენს პარტნიორს, კიელცეს კოხანოვსკის სახელობის უნივერსიტეტის დოქტორს, ქალბატონ ანა დუბალას, თავისი პოზიციიდან მოეთხრო პოლონური საინფორმაციო წყაროებისთვის საქართველოს, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის შესახებ.

პოლონეთში საქართველოს, როგორც ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე მდებარე ქვეყნის აღქმას, ძირითადად მედია აყალიბებს. ესაა როგორც ტრადიციული მედია - რადიო და ტელევიზია, ასევე, უპირველეს ყოვლისა ელექტრონული მედია. თუმცა, ასევე არსებობს წიგნებიც - რეპორტაჟები საქართველოს შესახებ - „გაუმარჯოს! ზღაპრები საქართველოდან“ - ა. ძიევიტ-მელერი და მ. მელერი (Dziewit-Meller& Meller, 2018), საქართველო. „როგორც ჩანს, პოლიცია ღვინის კრაუში, აბსურდული დღეები და დროგოვიჩები“ - მ. კაჩმარჟიკი (Kaczmarzyk, 2021). საქართველოს აღწერენ ის პოლონელები, ვინც მას მრავალჯერ ესტუმრა. მრავალი ისტორია იწერება ამ თვალწარმტაც და მომხიბვლელ ქვეყანაში მოგზაურობის შესახებ. ყველაზე ხშირად ისინი ინტერნეტში ქვეყნდება მოგზაურობის ბლოგებისა და ვებსაიტების სახით, რაც პოტენციური ტურისტებისთვის საქართველოს შესახებ ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს. ვირტუალურ სივრცეში ისეთი პორტალები, როგორიცაა bartekwpodrozy.pl, paragonzpodrozy.pl/zblogowani.pl, blogipodróżnicze.pl, solisci.pl ან Globetrotters-ის ვებსაიტები, როგორიცაა: odysei.com, globtroter.pl, geoblog.pl და tubyliśmy.pl, არა მხოლოდ მოგზაურობის აღწერილობებს გვთავაზობენ, არამედ მდიდარი, მომხიბვლელი ფოტოდოკუმენტაციით ამდიდრებენ საქართველოს შესახებ მონათხრობს. მოგზაურობის თემატიკის პოსტები შეგიძლიათ იხილოთ სოციალურ მედიაში (Facebook, Instagram). მედიის ცნობილი სახეების ინტერესი საქართველოს მიმართ ასევე ხელს უწყობს

მისი, როგორც დასასვენებელი ადგილის, არჩევას. შესაბამისად, საქართველო ყოველწლი-ურად სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება პოლონელებში მოგზაურობისა და დასვენებისთვის.

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მონაცემებით, პაკეტური ტურების შესახებ, 2010 წელს პოლონელების წილი საქართველოში ჩამოსული ტურისტების 2 პროცენტს (5000 ადამიანს) და 2021 წელს საქართველოში ჩამოსული ყველა ტურისტის 3 პროცენტს (44000) შეადგენდა. ეს პოლონელებს, ეროვნების მიხედვით, ტურისტების რაოდენობის მიხედვით მეათე ადგილზე აყენებს. მონაცემები აჩვენებს, რომ პოლონელი ტურისტების რაოდენობა საქართველოში ბოლო ათწლეულის განმავლობაში თითქმის ცხრაჯერ გაიზარდა. მედიის მიერ ჩამოყალიბებული საქართველოს იმიჯი პოლონეთში დინამიურად მზარდ ინტერესს იწვევს. პოლონური საზოგადოების აღქმით, საქართველო მრავალმხრივი მიმზიდველობით ხასიათდება, რის გამოც ბევრი ტურისტი, განსხვავებული ინტერესებითა და მოლოდინე-ბით, დარწმუნებულია, რომ საკუთარი თავისთვის რაღაცას იპოვის. საქართველოს მრავალი სახე აქვს, ამიტომ ისინი, ვინც ხელუხლებელ ბუნებასთან სიახლოვეს ეძებს, მას კავკასიის მთებში იპოვიან. ისტორიით მოხიბლულნი, რომელიც ძვ.წ. II ათასწლეულით თარიღდება და მისი ძეგლებით, როგორიცაა შუა საუკუნეების მუზეუმი ქალაქი მცხეთა, ასევე უამრავ შთაბეჭდილებას მიიღებენ. ეგზოტიკური დასვენების მაძიებლებს შავი ზღვის სანაპიროზე, აჭარაში, სუბტროპიკული კლიმატი და აყვავებული ხმელთაშუა ზღვის მცენარეები ელოდებათ. ბარში სასიამოვნო, ზომიერი ტემპერატურის გარანტიაა დეკემბერშიც კი, რაც პოლონეთში ჭირვეული ზამთრისგან თავის დაღწევის საშუალებას იძლევა. სამხრეთ ევროპაში დასვენების მოყვარულები აქ პოულობენ ადგილს, რომელიც საქართველოს საუკეთესო მხარეებს თურქეთის აღმოსავლურ სტილთან აერთიანებს.

პოლონელი ტურისტისთვის დასასვენებელი ადგილის არჩევის ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმი მისი ღირებულებაა. შესაბამისად, საქართველოსადმი ინტერესის დინამიური ზრდის ერთ-ერთი მიზეზი დაბალბიუჯეტიანი ავიაკომპანიების პირდაპირი რეისების დაწყებაა, რომლებიც ფართოდ არის რეკლამირებული სოციალურ მედიასა და გარე რეკლამაში. პოლონეთის ერთ-ერთი უდიდესი ურბანული რაიონიდან კატოვიცედან ქუთაისამდე ან ბათუმამდე და სხვა ადგილებამდე რეისების დაწყება ნიშნავს, რომ საქართველო, დაახლოებით 3.5 საათიანი ფრენით, საშუალო პოლონელისთვის ხელმისაწ-ვდომი ხდება.

საქართველოს პოპულარობას ასევე განსაზღვრავს სასტუმროს დაქირავების, ტრანსფერე-ბის, რესტორნების და სხვა ფასების შედარებით დაბალი ღირებულება. საქართველოში დასვენებასთან დაკავშირებული შედარებით დაბალი ხარჯების საკითხი ასევე წამოიჭრება საზოგადოებრივ სივრცეში და წარმოადგენს მნიშვნელოვან ელემენტს, რომელიც პოლონელ ტურისტებს იზიდავს.

პოლონელი ტურისტების ვიზიტები საქართველოში, ორგანიზებული ტურიზმის ფორმების გარდა, რომელთა მონაწილეები, როგორც წესი, ზრდასრული ადამიანები არიან, ახალგაზრდული ნაკადების სიჭარბით ხასიათდება. ხშირად სტუდენტები შეზღუდული ბიუჯეტით, მაგრამ სოციალურ ქსელებში მნიშვნელოვანი გავლენებით, აქ ირჩევენ

მოგზაურობას. ახალგაზრდების მოგზაურობები მოიცავს ზურგჩანთით ლაშქრობას, ავტოსტოპით ლაშქრობას, ველოსიპედით მოგზაურობას, მთის შესწავლასთან ერთად, აქტიური ტურიზმის ყველა ფორმას.

საჯარო დისკურსში ხშირად ხაზგასმულია საქართველოს საინვესტიციო მიმზიდველობა. მთავრობის ოფიციალურ ვებგვერდზე (gov.pl/) განთავსებულია საინფორმაციო სახელმძღვანელო პოლონელი პოტენციური ინვესტორებისთვის. პუბლიკაციები, რომლებიც მსოფლიო ბანკის „ბიზნესის წარმოების“ ანგარიშზეა დაყრდნობილი, მიუთითებს, რომ საქართველო მე-7 პოზიციაზეა ზემოხსენებულ რეიტინგში (პოლონეთი 190 ქვეყნიდან მე-40 ადგილზეა). ბიზნესის დაწყების სიმარტივის თვალსაზრისით, საქართველო მსოფლიოში მე-2 და მე-5 ადგილზეა უძრავი ქონების რეგისტრაციის მხრივ, რაც პოლონელ მეწარმეებს ახალისებს, ინვესტიციები ამ ქვეყანაში განათავსონ. ასეთი გარემო ხელს უწყობს ადგილობრივი ბიზნესის დაწყებას და წარმოებას. პოლონური ბიზნესის ინტერესი საქართველოს ბაზრის მიმართ, სხვა საკითხებთან ერთად, საინვესტიციო ფორუმებშიც აისახება. ამის მაგალითია პოლონეთ-საქართველოს საინვესტიციო ფორუმი „ინვესტირება საქართველოში“, რომელიც თელავში 2022 წლის 18-19 ოქტომბერს გაიმართა. ღონისძიება ორგანიზებული იყო პოლონეთის ფონდებისა და რეგიონული პოლიტიკის სამინისტროს (MFiPR) მიერ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და კახეთის რეგიონის თანამშრომლობით, პროექტის „საქართველოს რეგიონების კონკურენტუნარიანობის გაზრდა და მეწარმეობის განვითარება“ ფარგლებში.

შეჯამებისთვის, პოლონელებს საქართველოს ქვეყნის მონახულება სხვადასხვა მიზეზის გამო იზიდავთ, მათ შორის:

1. **კულტურული სიმდიდრე:** საქართველოს უძველესი ისტორია და კულტურა აქვს, რომელიც ათასობით წელს ითვლის. ვიზიტორებს იზიდავს მისი უნიკალური არქიტექტურა, ტრადიციული მუსიკა, სამოსი, ცეკვა და ხელოვნება.
2. **სტუმართმოყვარეობა:** ქართველები ცნობილები არიან სტუმართმოყვარეობითა და სტუმრების მიმართ მეგობრული დამოკიდებულებით. „სუფრას“ ანუ ტრადიციული ქართული სუფრის კონცეფცია ქართული კულტურის ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენს, სადაც სტუმრებს უდიდესი პატივისცემითა და კეთილშობილებით ეპყრობიან.
3. **ბუნებრივი სილამაზე:** საქართველოზე ფიქრისას შეუძლებელია, არ გაგახსენდეს მისი თვალწარმტაცი ბუნება, რომელიც ყველას აღაფრთოვანებს. საქართველო მრავალფეროვანი ლანდშაფტებით გამოირჩევა, მათ შორის განსაცვიფრებელი კავკასიონის მთებით, მწვანე ხეობებითა და შავი ზღვის სანაპირო ზოლით. ის გთავაზობთ ლაშქრობის, თხილამურებით სრიალისა და თვალწარმტაცი სოფლის შესწავლის შესაძლებლობებს. საქართველოში 12 ეროვნული პარკია, მაგრამ მთელი ქვეყანა შეიძლება ბუნებრივ მარგალიტად ჩაითვალოს. კავკასია იდეალური ადგილია როგორც დაბალ, ასევე მაღალ სიმაღლეებზე ლაშქრობის ან კლდეზე ასვლის მოყვარულთათვის.
4. **ღვინო და სამზარეულო:** საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ღვინის მწარმოებელი რეგიონია, რომლის მეღვინეობის ტრადიცია 8 000 წელზე მეტს ითვლის. ვიზიტორებს შეუძლიათ, დააგემოვნონ უნიკალური ქართული ღვინოები და გემრიელი

ადგილობრივი სამზარეულო, რომელიც მოიცავს ხაჭაპურს და ხინკალს. საქართველო საუკეთესო ღვინოების ქვეყანაა, როგორც ტკბილი, ასევე ოდნავ უფრო მშრალი. განსაკუთრებით აღსანიშნავია კახეთის რეგიონი, უძველესი და ულამაზესი ცენტრით - ქალაქ თელავით, სადაც ასევე შეგიძლიათ იხილოთ მსოფლიოს ისტორიაში უძველესი შემონახული ღვინის ნაშთები.

5. **ისტორიული ადგილები:** საქართველო მრავალი ისტორიული ადგილისა და ძეგლის, მათ შორის უძველესი ეკლესიების, ციხე-სიმაგრეებისა და გამოქვაბული ქალაქების სამშობლოდ ითვლება. ისეთი ცნობილი ღირსშესანიშნაობები, როგორიცაა მცხეთის შუა საუკუნეების ქალაქი და ვარძიის გამოქვაბულის მონასტერი, მთელი მსოფლიოდან იზიდავს ისტორიის მოყვარულებს.
6. **ხელმისაწვდომი ფასი:** ევროპის სხვა მრავალ ქალაქთან შედარებით, საქართველო შედარებით ხელმისაწვდომ მოგზაურობის ვარიანტებს გვთავაზობს, მათ შორის საცხოვრებელს, კვებას და ტრანსპორტირებას.
7. **სათავგადასავლო ტურიზმი:** საქართველო თავგადასავლების მოყვარულებს მრავალ შესაძლებლობას სთავაზობს, ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში ხელმისაწვდომია ისეთი აქტივობები, როგორიცაა ლაშქრობა, მთის ველოსიპედით სეირნობა, ჯომარდობა და პარაპლანით ფრენა.
8. **ეკონომიკური შესაძლებლობები** - Doing Business-ის მიხედვით, საქართველო მსოფლიოში მე-7 ადგილზეა. ასეთი მარეგულირებელი გარემო უფრო ხელსაყრელია ბიზნესის დასაწყებად და ფუნქციონირებისთვის. გარდა ამისა, ბიზნესის დაწყების სიმარტივის მხრივ ის მსოფლიოში მე-2 ადგილზეა, ხოლო ქონების რეგისტრაციის სიმარტივის მხრივ - მე-5 ადგილზე.

საქართველოს მრავალი სახე აქვს. სინამდვილეში, ვერც ერთი მოგზაურობა ვერ აღმოაჩენს თითოეულ მათგანს. საქართველო ყოველ ჯერზე განსხვავებული იქნება, სეზონის, რეგიონის და თუნდაც ჩვენს მიერ გამოყენებული ტრანსპორტის საშუალების მიხედვით. ინტერნეტში ნაპოვნი ერთ-ერთი აღწერილობა საქართველოს შემდეგნაირად ახასიათებს: „საქართველოს ღირსშესანიშნაობები სავსეა კონტრასტებით - თოვლით დაფარული მწვერვალები და ქვიშიანი პლაჟები, განვითარებული აგლომერაციები, რომლებიც სიცოცხლით ავსებენ და პატარა დასახლებები, სადაც დრო გაჩერდა. ეს არის ქვეყანა სტუმართმოყვარე, რომელსაც სხვაგან ვერსად ნახავთ“. ასეთი რეკომენდაციის შემდეგ, არაფერი რჩება გარდა იმისა, რომ მოძებნოთ პირველივე რეისი, რათა რაც შეიძლება მალე ჩახვიდეთ თბილისამდე და დაიწყოთ მომხიბვლელი მოგზაურობა ქვეყნის გარშემო კონტინენტებისა და კულტურების გზაჯვარედინზე. საერთო ჯამში, საქართველოს ტურიზმს დიდი პერსპექტივები აქვს. მასში დიდი და ჯერ კიდევ გამოუყენებელი პოტენციალია. როგორც ზემოთ აღინიშნა, პოლონელები აფასებენ ბუნებრივ, ისტორიულ და კულტურულ ღირებულებებს და ისინი სულ უფრო ხშირად ირჩევენ ამ ადგილს უცხოური მოგზაურობისთვის. საქართველო გთავაზობთ კულტურის, ისტორიის, ბუნებრივი სილამაზისა და სტუმართმოყვარეობის უნიკალურ ნაზავს, რაც მას მიმზიდველ ადგილად აქცევს მოგზაურებისთვის, რომლებიც ავთენტურ გამოცდილებას ეძებენ.

## დასკვნა

საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ 2022-2023 წლებში ეფექტურად გამოიყენა სტრატეგიული მარკეტინგული კამპანიები ქვეყნის, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის ასამაღლებლად. მათმა მრავალფეროვანმა და კარგად დაგეგმილმა მცდელობებმა არა მხოლოდ გაზარდა გლობალური ცნობიერება, არამედ შექმნა/გაამყარა ძლიერი საფუძველი მუდმივი ზრდისთვის, თუნდაც ისეთი გლობალური გამოწვევების ფონზე, როგორიცაა COVID-19 პანდემია. უწყვეტი ადაპტაციისა და პროაქტიული ღონისძიებების, განსაკუთრებით გავლენიანი მედიისა და ციფრული პლატ-ფორმების გამოყენებით, საქართველო ეფექტურად არის წარმოდგენილი საერთაშორისო ტურისტების რაოდენობის მდგრადი ზრდისთვის. აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქვეყანა 20 წლის წინათ საერთოდ არანაირ მარკეტინგულ/ საინფორმაციო კამპანიებს არ აწარმოებდა და დღეს საქართველოს ტურიზმის ინდუსტრია კონკურენციაშია მსოფლიოს ყველაზე ძლიერ და დიდი ტრადიციების მქონე ქვეყნებთან (საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, 2023).

საქართველომ სტრატეგიულად მიმართული მედიის საინფორმაციო ნაკადების გავრცელე-ბით მოახერხა ცნობადობის მნიშვნელოვნად ამაღლება. ძირითადი ინიციატივები, როგორიცაა ყოვლისმომცველი ვებპორტალების Georgia.travel-ისა და places.georgia. travel-ის შექმნა და ციფრული მარკეტინგის სხვა მიზნობრივი პროექტების განხორციელება განსაკუთრებით მნიშვნელოვანად გვესახება გრძელვადიანი პერსპექტივისთვის. ამ ინიციატივებმა, მასთან მედიის ფართო გაშუქებასთან და სოციალურ მედიაპლატფორ-მებზე ინტენსიური საინტერესო კონტენტის გაშუქებამ მნიშვნელოვნად გაზარდა საქართველოს ხილვადობა და მიმზიდველობა. სარეკლამო ვიდეორგოლების წარმოებამ გადამწყვეტი როლი ითამაშა იმაში, რომ საქართველო უფრო ხელმისაწვდომი და მიმზიდველი ყოფილიყო საერთაშორისო ტურისტებისთვის. მიუხედავად პანდემიის-დროინდელი წარუმატებლობისა, ადმინისტრაციის PR ძალისხმევამ გამოიწვია ტურისტული შემოდინებების ძლიერი ზრდა 2022 და 2023 წლებში.

პოლონეთშიც ისევე როგორც სხვა ქვეყნებში საქართველოს აღქმაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სხვადასხვა მედია, განსაკუთრებით ელექტრონული საშუალებები, რომლებიც აწვდიან უამრავ სამოგზაურო ინფორმაციას. მიუხედავად ამ თემაზე წიგნების ნაკლებობისა, მრავალი სამოგზაურო ბლოგი, სოციალური მედიის პოსტი და ონლაინ სამოგზაურო გზამკვლევი, რაც უზრუნველყოფს პოტენციური ტურისტებისთვის ინფორმაციის წყაროს საქართველოს უნიკალური შესაძლებლობების შესახებ და ზრდის მის პოპულარობას პოლონელ ტურისტებს შორის. მრავალფეროვანმა მედია პორტრეტმა გამოიწვია პოლონელი ტურისტების არსებითი ზრდა საქართველოში, რაც თითქმის ცხრაჯერ გაიზარდა 2010 წლიდან 2021 წლამდე.

რეკომენდაციები:

- ციფრული მარკეტინგის და მრავალფეროვანი კონტენტის შექმნა: სტრატეგიული მარკეტინგული კამპანიების წარმატებაზე დაყრდნობით, საქართველომ უნდა განაგრძოს ინოვაციები და გააფართოოს ციფრული მარკეტინგის ძალისხმევა. ეს მოიცავს უფრო მაღალი ხარისხის, მიმზიდველი კონტენტის შექმნას, როგორიცაა ვირტუალური ტურები, ინტერაქტიული რუკები და პერსონალიზებული მოგზაურობის მარშრუტები პლატფორმებზე, როგორიცაა Georgia.travel. პოპულარულ მოგზაურობის გავლენის შემსრულებლებთან და ბლოგერებთან თანამშრომლობა ავთენტური მოგზაურობის ისტორიებისა და გამოცდილების შესაქმნელად შეიძლება კიდევ უფრო გაზარდოს საქართველოს ხილვადობა და მიმზიდველობა.
- მიზნობრივი მარკეტინგული კამპანიები სხვადასხვა აუდიტორიისთვის: მარკეტინგული ძალისხმევა უნდა მოერგოს ტურისტების სხვადასხვა სეგმენტს, როგორიცაა თავგადასავლების მაძიებლები, კულტურული ენთუზიასტები და მაღალბიუჯეტიანი მოგზაურობა (მაღალგადახდისუნარიანი ტურისტების ინტერესები). ამასთან, აუცილებელი და მნიშვნელოვანია მონაცემთა ანალიტიკის გამოყენება სხვადასხვა ტურისტული დემოგრაფიის პრეფერენციების გასაგებად, ეს ხელს შეუწყობს უფრო ეფექტური და მიმზიდველი კამპანიების შემუშავებაში.
- ტურისტული ინფრასტრუქტურისა და სერვისების გაძლიერება: მაღალგადახდისუნარიანი ვიზიტორთა გამოცდილების უზრუნველსაყოფად, ტურისტულ ინფრასტრუქტურაში აუცილებელია მუდმივი ინვესტიცია, რაც მოიცავს სატრანსპორტო კავშირების, განსახლების ვარიანტებისა და ტურისტული ობიექტების გაუმჯობესებას, განსაკუთრებით ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში, ადგილობრივი სერვისის პროვაიდერებისთვის ტრენინგ პროგრამებს სტუმართმოყვარეობისა და მომხმარებელთა მომსახურების უნარების გასაუმჯობესებლად. ეს ხელს შეუწყობს უკეთესი ტურისტული გამოცდილების მიღებას. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია საინფორმაციო ცენტრების ჩამოყალიბება ძირითად ტურისტულ ლოკაციებზე, მრავალენოვანი მხარდაჭერის უზრუნველყოფა დაეხმარება ტურისტებს საქართველოში მოგზაურობით უფრო ეფექტურად ისარგებლონ.

ამ რეკომენდაციების განხორციელებით, საქართველოს შეუძლია შეინარჩუნოს და გააძლიეროს თავისი, როგორც მთავარი ტურისტული ადგილის ზრდა, რაც უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებას სხვა გლობალურ ტოპ მიმართულებებთან.

**გამოყენებული ლიტერატურა**

უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკა. (2022). საქსტატი. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/102/utskhoel-vizitorta-statistika

საქართველოს ტურიზმის სტრატეგია. (2025). ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. https://www.economy.ge/uploads/ecopolitic/turizmi-/sakartvelos%20turizmis%20strategia%202025.pdf

Webster, F. (2014). *Theories of the Information Society.* London. https://doi.org/10.4324/9781315867854

Castells, M. (2004). *Informationalism, Networks, And The Network Society: A Theoretical Blueprint.* Northampton, MA. https://annenberg.usc.edu/sites/default/files/2015/04/28/Informationalism%2C%20 Networks% 20and%20the%20Network%20Society.pdf

Keelson, S.A., Bruce. E., Egala, S.B., Amoah, J. & Bashiru, A. (2024). Driving forces of social media and its impact on tourists' destination decisions: a uses and gratification theory. *Cogent Social Sciences, 10*(1). https://doi.org/10.1080/23311886.2024.2318878

Liu, Zh., Calvé, A.L., Cretton, F., Balet, N.G., Sokhn, M., Délétroz, N. (2015). Linked Data Based Framework for Tourism Decision Support System: Case Study of Chinese Tourists in Switzerland. *Journal of Computer and Communications, 03*(05), 115-126.
https://www.researchgate.net/publication/277933407_Linked_Data_Based_Framework_for_Tourism_ Decision_Support_System_Case_Study_of_Chinese_Tourists_in_Switzerland

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. (2009). https://georgia.travel

Georgia Travel. (2023). Be Stumari of Georgia.
https://www.facebook.com/georgiaandtravel/videos/868273827685269

Dziewit-Meller, A. & Meller, M. (2018). Gaumardzos. https://www.scribd.com/document/735439368/Anna-Dziewit-Meller-Marcin-Meller-Gaumardzos

Kaczmarzyk, M. (2021). Georgia. Jak Się Żyje Polce W Kraju Wina, Gościnności I Drogowych Absurdów .

Szczepkowska, E. (2023). Obraz Gruzji Na Polskojęzycznych Blogach Podróżniczych I Stronach Internetowych. *The University of Warmia and Mazury in Olsztyn*.
https://repozytorium.uwb.edu.pl/jspui/bitstream/11320/15195/1/E_Szczepkowska_Obraz_Gruzji_na_p olskojezycznych_blogach.pdf

Trade.gov.pl. (2023). Ministry of Economic Development and Technology.
https://www.trade.gov.pl/kalendarz/polskogruzinskie-Forum-inwestycyjne-invest-in-georgia

# The Impact of Information Flows on Human Movement - Prospects for Tourism Development in Georgia

**Nino Shoshitashvili**[1]
**Eliso Chaphidze**[2*]
**Tamar Tavkhelidze**[3]
**Tinatin Zhorzholiani**[4]
**Anna Dybala**[5]
**Lizi Dzimistarishvili**[6]
[1, 2, 3, 6] Grigol Robakidze University
[4] David Agmashenebeli National Defense Academy of Georgia
[5] Jan Kochanowski University
***Corresponding author:** eliso.chapidze@gruni.edu.ge

**Abstract.** Tourism plays a crucial role in international economic relations and is an integral part of the global economic development. Georgia, with its rich cultural heritage, unique nature, and historical significance, is a distinguished tourist destination. During the Soviet era, the country had an extensive network of mass tourism, resort treatments, and recreational facilities, and after independence, it quickly became a rapidly growing tourist destination. In the 21$^{st}$ century, as the world became more interconnected through digital media, the impact of media communication phenomena on the tourism industry reached unprecedented heights. Information spreading rapidly in the digital landscape is critical for shaping perception and attracting tourists. Positive information flows can strengthen Georgia's image as a tourist and culturally rich country. Conversely, negative information can deter potential tourists. Research in Georgia on media communication has primarily focused on political or social phenomena, and informational (PR) campaigns in the tourism sector have never been a subject of special research, and thus, analysis and evaluation. The present study examined PR campaigns conducted by Georgia's tourism sector between 2019- 2023 and their impact on tourist inflows, highlighting factors influencing Polish tourists' perceptions of Georgia. Using mixed methods (narrative and quantitative content analysis, comparative analysis, case study), it studied tourist inflows during the reporting period, PR materials, articles, blogs, posts, and other social media content about Georgia. The findings indicate that the strategic marketing and PR efforts implemented, especially through digital media, significantly increased the visibility and attractiveness of Georgia as a tourist destination, contributing to substantial growth in tourism revenues and international visitors. The research emphasizes the significant contribution of media campaigns in portraying a positive image of Georgia. Intensive marketing and PR campaigns implemented after the challenges of the COVID-19 pandemic led to a noticeable increase in the number of international tourists and tourism revenues, as evidenced by the analysis of economic indicators, highlighting the sector's resilience and its critical role in the national economy. The study concludes with recommendations for maintaining and increasing Georgia's growth as a top tourist destination, emphasizing the need for digital marketing, targeted marketing campaigns, and investments in tourism infrastructure and services. These initiatives are crucial for maintaining Georgia's competitive advantage in the global tourism market and ensuring sustainable development.

**Keywords:** Tourism, Economy, Georgia, PR, Marketing, Georgian National Tourism Administration, International Visibility, COVID-19, Digital Platform, Press Tours

# მდგრადი განვითარება და მისი ინტეგრაცია თანამედროვე მართვის პარადიგმებში

**თამარ ბიწაძე**[1*]
**ნინო საჩალელი**[2]
[1, 2] გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
***პასუხისმგებელი ავტორი:** tamar.bitsadze@gruni.edu.ge

**რეზიუმე.** სტატიის არსს წარმოადგენს მდგრადი განვითარების შესწავლა, მისი პრინციპების ინტეგრირება თანამედროვე მართვის მოდელებში და ამ პროცესის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების შესწავლა. სტატია ეყრდნობა ბრუნდტლანდის კომისიის 1987 წლის მოხსენებას („Our Common Future") და მდგრადი განვითარების კონცეპტუალურ მიდგომას. სტატიაში მთავარი ყურადღება გამახვილებულია მართვის მეცნიერების განვითარების ისტორიულ ასპექტებსა, მართვის თანამედროვე მოდელებსა და საქართველოში მდგრადი განვითარების ინტეგრირების არსებულ მდგომარეობაზე. კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა ოფიციალური დოკუმენტები, რომლებიც მოიცავს გაეროს მდგრადი განვითარების გლობალურ დღის წესრიგს, გაეროს გლობალური შეთანხმების და ევროკავშირის პოლიტიკის დოკუმენტებს, OECD-ის მდგრადი მმართველობის ჩარჩოს, UNDP-ის რეპორტებსა და სამეცნიერო კვლევებს. სტატიაში განხილულია კორპორაციული მდგრადობის ჩარჩოები (CSR, ESG), საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები. კვლევის შესწავლის საგანს წარმოადგენს მდგრადი განვითარების ინტეგრაცია თანამედროვე მართვის პარადიგმებში, ხოლო მთავარი ამოცანაა კორპორაციული მართვის თანამედროვე მოდელების ანალიზი, საქართველოში არსებული მდგომარეობის წარმოჩენა, პრობლემების იდენტიფიცირება და ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ თანამედროვე ორგანიზაციებს წარმატებული ფუნქციონირებისათვის უწევთ ფეხი აუწყონ მიმდინარე გამოწვევებსა და ცვლილებებს და დანერგონ მართვის ისეთი მოდელები, რაც უზრუნველყოფს მათ გრძელვადიან პერსპექტივაში არსებობისა და განვითარების შესაძლებლობებს. მდგრადი განვითარების პრინციპების დაცვა მნიშვნელოვანია ორგანიზაციების სტრატეგიული მიზნებისათვის და იგი მოიცავს ამოწურვადი რესურსებისა და არსებული კაპიტალის გონივრულ მოხმარებას. მდგრადი განვითარების ინტეგრირება ასევე ხელს უწყობს საჯარო და კერძო კომპანიების თანამშრომლობას, მართვის წარმატებულ ფუნქციონირებას და საქართველოს 2030 სტრატეგიის მიზნების მიღწევას.

**საძიებო სიტყვები:** მდგრადი განვითარება, თანამედროვე მართვა, კორპორაციული პასუხის-მგებლობა, პასუხისმგებლიანი მენეჯმენტი

## 1. შესავალი

მართვას, როგორც მეცნიერებას, საკმაოდ დიდი და მრავალფეროვანი ისტორიული საფუძველი აქვს. ხოლო მდგრადი განვითარება გაცილებით ახალი კონცეფციაა, რომელიც თავის თავში აერთიანებს სამ - ეკოლოგიურ, ეკონომიკურ და სოციალურ - მიმართულებას

და თითოეული მიზანი ჯაჭვური რეაქციით ქმნის მართვის ისეთ მოდელს, რომელიც ყოველი ქვეყნის მდგრად და სტაბილურ განვითარებას უწყობს ხელს (UN, 2015).

1987 წელს ბრუნდტლანდის კომისიის მოხსენებაში - „ჩვენი საერთო მომავალი" („our common future") პირველად წარმოადგინეს მდგრადი განვითარების კონცეფცია, რომელიც ორიენტირებული იყო საერთო კეთილდღეობის უზრუნველყოფასა და ერთობლივი ძალისხმევის შედეგად მიღებულ საყოველთაო სიკეთეზე, რაც შემდგომში გაეროს თითოეული წევრი ქვეყნის სტრატეგიის, მართვისა და პოლიტიკის განუყოფელ ნაწილად და პასუხისმგებლობადაც კი იქცა, და რაც მთავარია, მათი მხრიდან თითოეული დასახული მიზანი და გაწერილი გეგმა 2030 წლისთვის შესრულებული უნდა იყოს (UN, 2015).

მდგრადი განვითარება საკმაოდ კომპლექსური მოვლენაა და საჭიროებს ჰოლისტიკურ მიდგომას. კლასიკური განმარტების შესაბამისად, მისი მთავარი მიზანია, რომ არსებული საჭიროებების დაკმაყოფილება უნდა მოხდეს ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას პლანეტასა და კაცობრიობას. შესაბამისად, მდგრადი განვითარება არის კონცეფცია, რომელიც მიზნად ისახავს ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური ბალანსის მიღწევას, რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და მომავალი თაობებისთვის საჭირო პირობების უზრუნველყოფის მიზნით (UNDP, 2024). არსებულ რეალობაში, დღითიდღე იზრდება მდგრადი განვითარების საკითხის აქტუალობა, საჭიროება და ყოველდღიურობაში მისი პრინციპებისა და მიზნების ინტეგრირების აუცილებლობა. შესაბამისად, მდგრადი განვითარება და მისი ინტეგრაცია თანამედროვე მართვის პარადიგმებში თანმდევი პროცესია თითოეული ქვეყნის განვითარებისთვისა და წინსვლისათვის.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მართვის, როგორც მეცნიერების, ჩამოყალიბება და განვითარება ათასწლეულებს ითვლის, შესაბამისად, მას საკმაოდ დიდი და მრავალფეროვანი ისტორიული საფუძველიც აქვს (UNDP, 1997). დროსთან ერთად ის იხვეწება, ვითარდება და გარემო ფაქტორების და საჭიროებების გათვალისწინებით განიცდის გარკვეულ ცვლილებებს. შესაბამისად, კერძო თუ სახელმწიფო სტრუქტურებს, ორგანიზაციებს წარმატებული ფუნქციონირებისათვის უწევთ ფეხი აუწყონ მიმდინარე მოვლენებს, გამოწვევებსა თუ ცვლილებებს და დანერგონ მართვის ისეთი მოდელები, რაც უზრუნველყოფს მათ გრძელვადიან პერსპექტივაში არსებობისა და განვითარების შესაძლებლობებს, ამისათვის კი აუცილებელია ამოწურვადი რესურსებისა და არსებული კაპიტალის გონივრული მოხმარება და ეფექტიანი გამოყენება. ეს ყოველივე კი მდგრადი განვითარების პრინციპების დაცვისა და გათვალისწინების გარეშე წარმოუდგენელად და მიუღწეველადაც შეგვიძლია მივიჩნიოთ (UNPRME, 2024).

## 2. კვლევის მეთოდი

კვლევაში გამოყენებულია შერეული კვლევის მეთოდი, რაც უზრუნველყოფს სიღრმისეულ ანალიზსა და მონაცემების ობიექტურ შეფასებას. კვლევა ემყარება თეორიულ და ემპირიულ ანალიზს, რამაც საშუალება მოგვცა შეგვესწავლა და შეგვეფასებინა მდგრადი

განვითარების კონცეფცია და მისი თანხვედრა თანამედროვე მართვის პარადიგმებთან და რეალურ მონაცემებზე დაყრნობით გაგვეანალიზებინა თანამედროვე მართვის მოდელები.

კვლევა პასუხობს შეკითხვებს:

როგორ ხდება მდგრადი განვითარების ინტეგრაცია თანამედროვე მართვის პარადიგმებში?

როგორ ხდება მდგრადი განვითარების ინტეგრირება ორგანიზაციათა სტრატეგიულ მიზნებში?

კვლევის მიზნებს წარმოადგენს:

- მდგრადი განვითარების როლის შესწავლა;
- მდგრადი განვითარების მიზნებისა და პრინციპების გაანალიზება;
- მდგრადი განვითარების ინტეგრირების პროცესის ანალიზი თანამედროვე მართვის მოდელებში;
- თანამედროვე მართვის მოდელების არსებული მიღწევებისა და სირთულეების ანალიზი.

კვლევის განხორციელების დროს გაანალიზდა ოფიციალური დოკუმენტები, როგორიცაა გაეროს მდგრადი განვითარების გლობალური დღის წესრიგი, გაეროს გლობალური შეთანხმების და ევროკავშირის პოლიტიკის დოკუმენტი, საქართველოს მდგრადი განვითარების 2030 სტრატეგიის დოკუმენტი, OECD-ის მდგრადი მმართველობის ჩარჩო, კორპორაციული მდგრადობის ჩარჩოები და პასუხისმგებლობები, UNDP-ის რეპორტები და არსებული სამეცნიერო კვლევები და სტატიები. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები და საერთაშორისო რეპორტები (მსოფლიო ბანკი, IMF, GRI, ESG, CSR, PPP, PRME) გამოყენებულია პროგრესისა და გამოწვევების ობიექტური აღქმისა და შეფასებისთვის.

## 3. მდგრადი განვითარება: მიზნები და პრინციპები

გაეროს ინიციატივით 2015 წელს შემუშავდა მდგრადი განვითარების მიზნების კონცეფცია, რომელიც თავის თავში აერთიანებს 17 მიზანსა და 169 ინდიკატორს (UN, 2015). აღნიშნული მიზნები მოიცავს ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების შემადგენელ და მნიშვნელოვან კომპონენტებს, როგორიცაა, ეკონომიკური და ეკოლოგიური სტაბილურობა, გარემოს დაცვა, გენდერული თანასწორობა, სოციალურ კეთილდღეობაზე ზრუნვა და თითოეული ეს მიზანი ჯაჭვურ ზმაში ქმნის მართვის ისეთ მოდელს, რომელიც ყოველი ქვეყნის მდგრად განვითარებასა და სტაბილურობას უწყობს ხელს.

აქედან გამომდინარე, მდგრადი განვითარების მიზნები და პრინციპები, განიხილება როგორც მართვის პრაქტიკული ჩარჩო ბიზნეს სექტორისთვის, რადგანაც ის კორპორაციული პასუხისმგებლობისა და ეთიკური ღირებულებების ინტეგრირების გზით ორგანიზაციებს აძლევს მდგრადობის მიმართულებას (Bansal & DesJardine, 2014). ამასთან, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) კონცეფცია, წარმოადგენს ბიზნესის ეთიკური

მართვის მოდელს და ითვალისწინებს მდგრადი განვითარების მიზნებსა და პრინციპებს სამივე მიმართულებით. ხოლო ეთიკა განიხილება, როგორც კორპორაციული კულტურის ძირითადი ნაწილი, რომლის ფარგლებშიც მენეჯერები ითვალისწინებენ დადგენილ ნორმებს და კორპორაციულ ღირებულებებს (Guinot, 2020). გარდა ამისა, ESG მოდელი კორპორაციებს სთავაზობს გრძელვადიანი სტაბილური განვითარების შესაძლებლობებს, და არ წარმოადგენს მხოლოდ პარტნიორობის ფარგლებში არსებულ ელემენტს, არამედ ეს არის პრაქტიკული მოდელი, ციფრებში გამოხატული კომპანიების შედეგები და მიღწევები, რაც ამარტივებს სამომავლო თანამშრომლობითი ხედვების ჩამოყალიბების პროცესს. აქედან გამომდინარე, ESG არის არა მხოლოდ ტრენდი, არამედ სტანდარტი, რომელიც განსაზღვრავს კორპორაციების გრძელვადიან წარმატებასა და მდგრადობას (HBR, 2024). ხოლო პარტნიორობა და ცოდნის გაზიარება, უმთავრესი წინაპირობაა მდგრადი განვითარებისა და თანამედროვე მართვის მოდელების სწორი ფორმირებისთვის.

გლობალური შეთანხმების გათვალისწინებით აღნიშნული მიზნები და ინდიკატორები დაჯგუფებულია სამი ძირითადი მიმართულებით: ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური (UN Global Compact, 2000).

შესაბამისად, ცალსახაა აღნიშნული კონცეფციის მასშტაბურობა და ყოვლისმომცველობა, რაც ხაზს უსვამს დღის წესრიგში დანერგვისა და მართვის მოდელის ფორმირების საჭიროებას მდგრადი კონცეფციის გათვალისწინებით, ვინაიდან, ეს მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნების პოლიტიკურ და სტრატეგიულ განვითარებასა და წინსვლაზე. ითვალისწინებს პასუხისმგებლიან მოქმედებას, გონივრულ წარმოებასა და მოხმარებას - მართვის ისეთ მოდელს, რომელიც ორიენტირებულია არა მხოლოდ მოგებასა და სარგებლიანობაზე, არამედ სოციალურ კეთილდღეობაზე და ამასთან, ითვალისწინებს გლობალურ გამოწვევებსა და არსებულ საფრთხეებს.

1999 წელს, სამიტზე გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა განაცხადა, რომ „ჩვენ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, საჭიროა დავაინიციროთ საერთო ღირებულებებსა და პრინციპებზე დაყრდნობილი გლობალური შეთანხმება, რომელიც გლობალურ ბაზარს ჰუმანურ იმიჯს შესძენს“ (დავოსი, 1999). აღნიშნული შეთანხმება ოფიციალურად 2000 წლიდან იქნა ძალაში მიღებული და მიეცა გლობალური სახე აღნიშნული ინიციატივის რეალიზებასა და ინტეგრირებას თითოეული ქვეყნის პოლიტიკურ რაკურსში. შესაბამისად, დღეს თითოეული წევრი სახელმწიფო განიცდის პასუხისმგებლობას და ვალდებულებას გაეროს წინაშე, რომ ემსახურებიან არა მხოლოდ საკუთარ, არამედ საზოგადო კეთილდღე-ობას, უზრუნველყოფენ ეკონომიკურ მდგრადობას ინოვაციური და ინკლუზიური განვითარების გზით. ხელს შეუწყობენ თანასწორობას, სოციალურ კეთილდღეობის უზრუნველყოფასა და განათლების ხარისხის გაუმჯობესებას სოციალური მდგრადობის მიზნით. თითოეულ ქვეყანას აქვს ვალდებულება, შეიმუშაონ კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის პოლიტიკა და დანერგონ გარემოსდაცვისთვის საჭირო ინოვაციური მიდგომები, რაც ცალსახად გულისხმობს ამოწურვადი რესურსების გონივრულ მოხმარებასა და წარმოებას, ამასთან, არსებული ბუნებრივი რესურსების პასუხისმგებლიან გამოყენებას (UNDP, 2023).

აქედან გამომდინარე, აღნიშნული პრინციპებისა და მიზნების გათვალისწინებით, დაინერგა სხვადასხვა მიმართულებით მოდელები, როგორც მართვის პრაქტიკული ჩარჩო ბიზნეს სექტორისთვის. ვინაიდან, გაეროს გლობალური შეთანხმება არ გულისხმობს მხოლოდ დეკლარაციულ დოკუმენტს, არამედ ის ორგანიზაციებს აძლევს მდგრადობის მიმართულებას კორპორაციული პასუხისმგებლობისა და ეთიკური ღირებულებების ინტეგრირების გზით (Bansal & DesJardine, 2014). მიუხედავად არსებული გამოწვევებისა და სირთულეებისა, აღნიშნული შეთანხმება ცდილობს თანხვედრაში მოაქციოს სამოქალაქო საზოგადოების, ბიზნესისა და საჯარო სექტორის ინტერესები და მოქმედების გზები. ვინაიდან, გაწერილი პრინციპებისა და მიზნების წარმატებით განხორციელებასა და იმპლემენტაციას, სჭირდება შესაბამისი ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, როგორც სამთავ-რობო, ისე კერძო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან. საერთო ღირებულებებზე ორიენტირებული მოდელები კი თანამედროვე მართვის მოდელის ყველაზე ოპტიმალური და ჰუმანური სახეობაა, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში გვთავაზობს განვითარების და სარგებლის მიღების შესაძლებლობას (UNGC, 2000).

შესაბამისად, სამართლიანი, სტაბილური და მდგრადი სამყაროს ფორმირებისთვის, აუცილებელია აღნიშნული პრინციპებისა და მიზნების არამხოლოდ დღის წესრიგში გაწერა, არამედ მათი რეალიზება. აქედან გამომდინარე, მდგრადი განვითარების გლობალური დღის წესრიგი, ავალდებულებს კერძო და საჯარო უწყებებს, საზოგადოებასა და აკადემიურ ინსტიტუტებს შეასრულონ საკუთარი როლი ქვეყნების მდგრადი განვითარების ხელშეწყობისა და დასახული მიზნების რეალიზებისთვის 2030 წლამდე (Misztal & Ratajszczak, 2025).

ეტაპობრივად მართვის მოდელებში ხდება მდგრადობის ელემენტების ინტეგრირება და იქმნება თანამედროვე მოდელები, რომლებიც დღითიდღე ტრენდული და აქტუალური ხდება. მაგალითად, როგორებიცაა: მწვანე მართვის მოდელი, ინოვაციური და ციფრული ტრანსფორმაციის მოდელი, ეთიკური და სოციალური პასუხისმგებლობის მოდელი, ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მოდელი. ეს ყოველივე მეტყველებს იმაზე, რომ მდგრადი განვითარების კონცეფცია თანამედროვე მართვის მოდელებთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. შესაბამისად, მდგრადი მართვა არის პასუხი გლობალური გამოწვევე-ბისათვის, რომელიც უნდა იქცეს ტენდენციად, სამყაროს მომავლის უზრუნველსაყოფად და სტაბილური განვითარებისთვის (Dutta და სხვები, 2012). შესაბამისად, აშკარაა, რომ მდგრადი განვითარების გლობალური მიზნებისა და პრინციპების არსებობამ კონკრეტული მოდელების შექმნისა და განვითარების საჭიროება გააჩინა. აქედან გამომდინარე, შემდეგ თავში განვიხილავთ თუ როგორ ხდება მდგრადი განვითარების ინტეგრირება ორგანიზაციათა სტრატეგიულ მიზნებში.

## 4. კვლევის შედეგები

### 4.1 მდგრადი განვითარების ინტეგრირება ორგანიზაციათა სტრატეგიულ მიზნებში (CSR/ESG & PPSP)

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) კონცეფცია შეგვიძლია მივიჩნიოთ ბიზნესის ეთიკური მართვის მოდელად, რომელიც ითვალისწინებს ეკოლოგიურ,

სოციალურ და ეკონომიკურ პასუხისმგებლობებს. ხოლო ეთიკა კორპორაციული კულტურის შემადგენელი ძირითადი ნაწილია, რომლის ფარგლებშიც მენეჯერები ითვალისწინებენ დადგენილ ნორმებს და კორპორაციულ ღირებულებებს. იყენებენ მორალურ-სამართლებრივ, ინდივიდუალურ მიდგომებს, რასაც პოზიტიური გავლენა აქვს გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე და დადებითად მოქმედებს კოლექტიურ განწყობაზეც (Guinot, 2020). აღნიშნული მიდგომა გარკვეულწილად თანხვედრაშია მდგრადი განვითარების მიზან 16-თან, რაც გულისხმობს ინსტიტუციური გაძლიერების ხელშეწყობასა და ნდობის გაღრმავებას. ასევე, პასუხობს მიზან 17-ს, რომელიც თანამშრომ-ლობითი ხასიათის ურთიერთობების, პარტნიორობის მნიშვნელობას უსვამს ხაზს.

აღსანიშნავია, რომ მეტწილად კორპორაციული მართვის ეკონომიკური პარადიგმები უპირატესობას ანიჭებენ მოგების მაქსიმიზაციას, და უგულებელყოფენ გარემოსდაცვით და სოციალური კეთილდღეობის საკითხებზე ზრუნვას, ეს მიდგომა კი სრულებით აცდენილია მდგრადი განვითარების სამომავლო ხედვებს და გრძელვადიან პერსპექტივაში ეჭვქვეშ აყენებს კორპორაციების მართვის სისტემის არსებობას (Guinot, 2020). აქედან გამომდინარე, თანამედროვე ხედვით და სამართლებრივი კონცეფციის თანახმად, მართვის სისტემა უნდა ემყარებოდეს ეთიკურ ნორმებს და გადაწყვეტილებები მიღებული უნდა იქნეს თანასწორობის, ობიექტურობისა და პატიოსნების პრინციპებზე დაყრნობით, სადაც გარემოს დაცვისა და სოციალური კეთილდღეობის ამოცანებიც გათვალისწინებული იქნება, ხოლო კომპანიების ავტორიტეტი და კონკურენტუნარიანობა, მდგრადი პრინციპე-ბის ინტეგრირების პარალელურად, პირდაპირპროპორციულად იზრდება (ხოფერია, 2012).

შესაბამისად, ახალი მართვის მდგრადი მოდელის მიხედვით, კორპორაციული პასუხის-მგებლობის ჭრილში, კომპანიებს მართებთ დანერგონ მმართველობის მაღალი სტანდარტე-ბი და საზოგადოებასთან ჰქონდეთ ღია კომუნიკაცია. ისინი, ანგარიშვალდებულნი არიან არა მხოლოდ საკუთარი კომპანიის, არამედ საზოგადოებისა და ქვეყნის წინაშე. ამასთან, CSR კონცეფცია ხელს უწყობს კომპანიების მიმართ საზოგადოების ნდობისა და ზოგადი იმიჯის გაუმჯობესებას და საერთაშორისო პარტნიორობისა და ინვესტორების მოზიდვის გაცილებით მეტი შანსი და შესაძლებლობაც ეძლევათ (ხოფერია, 2012).

დღეს უკვე საკმაოდ ბევრი ორგანიზაცია აწარმოებს აქტიურ გარემოსდაცვით კამპანიებს, ვინაიდან ჯანსაღი გარემო არის ჯანსაღი საზოგადობის არსებობის წინაპირობა, ხოლო პანდემიის პერიოდმა კიდევ უფრო მკაფიოდ დაგვანახა აღნიშნული საკითხის აქტუალობა და მნიშვნელობა. ევროკომისიის მიერ 2019 წელს შემუშავდა „მწვანე შეთანხმება“, რომლის უმთავრესი მიზანია კლიმატნეიტრალური ეკონომიკისა და მდგრადი მართვის მოდელების ჩამოყალიბება (European Commision, 2019).

მწვანე მოდელი მართველობის სამ მიმართულებას მოიცავს: 1. ეკოლოგიური პრობლემე-ბისკენ მიმართული პოლიტიკა, რომელიც მოიაზრებს კორპორაციების ეთიკურ პრინციპებს; 2. დაინტერესებული მხარეების (ორგანიზაცია, მომხმარებელი, პარტნიორები, მოსახლეობა) ინტერესების შესაბამისი კორპორაციული სტანდარტების დანერგვა; 3. საკანონმდებლო ჩარჩო, რომლის მიხედვითაც ორგანიზაციები კანონის შესაბამის ფორმალურ ღონისძიებებს ახორციელებენ (OECD, 2024).

გარდა ამისა, 2010 წელს სტანდრტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ კერძო სექტორისთვის სოციალური პასუხისმგებლობის უკეთ გააზრებისა და მდგრადი მართვის პოლიტიკის ინტეგრირებისთვის შეიმუშავა ყველაზე წარმატებული ინკლუზიური მდგრადი განვითარების ISO 26000 სტანდარტი, რომელიც თავის თავში აერთიანებს ისეთ პრინციპებს, როგორიცაა შრომითი პრაქტიკა, ადამიანის უფლებები, სამართლიანი ოპერაციული პრაქტიკა, საზოგადოების ჩართულობა და განვითარება, გარემოს დაცვა (ISO, 2010).

აღსანიშნავია ისიც, რომ დაინტერესებული მხარეების ინტერესების დაბალანსების მნიშვნელობა, მათ შორის მომხმარებლების, თანამშრომლებისა და საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მდგრადი ბიზნეს შედეგების მისაღწევად. ამასთან, კორპორაციულ სხდომებს კრიტიკულად მნიშვნელოვანი როლი უჭირავთ მართვის მოდელებში მდგრადი ინიციატივის კურირებისა და განხორციელების კუთხით. ხაზგასასმელია, კომპანიებსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის ეფექტური კომუნიკაციის განსაკუთრებული საჭიროება კორპორატიული მდგრადი მმართველობითი პრაქტიკის გასაძლიერებლად. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მზარდი ტენდენცია შეინიშნება მდგრადობის ანგარიშგების მიმართ და გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯებიც, თუმცა გაცილებით მცირე რაოდენობას აქვს გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის (ESG) პოლიტიკის ჩარჩო ინტეგრირებული დღის წესრიგში (OECD, 2024).

უნდა ავღნიშნოთ ისიც, რომ ESG არ გულისხმობს მხოლოდ ეთიკური მართვის მიდგომას, არამედ კორპორაციებს სთავაზობს გრძელვადიანი სტაბილური განვითარების შესაძლებლობებს, სწორი რეგულაციების გატარების გზით, პოტენციური ინვესტორების დაინტერესების თვალსაზრისით, ვინაიდან ეს არის უფრო მეტად პრაქტიკული მოდელი, ციფრებში/მაჩვენებლებში/მეტრიკებში გამოხატული კომპანიების შედეგები და მიღწევები, რაც უმარტივებს პოტენციურ პარტნიორებსა თუ ინვესტორებს გადაწყვეტილების მიღებისა და სამომავლო თანამშრომლობითი ხედვების ჩამოყალიბების პროცესს. აქედან გამომდინარე, ESG არ არის მხოლოდ ტრენდი, არამედ არის აუცილებელი წინაპირობა და სტანდარტი, რომელიც განსაზღვრავს კორპორაციების გრძელვადიან წარმატებასა და მდგრადობას (HBR, 2024).

აშკარაა, რომ ფრიმენისა და მისი სკოლის მიმდევართა (1995) ხედვა, რომელიც კომერციული ორგანიზაციებისთვის მოგების მაქსიმიზაციას აღიქვამდა უპირატეს მიზნად, განვითარდა, დაიხვეწა და უფრო მეტად, ჰუმანური, ფართო სოციალურ ინტერესებზე მორგებული ხედვა ჩამოყალიბდა. მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში კი ორგანიზაციების სოციალური პასუხისმგებლობის შეფასების გარკვეული კრიტერიუმებიც გაიწერა, რის მიხედვითაც ფასდება არა მხოლოდ კოლექტიური, არამედ ცალკეული მენეჯერების სოციალური პასუხისმგებლობის ხარისხი. დღესდღეისობით, კი ორგანიზაციის სოციალური პასუხისმგებლობა ოთხი ძირითადი მიმართულებით ფასდება: 1. ეკონომიკური პასუხისმგებლობა, რომელიც მოგებაზე არის ორიენტირებული; 2. სამართლებრივი პასუხისმგებლობა, ითვალისწინებს კანონის აღსრულებას; 3. მორალურ პრინციპებზე აგებული ეთიკური პასუხისმგებლობა და 4. პირადი პასუხისმგებლობა, რომელიც საზოგადოების კეთილდღეობისკენ უნდა იყოს მიმართული (Boddy, 2008).

დღეს თანამედროვე მართვის მოდელები არა მხოლოდ მოგებაზე და პირად სარგებელზე არიან ორიენტირებული, არამედ მათი ხედვა გაფართოვდა და გარემოსდაცვითი, საზოგადოებრივი და ეკონომიკური ინტერესები და მათი ბალანსი მნიშვნელოვან პრინციპებად იქცა. შესაბამისად, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა მოიცავს მდგრადი პრინციპებისა და სტრატეგიების დანერგვას, რაც ხელს უწყობს მოგების მაქსიმიზაციას გრძელვადიან პერსპექტივაში, ბრენდის იმიჯის დახვეწასა და საზოგადოებ-რივი ნდობისა და პატივისცემის მოპოვებას, კონკურენტუნარიანობის ზრდას მდგრადი ინდუსტრიის არეალში (Snapshot, 2024).

უფრო მეტიც, მსოფლიო ბანკის წლის წლიური ანგარიში (2024) მკაფიოდ ხაზგასმულია მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) წინსვლისკენ აუცილებლობა და რთული გლობალური გამოწვევების ფონზე მისი სტრატეგიული მნიშვნელობა. ანგარიშში ასევე საუბარია, ორგანიზაციების ფინანსურ და სტრატეგიულ ვალდებულებებზე, რომლებიც მიმართული უნდა იყოს მდგრადი, ინკლუზიური და ურყევი განვითარების ხელშეწყობისკენ. ასევე, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მოდელის გამოყენებით კომპანიები ხაზს უსვამენ მათ გამჭვირვალეობას, წინასწარ თვლიან რისკებსა და შესაძლებლობებს, იუმჯობესებენ იმიჯს და მოიპოვებენ საზოგადოების ნდობას, უკეთ პასუხობენ დაინტერესებულ პირთა მოლოდინებს და აამაღლებენ თანამშრომელთა ლოიალობას (World Bank, 2024).

ცხრილი 1.

**ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფციების შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნებთან**

| კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR/ESG) კონცეფცია | კორელაცია მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG) |
|---|---|
| 1. ბიზნესის ეთიკური მართვის მოდელი | **SDG 16 & 17** – ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობა და ნდობის გაძლიერება; პასუხისმგებლიანი ბიზნესის პრაქტიკების გამყარება. |
| 2. კორპორაციული მართვის ეკონომიკური პარადიგმები | **SDG 8, 9, 10, 11, 16 & 17** – ინოვაციების, თანამშრომლობისა და პარტნიორობის ხელშეწყობა; გრძელვადიანი სოციალური კეთილდღეობა. |
| 3. ESG პოლიტიკის ჩარჩო | **SDG 16 & 17** – კორპორაციების გამჭვირვალობის ჩარჩო და მდგრადობის პრაქტიკული მოდელი. |
| 4. „მწვანე შეთანხმება“ | **SDG 7, 9, 11, 12, 13, 14, 15** – ეკოლოგიური პროექტების და ინიციატივების მხარდაჭერა; მდგრადი განვითარების სტიმულირება. |
| 5. ISO 26000 სტანდარტი | **SDG 1, 3, 5, 8, 9, 10, 12, 15** – სოციალური პასუხისმგებლობა, ადამიანის უფლებები, სამართლიანი სამუშაო პირობები და გარემოს დაცვა. |

წყარო: ავტორების მიერ შემუშავებული ცხრილი, UNDP-ის, UNA-სა და მსოფლიო ბანკის კვლევებზე დაყრნობით.

რომ შევაჯამოთ, ცალსახაა, რომ კოპორაციული პასუხისმგებლობა, გულისხმობს მმართველობის ისეთი მიდგომებისა და მეთოდების ჩამოყალიბებას, რომლის საშუალებითაც იქმნება სოციალურ პასუხისმგებლობაზე ორიენტირებული საორგანიზაციო სივრცე, სადაც მკაფიოდ განსაზღვრულია მდგრადი კორპორაციული კულტურა, შემუშავებულია ეთიკის კოდექსი, კომიტეტები, ეტაპობრივად მიმდინარეობის ეთიკური საკითხების შესწავლა და მართვა (GRI, 2025). ასევე, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მდგრადი განვითარების პრინციპები სასურველია მართვის მოდელს შექმნამდე ედოს საფუძვლად და არა ჩამოყალიბების შემდგომ. ვინაიდან, მართვის მოდელის გარდაქმნა გაცილებით რთული პროცესია, ვიდრე მისი თავიდანვე მდგრად მოდელად ჩამოყალიბება. თუკი მდგრადობის მიზნები მართვის პროცესში ბოლოს განვითარებული ხედვაა და არა ყოველდღიური სამუშაო პროცესის ძირითადი ნაწილი, მათი მიღწევა, შესაძლოა, გართულდეს (Majidi, 2025).

კერძო თუ სახელმწიფო სტრუქტურებს, ორგანიზაციებს წარმატებული ფუნქციონირებისათვის უწევთ ფეხი აუწყონ მიმდინარე მოვლენებს, გამოწვევებსა თუ ცვლილებებს და დანერგონ მართვის ისეთი მოდელები, რაც უზრუნველყოფს მათ გრძელვადიან პერსპექტივაში არსებობისა და განვითარების შესაძლებლობებს, ამისათვის კი აუცილებელია ამოწურვადი რესურსებისა და არსებული კაპიტალის გონივრული მოხმარება და ეფექტიანი გამოყენება. ეს ყოველივე კი მდგრადი განვითარების პრინციპების დაცვისა და გათვალისწინების გარეშე წარმოუდგენელად და მიუღწეველადაც შეგვიძლია მივიჩნიოთ (UNPRME, 2024).

სერვისების მიწოდებისა და მართვის ინოვაციური მიდგომები, როგორიცაა საჯარო-კერძო პარტნიორობა (PPP) და ერთობლივი წარმოების მოდელების ჩამოყალიბება, გლობალურად დღითიდღე უფრო აქტუალური და გამოყენებადი ხდება. შესაბამისად, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ერთობლივი წარმოება და თანამშრომლობა, როგორც ინოვაციური მიდგომის მზარდი მნიშვნელობა, სერვისების მიწოდებასა და თანამედროვე მართვის სისტემაში (ბოვაირდი, 2007).

3P მოდელი შეგვიძლია მივიჩნიოთ ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ და ეფექტურ მოდელად, ვინაიდან ის აერთიანებს კერძო სექტორის ინოვაციურ მიდგომებსა და ხედვებს, საჯარო სექტორის პოლიტიკური თუ ფინანსური მხარდაჭერის პარალელურად (მიულერი, 2020). ერთობლივი წარმოება გულისხმობს მოქალაქეებისა და ორგანიზაციების აქტიურ მონაწილეობას საჯარო სერვისების დიზაინში, მართვასა და მიწოდებაში. (ბოვაირდი, 2007) ნამუშევარში ხაზს უსვამს ერთობლივი წარმოების პოტენციალს, რათა გაზარდოს მომსახურების შედეგები მოქალაქეებისა და ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების ცოდნის, უნარებისა და რესურსების გამოყენებით. აღნიშნული მოდელის წარმატების ნათელი მაგალითია ევროკავშირის „სუფთა ენერგიის ინიციატივები“, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს სუფთა და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვის პროცესში. ევროპული ინვესტიციების ბანკისა და კერძო სექტორის თანამშრომლობის ფარგლებში შეიქმნა განახლებად ენერგიებზე მიმართული პროექტების დაფინანსების ფონდი, რომელშიც ჩართულია ევეროპის წამყვანი ქვეყნები საფრანგეთი, იტალია, გერმანია (EIB, 2024).

საჯარო კონტექსტში, ერთობლივი წარმოება სთავაზობს შესაძლებლობას გაზარდოს სახელმწიფოს ორიენტირი მოქალაქეთა საჭიროებებზე, ამასთან, ხელი შეუწყოს საზოგადოების მეტ ჩართულობას საჯარო სერვისების მიწოდებაში (ზოვაირდი, 2007). შესაბამისად, მდგრადი განვითარების ინტეგრირების გზაზე, PPSP-ის მოდელი უმნიშვნელოვანესი წინ გადადგმული ნაბიჯია, ვინაიდან მისი ორიენტირი მიმართულია ურთიერთთანამშრომლობის პრინციპებზე და გრძელვადიან სოციალურ კეთილდღეობაზე მორგებულ პროექტებზე, როგორიცაა გარემოს დაცვა, ეკონომიკური სტაბილურობა, საყოველთაო კეთილდღეობაზე ზრუნვა (ზოვაირდი, 2007).

მდგრადი განვითარების მიზნებისკენ სვლისთვის მნიშვნელოვანი როლს ასრულებს საჯარო-კერძო პარტნიორობა, რომლის ფარგლებშიც ხდება ვალდებულებების, პასუხის-მგებლობებისა და შესაძლებლობების ოპტიმალურად განაწილება. თუმცა, სამთავრობო ჩართულობა, მნიშვნელოვან როლს ასრულებს აღნიშნული პარტნიორობის ჭრილში. ის ხელს უწყობს რესურსების ეფექტურ გამოყენებას, ინვესტიციების მოზიდვას და ანგარიშ-ვალდებულებებისა და ინიციატივების სწორი განაწილების გზით სექტორების რეფორ-მირებას (ADB, 2008).

ბოლო პერიოდში, ტრადიციული მართვის მოდელიდან PPP იქცა ინტეგრირებულ მიდგომად, რომელიც მოიცავს პოლიტიკის შემუშავების გარკვეულ კონცეფციებს, როგორიცაა მოლაპარაკებების წარმოება, დღის წესრგის შედგენა, რესურსების უზრუნველ-ყოფა, მონიტორინგი. აღნიშნული ცვლილება გულისხმობს მთავრობის ტრანსფორმაციას მმართველობაზე, რის ფარგლებშიც დაინტერესებული მხარეები საერთო მიზნების მისაღწევად თანამშრომლობენ (მარქს, 2019).

შესაბამისად, მოცემული ელემენტებისა და პრინციპების გონივრული ინტეგრაციით PPP იძლევა მდგრადი შედეგების ეფექტურად მიღწევის შესაძლებლობას. მაგალითად, მკაფიოდ განსაზღვრული და სწორად გადანაწილებული როლები უზრუნველყოფს შეუფერხებელ ფუნქციონირებასა და მკაფიოდ განსაზღვრავს მმართველობის სტრუქტუ-რებს. ამასთან, პროცესების გამჭირვალობას უწყობს ხელს, რაც დადებითად მოქმედებს ნდობისა და ღიაობის საკითხებზე. გარდა ამისა, სწრაფი ადაპტაციისა და მექანიზმების დახვეწა იძლევა შესაძლებლობას მკაფიოდ უპასუხონ ცვალებად გარემოში არსებულ გამოწვევებს. ხოლო ინკლუზიური გადაწყვეტილებების მიღება და ამ პროცესში საზოგადოების ჩართულობა კიდევ უფრო აძლიერებს სწორი ინიციატივებისა თუ პროექტების წარმატებით განხორციელების პროცესს (Walecka-Jankowska et al., 2025).

მიუხედავად მრავალი უპირატესობისა, ცხადია, ამ თანამშრომლობით ურთიერთობასაც ახლავს გამოწვევები. მაგალითად, მიზნებისა და ხედვების აცდენა, რაც გულისხმობს შეუსაბამობასა და თანამშრომლობისა და მოლაპარაკებების გართულებას კერძო და საჯარო ორგანიზაციებს შორის. ძალაუფლების არათანაბარი გადანაწილების საკითხი, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს გარკვეული უთანხმოება და კონფლიქტები, ვინაიდან ერთი მხარის დომინანტობა ეჭვქვეშ აყენებს პარტნიორობის შედეგად მიღებულ თანასწორ სარგებელს. ასევე, ანგარიშვალდებულება, რომელიც თითოეული მათგანის პასუხისმგებლობასა და

აქტიურ მოქმედების ნაწილს წარმოადგენს, რაც შესაძლოა დარღვეულ იქნეს არაკეთილსინ-დისიერი მხარის მიერ. ეს ყოველივე კი ნეგატიურად აისახება არა მხოლოდ პარტნიორობა-ზე, არამედ საზოგადოების ნდობაზეც. შესაბამისად, პოტენციური გამოწვევების დასაძლე-ვად აუცილებელია ურყევი და მკაფიო ჩარჩოების ჩამოყალიბება, რომლებიც ხელს შეუწყობენ საერთო მიზნების, თანასწორობისა და ანგარიშვალდებულების წარმატებით განხორციელებას, ხოლო სწორად სტრუქტურირებული PPP-ები იქნება მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი მდგრადი და სამართლიანი მომავლის ფორმირებისთვის (Wang, 2020).

## 5. საქართველოს მდგრადი თანამედროვე მართვის მოდელები: პროგრესი და გამოწვევები

საქართველოს მდგრადი განვითარების სტრატეგია (ხედვა, 2030) ეფუძნება გრძელვადიან ხედვას, რომელიც მოიაზრებს მდგრადი განვითარების მიზნების იმპლემენტაციასა და მიღწევას 2030 წლისთვის. აღნიშნული სტრატეგია მოიცავს სამ ძირითად მიმართულებას: ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და სოციალურ კეთილდღეობას.

წინა წლებთან შედარებით გარკვეულწილად გაუმჯობესებულია მდგომარეობა მდგრადი განვითარების შესახებ ცნობიერებისა და მდგრადი მართვის მოდელების დახვეწის თვალსაზრისით. თუმცა, არის რიგი საკითხებისა, რომლებიც კვლავ მნიშვნელოვან და საყურადღებო გამოწვევად რჩება ჩვენი ქვეყნისთვის (CENN, 2024).

მიუხედავად იმისა, რომ სამთავრობო დონეზე შემუშავებულია გარკვეული ტექნოლოგი-ური, ენერგოეფექტური, სამეურნეო სექტორის მდგრადი განვითარებისთვის საჭირო ინიციატივები, ფინანსური ფაქტორი კვლავ გამოწვევად რჩება. ვინაიდან, მდგრადი პროექტების და მმართველობის განხორციელება მოითხოვს საკმაოდ დიდ ინვესტიციებს, რაც ხშირად მთავრობისთვის შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენს. ეს გულისხმობს როგორც ინვესტიციების ნაკლებობას, ასევე ქვეყნის ბიუჯეტის შეზღუდულ შესაძლებ-ლობებს (World Bank, 2024).

ქვეყანაში გარკვეულწილად ფუნქციონირებს მდგრადი მმართველობის მოდელები და კამპანიები. მთავრობის მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა განახლებადი ენერგიის რესურსების სწორი გამოყენების, წყლისა და ტყის რესურსების მართვის ფაქტორებს. 2024 წლის მონაცემებზე დაყრნობით, განახლებადი წყაროების საშუალებით წარმოიქმნება 45%-ზე მეტი ენერგია (CENN, 2024). ასევე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება თანასწორი პოლიტიკის შემუშვებას, რომელიც ორიენტირებულია მართვის თანასწორი სისტემის შექმნაზე, რის ფარგლებშიც დაიხვეწება განათლების სისტემა, გაიზრდება სოცია-ლურ საჭიროებაზე მორგებული პროექტები და განვითარდება ჯანდაცვა (ხედვა, 2030).

საქართველო SDGs-ის შეფასების რეიტინგში (2024) 167-დან 43-ე ადგილს იკავებს და მნიშვნელოვანი პროგრესი შეინიშნება მდგრადი განვითარების რამდენიმე მიზნის მიღწევის მიმართულებით: მიზანი 3, რაც ჯანმრთელობისა და ჯანსაღი გარემოს ფორმირე-ბისკენ არის მიმართული. გენდერული თანასწორობის (მიზანი 5) ჭრილშიც სტაბილური

პროგრესი შეიმჩნევა. ამასთან, მზარდი პროგრესი შეიმჩნევა მიზანი 7-თან მიმართებით, რომელიც გულისხმობს საიმედო და თანამედროვე ენერგომომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. თუმცა, მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ძლიერი ინსტიტუციების ჩამოყალიბება (მიზანი 16) და მდგრადი მართვის მოდელის განხორციელება, რომელიც ემსახურება მშვიდობის, სამართლიანობისა და ძლიერი ინსტიტუტების არსებობისა და განვითარების ხელშეწყობას (SDR, 2024).

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო გარკვეულწილად ინარჩუნებს პოზიციებს მდგრადი ბიზნეს პრაქტიკების ინტეგრირების კუთხით და გარკვეულწილად ახორციელებს მდგრად ბიზნეს პრაქტიკებს, თუმცა საჭიროებს ფისკალიურ პოლიტიკის დახვეწასა და სახელმწიფო რესურსების ოპტიმიზაციის გაუმჯობესებას (IMF, 2024).

გამჭირვალე და მდგრადი მმართველობის საკითხი ამ ეტაპისთვის, ქვეყნის მნიშვნელოვან გამოწვევად გვევლინება. თუ მიმოვიხილავთ ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას, შეიმჩნევა მმართველობის სისტემისა და კვალიფიციური ადამიანური რესურსების არასაკმარისი რაოდენობა. დღის წესრიგში დგას მნიშვნელოვანი შეუსაბამობა შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და არსებული სამუშაო ძალის უნარებს შორის. ეს შეუსაბამობა აშკარაა უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა დასაქმების დაბალ შესაძლებლობებსა და ართულებს პრაქტიკული, ინდუსტრიის შესაბამისი უნარების მქონე კანდიდატების პოვნას დამსაქმებლებისათვის, რაც თავისთავად მდგრადი მართვის სისტემაზე ნეგატიურ გავლენას ახდენს (UNDP, 2022).

მიუხედავად იმისა, რომ აგროკულტურის სექტორი საქართველოს ეკონომიკის ქვაკუთხედია, მოძველებული პრაქტიკა და არასათანადო გამოცდილება თანამედროვე აგრონომიასა და აგროტექნოლოგიაში აფერხებს ქვეყნის მდგრადი მართვის სისტემის ჩამოყალიბებას. გარდა ამისა, მკაფიოდ შეიმჩნევა სამეურნეო ტექნოლოგიებისა და საკვების გადამუშავების გამოცდილი ტექნიკოსებისა და სპეციალისტების ნაკლებობა, რაც ზღუდავს პროდუქტიულობასა და კონკურენტუნარიანობას. ამასთან ერთად, სექტორი ხასიათდება არაფორმალური დასაქმების მაღალი მაჩვენებლითა და დაბალი პროდუქტიულობით განსაკუთრებით სოფლად (UNA, 2021). ეს ყოველივე კი ახალგაზრდებისთვის განაპირობებს არახელსაყრელ პირობებს, რაც გულისხმობს დასაქმების შეზღუდვებს ფორმალურ სახელფასო პროფესიებზე, ხოლო თვითდასაქმებულები, მეტწილად ეწევიან დაბალი პროდუქტიულობის, დაბალანაზღაურებად სამუშაოებს (Georgia Country Economic Memorandum, 2023).

ბიზნესისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნის თვალსაზრისით საქართველომ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა, რაც მსოფლიო ბანკის რეიტინგშიც მკაფიოდ ჩანს, სადაც 24-ე ადგილიდან (2014 წელს) 2020 წელს გადმოინაცვლა მე-7-ე ადგილას (WB ranking, 2020). თუმცა, ეკონომიკური პროგრესის პარალელურად არ გაზრდილა სამუშაო ადგილების შექმნის მაჩვენებელი და უმუშევრობა კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება, ხოლო პანდემიამ კიდევ უფრო გაართულა ამ მიმართულებით მართვის სწორი წარმოების პრაქტიკების დანერგვის პროცესი (Georgia Country Economic Memorandum, 2023).

როგორც ჩანს, მიუხედავად ეკონომიკური რეფორმებისა, საქართველოს შრომის ბაზარი მუდმივი გამოწვევების წინაშე დგას და სამუშაო ძალის მონაწილეობის დაბალი მაჩვენებლი და უმუშევრობა მდგრადი მართვის მოდელების განვითარებისთვის რჩება კრიტიკულ ბარიერებად. ქვეყნის განათლების მართვისა და პროფესიული მომზადების სისტემები არ არის შრომის ბაზრის მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაში, რაც ართულებს მართვის სისტემის გამართულ ფუნქციონირებას და მაღალი ხარისხის სამუშაო ადგილების შექმნის პროცესს (UNA, 2021).

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს აქვს საკმაოდ დიდი პოტენციალი ტურიზმში, ინდუსტრიას ესაჭიროება მაღალი სტანდარტების შესაბამისი მდგრადი ტურისტული პრაქტიკული მოდელი, ასევე, ციფრული მართვისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კვალიფიკაციის მქონე სამუშაო ძალა (UNA, 2021). აღნიშნული მიმართულებებით არასაკმარისი მართვის უნარების გამო საქართველოს ტურისტული პოტენციალი არასაკმარისად არის ათვისებული და რეალიზებული. ეს ყოველივე კი ხელიდან უშვებს ეკოტურიზმისა და ადგილობრივი წარმოების გაფართოების შესაძლებლობებს (UNDP, 2023). ტურიზმის სექტორის მხრიდან მზარდი ეკონომიკური მოლოდინების პარალელურად, ცალსახაა, რომ სექტორი განიცდის კვალიფიციური ადამიანური რესურსების სიმცირესა და ინფრასტრუქტურულ ხარვეზებსაც (მსოფლიო ბანკი, 2024).

მსგავსი გამოწვევების წინაშე დგას ენერგეტიკის მდგრადი მართვის სისტემაც. განახლებადი ენერგიის პროექტები კვალიფიციური ტექნიკოსებისა და ინჟინრების სიმცირის გამო საყურადღებო გამოწვევების წინაშე დგას, რაც აჭიანურებს ინიცირებული პროექტების განხორციელებას და ასევე, ზღუდავს სამომავლო ზრდის შესაძლებლობებს (Georgia Country Economic Memorandum, 2023).

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (2022) თანახმად მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს გააჩნია მდგრადი მართვის პრაქტიკების დანერგვის უდიდესი პოტენციალი, რესურსები და ინსტიტუციური პირობები და მისი განვითარებისთვის ხორციელდება არაერთი ინიციატივა, ჯერ კიდევ დიდ გამოწვევას უკავშირდება მდგრადი მართვის მოდელების დანერგვა ქვეყნისათვის, ვინაიდან იგი გულისხმობს ორგანიზაციების სრულიად გარდაქმნას, სახელმწიფო და კერძო სექტორის მჭიდრო კოორდინაციასა და თანამშრომლობას, საკანონმდებლო ბაზისა და რეგულაციების სრულყოფას სტანდარტების შესაბამისად.

## დასკვნა

განხორციელებული კვლევის საფუძველზე გამოვლინდა, რომ აუცილებელია შრომის ბაზრის მოთხოვნებთან არსებული უნარების შეუსაბამობის აღმოფხვრა, ინკლუზიურობის ხელშეწყობა, პროფესიული სწავლების სისტემების და მდგრადი მართვის პოლიტიკის გაძლიერება, რათა საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის მოთხოვნები დაკმაყოფილდეს და თანამედროვე მართვის სისტემა შესაბამისი, კვალიფიციური სამუშაო ძალით აღიჭურვოს.

შესაბამისად, კერძო თუ სახელმწიფო სტრუქტურებს, ორგანიზაციებს წარმატებული ფუნქციონირებისათვის უწევთ ფეხი აუწყონ მიმდინარე მოვლენებს, გამოწვევებსა თუ ცვლილებებს და დანერგონ მართვის ისეთი მოდელები, რაც უზრუნველყოფს მათ გრძელვადიან პერსპექტივაში არსებობისა და განვითარების შესაძლებლობებს, ამისათვის აუცილებელია ამოწურვადი რესურსებისა და არსებული კაპიტალის გონივრული მოხმარება და ეფექტიანი გამოყენება. ეს ყოველივე კი მდგრადი განვითარების პრინციპების დაცვისა და გათვალისწინების გარეშე წარმოუდგენელად და მიუღწეველადაც მიგვაჩნია.

სტატიაში განხილული PPP მოდელი, როგორც ერთ-ერთი წარმატებული და ეფექტური მდგრადი მართვის მოდელია, ვინაიდან ის საჯარო სექტორის პოლიტიკური თუ ფინანსური მხარდაჭერის პარალელურად აერთიანებს კერძო სექტორის ინოვაციურ მიდგომებსა და ხედვებს.

აქედან გამომდინარე, მდგრადი განვითარების მიზნები და პრინციპები, განიხილება როგორც მართვის პრაქტიკული ჩარჩო ბიზნეს სექტორისთვის, რადგანაც ის კორპორაციული პასუხისმგებლობისა და ეთიკური ღირებულებების ინტეგრირების გზით ორგანიზაციებს აძლევს მდგრადობის მიმართულებას. ამასთან, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) კონცეფცია, წარმოადგენს ბიზნესის ეთიკური მართვის მოდელს და ითვალისწინებს მდგრადი განვითარების მიზნებსა და პრინციპებს სამივე მიმართულებით. ხოლო ეთიკა განიხილება, როგორც კორპორაციული კულტურის ძირითადი ნაწილი, რომლის ფარგლებშიც მენეჯერები ითვალისწინებენ დადგენილ ნორმებს და კორპორაციულ ღირებულებებს. გარდა ამისა, ESG მოდელი კორპორაციებს სთავაზობს გრძელვადიანი სტაბილური განვითარების შესაძლებლობებს, და არ წარმოადგენს მხოლოდ პარტნიორობის ფარგლებში არსებულ ელემენტს, არამედ ეს არის პრაქტიკული მოდელი, ციფრებში გამოხატული კომპანიების შედეგები და მიღწევები, რაც ამარტივებს სამომავლო თანამშრომლობითი ხედვების ჩამოყალიბების პროცესს. აქედან გამომდინარე, ESG არის არა მხოლოდ ტრენდი, არამედ სტანდარტი, რომელიც განსაზღვრავს კორპორაციების გრძელვადიან წარმატებასა და მდგრადობას. ხოლო პარტნიორობა და ცოდნის გაზიარება, უმთავრესი წინაპირობაა მდგრადი განვითარებისა და თანამედროვე მართვის მოდელების სწორი ფორმირებისთვის.

## გამოყენებული ლიტერატურა

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი. (2022, 12 ივლისი). *მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალიზების საბაზისო კვლევა: ლოკალიზების პერსპექტივები საქართველოში.* თბილისი, საქართველო: ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი. https://idfi.ge/ge/baseline_study_of_the_localization_of_sustainable_development_goals_localization_perspectives_in_georgia

კაჭკაჭიშვილი, ზ. (2021). საქართველოში მდგრადი განვითარების პოლიტიკის განხორციელების გამოწვევები: საჯარო და კერძო სექტორის როლი. *საქართველოს განვითარების ჟურნალი 8*(3), 112-129.

საგარეო საქმეთა სამინისტრო. (2019). *ხედვა 2030 საქართველოს განვითარების სტრატეგია.* საქართველოს მთავრობა. https://www.gov.ge/files/428_85680_321942_khedva-2030-saqarthvelos-ganvitharebis-strategia-1.pdf

შიხაშვილი, გ. (2001). მდგრადი განვითარების თეორია ჰარმონიული ეკონომიკურ-ეკოლოგიური მართვის საფუძველი. *საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ბიულეტენი,* (51), 25.

ევროპული ინიციატივა – ლიბერალური აკადემია თბილისი. (2022). *თბილისის დემოკრატიის სკოლა: კურსის სახელმძღვანელო.* https://eecmd.org/wp-content/uploads/2022/10/2022_%E1%83%97%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98.pdf

Asian Development Bank. (2008). *Public-private partnership (PPP) handbook*.

Benedict, D. & Wood, J. (2018). The long-term impact of sustainable urban development projects in public-private partnerships. *Environmental Policy Review, 25*(4), 67-85.

CSR Europe. (2025). Corporate social responsibility in Europe. https://www.csreurope.org/

European Investment Bank. (2023). *Renewable energy investment strategies and public-private partnerships in the EU*. https://www.eib.org/en

Gladwin, T. N., Kennelly, J. J. & Krause, T.-S. (1995). Paradigms for sustainable development: Implications of management theory. Academy of Management Review, 20(4), 874–907. https://doi.org/10.5465/amr.1995.9512280024

Global Reporting Initiative (2025). GRI Standards. https://www.globalreporting.org/

https://dashboards.sdgindex.org/static/profiles/pdfs/SDR-2024-georgia.pdf

https://www.adb.org/ka/documents/public-private-partnership-ppp-handbook

https://www.imf.org/en/Countries/GEO

https://www.una.ge/archive?id=762

https://www.undp.org/sites/g/files/zskgke326/files/2023-04/undp-georgia-vet-labor-market-research-in-demand-vacations-eng.pdf

https://www.unglobalcompact.org

International Monetary Fund. (2024). *Georgia: 2024 Article IV consultation*.

International Organization for Standardization. (2010). ISO 26000: Guidance on social responsibility. https://www.iso.org/iso-26000-social-responsibility.html

Müller, F. (2020). Sustainable development and public-private partnerships: A comprehensive overview. *Sustainable Development Perspectives, 7*(4), 101-119.

National Statistics Office of Georgia. (2024). *Georgia's social and economic indicators*. https://www.geostat.ge

Nill, J. & Kemp, R. (2009). Evolutionary policies for sustainable development: Adaptive flexibility and risk minimising. *Ecological Economics, 68*(1-2), 218–230. https://doi.org/10.1016/j.ecolecon.2008.02.016

Organisation for Economic Co-operation and Development. (2011). OECD guidelines for multinational enterprises. https://www.oecd.org/corporate/mne/

Smith, A. & Johnson, L. (2022). Norway's renewable energy policy: The role of public-private partnerships in achieving sustainable goals. *Scandinavian Journal of Energy, 16*(3), 98-114.

Sustainability Accounting Standards Board. (n.d.). SASB standards. https://www.sasb.org/

Sustainable Development Goals Index. (2024). *Georgia country profile*.

Taylor, R., Williams, K. & Brown, T. (2019). Assessing the effectiveness of public-private partnerships in sustainable urban projects. *Global Urban Studies, 14*(2), 150-162.

UNICEF. მდგრადი განვითარების მიზნები. https://www.unicef.org/georgia/ka/%E1%83%9B%E1%83%93%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%93%E1%83%98-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98

United Nations Association of Georgia. (2021). *Sustainable development reports*.

United Nations Development Programme. (2023). *VET labor market research in Georgia*.

United Nations Global Compact & Accenture. (2023). *The 12th United Nations Global Compact-Accenture CEO Study*. https://www.unglobalcompact.org

United Nations Global Compact. (2000). The ten principles of the UN Global Compact.

United Nations PRME. (2007). *History of PRME*. https://www.unprme.org/history-of-prme

Walecka-Jankowska, K., Wasilewska, B. & Wasilewski, A. (2025). The Role of Social Initiatives in Shaping Sustainable Business Outcomes—Insights from Organizations Operating in Poland. Sustainability, 17(20), 9357. https://doi.org/10.3390/su17209357

Wang, N. (2020). Public-private partnership as a tool for sustainable development: What literatures say. *ResearchGate*. https://www.researchgate.net/profile/Nannan-Wang-6/publication/345735858

World Bank. (2023). Georgia Country Economic Memorandum: Chapter 5 - Labor Market and Skills.

World Bank. (2024). Georgia: Economic overview. https://www.worldbank.org/en/country/ georgia

# Sustainable Development and its Integration into Modern Management Paradigms

**Tamar Bitsadze**[1*]
**Nino Sachaleli**[2]
[1, 2] Grigol Robakidze University
***Corresponding author:** tamar.bitsadze@gruni.edu.ge

**Abstract.** The essence of this article is the study of sustainable development, the integration of its principles into modern management models, and the study of theoretical and practical aspects of this process. The article is based on the 1987 Brundtland Commission report ("Our Common Future") and the conceptual approach to sustainable development. The article focuses on the historical aspects of the development of management science, modern management models, and the current state of integration of sustainable development in Georgia. Official documents were used in the research process, including the UN Global Agenda for Sustainable Development, UN Global Compact and EU policy documents, OECD Sustainable Governance Framework, UNDP reports, and scientific studies. The article discusses corporate sustainability frameworks (CSR, ESG), data from the National Statistics Service of Georgia. The subject of the study is the integration of sustainable development into modern management paradigms, and the main task is to analyze modern models of corporate governance, present the current situation in Georgia, identify problems and develop recommendations to eliminate shortcomings. As a result of the study, it was determined that modern organizations, in order to successfully function, have to cope with current challenges and changes and implement management models that ensure their long-term existence and development opportunities. Adherence to the principles of sustainable development is important for the strategic goals of organizations and includes the rational use of exhaustible resources and existing capital. Integrating sustainable development also promotes cooperation between public and private companies, successful management, and achievement of the goals of the Georgia 2030 Strategy.

**Keywords:** sustainable development, modern management, corporate responsibility, responsible management

# ინფლაციის სტატისტიკური ანალიზი საქართველოში

**ირაკლი მაკალათია**
ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი
Irakli.makalatia@btu.edu.ge

**რეზიუმე.** სტატიაში მოცემული ინფლაციის სტატისტიკური ანალიზი წარმოადგენს ფასების სტატისტიკის კომპლექსურ შეფასებას. კვლევა ეფუძნება ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებს, რაც უზრუნველყოფს ანალიზის სიზუსტესა და სანდოობას. სტატიაში წარმოდგენილი ინფლაციის სტატისტიკური ანალიზი ეფუძნება საქართველოს ოფიციალურ მაკროეკონომიკურ მონაცემებს და მიზნად ისახავს 2015–2024 წლების ინფლაციური პროცესების სტრუქტურულ შეფასებას. კვლევაში გამოყენებულია ვარიაციული ანალიზი, ინფლაციის დროითი მწკრივების შეფასება, სტრუქტურული ანალიზი სამომხმარებლო ჯგუფების მიხედვით, რეალური და ნომინალური ხელფასების შედარებითი ანალიზი დეფლაციის მეთოდით, ასევე ინდივიდუალური სამომხმარებლო პროდუქტების ფასების საინდექსო ანალიზი მაღალი ცვალებადობის გასაზომად. კვლევის ფარგლებში გამოვლინდა, რომ ინფლაციის ტემპი ხასიათდება მაღალი ცვალებადობით, რაც მიუთითებს ეკონომიკური პოლიტიკის არასტაბილურობაზე და საგარეო ფაქტორების მნიშვნელოვან გავლენაზე. ნომინალური ხელფასების ზრდა ვერ ახერხებს ინფლაციის კომპენსირებას, რის შედეგადაც რეალური მყიდველუნარიანობა მნიშვნელოვნად მცირდება. ეს ტენდენცია განსაკუთრებით მწვავედ აისახება დაბალშემოსავლიან ჯგუფებზე, რომელთა ხარჯვის სტრუქტურა მეტად დამოკიდებულია პირველადი მოხმარების პროდუქტებზე.

**საკვანძო სიტყვები:** ინფლაცია საქართველოში, ლარის მყიდველუნარიანობა, რეალური ხელფასი, ინფლაციის სტრუქტურული ანალიზი

## შესავალი

თანამედროვე ეპოქაში ინფლაცია წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეკონომიკურ მაჩვენებელს, რომელიც ასახავს როგორც ქვეყნის მაკროეკონომიკური პროცესების შედეგს, ისე მოსახლეობის ცხოვრების ხარისხს. მისი სათანადო შეფასება და ანალიზი, ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის არსებით ნაწილს წარმოადგენს, რაც განსაკუთრებით აქტუალურია ისეთი განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა.

ინფლაცია გამოხატავს საქონლისა და მომსახურების ფასების საერთო დონის ზრდას დროის გარკვეულ პერიოდში. ინფლაციური პროცესი ნიშნავს, რომ ფულის მყიდველუნარიანობა მცირდება, შესაბამისად მოსახლეობის რეალური შემოსავლები იკლებს, თუ პარალელურად უფრო მაღალი ტემპით არ იზრდება ნომინალური ხელფასები და სოციალური დახმარებები. ამასთან, ინფლაცია არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სოციალური ფენომენია. იგი გავლენას ახდენს მოქალაქეების ყოველდღიურობაზე — სასურსათო თუ არასასურსათო პროდუქტების ფასებზე, საცხოვრებელ ხარჯებზე,

მომსახურების სერვისებზე, დანაზოგების ღირებულებაზე, ცხოვრების სტილზე და ა.შ. ამიტომაც, ინფლაცია საზოგადოებაში ხშირად აღიქმება არა როგორც აბსტრაქტული მაკროეკონომიკური ცნება, არამედ როგორც პირად და ოჯახურ ეკონომიკაზე პირდაპირ მოქმედი ფაქტორი.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საზოგადოების დამოკიდებულება ინფლაციის მიმართ. ბოლო წლების სოციოლოგიური კვლევები აჩვენებს, რომ ფასების ზრდა ტოპ 3 ეკონომიკურ პრობლემაში შედის. მოსახლეობის დიდი ნაწილი ფასების ზრდას არ უკავშირებს კომპლექსურ ეკონომიკურ ფაქტორებს, არამედ განიხილავს მას როგორც პოლიტიკის ხარვეზს. ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ, 2019 წლის ივლისის, NDI-ს საზოგადოების განწყობის კვლევის ერთ-ერთი შედეგი (NDI. July 2019), სადაც ვკითხულობთ, რომ კორელაციური ანალიზი ჩატარებული იყო ლარისა და დოლარის გაცვლით კურსსა და „ქვეყანა არასწორი მიმართულებით ვითარდება" პასუხებს შორის. სწორედ ამიტომ, ინფლაციის საკითხის შესწავლა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სტატისტიკური თვალსაზრისით, არამედ სოციალური აღქმისა და ეკონომიკური შედეგების კონტექსტში. ინფლაციის სტატისტიკური ანალიზი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ეკონომისტებისთვის, არამედ მოქალაქეებისთვის, რომლებმაც უკეთ უნდა გაიგონ, თუ როგორ მოქმედებს ინფლაცია მათი ცხოვრების დონეზე.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) 1992 წლიდან ახორციელებს სამომხმარებლო ფასების ინდექსის გაანგარიშებასა და შესაბამისად გვთავაზობს ინფლაციის მაჩვენებლებს. მოცემული ინფლაციის მაჩვენებლები გვიჩვენებენ საქართველოში სამომხმარებლო ფასების დონის ცვლილებებს. „სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონელი და მომსახურება შერჩეულია ეროვნული ანგარიშებისა და შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა საფუძველზე". საქსტატის მიერ სამომხმარებლო ფასების დონის კვლევა საერთაშორისო კლასიფიკატორის თანახმად მოიცავს 12 სასაქონლო ჯგუფს (საქსტატი, სამომხმარებლო ფასების ინდექსის გაანგარიშე-ბის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო).

სამომხმარებლო ფასების (ინფლაციის) გაანგარიშების საფუძველს წარმოადგენს სამომხმარებლო კალათა, რომელიც შედგება ქვეყანაში ყველაზე ხშირად მოხმარებადი საქონლისა და მომსახურებისაგან (2025 წლისათვის სამომხმარებლო კალათა მოიცავს 305 დასახელების საქონელსა და მომსახურებას). სამომხმარებლო ფასები საქართველოში გამოითვლება მისი 6 ქალაქის (თბილისი, თელავი, გორი, ქუთაისი, ბათუმი, ზუგდიდი) საშუალო ფასებით. შესაბამისად ექვსივე ქალაქისთვის გამოიყენება ერთი სამომხმარებლო კალათის შემადგენლობაში შემავალი საქონელი და მომსახურება (საქსტატი, ინფლაციის გაანგარიშების მეთოდოლოგიის შესახებ).

**კვლევის მიზანია** საქართველოს ინფლაციის დინამიკის, სტრუქტურული თავისებურებე-ბისა და მოსახლეობის მყიდველუნარიანობაზე მისი გავლენის რაოდენობრივი შეფასება, რათა გამოვლინდეს ინფლაციის სტაბილურობისა და ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანობის მაჩვენებლები.

მოცემული კვლევის მიზნების მისაღწევად განსაზღვრულია შემდეგი **ამოცანები:** ინფლაციის დინამიკის შეფასება 2015–2024 წლებში; ინფლაციის ვარიაციული მაჩვენებლე-ბის გამოთვლა; ინფლაციის სტრუქტურული ანალიზი სამომხმარებლო ჯგუფების მიხედვით; რეალური და ნომინალური ხელფასების შედარებითი ანალიზი; ლარის მყიდველუნარიანობის ცვლილების შეფასება; ინდივიდუალური პროდუქტების ფასების ინდექსების ანალიზი; პერსონალური და ოფიციალური ინფლაციის განსხვავების შეფასება.

**კვლევის მეთოდოლოგია** დაფუძნებულია რიცხვით მონაცემთა აღწერით და შედარებით ანალიზზე, რომელიც იყენებს საქსტატისა და საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური წყაროების მაკროეკონომიკურ სტატისტიკას. შესაბამისად, კვლევა ემყარება ობიექტურ, რაოდენობრივ მონაცემებს და მიზნად ისახავს ინფლაციის პროცესების კომპლექსურ შეფასებას.

## ლიტერატურის მიმოხილვა

***საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) მიერ გამოცემული პუბლიკაცია: „Consumer Price Index Manual: Theory and Practice"*** წარმოადგენს მნიშვნელოვან ავტორიტეტულ სახელმძღვა-ნელოს სამომხმარებლო ფასების ინდექსის (CPI) გაანგარიშებისა და გამოყენების შესახებ თეორიასა და პრაქტიკას. სახელმძღვანელო მკაფიოდ მიუთითებს CPI-ის როლს ეკონომიკურ და სოციალურ პოლიტიკაში, რადგან იგი გავლენას ახდენს მთავრობის გადაწყვეტილებებზე, ბიზნესის სტრატეგიებსა და მოსახლეობის კეთილდღეობაზე. პუბლიკაცია დეტალურად აღწერს რეკომენდებულ სტატისტიკურ მეთოდებს, რომლებიც გამოიყენება CPI-ის შედგენისას: ფასების შეგროვების პროცედურები, საცნობარო პერიოდის განსაზღვრა, ხარჯების წილების გათვალისწინება და ინდექსის აგების სხვადასხვა ფორმულა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა თეორიულ საფუძვლებს, როგორიცაა ხარჯების სტრუქტურა, ფასების ცვლილების გაზომვის სიზუსტე და ინდექსის გამოყენების შედეგები. შესაბამისად, აღნიშნული პუბლიკაცია წარმოადგენს მნიშვნელოვან წყაროს როგორც მკვლევრებისთვის, ისე პრაქტიკოსებისთვის, რომლებიც CPI-ის მეთოდოლოგიას სწავლობენ ან პრაქტიკაში იყენებენ.

**ვახტანგ ჭარაიასა და ვლადიმერ პაპავას სტატიაში *„On Supply-Side Inflation and Some Unconventional Indicators for Measuring Inflation"*** განხილულია ტრადიციული მონეტარული ინსტრუმენტები, რომელთაც ცენტრალური ბანკები იყენებენ მოთხოვნის მხარეს წარმოქმნილი ინფლაციის დასარეგულირებლად, პრაქტიკულად უძლურია მიწოდების ჯაჭვების გლობალური რღვევის პირობებში. სტატიაში ავტორები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ იმ ფაქტს, რომ ინფლაციის კლასიკური ინდექსები ხშირად ვერ ასახავს კრიზისის რეალურ მასშტაბებს, განსაკუთრებით იმპორტზე დამოკიდებულ ქვეყნებში. სწორედ ამიტომ, ავტორები გვთავაზობენ არატრადიციულ ინდიკატორებს: Agflation – აგრარული პროდუქტების ფასების ინდექსი, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განვითარებადი ეკონომიკებისთვის; ***Imflation*** – იმპორტზე დამოკიდებუ-ლი ინფლაციის მაჩვენებელი; ***Munflation*** – საკვები, მედიკამენტებისა და კომუნალური

მომსახურების ფასების ინდექსი, რომელიც უკეთ ასახავს მოსახლეობის სოციალური გამოწვევებს (*Charaia & Papava, 2022; 2023).*

ინფლაციის თანამედროვე გამოწვევების გასაგებად საჭიროა კომპლექსური მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს როგორც მიწოდების მხარესთან დაკავშირებულ ფაქტორებს, ისე ალტერნატიული ინდიკატორების გამოყენებას. ეს ხელს უწყობს უფრო ადეკვატური ანტიინფლაციური პოლიტიკის შემუშავებას, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც ეკონომიკა იმპორტზეა დამოკიდებული და მოსახლეობის ძირითადი ხარჯები საკვებსა და კომუნალურ მომსახურებაზე მოდის. ***აზერ დილანჩიევის, ალიგულ აღაევის, ჰასანურ რაჰმანის, ჯანნათულ ფერდაუსისა და არაზ ბაღირლის სტატიის „Dynamic Analysis for Measuring the Impact of Remittance Inflows on Inflation: Evidence from Georgia"***, ანალიზი ასევე ეხება საქართველოს, როგორც მცირე და ამავე დროს იმპორტზე დამოკიდებულ ეკონომიკას, სადაც უცხოეთიდან ფულად გზავნილებს დიდი გავლენა აქვს საქართველოს ინფლაციის დონეზე, მიღებული შედეგები კი მნიშვნელოვანია როგორც **მონეტარული პოლიტიკის,** ისე **ფისკალური სტრატეგიების** შემუშავებისთვის. სტატიას ასევე ღირებულს ხდის **თეორიული რეგრესიის განტოლების შედგენა,** რომელიც მკითხველს აჩვენებს მოდელის ლოგიკას და არა მხოლოდ შედეგების აღწერას (*Dilanchiev, et al., 2021*).

***გიორგი აბუსელიძის სტატიაში „Modern Challenges of Monetary Policy Strategies: Inflation and Devaluation Influence on Economic Development of the Country"*** განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა **მონეტარული პოლიტიკის სტრატეგიების ადაპტაციას** გლობალური ეკონომიკური პროცესების ფონზე. აბუსელიძე მიუთითებს, რომ ინფლაციის მართვა მხოლოდ ტრადიციული ინსტრუმენტებით საკმარისი არ არის; საჭიროა კომპლექსური მიდგომა, რომელიც მოიცავს ფისკალურ პოლიტიკასთან კოორდინაციას, სტრუქტურულ რეფორმებს და საერთაშორისო ფინანსურ ურთიერთობებს. ავტორი ხაზს უსვამს, რომ ინფლაცია განვითარებადი ეკონომიკების მქონე ქვეყნებში ქმნის სერიოზულ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს, რომლებიც პირდაპირ აისახება მოსახლეობის კეთილდღეობასა და ბიზნესის გარემოზე (Abuselidze, 2019).

## ინფლაციის დინამიკა და მისი გავლენა რეალურ ხელფასებზე

ცხრილ 1-ში მოცემულია ინფლაციის ბოლო 10 წლის მაჩვენებლები, სადაც ვხედავთ, რომ ინფლაციის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2021 წელს დაფიქსირდა, ხოლო სარეკორდოდ მცირე ინფლაცია 2023 წელს იყო. აღსანიშნავია, რომ წლიდან წლამდე ინფლაციის მაჩვენებლები საკმაოდ მაღალი ცვალებადობით ხასიათდება და არ გვაქვს დინამიკაში სტაბილური მდგომარეობა. მოცემული მონაცემების საფუძველზე დავითვალეთ შერჩევის სტანდარტული გადახრა (s), რომელმაც შეადგინა 4.3%. რაც ნიშნავს, რომ 2015-2024 წლებში ინფლაციის ტემპი საშუალოდ 4.3%-ით იცვლება.

ცხრილი 1.

**ინფლაციის დონე საქართველოში (%), 2015-2024 წლებში**

*(საქსტატი, სამომხმარებლო ფასების ინდექსი)*

| | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 | 2023 | 2024 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დეკემბერი წინა წლის დეკემბერთან | 4.9 | 1.8 | 6.7 | 1.5 | 7.0 | 2.4 | 13.9 | 9.8 | 0.4 | 1.9 |

2024 წელს საქართველოში ინფლაციამ 1.9% შეადგინა, რაც ეროვნული ბანკის ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებელზე (3.0%) დაბალია (საქართველოს ეროვნული ბანკი, ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი). მიუხედავად ამ წლის დაბალი მაჩვენებლისა, როგორც წესი მოსახლეობა ინფლაციას უფრო მაღალ პროცენტად აღიქვამს, ვიდრე ეს ოფიციალური სტატისტიკით არის მოცემული. ეს შეიძლება შემდეგი მიზეზებით ავხსნათ:

1. 2024 წლის 1.9%-იანი ინფლაცია ნიშნავს, რომ სამომხმარებლო კალათაში შემავალ 305 დასახელების საქონელსა და მომსახურებაზე, ფასები საშუალოდ 1.9%-ით გაიზარდა და არა კონკრეტულად ერთ პროდუქტზე (მაგალითად პურზე), თუ სტრუქტურულად ჩავყვებით ვნახავთ, რომ ჯგუფების მიხედვით ინფლაცია განსხვავებულია. (ცხრილი 2) კიდევ უფრო მეტ განსხვავებას გვაძლევს ინდივიდუალური პროდუქტების ფასების ცვლილებები, ამიტომაც პერსონალური ინფლაცია მნიშვნელოვნად განსხვავდება ინფლაციის ზოგად მაჩვენებელზე. როგორც წესი, სასურსათო კალათას უფრო მაღალი ინფლაცია ახასიათებს, ვიდრე ინფლაციის ზოგად მაჩვენებელს, ასევე რაც უფრო დაბალ შემოსავლიანია მოქალაქე, ის უფრო მეტად აღიქვამს და განიცდის ფასების ზრდას, მითუმეტეს, რომ იმ პირველადი მოხმარების პროდუქტებს, რასაც შეიძენს, ფასების ზრდის ზევრად მაღალი ტენდენცია ახასიათებს.
2. მეორე მიზეზი ეს შეიძლება იყოს შერჩევითი დაკვირვების შედეგი, ვინაიდან სამომხმარებლო კალათაში შემავალი ყველაზე მეტად მოხმარებადი პროდუქტების ფასების აღება ხდება 6 ქალაქის ძირითადი ზაზრებიდან. ამიტომ, შეიძლება მოქალაქე საერთოდ სხვა ქალაქში, სხვა ბაზარზე თუ სხვა ბრენდის პროდუქტს შეიძენს, ვიდრე ამას საქსტატი ახორციელებს.
3. მოსახლეობა არ ადარებს მხოლოდ ერთი წლის ინფლაციის მაჩვენებელს, ის რამდენიმე წლიანი გამოცდილებით საუბრობს და გრძელვადიან დინამიკაში აკეთებს შედარებას, ამიტომაც ინფლაციის მაჩვენებლების განხილვა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ერთ წლიან ჭრილში, არამედ გრძელვადიან დინამიკაში.

ცხრილ 2-ში მოცემულია ინფლაციის მაჩვენებლები 10 წლიან ჭრილში. საბაზისოდ აღებულია 2015 წელი, ხოლო ყოველი მომდევნო წელი შედარებულია 2015 წელთან. თუ დავაკვირდებით წლების განმავლობაში ინფლაციის ტემპის ცვლილებას, მკვეთრი ზრდა სახეზეა. ასე მაგალითად, 2024 წელს თუ წლიური ინფლაცია (2023 წელთან შედარებით) 1.9% იყო, 2024 წელს 2015 წელთან შედარებით ფასების საერთო დონე 54.6%-ით არის

გაზრდილი. რაც შეეხება ინფლაციიდან გამომდინარე ლარის მყიდველუნარიანობას, 2024 წელს 2015 წელთან შედარებით მყიდველუნარიანობა 35.3%-ით (1/სფი*100) არის შემცირებული. ანუ, 2024 წელს 2015 წელთან შედარებით იგივე თანხად მოსახლეობა 35.3%-ით ნაკლებ პროდუქტსა და მომსახურებას შეიძენს. ეს პირობა ვრცელდება სამომხმარებლო კალათაში შემავალ ყველა პროდუქტსა და მომსახურებაზე საშუალოდ და ცხადია ცალკეული პროდუქტების მიმართ ეს მაჩვენებელი განსხვავებულია.

საქართველოში, როცა განიხილავენ მომსახურების სფეროს რეგულირებით ფასის ხელოვნურად ზრდაზე იმ მოტივით, რომ ევროპის განვითარებულ ქვეყნებშიც მსგავსი ტარიფებია, არის არასწორი მიდგომა. ქვეყნებში სადაც მომსახურების სფეროებში მაღალი ფასებია, იქ მომსახურებაც მაღალი ხარისხისაა და მოსახლეობის ცხოვრების დონეც. მოსახლეობის მყიდველუნარიანობა მაღალია და შეუძლია ამ ძვირი სერვისის ყიდვა განსხვავებით საქართველოსგან, სადაც მომსახურების ფასის ხელოვნურად ზრდის ფონზე, დაბალია შემოსავლები და ცხოვრების დონე, შესაბამისად მოსახლეობა დაბალმყიდველ-უნარიანია გაძვირებული სერვისების მიმართ.

ცხრილი 2.

**ინფლაციის მაჩვენებლები 2015 წელთან შედარებით**

*(ავტორის გამოთვლები)*

| | 2016 | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 | 2023 | 2024 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ყოველი წლის დეკემბერი, 2015 წლის დეკემბერთან | 1.8 | 8.6 | 10.3 | 18.0 | 20.8 | 37.6 | 51.1 | 61.7 | 54.6 |

დიაგრამა 1-ში განვიხილავთ, თუ როგორ შეიცვალა ლარის მყიდველუნარიანობა და რა გავლენა მოახდინა ინფლაციამ მოსახლეობის ხელფასზე. შესაფასებლად ვიყენებთ რეალურ ხელფასს, რომელიც ნომინალური ხელფასის ინფლაციით კორექტირებული მაჩვენებელია და ასახავს იმ რეალურ მყიდველუნარიანობას, რაც ადამიანს აქვს კონკრეტულ პერიოდში. საზოგადოებაში ხშირია უკმაყოფილება საშუალო ხელფასისა და მისი დათვლის მეთოდოლოგიის შესახებ. ცხადია, დაქირავებით დასაქმებულთა უმეტესობის ხელფასები მკვეთრად ჩამორჩება საშუალო ხელფასს, არ განვიხილავთ მეთოდოლოგიას ამ ეტაპზე, აქ აქცენტი ინფლაციის გავლენაზე კეთდება.

რეალური ხელფასის გამოთვლები ეკუთვნის ავტორს, რომელიც გამოთვლილია შემდეგი ფორმულით: $\mathrm{w_r} = \frac{\mathrm{w_n}}{\mathrm{CPI}} * 100$ *სადაც; $w_r$ – არის რეალური ხელფასი, $w_n$*- არის ნომინალური ხელფასი, ხოლო CPI - არის სამომხმარებლო ფასების ინდექსი.

დიაგრამა 1-ში ვხედავთ, რომ დინამიკაში როგორც ნომინალური, ისე რეალური ხელფასები იზრდება, თუმცა მაღალი ინფლაციის გავლენით, რეალური ხელფასების ზრდა მკვეთრად ჩამორჩება ნომინალური მაჩვენებლის ზრდას. ასე მაგალითად, 2024 წელს ნომინალური ხელფასი შეადგენდა 2058.7 ლარს, ხოლო რეალური ხელფასი, ანუ 2015 წლის მუდმივ

ფასებში 1331.6 ლარს. შესაბამისად, სხვაობა ნომინალურსა და რეალურ ხელფასს შორის არის 727.1 ლარი (2058.7-1331.6), რაც ნიშნავს, რომ მხოლოდ ინფლაციის გავლენით ნომინალური ხელფასი 727.1 ლარით არის გაზრდილი.

დიაგრამა 1.

**ნომინალური და რეალური ხელფასი (ლარი) საქართველოში, 2015-2024 წლებში (2015 წლის მუდმივ ფასებში)** *(ავტორის გამოთვლები)*




2024 წელს ინფლაციამ 1.9% შეადგინა, რაც შედარებით დაბალი მაჩვენებელია წინა წლებთან შედარებით. თუმცა, თუ სტრუქტურულად ჩავყვებით მონაცემებს, ვნახავთ, რომ ინფლაცია არ არის ერთგვაროვანი და მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვადასხვა სამომხმარებლო ჯგუფის მიხედვით. ეს განსხვავება ასახავს როგორც ბაზრის შიდა დინამიკას, ასევე გლობალურ ეკონომიკურ პროცესებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფასების ცვლილებაზე.

ცხრილ 3-ში წარმოდგენილია ინფლაციის მაჩვენებლები 12 ძირითადი მოხმარების ჯგუფის მიხედვით. როგორც ჩანს, ყველაზე მაღალი ინფლაცია დაფიქსირდა სასტუმროების, კაფეების და რესტორნების კატეგორიაში — 7.7%. ეს შესაძლოა ასახავდეს მომსახურების სექტორში გაზრდილ მოთხოვნას, ტურიზმის აღდგენას და მომსახურების ფასების ზრდას. ასევე, მნიშვნელოვანი ზრდა შეინიშნებოდა ალკოჰოლური სასმელებისა და თამბაქოს (5.9%) და განათლების (5.1%) ჯგუფებში, რაც შესაძლოა დაკავშირებული იყოს რეგულაციებთან, საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარჯების ზრდასთან ან სხვა სტრუქტურულ ფაქტორებთან. მეორე მხრივ, რამდენიმე ჯგუფში დაფიქსირდა ფასების კლება. განსაკუთრებით თვალშისაცემია კავშირგაბმულობის კატეგორია, სადაც ინფლაცია - 12.7% იყო. ასევე დეფლაცია დაფიქსირდა საცხოვრებელი სახლის, წყლის, ელექტრო-ენერგიის, აირის და სათბობის სხვა სახეების (-3.2%), ტანსაცმლის და ფეხსაცმლის (-.2%) და ტრანსპორტის (-1.4%) ჯგუფებში. ეს მონაცემები მიუთითებს, რომ ზოგიერთ სექტორში ფასების შემცირება შესაძლოა იყოს დროებითი ან სტრუქტურული ცვლილებების შედეგი.

ცხრილი 3.

**ინფლაცია ჯგუფების მიხედვით, 2024 წელი**

*(საქსტატი, ფასების სტატისტიკა პროდუქტების ჯგუფების მიხედვით)*

| # | ჯგუფები | ინფლაცია |
|---|---|---|
| 1 | სურსათი და უალკოჰოლო სასმელები | 3.6% |
| 2 | ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო | 5.9% |
| 3 | ტანსაცმელი და ფეხსაცმელი | -1.2% |
| 4 | საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები | -3.2% |
| 5 | ავეჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება | 1.1% |
| 6 | ჯანმრთელობის დაცვა | 3.7% |
| 7 | ტრანსპორტი | -1.4% |
| 8 | კავშირგაბმულობა | -12.7% |
| 9 | დასვენება, გართობა და კულტურა | -0.1% |
| 10 | განათლება | 5.1% |
| 11 | სასტუმროები, კაფეები და რესტორნები | 7.7% |
| 12 | სხვადასხვა საქონელი და მომსახურება | 6.4% |
| | ინფლაცია, სულ | 1.9% |

ცხრილ 4-ში წარმოდგენილია 2024 წლის სამომხმარებლო კალათის წონები, რაც გვაძლევს მნიშვნელოვან ინფორმაციას საქართველოს მოსახლეობის ხარჯვის სტრუქტურისა და პრიორიტეტების შესახებ. ყველაზე დიდი წილი სამომხმარებლო კალათაში უჭირავს სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებს (33.39%), კონკრეტულად სურსათს კი 30.44%, რაც მიუთითებს, რომ საშუალო სტატისტიკური საქართველოს მოქალაქე საკუთარი შემოსავლების თითქმის 1/3-ს სურსათის შეძენაზე ხარჯავს, რაც მაღალი მაჩვენებელია. ანალოგიური მაჩვენებელი ევროპის განვითარებულ ქვეყნებში 10%-ის ფარგლებში მერყეობს. ასევე, რაც უფრო მაღალია სურსათის შეძენაზე გაწეული ხარჯების ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში, მით უფრო დაბალია მოსახლეობის ცხოვრების დონე, რადგან განათლების, დასვენების თუ სხვა მნიშვნელოვანი ხარჯები სურსათზე გაწეული ხარჯების პროპორციულად მცირდება, როგორც აბსოლუტური ასევე წილობრივი მნიშვნელობებით.

ცხრილი 4.

**სამომხმარებლო კალათის წონები, 2024 წელი**

*(საქსტატი, სამომხმარებლო კალათის წონები პროდუქტების ჯგუფების მიხედვით)*

| # | ჯგუფები | წონები (%) |
|---|---|---|
| 1 | სურსათი და უალკოჰოლო სასმელები | 33.39% |
| 2 | ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო | 6.76% |
| 3 | ტანსაცმელი და ფეხსაცმელი | 3.99% |
| 4 | საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები | 8.75% |
| 5 | ავეჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება | 5.46% |
| 6 | ჯანმრთელობის დაცვა | 9.39% |
| 7 | ტრანსპორტი | 12.05% |
| 8 | კავშირგაბმულობა | 3.70% |
| 9 | დასვენება, გართობა და კულტურა | 3.34% |
| 10 | განათლება | 4.65% |
| 11 | სასტუმროები, კაფეები და რესტორნები | 3.30% |
| 12 | სხვადასხვა საქონელი და მომსახურება | 5.25% |

სამომხმარებლო კალათის წონებით მეორე ადგილზეა ტრანსპორტი (12.05%), ხოლო მესამეზე ჯანმრთელობის დაცვა (9.39%), რაც მოსახლეობის ხარჯვის სტრუქტურაში ამ ჯგუფების მნიშვნელობაზე მიუთითებს. ამიტომ საინტერესო იქნება, თუ ავაგებთ რეგრესიულ განტოლებას და შევაფასებთ ინფლაციაზე ამ ჯგუფების გავლენას.

ცხრილი 5.

**სამომხმარებლოს ფასების ინდექსები ჯგუფების მიხედვით, 2024 წ. თვეების მიხედვით**

*(საქსტატი, ფასების სტატისტიკა პროდუქტების ჯგუფების მიხედვით)*

| 2024 წელი | სამომხმარებლო ფასების ინდექსი (ინფლაცია) | სურსათი და უალკოჰოლო სასმელები | ტრანსპორტი | ჯანმრთელობის დაცვა |
|---|---|---|---|---|
| I | 100.0 | 97.6 | 104.3 | 96.7 |
| II | 100.3 | 96.5 | 104.8 | 102.5 |
| III | 100.5 | 96.6 | 108.1 | 101.2 |
| IV | 101.5 | 98.6 | 111.0 | 100.3 |
| V | 102.0 | 100.7 | 112.3 | 100.0 |
| VI | 102.2 | 101.9 | 111.0 | 99.8 |
| VII | 101.8 | 101.4 | 109.4 | 100.1 |
| VIII | 101.0 | 99.8 | 107.4 | 101.1 |
| IX | 100.6 | 99.7 | 104.3 | 100.6 |
| X | 100.3 | 100.4 | 99.2 | 100.3 |
| XI | 101.3 | 103.1 | 97.9 | 102.1 |
| XII | 101.9 | 103.6 | 98.6 | 103.7 |

რეგრესიულ განტოლებას ვაგებთ ცხრილი 5-ის მაჩვენებლების საფუძველზე, სადაც დამოკიდებულ ცვლადად გვაქვს სამომხმარებლო ფასები, ხოლო 3 დამოუკიდებელი ცვლადია: სურსათი და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფი, ტრანსპორტის ჯგუფი და ჯანმრთელობის დაცვის ჯგუფი.

ცხრილი 6.

**რეგრესიულ ანალიზში t-ტესტის შედეგები**

*(ავტორის გამოთვლები, Excel, Data Analysis)*

| | Coefficients | Standard Error | t Stat | P-value | Lower 95% | Upper 95% |
|---|---|---|---|---|---|---|
| Intercept | 49.76855805 | 5.02408044 | 9.906003425 | 9.10788E-06 | 38.18301 | 61.35411 |
| სურსათი და უალკოჰოლო სასმ | 0.280290772 | 0.02775293 | 10.09950199 | ***7.88298E-06*** | 0.216292 | 0.344289 |
| ტრანსპორტი | 0.113653725 | 0.013148041 | 8.644156891 | ***2.49045E-05*** | 0.083334 | 0.143973 |
| ჯანმრთელობის დაცვა | 0.112288892 | 0.038694612 | 2.901925765 | ***0.019833055*** | 0.023059 | 0.201519 |

მოცემული რეგრესიული ანალიზის ცხრილი გვიჩვენებს დამოუკიდებელი ცვლადების გავლენას დამოკიდებულ ცვლადზე. ანალიზისთვის ვიყენებთ t-სტატისტიკისთვის p-პროცენტულ მნიშვნელობებს და 95% ნდობის ინტერვალებს. მიღებული შედეგები მიუთითებს, რომ სამივე დამოუკიდებელი ცვლადი სტატისტიკურად მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული დამოკიდებულ ცვლადთან, რადგან ყველა მათგანის p-მნიშვნელობები ნაკლებია 0.05-ის მნიშვნელობის დონეზე. ყველაზე ძლიერი გავლენა აქვს სურსათი და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფს (P-value ≈0.00000788298), რასაც მოყვება ტრანსპორტისა (P-value ≈0.00000788298) და ჯანმრთელობის დაცვის ჯგუფი (P-value ≈0.00000788298). ცხრილ 7-ში მოცემული გვაქვს რეგრესიულ მოდელში ცვლადებს შორის კავშირის ხარისხის შეფასების ძირითადი მაჩვენებლები, სადაც კორელაციის კოეფიციენტმა შეადგინა 0.97 (Multiple R) რაც დამოუკიდებელ და დამოკიდებულ ცვლადებს შორის ძლიერ კავშირზე მიუთითებს, კორექტირებულმა მრავლობითი დეტერმინაციის კოეფიციენტმა შეადგინა 0.93 (Adjusted R Square), რაც გვიჩვენებს, რომ დამოუკიდებელი ცვლადების ზრდა 93%-ით ახდენს გავლენას დამოკიდებული ცვლადის ზრდაზე. ხოლო დაბალი სტანდარტული შეცდომა (Standard Error) მიუთითებს პროგნოზის სიზუსტეზე. ეს შედეგები ადასტურებს, რომ რეგრესიული მოდელი სწორად აღწერს დამოკიდებულ ცვლადსა და დამოუკიდებელ ცვლადებს შორის კავშირს და გამართლებულია მისი გამოყენება ეკონომიკურ ანალიზსა და პროგნოზირებაში. განტოლებას კი ექნება შემდეგი სახე: $\hat{y}$=49.8+0.28$x_1$+0.11$x_2$+0.11$x_3$

განტოლების პარამეტრების ($b_1$;$b_2$;$b_3$) ინტერპრეტაცია შემდეგია: სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფში ფასების ყოველი ერთი პროცენტით ზრდა 0.28%-ით გაზრდის ინფლაციის საერთო დონეს, ხოლო როგორც ტრანსპორტის, ისე ჯანმრთელობის დაცვის ჯგუფში, ფასების ყოველი ერთი პროცენტით ზრდა, 0.11%-ით აისახება ინფლაციაზე. როგორც t-ტესტის ანალიზმა გვაჩვენა, აღნიშნული განტოლებიდანაც ნათლად ჩანს, რომ ინფლაციაზე ყველაზე ძლიერი გავლენა აქვს სურსათი და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფს. საქართველოს რეალობაში, სასურსათო ჯგუფში პროდუქტებზე

ფასების ცვლილებები მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ინფლაციის საერთო დონის ცვლილებას.

ცხრილი 7.

**რეგრესიულ მოდელში ცვლადებს შორის კავშირის ხარისხის შეფასების ძირითადი მაჩვენებლები**

*(ავტორის გამოთვლები, Excel, Data Analysis)*

| *Regression Statistics* | |
|---|---|
| Multiple R | 0.974950187 |
| R Square | 0.950527868 |
| Adjusted R Square | 0.931975819 |
| Standard Error | 0.198144535 |
| Observations | 12 |

მიუხედავად იმისა, რომ ინფლაციის საერთო მაჩვენებელი 1.9%-ია, ჯგუფების მიხედვით განსხვავებული ტენდენციები გვიჩვენებს, რომ ეკონომიკური პროცესები არ არის ერთგვაროვანი. ეს ანალიზი მნიშვნელოვანია როგორც პოლიტიკის შემუშავებისთვის, ისე ბიზნესის სტრატეგიული დაგეგმვისთვის. ინფლაციის სტრუქტურული დინამიკა გვაძლევს ღრმა წარმოდგენას იმაზე, თუ როგორ იცვლება ფასები სხვადასხვა სექტორში და როგორ შეიძლება ამ ცვლილებებმა იმოქმედოს მოსახლეობის რეალურ შემოსავალზე.

## 2024 წელს ყველაზე მეტად გაძვირებული პროდუქტების Top10

სტატიაში განხილულია ინფლაციის საერთო მაჩვენებელი, ასევე ინფლაციის დინამიკა ცალკეული ჯგუფების მიხედვით. ანალიზმა აჩვენა, რომ ჯგუფების მიხედვით ინფლაციის დონე მნიშვნელოვნად განსხვავდება საერთო მაჩვენებლისგან. ინდივიდუალური პროდუქტების შემთხვევაში ეს განსხვავება კიდევ უფრო თვალსაჩინოა. განვიხილოთ 2024 წლის დეკემბერში ყველაზე მეტად გაძვირებული და გაიაფებული პროდუქტები. ცხრილ 7-ში წარმოგიდგენთ ტოპ 10 პროდუქტს, რომლებზეც ყველაზე მეტად გაიზარდა ფასები 2024 წლის დეკემბერში (წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, საქსტატის მონაცემებით).

მწვანილი აღმოჩნდა ყველაზე მეტად გაძვირებული პროდუქტი, რომლის ფასმა წინა წლის დეკემბერთან შედარებით 117.53%-ით მოიმატა. ეს შესაძლოა აიხსნას სეზონურობით, მიწოდების პრობლემებით, რომლებიც გავლენას ახდენენ მოსავლიანობაზე. ნიორი, ბადრიჯანი და მწვანე ლობიო ასევე აჩვენებენ მნიშვნელოვან ზრდას, რაც მიუთითებს ბოსტნეულის კატეგორიაში ფასების ზოგად მატებაზე. საინტერესოა, რომ ქორწინების ოქროს ბეჭედი მოხვდა ტოპ 10-ში, რაც შესაძლოა ასახავდეს როგორც ოქროს ფასის გლობალურ ზრდას, ასევე ადგილობრივ მოთხოვნის ცვლილებას.

თვითმფრინავით მგზავრობის გაძვირება 23.39%-ით შეიძლება დაკავშირებული იყოს საწვავის ფასის ცვლილებასთან, საერთაშორისო ტარიფების ზრდასთან ან ტურიზმის სეზონურ აქტივობასთან. 2024 წლის დეკემბრის მონაცემები აჩვენებს, რომ ფასების ზრდა

ყველაზე მეტად შეეხო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს, რაც შესაძლოა მიუთითებდეს აგრარული სექტორის გამოწვევებზე. ამასთან, არა მარტო საკვები, არამედ მომსახურების და ძვირფასი ლითონების კატეგორიებიც განიცდიან ფასების მნიშვნელოვან ცვლილებას.

ცხრილი 8.

**ტოპ 10 პროდუქტი, რომლებზეც ყველაზე მეტად გაიზარდა ფასები 2024 წლის დეკემბერში** *(საქსტატი, ინდივიდუალური ინდექსები)*

| # | დასახელება | ფასის ზრდა (%) |
|---|---|---|
| 1 | მწვანილი | 117.53% |
| 2 | ნიორი | 46.27% |
| 3 | ბადრიჯანი | 45.59% |
| 4 | მწვანე ლობიო | 43.78% |
| 5 | პომიდორი | 31.22% |
| 6 | კივი | 28.78% |
| 7 | ქორწინების 958 სინჯის ოქროს ბეჭედი | 28.35% |
| 8 | კომბოსტო | 25.99% |
| 9 | თვითმფრინავით მგზავრობა | 23.39% |
| 10 | კიტრი | 21.21% |

ცხრილ 9-ში მოცემულია იმ პროდუქტების ტოპ 10, რომლებზეც 2024 წლის დეკემბერში დაფიქსირდა ყველაზე დიდი ფასების შემცირება წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, საქსტატის მონაცემების საფუძველზე. ფასების შემცირება შეეხო როგორც მომსახურების, ისე სასურსათო და არასასურსათო პროდუქციის კატეგორიებს. თუმცა, პროდუქტების განსხვავებული ბუნებიდან გამომდინარე, მათი ერთიანი ანალიზი რთულია, ვინაიდან თითოეული კატეგორია განსხვავებულ ბაზრულ მექანიზმებსა და ფასების ფორმირების ფაქტორებს ექვემდებარება.

ცხრილი 9.

**ტოპ 10 პროდუქტი, რომლებზეც ყველაზე მეტად შემცირდა ფასები 2024 წლის დეკემბერში** *(საქსტატი, ინდივიდუალური ინდექსები).*

| # | დასახელება | ფასის კლება (%) |
|---|---|---|
| 1 | ინტერნეტის გადასახდელი | -39.90% |
| 2 | ანტიბიოტიკები | -25.76% |
| 3 | საზამთრო | -14.39% |
| 4 | სიმინდის ფქვილი | -13.99% |
| 5 | კარტოფილი | -13.89% |
| 6 | ელექტროენერგიის გადასახდელი | -13.20% |
| 7 | შპალერი | -12.93% |
| 8 | დიზელის საწვავი | -11.63% |
| 9 | ატამი | -11.61% |
| 10 | ბავშვის კოლგოტი | -11.27% |

ცხრილ 9-ში სტრუქტურული ინფლაციის ანალიზმა აჩვენა, რომ ფასების ცვლილება არაერთგვაროვანია სხვადასხვა სამომხმარებლო კატეგორიაში. გრძელვადიანი ტენდენციების შეფასებით, 2015 წელთან შედარებით, 2024 წელს ფასების საერთო დონე 54.6%-ით გაიზარდა, ხოლო ლარის მყიდველუნარიანობა 35.3%-ით შემცირდა. ეს ცვლილებები საჭიროებს სტრუქტურულ რეფორმებს, მონეტარული პოლიტიკის გადახედვას და სოციალური დაცვის მექანიზმების გაძლიერებას.

ინფლაციის ზოგადი მაჩვენებელი არსებითად განსხვავდება პერსონალური ინფლაციისგან, ვინაიდან თითოეული მოქალაქის სამომხმარებლო ქცევა და ხარჯვის სტრუქტურა ინდივიდუალურია. სამომხმარებლო კალათა, რომელიც გამოიყენება ინფლაციის საერთო მაჩვენებლის განსასაზღვრად, ვერ ასახავს სრულად კონკრეტული პირის რეალურ ხარჯებსა და ფასების ცვლილების გავლენას მის ფინანსურ მდგომარეობაზე, შესაბამისად ინფლაციის მაჩვენებელი არის ზოგადი და მხოლოდ ამ ერთი მაჩვენებლით არ უნდა მოხდეს ანალიზი.

ინფლაციის ანალიზი მხოლოდ ერთიანი მაჩვენებლის საფუძველზე არ არის საკმარისი. ამას ადასტურებს ინფლაციის დინამიკა სასაქონლო ჯგუფების მიხედვით, სადაც ფასების ცვლილებები ხშირად აღემატება საერთო ინფლაციის ტემპს. ამ განსხვავებების კიდევ უფრო მკაფიო გამოხატულება შეინიშნება ინდივიდუალური პროდუქტების ფასების ცვლილების შეფასებისას, რაც მიუთითებს იმაზე, რომ პერსონალურმა ინფლაციამ შესაძლოა მნიშვნელოვნად გადააჭარბოს ოფიციალურ სტატისტიკურ მაჩვენებლებს.

## დასკვნა

ინფლაცია საქართველოში წარმოადგენს არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ სოციალურ გამოწვევას. მისი მართვა საჭიროებს ინტეგრირებულ მიდგომას, რომელიც აერთიანებს სტატისტიკურ ანალიზს, ეკონომიკურ პოლიტიკას და სოციალური დაცვის მექანიზმებს. მხოლოდ ამ გზით იქნება შესაძლებელი ინფლაციის სტაბილიზაცია და მოსახლეობის კეთილდღეობის შენარჩუნება გრძელვადიან პერსპექტივაში.

2015-2024 წლებში ინფლაციის მაჩვენებლები ხასიათდება მაღალი ცვალებადობით, რაც მიუთითებს ეკონომიკური გარემოს არასტაბილურობაზე. მოცემული დინამიკური მწკრივის საფუძველზე დავითვალეთ შერჩევის სტანდარტული გადახრა (s), რომელმაც 4.3% შეადგინა, ეს კი ადასტურებს ინფლაციის ტემპის მნიშვნელოვან ვარიაციას. 2015 წელთან შედარებით, 2024 წელს ფასების საერთო დონე 54.6%-ით გაიზარდა, ხოლო ლარის მყიდველუნარიანობა 35.3%-ით შემცირდა. ეს ცვლილებები პირდაპირ მოქმედებს მოსახლეობის ცხოვრების ხარისხზე და ეკონომიკურ სტაბილურობაზე.

**რეალური ხელფასის დინამიკა**: ნომინალური ხელფასების ზრდა ინფლაციის ტემპს მნიშვნელოვნად ჩამორჩება, რაც რეალური მყიდველუნარიანობის შემცირებას იწვევს. 2024 წელს რეალური ხელფასი 1331.6 ლარი იყო, რაც 727.1 ლარით ნაკლებია ნომინალურ მაჩვენებელზე. ნომინალური ხელფასების ზრდა ვერ ახერხებს ინფლაციის კომპენსირებას, რაც იწვევს რეალური მყიდველუნარიანობის შემცირებას. ეს განსაკუთრებით მწვავედ

აისახება დაბალშემოსავლიან ჯგუფებზე, რომელთა ხარჯების სტრუქტურა მეტად დამოკიდებულია პირველადი მოხმარების პროდუქტებზე.

**სტრუქტურული ინფლაცია**: ინფლაციის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად განსხვავდება სამომხმარებლო ჯგუფების მიხედვით. მაგალითად, 2024 წელს სასტუმროების, კაფეების და რესტორნების კატეგორიაში დაფიქსირდა 7.7%-იანი ზრდა, ხოლო კავშირგაბმულობის სფეროში — 12.7%-იანი კლება. ინფლაციის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად განსხვავდება სამომხმარებლო ჯგუფების მიხედვით, რაც მიუთითებს ბაზრის შიდა დისბალანსზე.

**მოსახლეობის აღქმა და პერსონალური ინფლაცია**: სტატისტიკური მაჩვენებლები ხშირად არ ემთხვევა მოსახლეობის სუბიექტურ აღქმას. დაბალშემოსავლიანი ჯგუფები ინფლაციას უფრო მძაფრად განიცდიან, სტატისტიკური საშუალო მაჩვენებლები ხშირად ვერ ასახავს ინდივიდუალური მომხმარებლის რეალურ გამოცდილებას, რაც ხაზს უსვამს პერსონალური ინფლაციის მნიშვნელობას. შესაბამისად, პერსონალური ინფლაცია, რომელიც დამოკიდებულია კონკრეტული მომხმარებლის ხარჯვის სტრუქტურაზე, შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს ოფიციალური მონაცემებისგან.

ჩატარებული ანალიტიკური ანალიზი მიუთითებს საჭიროებაზე, რომ ეკონომიკური პოლიტიკის დაგეგმვისას გათვალისწინებული იყოს როგორც ინფლაციის განსხვავებული სტრუქტურული გავლენა, ასევე მხედველობაში უნდა მივიღოთ პერსონალური ინფლაციის მაჩვენებელი, რადგან ის მნიშვნელოვნად განსხვავდება ოფიციალური საშუალო მაჩვენებლისგან. კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ ეკონომიკური პოლიტიკა უნდა იყოს ორიენტირებული არა მხოლოდ ინფლაციის საერთო მაჩვენებელზე, არამედ მის სტრუქტურულ ასპექტებზეც, განსაკუთრებით კვების სექტორში, რათა შემცირდეს ინფლაციის გავლენა დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახებზე.

## გამოყენებული ლიტერატურა


Abuselidze, G. (2019). Modern Challenges of Monetary Policy Strategies: Inflation and Devaluation Influence on Economic Development of the Country. *Academy of Strategic Management Journal , 18*(4), 1-10. https://mpra.ub.uni-muenchen.de/100079/1/MPRA_paper_99885.pdf

Charaia, V. & Papava, V. (2023). On Supply Side Inflation and Some Unconventional Indicators for Measuring Inflation. *International Business & Economics Studies, 5*(4), 23-35. https://doi.org/10.22158/ibes.v5n4p23

Charaia, V., & Papava, V. (2022). On the Inflation and its Modifications in the Era of Global Pandemic: The Case of Some ADB Countries. Journal of Asian Finance, Economics and Business, 9(8), 0007-0017.

Dilanchiev, A., Aghayev, A., Rahman, M.H., Ferdaus, J. & Baghirli, A. (2021). Dynamic Analysis for Measuring the Impact of Remittance Inflows on Inflation: Evidence From Georgia. *International Journal of Financial Research, 12*(1), 339-347. https://doi.org/10.5430/ijfr.v12n1p339

Inflation in Georgia - Causes and Challenges in Georgia (2012). Economic Policy Research Center.

International Monetary Fund. (2004). *Consumer Price Index Manual: Theory and Practice*. https://doi.org/10.5089/9789221136996.069

Methodological Guidelines for Calculation of Consumer Price Index. (2013). National Statistics Office of Georgia

National Bank of Georgia. (2025). https://www.nbg.gov.ge/index.php?m=2

NDI. (July 2019). Public Attitudes in Georgia. caucasusbarometer.org

# Inflation and analysis of the consumer basket composition in Georgia

**Irakli Makalatia**
Business and Technology University (BTU)
Irakli.makalatia@btu.edu.ge

**Abstract.** The statistical analysis of inflation presented in the article constitutes a comprehensive assessment of price statistics. The study is based on official statistical data, ensuring the accuracy and reliability of the analysis. The statistical analysis of inflation presented in this article draws on official macroeconomic data from Georgia and aims to deliver a structural evaluation of inflationary developments over the period 2015–2024. The study employs variance analysis, time-series examination of inflation dynamics, structural assessment across consumer expenditure groups, a comparative analysis of real and nominal wages using deflation methods, and an index-based evaluation of individual consumer prices to capture high-volatility components. The research reveals that the rate of inflation is characterized by high volatility, indicating instability in economic policy and the significant influence of external factors. The growth of nominal wages fails to compensate for inflation, resulting in a substantial decline in real purchasing power. This trend has a particularly severe impact on low-income groups, whose spending structure is heavily dependent on essential consumer goods.

**Keywords**: Inflation in Georgia, Purchasing Power of the GEL, Real Wages, Structural Analysis of Inflation

# საერთაშორისო ბაკალავრიატის (The International Baccalaureate) პროგრამის სასკოლო შეფასების ინოვაციური მეთოდები

**ანა გვარამაძე**[1*]
**მაია მელაძე**[2]
[1, 2] გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
***პასუხიმგებელი ავტორი:** ann.gvaramadze@gmail.com

**რეზიუმე.** საერთაშორისო ბაკალავრიატის - IB (The International Baccalaureate) მსოფლიო აღიარების მქონე სასკოლო განათლების საერთაშორისო პროგრამაა, რომელიც განკუთვნილია 3-19 წლის ასაკის მოსწავლეებისთვის. IB პროგრამის უმთავრესი მიზანია, რომ სიახლის შემეცნების სურვილი მოსწავლეებისთვის ყოველდღიური საქმიანობის განუყოფელ ნაწილად იქცეს. სტატიის მიზანი იყო გამოგვერკვია შეფასების ერთ-ერთი ინოვაციური მეთოდი, რომელსაც აღნიშნული პროგრამა სთავაზობს სკოლებს და აპრობირებულია საერთაშორისო დონეზე. საქართველოშიც რამდენიმე სკოლაში დანერგილია IB პროგრამით სწავლება, რომელიც აღიარებულია საქართველოს მეცნიერე-ბისა და განათლების სამინისტროს მიერ. თვისებრივი მეთოდის საშუალებით გამოაშკარავდა თუ რას გულისხმობს IB განათლების პროგრამა და რატომ არის მისი შეფასების სისტემა ინოვაციური. რაოდენობრივი კვლევით კი გამოაშკარავდა მასწავლებლების დამოკიდებულება IB პროგრამის შეფასების კრიტერიუმების მიმართ. კვლევების შედეგად გამოჩნდა რომ მოსწავლეების პერიოდული შეფასება მათ მოტივაციას ცვლის ნიშნების მიღებიდან სწავლების შედეგებზე ორიენტირებით. მათ შორის მასწავლებლებიც განმავითარებელ შეფასებას უფრო ეფექტურად მიიჩნევენ ვიდრე განმსაზღვრელს. ასევე, მასწავლებლებსაც და მოსწავლეებსაც აქვთ მეტი კრეატიულობის შესაძლებლობა და მასწავლებლების მოსაზრებით განმავითარებელი შეფასება მეტად რეალურად და კონკრეტულად ასახავს მოსწავლეების პროგრესს. რეკომენდებულია საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტრომ, განათლების სისტემის წარმომადგენლებმა და ამ სფეროთი დაინტერესებულმა პირებმა გაითვალისწინონ შეფასების თანამედროვე მიდგომები, შეუწყონ ხელი მოსწავლეებში მოტივაციის ზრდას არა ყოველდღიური ნიშნების მიღებით, არამედ სწავლაზე ორიენტირებით, მუდმივი უკუკავშირით და პერიოდული შეფასებით.

**საკვანძო სიტყვები:** შეფასების სისტემა, აიბი პროგრამა

## შესავალი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გვთავაზობს სასკოლო შეფასების სისტემას, რომელიც გულისხმობს მოსწავლეების შეფასებას სხვადასხვა კომპონენტისა და კრიტერიუმის მიხედვით. ზოგადად მოსწავლეების შეფასების მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა. სამინისტროს მოსაზრებით, აკადემიური მოსწრების შეფასება უნდა იყოს ხშირი და მრავალმხრივი, რომ ერთი მხრივ ხელი შეუწყოს მოსწავლეთა განვითარებას სხვადასხვა კუთხით, როგორც მოთხოვნილია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით და

მეორე მხრივ, საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენისა და განვითარების თანაბარი პირობები შეუქმნას განსხვავებული პოტენციალის მქონე ყველა მოსწავლეს.

შეფასების ტრადიციული მეთოდები შეზღუდულია იმ ძირითად კითხვებზე პასუხის გაცემის უნარით, რომლებიც ხშირად საინტერესოა პროცესის შემფასებლებისთვის (Lamont et al., 2017; Nguyen, 2023).

სკოლებში გამოიყენება ორი სახის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. განმსაზღვრელი შეფასება გამოარკვევს მოსწავლეების ცოდნის დონეს და აფასებს პროგრამით განსაზღვრულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს ნიშნების საშუალებით 1-დან 10-მდე. განმავითარებელი შეფასების მიზანი კი მოსწავლეების ხელშეწყობაა უშუალოდ სწავლების პროცესში, რომელიც გამოიხატება სიტყვიერ და წერილობით უკუკავშირში.

სემესტრის მანძილზე საერთო ჯამში მოსწავლეები ფასდებიან სამი კომპონენტის მიხედვით:

- საშინაო დავალება
- საკლასო დავალება
- შემაჯამებელი დავალება

საქართველოში არსებულ სკოლებს არ აქვთ სხვა არჩევანის ალტერნატივა და ვალდებულები არიან დაიცვან ეროვნულ გეგმაში არსებული შეფასების სისტემის პრინციპები. გამონაკლისს წარმოადგენს აიბი პროგრამა, რომლის სკოლაში დანერგვის შემთხვევაშიც ამ პროგრამის განმხორციელებლები ვალდებულები არიან დაიცვან აიბის შეფასების კრიტერიუმები. აიბი პროგრამა აღიარებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ.

განათლების ხარისხის მისაღწევად ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი სწორი შეფასების სისტემაა (Gonzales DLC R. 2020). სტატიის მიზანია გამოიკვეთოს შეფასების ინოვაციური მეთოდები თანამედროვე განათლების სისტემაში, ამიტომ ამოცანას წარმოადგენს აიბის შეფასების სისტემის უპირატესობების გამოკვლევა და მასწავლებლების მოსაზრებები აღნიშნულ შეფასების სისტემასთან დაკავშირებით.

## აიბი პროგრამის უმთავრესი პრინციპები

აიბის პროგრამა (IB Program) დაარსდა 1968 წელს, იმ მთავარი მისიით რომ უზრუნველეყო საერთაშორისო განათლება, რომელიც საშუალებას მისცემდა ახალგაზრდებს უკეთესად გაეგოთ და ემართათ სამყაროს სირთულეები და შეეძინათ მრავალმხრივი უნარები. ასეთი განათლება ეფუძნებოდა იმდროინდელ უფრო პროგრესულ საგანმანათლებლო აზროვნე-ბას, მაგრამ ასევე იმ რწმენას, რომ სამყარო უკეთესი გახდებოდა განათლების საშუალებით, რომელიც ფოკუსირებული იყო ცნებებზე, იდეებსა და საკითხებზე, რომლებიც კვეთდნენ დისციპლინურ, კულტურულ, ეროვნულ და გეოგრაფიულ საზღვრებს (International Baccalaureate Organization, 2019).

1994 წელს საშუალო საფეხურის (MYP)-ის და 1997 წელს დაწყებითი საფეხურის პროგრამის (PYP) შემოღებით, აიბიმ შექმნა საერთაშორისო განათლების უწყვეტი სწავლება 3-19 წლის მოსწავლეებისთვის. ათწლეულის შემდეგ, ჩამოყალიბდა აიბი მოსწავლის პროფილი, როგორც საერთაშორისოდ მოაზროვნე შემსწავლელის პროფილი და მნიშვნელოვანი საერთო საფუძველი შექმნა სამი ძლიერი, დამოუკიდებელი პროგრამისთვის, (დაწყებითი, საშუალო, უმაღლესი) თითოეული განვითარებული, როგორც აიბის საგანმანათლებლო მიდგომის განვითარების შესაბამისი გამოხატულება. აიბი პროგრამა არის თანმიმდევ-რული და ყოვლისმომცველი სასწავლო გეგმის ჩარჩო, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიურ გამოწვევას და ავითარებს მოსწავლეების ცხოვრებისეულ უნარებს. (IB, 2025). სკოლაში წარმატება მჭიდროდ არის დაკავშირებული პიროვნულ, სოციალურ და ემოციურ კეთილდღეობასთან. იმ დროს, როდესაც მოსწავლეები აყალიბებენ საკუთარ იდენტობას და აძლიერებენ თვითშეფასებას, აიბი პროგრამას შეუძლია მოტივირება გაუწიოს მოსწავლეებს და დაეხმაროს მათ მიაღწიონ წარმატებას სკოლაში და სკოლის მიღმა ცხოვრებაში. პროგრამა საშუალებას აძლევს მოსწავლეებს გამოამჟღავნონ თავიანთი პიროვნული ძლიერი მხარეები და მიიღონ გამოწვევები ისეთ საგნებში, რომლებშიც ისინი შესაძლოა არ გამოირჩეოდნენ. აიბი სთავაზობს მოსწავლეებს შესაძლებლობას განავითარონ თავიანთი პოტენციალი, გამოიკვლიონ საკუთარი სასწავლო პრეფერენციები, მიიღონ შესაბამისი რისკები, დაფიქრდნენ და განავითარონ პირადი იდენტობის შეგრძნება. აიბის განხორციელება ითვლება მთელი სკოლის აქტივობად, რომელიც ამზადებს მოსწავლეებს შემდგომი წარმატებული სწავლისთვის. პროგრამა შემუშავებულია ინკლუზიურად (International Baccalaureate Organization, 2019).

თავიდანვე აიბი პროგრამა ხელმძღვანელობდა სამი პრინციპით: ჰოლისტიკური სწავლება, ინტერკულტურული ცნობიერება და კომუნიკაცია. პროგრამის ამ ფუნდამენტურმა კონცეფციებმა შექმნა სწავლა-სწავლების ძლიერი საფუძველი.

IB პროგრამების საქართველოში აღიარების შესახებ შეთანხმებას ხელი მოეწერა 2017 წლის ივლისში „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 341-ე მუხლის დებულებების შესაბამისად და მთავრობის 2017 წლის 15 მარტის №130 დადგენილების გათვალისწინებით. საქართველოს IB სკოლის მიერ გაცემული IB დიპლომი განიხილება როგორც საშუალო სკოლის დამამთავრებელი სერტიფიკატი და აღიარებულია ქვეყნის ყველა უმაღლესი სასწავლებლის მიერ.

საქართველოში რამდენიმე სკოლაში მიმდინარეობს აიბი პროგრამით ავტორიზებული სწავლება და ეს სკოლები შემდეგია: ევროპული, ახალი სკოლა, ნიუტონის თავისუფალი სკოლა და ბრიტანულ-ქართული აკადემია (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, 2020).

## მეთოდოლოგია და კვლევის შედეგები

### 1.1. აიბი შეფასების სისტემა

თვისებრივი კვლევის შედეგად გამოირკვა რომ, შეფასება ყველა სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილია. აიბი პროგრამის შეფასება მოითხოვს მასწავლებლებისგან შეაფასონ დადგენილი საგნობრივი ჯგუფის მიზნები პროგრამის თითოეული საგნობრივი ჯგუფის შეფასების კრიტერიუმების გამოყენებით. იმისათვის, რომ მოსწავლეებმა უმაღლეს დონეზე მიაღწიონ შესაძლებლობებს, აიბი პროგრამაზე მასწავლებლები ავითარებენ კომპლექსურ ამოცანებს, რომლებიც მოიცავს შეფასების მრავალფეროვან სტრატეგიას. მასწავლებლები საკუთარი პროფესიული განსჯის გამოყენებით იღებენ გადაწყვეტილებებს მოსწავლეთა მიღწევების შესახებ, ხელმძღვანელობენ სავალდებულო კრიტერიუმებით, რომლებიც საჯაროა, წინასწარ ცნობილი და ზუსტი, რაც უზრუნველყოფს შეფასების გამჭვირვალობას. შეფასების სხვადასხვა ამოცანებში (გააზრების ავთენტური შესრულება), მასწავლებლები იყენებენ დესკრიპტორებს, რათა დაადგინონ მოსწავლეების მიღწევის დონეები შეფასების დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად. აიბის შიდა (სკოლაზე დაფუძნებული) შეფასება იყენებს „საუკეთესო შესაფერის" მიდგომას, რომელშიც მასწავლებლები ერთად მუშაობენ საერთო სტანდარტების დასამკვიდრებლად, რომელთა მიხედვითაც აფასებენ თითოეული მოსწავლის მიღწევას ჰოლისტურად. ეს კრიტერიუმებთან დაკავშირებული მიდგომა წარმოადგენს შეფასების ფილოსოფიას, რომელიც არ არის ნორმის მითითება (სადაც მოსწავლეები უნდა შევადაროთ ერთმანეთს და მიღწევების მოსალოდნელ განაწილებას) და არც კრიტერიუმზე მითითება (სადაც მოსწავლეებმა უნდა აითვისონ ყველა მიმართულება სანამ შეძლებენ შემდეგ საფეხურზე გადასვლას). აიბის შეფასების მიზანი შემდეგია:

- მოსწავლეთა სწავლის მხარდაჭერა და წახალისება სასწავლო პროცესის შესახებ უკუკავშირის მიწოდებით;
- სასწავლო პროცესის ინფორმირება, გაძლიერება და გაუმჯობესება;
- შესაძლებლობის მიცემა, რომ მოსწავლეებმა გამოავლინონ და გამოიყენონ უნარები სხვადასხვა დისციპლინებში, როგორიცაა პერსონალური პროექტი და ინტერდის-ციპლინარული იუნიტების შეფასება;
- ხელი შეუწყოს მოსწავლეთა პოზიტიურ დამოკიდებულებას სწავლის მიმართ;
- მოსწავლეთა მხარდაჭერით ხელი შეუწყოს საგნის შინაარსის ღრმა გაგებას რეალურ სამყაროს კონტექსტში დაყენებული შეკითხვების დროს;
- დაეხმაროს მოსწავლეების კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების უნარების განვითარებას;
- ასახოს პროგრამის საერთაშორისო მიდგომა, რაც საშუალებას აძლევს შეფასებები დადგინდეს სხვადასხვა კულტურულ და ენობრივ კონტექსტში;
- პროგრამის ჰოლისტიკური ხასიათის მხარდაჭერა მის მოდელში პრინციპების ჩართვით, რომლებიც ითვალისწინებენ მოსწავლის მაქსიმალურად განვითარებას.

აიბის შეფასების პრაქტიკა ზოგჯერ შეიძლება წარმოადგენდეს მნიშვნელოვან გამოწვევებს არსებული სასკოლო პრაქტიკისთვის. მოსწავლეს უნდა შეეძლოს ცოდნისა და უნარების გახსენება, ადაპტირება და გამოყენება ახალ კითხვებსა და კონტექსტებში. მოსწავლეებს უნდა ესმოდეთ შეფასების მოლოდინები, სტანდარტები და პრაქტიკა, რომელსაც მასწავლებელი აცნობს სწავლის დაწყებისთანავე.

The second phase in 2020-2021 was characterized by recovery. The NPL ratio decreased to 8.89% (2020) and then to 6.43% (2021), which represented a 40% improvement compared to the peak in 2019. Of particular interest is the fact that this improvement occurred during the COVID-19 pandemic, which may indicate several factors: the effectiveness of restructuring programs, the introduction of stricter credit standards, or government support measures that reduced stress on borrowers. The third

and final phase in 2022-2024 represents a phase of consolidation and further improvement. The NPL ratio continued its steady decline to 5.13% (2022), 4.29% (2023), and finally to 3.55% (2024). The 3.55% level in 2024 not only represents a period low, but also indicates that the sector has reached a healthy level by international standards, which is characteristic of mature and well-managed credit systems.

The FSB's risk assessment for the NPL trend is low – a significant achievement. The near-halving of the NPL ratio is a major achievement and indicates a fundamental recovery in the sector. The 3.55% level not only meets international standards, but also provides a significant buffer for future economic shocks. This improvement indicates that risk management systems are working effectively, a credit culture has developed and the sector has matured.

**Conclusion**

This comprehensive seven-year (2018-2024) analysis of Georgia's microfinance sector, based on the FSB methodology, reveals a complex and dualistic picture – the sector simultaneously shows both significant progress and critical vulnerabilities. This dualism requires a balanced assessment and a nuanced policy response.

The sector has achieved remarkable success in two critical areas. The near-zero NPL ratio is an extraordinary achievement and demonstrates that the sector has developed effective risk management systems, improved its lending culture and reached a healthy level by international standards. This improvement is particularly impressive given that it included a recovery from a peak of 10.78% in 2019 – a nearly threefold decline in six years, which included the global pandemic and multiple economic shocks. The 27% reduction in financial leverage is also a significant achievement. This strengthening of capitalization has ensured that the sector has been able to better absorb shocks and maintain financial stability during difficult times. Low leverage also means that the sector is less dependent on external financing and more reliant on its own capital resources, which increases its resilience during a crisis.

However, these gains are seriously overshadowed by the worsening problems in the area of maturity transformation and liquidity. The 29% deterioration in the MT2 ratio from 1.39 to 1.80 is the most critical finding of this analysis and requires immediate policy intervention. When short-term liabilities exceed short-term assets by 80 percent, this creates three critical risks. First, refinancing risk - if funding sources suddenly tighten, the sector will not be able to meet its short-term liabilities on time and may be forced to liquidate assets in an emergency under adverse conditions. Second, structural liquidity risk – the sector depends on constant new funding flows, and any disruption to these flows can have a cascading effect. Third, and perhaps most dangerous, systemic contagion risk – when one or more institutions experience funding problems, this can quickly spread to the entire sector, as investors become wary of the entire microfinance industry.

The 41% decline in liquid assets further complicates this situation. When MT2 increases and liquid assets decrease at the same time, this creates a double vulnerability – the sector has more short-term liabilities and fewer liquid resources to cover them. The 9.83% level of liquid assets may prove insufficient in times of severe financial stress, especially if several institutions experience liquidity problems at the same time. An increase in credit concentration to 85% would also limit the sector's

flexibility and create additional risk, as it limits diversification opportunities and increases vulnerability to credit cycle fluctuations.

The Georgian microfinance sector is at a critical crossroads by the end of 2024. The sector has shown remarkable progress in asset quality and capitalization, which provides a strong foundation for maturity and institutional resilience. However, the ongoing challenges in maturity transformation and liquidity pose serious systemic risks that require an immediate and coordinated policy response. Positive trends provide some basis for stability, but their benefits could quickly fade if structural weaknesses in funding are not effectively addressed.

## References


IMF. (2024a). Georgia: Technical Assistance Report-Report on Stress Testing the Central Bank Balance Sheet and Developing Hedging Markets. IMF eLibrary. https://doi.org/10.5089/9798400275616.019

IMF. (2024b). *Georgia: Selected issues* (IMF Staff Country Reports No. 2024/136). https://www.elibrary.imf.org/view/journals/002/2024/136/article-A001-en.xml

IMF. (2024c). *Georgia: 2024 Article IV consultation—Press release; Staff report; and statement by the executive director for Georgia* (IMF Staff Country Reports No. 2024/135). https://www.elibrary.imf.org/view/journals/002/2024/135/article-A001-en.xml

IMF. (2024d). *Georgia: Staff concluding statement of the 2024 Article IV mission*. https://www.imf.org/en/News/Articles/2024/03/18/mission-concluding-statement-georgia-2024-article-iv-mission

Moosa, I. (2017). The regulation of shadow banking. *Journal of Banking Regulation, 18,* 61–79. https://doi.org/10.1057/jbr.2015.8

Helleiner, E. (2011). Understanding the 2007–2008 global financial crisis: Lessons for scholars of international political economy. *Annual review of political science, 14(*1), 67-87.

FSB. (2023). Global Monitoring Report on Non-Bank Financial Intermediation. https://www.fsb.org/uploads/P181223.pdf

Charaia V., Lashkhi M., Sikharulidze D., Anguridze O., Gulbani S. & Lashkhi M. (2023). (PDF) ASSESSMENT OF FORMAL SHADOW BANKING IN GEORGIA "ASSESSMENT OF FORMAL SHADOW BANKING IN GEORGIA" (researchgate.net)

McCulley, P. (2007). Teton reflections. PIMCO Global Central Bank Focus, 2. http://media.pimco-global.com/pdfs/pdf_sg/GCB%20Focus%20Sept%2007%20SGP-HK.pdf

Sun, G. (2019). China's shadow banking: bank's shadow and traditional shadow banking. BIS working papers (No. 822). https://www.bis.org/publ/work822.pdf

Resti, A., Onado, M., Quagliariello, M. & Molyneux, P. (2021), Shadow Banking: what kind of Macroprudential Regulation Framework? Publication for the committee on Economic and Monetary Affairs, Policy Department for Economic, Scientific and Quality of Life Policies, European Parliament, Luxembourg.

Kim, S. (2017). What drives shadow banking? A dynamic panel evidence. IFC Bulletins chapters. In: Bank for International Settlements (ed) Statistical implications of the new financial landscape (43). https://www.bis.org/ifc/publ/ifcb43_i.pdf

Lee, C.C., Lee, C.C., Zeng, J.H. & Hsu, Y.L. (2017). Peer bank behavior, economic policy uncertainty, and leverage decision of financial institutions. *Journal of Financial Stability, 30,* 79-91. http://dx.doi.org/10.1016/j.jfs.2017.04.004

Grochulski, B. & Zhang, Y. (2019). Optimal liquidity policy with shadow banking. *Economic Theory*, *68*(4), 967-1015.

Seyed Alireza Athari, Mugabil Isayev and Farid Irani, Does Country Risk Rating Explain Shadow Banking Development? Insights from Advanced and Emerging Market Economies, Economic Systems, (2024) doi: https://doi.org/10.1016/j.ecosys.2024.101192

Charaia, V. & Lashkhi, M. (2022). Foreign direct investments during the coronomic crisis and armed conflict in the neighbourhood, Case of Georgia. *Globalization and Business*, *7*(13), 51-56. https://doi.org/10.35945/gb.2022.13.007

Charaia, V. & Lashkhi, M. (2023). Innovative Fintech Technologies at Educational Institutions. Georgian Journal for European Studies, 6(6). https://gjes.tsu.ge/index.php/gjes/article/view/50

Charaia, V. & Papava, V. (2021). "Public Debt Increase Challenge Under COVID-19 Pandemic Economic Crisis in the Caucasian Countries." *Journal of Contemporary Issues in Business and Government* 27 (03). https://doi.org/10.47750/cibg.2021.27.03.003

Charaia, V., Lashkhi, M. & Lashkhi. M. (2022). "Foreign Direct Investments During The Coronomic Crisis And Armed Conflict In The Neighbourhood, Case Of Georgia." *Globalization and Business*, (13), 51–56. https://doi.org/10.35945/gb.2022.13.007

Lashkhi, M., Charaia, V., Boyarchuk, A. & Ebralidze, L. (2022). The Impact of Fintech on Financial Institutions: The Case of Georgia. *TalTech Journal of European Studies*, *12*(2). https://reference-global.com/2/v2/download/pdf/10.2478/bjes-2022-0010

Lashkhi, M., Ogbaidze, S., Lashkhi, M. & Charaia, V. (2022). Startap Access to Finance in Georgia and International Experience. *Ekonomisti.* https://ekonomisti.tsu.ge/?cat=nomer&leng=eng&adgi=692

Tsutskiridze G., Lashkhi M., Charaia V. (2024). An Alternative to the Transition to The Estonian Model of the Profit Tax of Commercial Banks of Georgia. *https://dizzw.com/wp-content/uploads/2024/01/Deutsche-internationale-Zeitschrift-f%C3%BCr-zeitgen%C3%B6ssische-Wissenschaft-%E2%84%9672-2024.pdf*

# არასაბანკო საფინანსო ინსტიტუტების რისკების ანალიზი საქართველოში

**თენგიზ თაქთაქიშვილი**[1]
**დავით სიხარულიძე**[2*]
**მარიამ ლაშხი**[3]
**ვახტანგ ჭარაია**[4]
**მურთაზ კვირკვაია**[5]
[1, 4] გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
[2] თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
[3] აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
[5] ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
***პასუხისმგებელი ავტორი:** davit.sikharulidze@tsu.ge

**რეზიუმე.**[7] კვლევა აანალიზებს არასაბანკო ფინანსური შუამავლების ევოლუციას და სისტემურ რისკებს საქართველოში 2018-დან 2024 წლამდე, ფინანსური სტაბილურობის საბჭოს მეთოდოლოგიის გამოყენებით. მიკროსაფინანსო სექტორზე, როგორც ჩრდილოვანი საბანკო საქმიანობის მთავარ მამოძრავებელ ძალაზე ფოკუსირებით, კვლევა აფასებს ძირითადი რისკ-ინდიკატორებს, მათ შორის საკრედიტო შუამავლობას, ვადის ტრანსფორმაციას და სხვა ბერკეტებს. დასკვნები ავლენს დუალისტურ ლანდშაფტს: სექტორი აჩვენებს მნიშვნელოვან სიმწიფეს, რასაც ადასტურებს უმოქმედო სესხების 3.55%-მდე შემცირება და კაპიტალიზაციის გაძლიერება. თუმცა, ამ გაუმჯობესებას ეწინააღმდეგება ლიკვიდურობისა და დაფინანსების სტრუქტურების კრიტიკული დაუცველობა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ვადის ტრანსფორმაციის კოეფიციენტის მნიშვნელოვნი გაუარესება, მოკლევადიანი ვალდებულებები დაახლოებით 80%-ით აღემატება მოკლევადიან აქტივებს, რაც ქმნის მნიშვნელოვან რეფინანსირების რისკებს. ნაშრომი ასკვნის, რომ მიუხედავად საქართველოს მიკროსაფინანსო სექტორის გააუმჯობესა მდგრადობა საკრედიტო შოკების მიმართ წარმოადგენს სისტემურ საფრთხეს, რომელიც მოითხოვს დაუყოვნებლივ ყურადღებას მარეგულირებლის მხრიდან, ფინანსური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად.

**საკვანძო სიტყვები:** რისკის ანალიზი, სისტემური რისკი, ფინანსური სტაბილურობა, არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტები

[7] This research [FR-23-21284] has been supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG).

# ცნობადი სახეების მატება პოლიტიკაში და პოლიტიკური განათლების ნაკლებობის ზეგავლენა დემოკრატიაზე

**მანანა გოგაშვილი**[1*]
**მიხეილ გოგატიშვილი**[2]
[1, 2] გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
***პასუხისმგებელი ავტორი:** Manana.gogashvili23@gruni.edu.ge

**რეზიუმე.** საარჩევნო ბრძოლაში პოლიტიკოსების, ცნობილ სახეებთან თანამშრომლობა წარმატებულ და აქტიურ პროექტს წარმოადგენს. კომუნიკაბელურობა, მედიასთან ურთიერთობის გამოცდილება და ფართო მასებზე წვდომის საშუალება, წარმოადგენს იმ მთავარ მიზეზებს, რის გამოც ცნობილი ადამიანები არჩევნებში წარმატებას აღწევენ. საკითხი, თუ ვინ შეიძლება იყოს პოლიტიკოსი, დღევანდელ დემოკრატიულ საზოგადოებებში, უფრო და უფრო აქტუალური ხდება. ბევრი ლიდერი ამტკიცებს, რომ ტრადიციული პოლიტიკური განათლება თანამედროვე რეალობაში არარელევანტური გახდა, შესაბამისად ნებისმიერს, ვისაც აქვს მხოლოდ სურვილი, ქარიზმა და ხალხზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა, შეუძლია დაიკავოს მმართველი პოლიტიკური პოზიცია. ყოველივე აქედან გამომდინარე, წინამდებარე სტატიაში ხარისხობრივი კვლევისა და დოკუმენტური შედარებითი ანალიზის მეთოდების გამოყენებით, შესწავლილია განათლების ის კრიტიკული სფეროები, რომლებიც აუცილებელია პოლიტიკოსებისთვის და გამოკვლეულია ის საფრთხეები, რომლებიც თან ახლავს შესაბამისი საგანმანათლებლო კვალიფიკაციის გარეშე მმართველობას. ლიდერების შესაძლებლობები ნათლად ვლინდება პოლიტიკური კრიზისის პერიოდში. განათლება, განსაკუთრებით ისეთ დისციპლინებში, როგორიცაა ფილოსოფია, პოლიტიკის მეცნიერება, საჯარო მმართველობა, სამართალი, ისტორია და ეკონომიკა, ლიდერებს აძლევს იმ თეორიულ საფუძველსა და ანალიტიკურ ინსტრუმენტებს, რომლებიც აუცილებელია ზეწოლის ქვეშ ეთიკური და ეფექტური გადაწყვეტილებების მისაღებად. განათლების გარეშე პოლიტიკოსი მოკლებულია გრძელვადიანი შორსმჭვრეტელობისა და კრიტიკული განჯის უნარებს. მსგავსი მმართველობის რეჟიმი იწვევს დემოკრატიული ინსტიტუტების შესუსტებასა და მის მიმართ უნდობლობის მაჩვენებლების ზრდას. დემოკრატიული სისტემების ეროზია კი კარს უხსნის პოპულისტ ლიდერებს ან/და ავტორიტარული მმართველობის იმ ფორმებს, რომლებიც მალევე ავსებენ დასუსტებული დემოკრატიული სტრუქტურების მიერ დატოვებულ სიცარიელეს. წინამდებარე ნაშრომი საინტერესო იქნება, როგორც საჯარო პოლიტიკის სპეციალისტებისათვის, ასევე სხვა ნებისმიერი სფეროს წარმომადგენელი მკითხველისათვის.

**საკვანძო სიტყვები:** ცნობილი სახეები პოლიტიკაში, დემოკრატია, პოლიტიკური განათლება, ფილოსოფია, ავტორიტარიზმი, პოპულიზმი

## შესავალი

პოლიტიკოსებს სჭირდებათ ხმები, ამომრჩევლები კი ადვილად ხაზავენ ცნობილ სახელებს არჩევნებისას. შესაბამისად, ცნობილი ადამიანების ქარიზმასა და პოლიტიკას შორის

კავშირი საკმაოდ წარმატებულია. ამავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული კოლაბორაციის შედეგად ვიღებთ ხელისუფლებაში მყოფ ცნობილ ადამიანებს, რომლებსაც შეუძლიათ მოსახლეობის ყურადღების მიპყრობა, თუმცა არ აქვთ მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების არც ცოდნა და არც გამოცდილება.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ლიდერებს უნდა შეეძლოთ, არა მხოლოდ მიმდინარე პოლიტიკის საკითხებზე მოკლევადიანი გადაწყვეტილებების მიღება, არამედ ისინი პასუხისმგებელნი არიან ეთიკური და დემოკრატიული ჩარჩოს ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების გრძელვადიან შედეგებზე. საინტერესოა გამოკვლეულ იქნეს არის თუ არა მხოლოდ წარმომადგენლობითი უნარები საკმარისი ეფექტური მმართველობისათვის და რა შედეგებს იწვევს შესაბამისი განათლების გარეშე, მაღალი პოლიტიკური თანამდე-ბობების დაკავება.

სავარაუდოა, რომ პოლიტიკური განათლების გარეშე, გადაწყვეტილებების მიღება ხდება, არა საერთო ეთიკური პრინციპების შესაბამისი განსჯის შედეგად, არამედ პოპულისტური სენტიმენტებისა და პირადი ინტერესების შესაბამისად, რაც საბოლოო ჯამში საფრთხეს უქმნის დემოკრატიულ ინსტიტუტებს და ხელს უწყობს გაუფასურებული პოპულიზმისა ან/და ავტორიტარიზმის გაძლიერებას.

სტატიის მიზანია შესწავლილ იქნეს საგანმანათლებლო ბაზის არმქონე პირების პოლიტიკაში მატების შედეგები და გაანალიზდეს საფრთხე, რომელიც ვლინდება დემოკრატიული მმართველობის ხარისხზე. მიღებული შედეგების საფუძველზე დადასტურდება პოლიტიკოსებისთვის შესაბამისი განათლების არსებობის აუცილებლობა და განისაზღვრება ის სფეროები, რომელთა ცოდნაც აუცილებელია ეფექტური, სამართლიანი და ეთიკური მმართველობის უზრუნველსაყოფად.

## სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

ათენის დემოკრატიიდან დაწყებული, თანამედროვე საარჩევნო სისტემების აღზევებამდე, პოლიტიკური მონაწილეობა ყოველთვის დაკავშირებული იყო გარკვეულ კვალიფიკა-ციასთან, განათლებასთან ან სტატუსთან. დღეის მდგომარეობით, კი ცნობადი სახეები (ბიზნესმენები, სპორტსმენები, მსახიობები და სხვ.) საჯარო მმართველობის, ფილოსოფიის, სამართლის, ისტორიის, ეკონომიკისა და სხვა პოლიტიკის მეცნიერებების ცოდნის გარეშე იკავებენ მნიშვნელოვან პოლიტიკურ თანამდებობებს.

კვლევის თეორიული კონტექსტის (ლიტერატურის) მიმოხილვის მიზანია შესწავლილ იქნეს საკვლევი საგნის/პრობლემის გარშემო არსებული მეცნიერული მოსაზრებები და მიდგომები; შედეგად, მეცნიერული აზრის/ცოდნის ფარგლებში შესწავლილი იქნება განათლების არმქონე პოლიტიკოსების აღზევების ზეგავლენა დემოკრატიულ პროცესებზე და გამოიკვეთება საკვლევი პრობლემის გადაჭრის შესაძლო გზები.

**პოლიტიკა და განათლება**

ლიტერატურის მიმოხილვის ამ თავში განხილულია თანამედროვე პოლიტიკური რეალობა და გაანალიზებულია პოლიტიკოსებისათვის საჭირო განათლების არსებობის მნიშვნელობა.

მრავალი კვლევა ადასტურებს იმ ფაქტს, რომ თანამედროვე მსოფლიოში აღინიშნება, ცნობადი სახეების მიერ მაღალი პოლიტიკური თანამდებობების დაკავების მზარდი მაჩვენებელი. ინდონეზიაში ჩატარებული არჩევნების შესახებ არსებულ კვლევაში, საარჩევნო კანდიდატების სიებზე დაყრდნობით, ნაჩვენებია ცნობადი სახეების პოლიტიკაში ჩართვის მატების ტენდენცია და დასკვნის სახით მითითებულია, რომ ეს ტენდენცია მატულობს ყველგან, სადაც სოციალური ქსელების მოხმარება პოპულარული ხდება მოსახლეობაში (BETA & NEYAZI, 2022).

მნიშვნელოვანია ასევე აღინიშნოს, რომ ქვეყნების უმრავლესობას პარლამენტის წევრობის კანდიდატებისათვის, არ აქვთ დაწესებული განათლების ან/და კვალიფიკაციის რაიმე სახის საკონკურსო კრიტერიუმი. მაგალითად, დიდი ბრიტანეთის პარლამენტის ვებგვერდზე მხოლოდ ნათქვამია, რომ „დეპუტატობის მსურველი უნდა იყოს: მინიმუმ თვრამეტი წლის ასაკის; ბრიტანეთის, ან ირლანდიის რესპუბლიკის, ან თანამეგობრობის ქვეყნის მოქალაქე, რომელიც არ საჭიროებს შვებულებას დიდ ბრიტანეთში შესვლის ან დარჩენის მიზნით, ან აქვს განუსაზღვრელი შვებულება დიდ ბრიტანეთში დასარჩენად“ (Parliament, n.d.).

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე სამყაროში ძალაუფლების ხელში ჩაგდება შესაძლებელია მარტივი პოპულარობის, ქარიზმისა და სოციალური გავლენის საფუძველზე. თუმცა, ისტორიამ ცხადყო, რომ მხოლოდ პიროვნებაზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილება, წარმოადგენს სერიოზულ შეცდომას. მარკ უილერი, პოლიტიკური კომუნიკაციების პროფესორი, აღნიშნულის მაგალითად მიუთითებს ისეთ დიქტატორებზე, როგორებიც არიან ბენიტო მუსოლინი და ადოლფ ჰიტლერი, რომლებმაც სწორედ გათვლილი ქარიზმით მოახდინეს უდიდესი ზეგავლენა ამომრჩევლებზე და მოიპოვეს უდიდესი ძალაუფლება (Wheeler, 2013).

არსებული რეალობა საინტერესოა შევუსაბამოთ შუმპეტერის კონცეფციას „კონკურენტული ბრძოლა ხალხის ხმის მიცემისთვის“, რომელიც ითვალისწინებს სცენარს, როდესაც პოლიტიკური ლიდერები უფრო მარკეტერებად იქცევიან, ვიდრე სახელმწიფო მოხელეებად. ისინი იყენებენ ემოციურ მიმართვებსა და მანიპულაციური კომუნიკაციის სტრატეგიებს, დასაბუთებული განხილვისა და მსჯელობის მაგივრად. ლაკლაუ აღნიშნავს, რომ პოპულიზმი დემოკრატიული გამოხატვის გარდაუვალი ელემენტია, თუმცა ისტორიული და სამართლებრივი პრინციპების დახმარებით, ის უნდა იყოს დაბალანსებული. მისი თქმით, ამ ბალანსის გარეშე, ელიტების პოპულისტური უარყოფა შეიძლება გადაიზარდოს ანტიინტელექტუალიზმის საშიშ ფორმაში, რომელიც დემოკრატიულ ინსტიტუტებს შიგნიდან უთხრის ძირს (Laclau, 2005).

მსოფლიო მდგომარეობა და განათლების უფსკრული ყველაზე მეტად გამოვლინდა სოციალურ-კულტურულ საკითხებში, როგორიცაა თავშესაფრის მაძიებლების მიღება და

ემიგრანტების კულტურული ინტეგრაცია. ამ საკითხებთან დაკავშირებით, ფორმალური განათლების დონე იწვევს ძალიან განსხვავებულ პოლიტიკურ შეხედულებებს. ბოლო დროის პოპულისტური სტილის პარტიების გაჩენამ, პოლიტიკურ ლანდშაფტში ნაკლებად განათლებულები უფრო თვალსაჩინო გახადა (Wille, 2010).

აღნიშნული ვითარების მიმოხილვის შემდეგ მნიშვნელოვანია გაანალიზებულ იქნეს: სჭირდება თუ არა პოლიტიკურ ლიდერებს სპეციალიზებული განათლება და შეიძლება თუ არა იდეამ „ნებისმიერს შეუძლია მართოს" გამოიწვიოს განათლების მნიშვნელობის დაკნინება და შედეგად დემოკრატიული ინსტიტუტების ეროზია.

განათლება მნიშვნელოვან როლს თამაშობს პოლიტიკური დამოკიდებულებებისა და ქცევების ჩამოყალიბებაში. მოუმზადებელი ლიდერები ხშირად ეყრდნობიან განხეთქილებას, სპექტაკლს და ნაციონალიზმს, რომლებიც ძალას შიშისგან იღებენ და არა ინფორმირებული პოლიტიკისგან. განათლების გარეშე, ლიდერები არ იცნობენ დემოკრატიულ ინსტიტუტებს და ადვილად შეიძლება გახდნენ ავტორიტარიზმის გამაძლიერებლები (Stanley, 2018).

პოლიტიკოსების მიერ ინტელექტუალიზმის მიმართ ღია დაპირისპირება, ხელს უწყობს რეალობას, სადაც ნარატივები ცვლის სიმართლეს. ეს იწვევს საზოგადოებრივი განწყობებით მანიპულირებასა და დემოკრატიული დისკურსისთვის ძირის გამოთხრას (Hofstadter, 1963). ასევე, კონსტრუქციულად ოპოზიციასთან კონსტრუქციული ურთიერთობის უარყოფასა და შესაბამისად არაეფექტური ან თუნდაც ავტორიტარული ტენდენციების წახალისებას (Diamond, 2008).

მნიშვნელოვანია ასევე განისაზღვროს, თუ რა არის საჭირო იმისთვის რომ ქვეყანა დემოკრატიულად იმართებოდეს. მინიმუმ შესაბამისი პოლიტიკური პროცესების დაწყება, ინსტიტუტების ჩამოყალიბება და მრავალი ღონისძიებების გატარება, რაც უზრუნველყოფს იდეალური დემოკრატიული კრიტერიუმების დაკმაყოფილებას. Dahl, R.A.-ს აზრით მნიშვნელოვანია დადგინდეს რა შედეგებს გამოიწვევს პოლიტიკოსების მიერ რთულ პოლიტიკურ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღება, ან დემოკრატიულ გზაზე პრობლემების გადაჭრა, შესაბამისი განათლების ქონის გარეშე (Dahl, 1998).

ფუნქციონირებადი დემოკრატია მოითხოვს არა მხოლოდ ინფორმირებულ ამომრჩეველს, არამედ კომპეტენტურ ხელმძღვანელობას, რომელსაც ესმის დემოკრატიული სისტემების არქიტექტურა. ლიდერების გაუნათლებლობამ და კრიზისებთან გამკლავების უუნარობამ შეიძლება ჩამოშალოს დემოკრატია.

პოლიტიკური განათლების გარეშე ლიდერები ხშირად ვერ იცავენ ინსტიტუციურ საზღვრებს, სამაგიეროდ პოლიტიკას განიხილავენ, როგორც პირად ბრენდინგს. ეს კი ხელს უწყობს ინსტიტუციონალურ რღვევას, კორუფციისთვის გზის გახსნითა და აღმასრულებელი დომინირებით (Ziblatt & Levitsky, 2018).

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლოა ჩამოყალიბდეს, რომ არაკვალიფიციურ ლიდერს ადვილად შეუძლია დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოშლა, თუმცა

ამავდროულად საინტერესოა გამოკვლეულ იქნეს ამ ყველაფრის შედეგებიც – თუ რას იწვევს დემოკრატიის ჩამოშლა?

შესუსტებული დემოკრატიული ინსტიტუტები ქმნიან დაუცველ გარემოს, ავტორიტარული ლიდერების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებისთვის. იქ სადაც დემოკრატიული საფუძვლები მოსუსტებულია, არის უკმაყოფილება სახელმწიფო ინსტიტუტების სამართლიანობის მიმართ. შესაბამისად, ხალხზე მანიპულაციის მოხდენა ბევრად უფრო ადვილია და პოპულისტური ლოზუნგებით უფრო ადვილად იმარჯვებენ შესაბამისი პოლიტიკოსები.

*ავტორიტარიზმის ერთ-ერთი გამორჩეული მკვლევარი, ხუან* ლინცი აღნიშნავს, რომ დემოკრატიული ნორმების რღვევა, ხშირად ლეგიტიმურობის კრიზისთან ერთად, ქმნის გარემოს, სადაც ავტორიტარული ალტერნატივები შეიძლება აყვავდეს, რადგან ისინი გვპირდებიან სტაბილურობისა და წესრიგის აღდგენას (Linz, Juan J. 1978).

დემოკრატია აგებულია მრავალფეროვანი მოსაზრებების, კულტურის და რწმენის თანაარსებობისა და პატივისცემის იდეაზე. ლეო შტრაუსის სიტყვებით დემოკრატიის მთავარი პრინციპია – თითოეული მოქალაქის უფლების თავისუფლება, იცხოვროს ისე როგორც მოსწონს (Strauss, 1962). როდესაც დემოკრატია სუსტდება პლურალიზმი იშლება და ავტორიტარული რეჟიმები ცდილობენ დააწესონ ერთიანი იდეოლოგია ან რწმენის სისტემა მთელ მოსახლეობაზე, ხშირად ძალადობის ან იძულების გზით.

აღნიშნულ საკითხებზე ლიტერატურის მიმოხილვის შემდგომ მნიშვნელოვანია განხილულ იქნეს ის ძირითადი სფეროები, რომელთა ცოდნაც აუცილებელია პოლიტიკური ლიდერებისთვის, რათა მათი გადაწყვეტილებები ეფუძნებოდეს ეთიკურ და სამართლიან პრინციპებს.

**განათლების სფეროები**

პოლიტიკური ფილოსოფოსები, პლატონიდან როულსამდე, ამტკიცებენ, რომ ეთიკის, ისტორიისა და პოლიტიკური თეორიების ცოდნის გარეშე, პოლიტიკოსებს შეიძლება არ ჰქონდეთ ის მორალური საფუძველი, რომელიც საჭიროა პასუხისმგებელი, ეფექტური და ეთიკური გადაწყვეტილებების მისაღებად.

განათლებასა და პოლიტიკურ შეხედულებებს შორის კავშირს ადასტურებს მრავალი მოაზროვნე. სტატიაში „The Effects of Education on Political Opinions: An International Study" ნახსენებია, რომ განათლება გავლენას ახდენს უმეტეს პოლიტიკურ შეხედულებებზე და რომ განათლება იმსახურებს მეტ ყურადღებას ეროვნული განსხვავებებისა და ისტორიული ტენდენციების ახსნაში (Weakliem, 2002).

**პოლიტიკური ფილოსოფია:**

პოლიტიკურ ლიდერებს კარგად უნდა ესმოდეთ მათი გადაწყვეტილებების ეთიკური ზომები და გააზრებული უნდა ქონდეთ მათი შედეგები. სოკრატეს აზრით საუკეთესოა მმართველი, რომელიც მართავს არა საკუთარი, არამედ საერთო ინტერესისათვის და მისი საქციელი არ არის რაიმე სარგებლით განპირობებული. ჟან-ჟაკ რუსოს ფილოსოფიის მიხედვითაც სახელმწიფო წარმომადგენლები უნდა მოქმედებდნენ როგორც ზოგადი ნების რწმუნებულები და არა როგორც, საკუთარი დღის წესრიგის ან კონკრეტული ჯგუფების ინტერესების გამტარებლები (Rousseau, 2003). პოლიტიკური ფილოსოფია ეხმარება ლიდერებს გააცნობიერონ მმართველობის, სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, თავისუფლებისა და თანასწორობის ფუნდამენტური პრინციპები.

პოლიტიკა ხშირად აყენებს პოლიტიკოსებს მორალური დილემის წინაშე. ფილოსოფიას კი შეუძლია დაეხმაროს ლიდერებს განიხილონ თავიანთი პოლიტიკის ადამიანური ღირებულებები და გადაწყვეტილებები მიიღონ ეთიკური ჩარჩოს ფარგლებში. პლატონის მიერ დახასიათებულ იდეალურ სახელმწიფოში სწორედ ფილოსოფოსი მმართველები მართავენ სახელმწიფოს საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. პლატონი ხაზს უსვამს განათლების, სიბრძნისა და პოლიტიკური პასუხისმგებლობის მნიშვნელობასა და ურთიერთკავშირს (პლატონი, 2003).

აღნიშნულიდან გამომდინარე, პოლიტიკური ფილოსოფიის როლი უმნიშვნელოვანესია მმართველობის ეთიკური და მორალური ჩარჩოს ჩამოყალიბებაში. ის ლიდერს აძლევს მორალურ დილემაში ნავიგაციისთვის საჭირო ინსტრუმენტებს, რომელიც ეხმარება მას კრიტიკულად შეაფასოს და მიიღოს ეთიკურად გამართლებული გადაწყვეტილებები. საილუსტრაციო მაგალითად შეიძლება დასახელდნენ: ჯეიმს მედისონი, ტომას ჯეფერსონი, განდი და სხვ.

**პოლიტიკის მეცნიერება/საჯარო მმართველობა:**

პოლიტიკის მეცნიერება შეისწავლის მთავრობების, პოლიტიკური პროცესების, საჯარო პოლიტიკის, პოლიტიკური ქცევისა და ძალაუფლების დინამიკას. იგი უზრუნველყოფს პოლიტიკური სისტემების, მათ შორის მთავრობის სტრუქტურების, ინსტიტუტებისა და საარჩევნო პროცესების ყოვლისმომცველ გაგებას. საჯარო მმართველობა ფოკუსირებულია სახელმწიფო უწყებებში საჯარო პოლიტიკისა და სერვისების ორგანიზებაზე, მართვასა და განხორციელებაზე. აქედან გამომდინარე პოლიტიკის მეცნიერება/საჯარო მმართველობა ლიდერებს აძლევს საშუალებას სისტემურ დონეზე გააცნობიერონ თავიანთი პოლიტიკის შედეგები.

პოლიტიკური წიგნიერება ფუნდამენტურია სახელმწიფო ხელისუფლების ბუნების, დემოკრატიული პროცესებისა და კანონის უზენაესობის გასაგებად (Heywood, 2019). პოლიტიკური სისტემების ცოდნა ეხმარება ლიდერებს გააცნობიერონ, თუ როგორ იმუშაონ კონსტიტუციურ ჩარჩოებში და ეფექტურად ითანამშრომლონ სხვადასხვა შიდა, თუ გარე ინსტიტუტებთან.

**სამართალი**

კანონის გაგება უზრუნველყოფს პოლიტიკური ლიდერების მოქმედებას მათი ქვეყნის საკანონმდებლო ჩარჩოში. ასწავლის მათ ძალაუფლების საზღვრებს, უფლებების დაცვას და პოლიტიკოსთა სამართლებრივ პასუხისმგებლობებს; მონტესკიეს აზრით ლიდერებს, რომლებიც აცნობიერებენ ურთიერთობას კანონისა და მმართველობის პრინციპებს შორის, შეუძლიათ შექმნან სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც მხარს უჭერს სახელმწიფოს კონსტიტუციას და ხელს უწყობს საზოგადოებრივ კეთილდღეობას (Montesquieu, 1748).

ლეო შტრაუსის სიტყვებით: სიბრძნე მოითხოვს ერთგულებას კონსტიტუციისა და კონსტიტუციონალიზმისადმი (Strauss, 1962). პოლიტიკურ ლიდერებს სჭირდებათ სამართლის ფუნდამენტური გაგება, რაც მოიცავს სამოქალაქო უფლებების, კონსტიტუციური პრინციპების, საერთაშორისო სამართლისა და სამართლებრივი პროცედურების ცოდნას. კერძოდ:

- საკონსტიტუციო სამართალი: ხელისუფლების სტრუქტურა, ხელისუფლების დანაწილება, მართვა, კონტროლი და ბალანსირება;
- საერთაშორისო სამართალი: ხელშეკრულებები, ადამიანის უფლებები, დიპლომატია და გლობალური თანამშრომლობა;
- სამოქალაქო უფლებები და თავისუფლებები: იმის გაგება, თუ როგორ მოქმედებს კანონები თავისუფლებებსა და თანასწორობაზე.

სამართალი არის მეცნიერება, რომელიც აჩქარებს და აძლიერებს გაგების უნარს იმაზე მეტად, ვიდრე ყველა სხვა სახის სწავლება ერთად აღებული (Strauss, 1962). იურიდიული განათლების მქონე ლიდერები აღჭურვილნი არიან კრიტიკული აზროვნებითა და განსჯის უნარით, რაც უზრუნველყოფს ეფექტური კანონების მიღებისა და კონფლიქტების წარმატებით მოგვარების შესაძლებლობებს. საილუსტრაციო მაგალითად შეიძლება დასახელდნენ: ალეგზანედ ჰამილტონი, აბრაამ ლინკოლნი, ტომას ჯეფერსონი და სხვ.

**ეკონომიკა**

ეკონომიკური წიგნიერება კრიტიკულია, რადგან პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს თან ახლავს ეკონომიკური შედეგები. ქვეყნის ეკონომიკური ზრდა-განვითარებისათვის საჭირო ეფექტური გადაწყვეტილებების მისაღებად ლიდერებმა უნდა გაიგონ ეკონომიკური პრინციპები, როგორიცაა:

- მიკროეკონომიკა და მაკროეკონომიკა: მიწოდება და მოთხოვნა, ეკონომიკური სისტემების და გლობალური ვაჭრობის გაგება;
- საჯარო ეკონომიკა: ფისკალური პოლიტიკა, გადასახადები და სახელმწიფო რესურსების განაწილება.

გადაწყვეტილების მიმღებთა შორის ეკონომიკური გაუნათლებლობა ხშირად იწვევს პოპულისტურ, მაგრამ არაპრაქტიკულ დაპირებებს, რამაც შეიძლება გააუარესოს სახელმწიფო ვალი, უმუშევრობა ან ინფლაცია (Krugman, 2012).

ძირითადი ეკონომიკური პრინციპები აუცილებელია ეფექტური საჯარო სამსახურისა და მმართველობისთვის (Mankiw, 2020). ეკონომიკურად განათლებულ ლიდერებს შეუძლიათ შექმნან პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს სოციალურ თანასწორობასა და მდგრად განვითარებას. ამ საფუძვლის გარეშე, პოლიტიკა შეიძლება გახდეს ზედმეტად გამარტივებული ან ეკონომიკურად საზიანო. საილუსტრაციო მაგალითად შეიძლება დასახელდნენ: რონალდ რეიგანი, ალექსანდერ ჰამილტონი და სხვ.

**ისტორია**

ისტორია წარმოადგენს მყარ საფუძველს, პოლიტიკური გადაწყვეტილებების გრძელ-ვადიანი შედეგების გასაგებად. წარსული პოლიტიკური სისტემებისა და ისტორიის ღრმა ცოდნა ეხმარება პოლიტიკოსებს გონივრულად მართვაში, იდეალიზმის პრაგმატიზმთან დაბალანსებაში და ცვლილებების კვალდაკვალ დემოკრატიული პრინციპების დაცვაში (Tocqueville, 1889).

ისტორიის ცოდნა, იძლევა თანამედროვე პოლიტიკური საკითხებისთვის საჭირო, მნიშვნელოვან კონტექსტს:

- მსოფლიო ისტორია, გლობალური კონფლიქტები, მმართველობის მოდელები, პოლიტიკური სისტემების ევოლუციის, იმპერიების შენებისა და დაცემის პრინციპები, მსოფლიო ომების დაწყებისა და დასრულების მიზეზები;
- ისტორიული მოძრაობების, რევოლუციების, სამოქალაქო უფლებების მოძრაობებისა და სოციალური სამართლიანობისთვის ბრძოლების ისტორია.

ლიდერს, რომელსაც ესმის აღნიშნული საკითხები, შეუძლია თავიდან აიცილოს წარსულის შეცდომების გამეორება, იქნება ეს დაკავშირებული იმპერიულ ზეწოლასთან, შიდა/გარე დაპირისპირებებთან, სოციალურ უთანასწორობასთან, თუ პოლიტიკურ ჩაგვრასთან.

ლიდერები, რომლებსაც არ აქვთ ისტორიული ცნობიერება, ხშირად ეყრდნობიან პოპულისტურ რიტორიკას, მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური დაძაბულობის, რთული ფესვების გაცნობიერების გარეშე (Judt, 2010).

**სასურველია პოლიტიკოსი დამატებით ერკვეოდეს**

სოციალურ ფსიქოლოგიაში – ლიდერებმა უნდა გაიგონ კულტურული დინამიკა, ღირებულებები და ფსიქოლოგიური ფაქტორები, რომლებიც აყალიბებენ ადამიანის ქცევას. ეს მნიშვნელოვანია იმ პოლიტიკის შემუშავებისთვის, რომელიც მორგებულია სხვადასხვა სახის საზოგადოებაზე, ამცირებს უთანასწორობას, ხელს უწყობს ტოლერანტობასა და სოციალურ ერთიანობას.

ეფექტური კომუნიკაციის ელემენტებში – პოლიტიკურ ლიდერებს უნდა შეეძლოთ ეფექტური კომუნიკაცია, რათა საზოგადოებასთან ურთიერთობისას, ნათლად გამოხატონ თავიანთი ხედვა. კომუნიკაციის შესწავლა, ასევე აუცილებელია, კრიზისის დროს საზოგადოების ეფექტური მართვისათვის.

გარემოსდაცვით მეცნიერებაში – პოლიტიკური ლიდერებისთვის კლიმატური პრობლემე-ბის, თანამედროვე რესურსების და შესაბამისი საერთაშორისო პოლიტიკის ცოდნა, მნიშვნელოვანია გლობალური გამოწვევების შესაბამისი გადაწყვეტილებების მისაღებად და მდგრადი, მომავალზე ორიენტირებული ეკოლოგიური პოლიტიკის შემუშავებისთვის.

## კვლევის მეთოდოლოგია და შედეგები

წინამდებარე თავში აღწერილია კვლევის მეთოდები და პროცედურები. ავტორის მიერ დასტურდება ეთიკური ნორმების სრულად დაცულობა.

საკვლევი მიზნებიდან გამომდინარე, ავტორის მიერ გამოყენებულ იქნა ხარისხობრივი კვლევისა და დოკუმენტური შედარებითი ანალიზის მეთოდები.

ნაშრომში, საკვლევი სფეროდან და პრობლემიდან გამომდინარე, მოძიებული და მიმოხილული იყო ორმოცდაათზე მეტი რაოდენობის, ინგლისურენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა და სტატია. მასალის გეოგრაფიული არეალი არის ზოგადი. კვლევის საკითხებთან მიმართებით. მიმოხილულმა დოკუმენტაციამ მოიცვა, როგორც ძველი, ასევე თანამედროვე ავტორთა მოსაზრებები.

ავტორის მიერ მოხდა, მოძიებული მასალის კლასიფიკაცია და მსგავსი, საპირისპირო იდეების, მიდგომების, მოსაზრებებისა და მოვლენათა მიზეზ-შედეგობრივი კავშირის შესწავლა.

კვლევისას გამოვლენილი ძირითადი მიდგომების თანახმად, დადგინდა პოლიტიკურ განათლებას, პოლიტიკურ მოღვაწეობასა და პასუხისმგებლობას შორის, მჭიდრო კავშირის არსებობა. ავტორთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ პოლიტიკური ლიდერებისთვის განათლება უზრუნველყოფს ეფექტური მართვისათვის საჭირო პრაქტიკულ ცოდნას, კრიტიკული აზროვნების უნარებსა და ეთიკური ჩარჩოს ასპექტებს. იდეალურ შემთხვევაში, ლიდერებს უნდა ჰქონდეთ ღრმა გაგება პოლიტიკის მეცნიერებების, საჯარო მმართველობის, ფილოსოფიის, სამართლის, ეკონომიკის, ისტორიისა და უახლესი კვლევების. მსგავსი განათლება მათ მისცემს შესაძლებლობას, დემოკრატიული პრინციპების ფარგლებში, ეთიკურად და ეფექტურად მართონ მოსახლეობის სოციალური და სამართლებრივი მდგომარეობა, ტერიტორიული კონფლიქტები, გარემოსდაცვითი პრობლემები და სხვა თანამედროვე სამყაროს თანმდევი, მრავალმხრივი საკითხები.

წინამდებარე კვლევა, აქტუალობიდან გამომდინარე წარმოადგენს, ერთ-ერთ საინტერესო მეცნიერული მნიშვნელობის სტატიას. კვლევაში აღნიშნული შეხედულებები, საშუალებას იძლევა ღრმად იქნეს გააზრებული, პოლიტიკური განათლების მნიშვნელობა. კვლევის

შედეგებზე დაყრდნობით შემუშავებული რეკომენდაცია, შესაძლებელია საფუძვლად დაედოს, ნაშრომში წამოჭრილი პრობლემების გადაჭრის გზებს.

## მსჯელობა/განსჯა

ლიტერატურის მიმოხილვამ აჩვენა, რომ ცნობილი სახეებისა და პოლიტიკის შერწყმა არ არის უახლესი ფენომენი. პოლიტიკოსები დიდი ხანია იყენებენ დრამატურგიულ ელემენტებს, საარჩევნო ოლქების მობილიზებისა და სასურველ აუდიტორიაზე მაქსიმალური ზეგავლენის მოხდენისთვის.

მეცნიერთა უმრავლესობა გამოთქვამს შეშფოთებას, ცნობილი ადამიანების პოლიტიკაში ყოფნის შესახებ და მიიჩნევენ, რომ ეს ფაქტი მნიშვნელოვნად აფერხებს პოლიტიკურ დისკურსს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, საპირისპირო შეხედულებაც. ზოგი მკვლევარი დადებითად არის განწყობილი ამ ფაქტის მიმართ და აღნიშნავს, რომ პოლიტიკოსების მიერ ცნობილი ადამიანების სპექტაკლების გამოყენებამ, შეიძლება რეალურად მიიზიდოს საზოგადოების უფრო ფართო სეგმენტი, პოლიტიკაში მნიშვნელოვანი მონაწილეობისთვის (McKernan, 2011).

იმ რეალობაში, სადაც არსებობს შეუზღუდავი და დაუბრკოლებელი შესაძლებლობა, ნებისმიერი ადამიანის მიერ, პოლიტიკაში მონაწილეობის მიღებისა და მაღალი თანამდებობის დაკავებისა, კრიტიკულად მნიშვნელოვანია განათლების მნიშვნელობის ხაზგასმა. ლიდერმა საზოგადოების განწყობის მიმართ აპელირებით, შეიძლება გარკვეული დროით შეძლოს, მართვის არსებითი დინამიკის გაგრძელება, თუმცა შესაბამისი განათლების გარეშე, მას არ ექნება საჭირო ცოდნა და განსჯის უნარი, მმართველობის სადავეების ხელში ასაღებად და სირთულეებთან გასამკლავებლად.

განათლება პოლიტიკოსებისათვის უზრუნველყოფს შემდეგი სახის უნარების არსებობას:

- კრიტიკული აზროვნების, ეთიკური განსჯის, ეფექტური და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების;
- ეფექტური კომუნიკაციის;
- პოლიტიკური ინსტიტუტებისა და გლობალური საკითხების ღრმა გაგებისა და ფართე სპექტრით გაანალიზების;
- დემოკრატიის კურსის შენარჩუნებისა და მისი განვითარების.

ლეო შტრაუსის სიტყვებით „კანონმდებლობა და ადმინისტრაცია, ერის წინაშე მკაცრი პასუხისმგებლობის ქვეშ, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ცოდნისა და პრაქტიკული ინტელექტის მქონე, სპეციალურად მომზადებული და გამოცდილი რამდენიმე ადამიანისგან“ (Strauss, 1962). განათლებული ლიდერები უკეთ არიან მომზადებულნი რთული საკითხების გასაანალიზებლად, ექსპერტების მოსმენისთვის, საწინააღმდეგო არგუმენტების მიმღებლობისთვის, კანონის უზენაესობისა და საერთაშორისო დიპლომა-ტიის პატივისცემისთვის.

კვლევაში მიმოხილული ლიტერატურის შედეგად, გამოიკვეთა მთავარი აზრი, რომ მმართველობა არის მორალური და ეთიკური პასუხისმგებლობა. პოლიტიკური განათლებისა და ლიდერობის მორალური განზომილებების ღრმა გაგების გარეშე, ლიდერმა შეიძლება იმოქმედოს პირადი ინტერესებიდან გამომდინარე ან პოპულისტური რიტორიკის მეშვეობით და უგულებელყოს ფართო საზოგადოებრივი სიკეთე.

ნაშრომში წამოჭრილი მოსაზრებებისა და ვარაუდების საილუსტრაციოდ, შეიძლება განხილულ იქნეს, ამერიკის შეერთებული შტატების ორი, თანამედროვე პერიოდის პრეზიდენტის მმართველობის სტილი. ერთი მხრივ, ბარაკ ობამა – სამართალში, პოლიტიკურ მეცნიერებებსა და საერთაშორისო ურთიერთობებში განათლების მქონე, რომელიც ხასიათდება ლიდერობისადმი დახვეწილი და აკადემიური მიდგომით. მისი გამოსვლები ხშირად ასახავდა ღრმა აზროვნებას, ისტორიულ ცნობებს და ინსტიტუციური ცოდნის პატივისცემას. მისი პოლიტიკა მოიცავდა ფორმალურ, ზომიერ და დიპლომატიურ ეტიკეტს. გადაწყვეტილებები კი მიიღებოდა მონაცემებზე დაყრდნობით და ექსპერტული მოსაზრებების ანალიზის შედეგად. მისი აკადემიური საუბრის სტილი და თეორიულად მდიდარი საუბრის მანერა, საგანმანათლებლო გავლენის ნათელი მაგალითია. მეორე მხრივ, დონალდ ტრამპი – ეკონომიკაში, ბიზნესში და უძრავი ქონების სფეროში განათლების მქონე, რომელიც ხასიათდება მედიისა და პირად ბრენდინგზე ფოკუსირებით. მისი პოლიტიკური საუბრის სტილი პოპულისტურია, ხოლო საუბრის მანერა ემოციური და იმპროვიზაციული. პოლიტიკური განათლების არქონის გამო, მისი გადაწყვეტილებები ხშირად შეფასებულია, როგორც მხოლოდ პირად შეხედულებებსა და იმპულსებზე დაყრდნობით მიღებულნი. მისი მიმართვები ზეგავლენას ახდენს ამომრჩეველთა დიდ რაოდენობაზე, თუმცა იგი ხშირად გაკრიტიკებულია ტრადიციული დიპლომატიური ნორმებისა და ეტიკეტის უგულებელყოფის გამო.

ბარაკ ობამასა და დონალდ ტრამპის პოლიტიკური ფიგურა შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ორი განსხვავებული მოდელი – ერთი მხრივ, პოლიტიკური განათლება, რომელიც ზეგავლენას ახდენს ლიდერის ინსტიტუციონალიზმზე, წარმომადგენლობაზე და გადაწყვეტილების მიღების მეთოდებზე. მეორე მხრივ, პოლიტიკური განათლების არქონა, რომელიც ზეგავლენას ახდენს ლიდერის პოპულისტურ მიდგომებზე, ინტუიციურ გადაწყვეტილებებზე და არაფორმალურ მანერებზე.

უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე დემოკრატიებისთვის გამოწვევა არ არის პოპულიზმის პირდაპირ უარყოფა. მნიშვნელოვანია პოლიტიკური ხელმძღვანელობა იყოს ინფორმირებული, განათლებული და მმართველობის ისტორიული, თუ ფილოსოფიური საფუძვლებით დაფუძნებული (Schumpeter J. A., 1976).

პოლიტიკოსები დგანან ერის სათავეში, ქვეყნის კეთილდღეობისა და მდგრადობის განვითარების მიზნით, ისინი უზრუნველყოფენ შესაბამის შიდა და საგარეო პოლიტიკას. მათი თითოეული ნაბიჯი განსაზღვრავს და ზეგავლენას ახდენს ქვეყნისა და მოსახლეობის, როგორც არსებულ, ასევე სამომავლო მდგომარეობაზე. შესაბამისად, პოლიტიკოსებს უნდა შეეძლოთ: ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური საკითხების ფართო სპექტრში დანახვა; შესაბამისი სტრატეგიების შემუშავება, დაგეგმვა და გატარება; არსებულ რეალობაზე და

მონაცემებზე დაყრდნობით გადაწყვეტილებების მიღება და საერთაშორისო პლატფორმებზე წარმატებით მონაწილეობა.

არისტოტელეს ფილოსოფიის კონცეფცია დამატებითი მტკიცებულებაა იმ მოსაზრებისა, თუ როგორ უწყობს ხელს განათლება პოლიტიკურ განსჯას. როდესაც პოლიტიკურ ლიდერებს არ აქვთ საფუძველი ისეთ სფეროებში, როგორიცაა პოლიტიკური ფილოსოფია, საჯარო მმართველობა, სამართალი და ისტორია არსებობს უდიდესი საფრთხე იმისა, რომ ლიდერებმა მსჯელობისა და არგუმენტირებული დებატების ნაცვლად, მიმართონ პოპულისტურ განწყობებს, ზედმეტად გაამარტივონ რთული საკითხები ან/და ხელი შეუწყონ დეზინფორმაციას. ეს ცვლილება ძირს უთხრის ინფორმირებული და ჩართული მოქალაქის დემოკრატიულ იდეალს და ასუსტებს დემოკრატიის ინსტიტუციურ ჩარჩოებს. ექსპერტიზის ავტორიტეტი მცირდება და დემოკრატიული ლეგიტიმაცია თანდათან იცვლება პოპულარობის მეტრიკებით, ქარიზმითა და მედიის ეფექტურობის განვითარებით – ეს ყველაფერი ჰაბერმასისთვის წარმოადგენს საჯარო სფეროს ღრმა სტრუქტურულ ტრანსფორმაციას და დემოკრატიული ნორმებისგან სახიფათო გადახრას (Habermas, 1964).

პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისისას, რომლებიც ხშირად ახლავს დემოკრატიის შესუსტებას ვითარდება ავტორიტარიზმი, რომელიც მოსახლეობას სთავაზობს სწრაფ გადაწყვეტილებებს. თუმცა, გრძელვადიან პერსპექტივაში თრგუნავს პოლიტიკურ ოპოზიციას და ზღუდავს თავისუფლებას. დემოკრატიის დაშლა ხშირად ხსნის კარს ავტორიტარული მმართველობისთვის, სადაც ძალაუფლება კონცენტრირებულია და რეპრესიები ხდება კონტროლის შენარჩუნების საშუალება (Linz, Juan J. 1978).

კვლევის აღნიშნული მიდგომები ადასტურებს, ნაშრომში წამოჭრილ ვარაუდს, რომ განათლება, პოლიტიკური მმართველობა და პასუხისმგებლობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან. განათლება პოლიტიკურ მეცნიერებებში, ისტორიასა და სამართალში წარმოადგენს დემოკრატიული ლიდერის მიერ, ეფექტური გადაწყვეტილების მიღების უმნიშვნელოვანეს საფუძველს. ცნობილი სახეების პოლიტიკაში გადასვლის მზარდი ტენდენცია, მყარი საგანმანათლებლო საფუძვლის გარეშე, საფრთხეს უქმნის დემოკრატიული სისტემების მთლიანობასა და მდგრადობას. სხვადასხვა გლობალური მაგალითებიდან ცხადი ხდება, რომ პოპულარულ კანდიდატებს ადვილად შეუძლიათ საზოგადოების ყურადღების მიპყრობა და არჩევნების მოგება, თუმცა, პოლიტიკური განათლების ნაკლებობა, ხშირად იწვევს პოპულისტურ და ზედაპირულ მმართველობას. როდესაც დემოკრატია კვდება, ექსტრემისტულ იდეოლოგიებს შეუძლიათ შესთავაზონ რთული პრობლემების გამარტივებული გზით გადაწყვეტა და შეავსონ სიცარიელე – შესაბამისად იწყება რეპრესიების, კონტროლისა და ავტორიტარული მმართველობის ახალი ციკლი.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომში განხორციელებულმა კვლევამ გამოავლინა ახალი ხედვა და დამატებითი კვლევის ჩატარების შესაძლებლობა: პოლიტიკური განათლება არ არის აუცილებელი მხოლოდ ლიდერებისათვის, იგი აუცილებელია მთლიანად მოსახლეობისთვის.

ყველა განათლებული კაცი იქნება პოლიტიკურად ზომიერი ადამიანი (Strauss, 1962). განათლებული ხალხი ირჩევს განათლებულ პოლიტიკოსებს. ასევე, განათლებული პირები უფრო მეტად უჭერენ მხარს დემოკრატიულ პრინციპებსა და ინსტიტუტებს (Diamond, 2008).

საყოველთაო განათლებამ ხაზი უნდა გაუსვას დემოკრატიული მონაწილეობის, კრიტიკული აზროვნების და პოლიტიკური სტრუქტურების ფილოსოფიური და მორალური საფუძვლების გააზრების მნიშვნელობას. მოქალაქეების ამ ცოდნით გაძლიერებამ, შესაძლოა აამაღლოს პოლიტიკური ლიდერების სტანდარტებიც. ვინაიდან, ამომრჩეველი გახდება უფრო მომთხოვნი. Dahl, R. A.-ს სიტყვებით სამოქალაქო განათლება მოითხოვს არა მხოლოდ ფორმალურ სკოლას, არამედ საჯარო დისკუსიას, განხილვას, დებატებს, დაპირისპირებას, მზა ხელმისაწვდომობა სანდო ინფორმაციისა და თავისუფალი საზოგადოების სხვა ინსტიტუტებზე (Dahl, 1998).

ჟან-ჟაკ რუსოს ფილოსოფიური აზროვნების მიხედვით იდეალური მმართველობისათვის აუცილებელია დემოკრატიული მონაწილეობა, როდესაც მოქალაქეები ჩართულნი არიან კანონებისა და პოლიტიკის განხილვაში, რომლებიც გავლენას ახდენენ მათზე (Rousseau, 2003).

ამრიგად, შესაძლოა დადგინდეს, რომ პოლიტიკური განათლება აყალიბებს ლიდერების კომუნიკაციის, აზროვნებისა და მმართველობის სტილს, რომელიც აუცილებელია, ეფექტური მმართველობისათვის და სირთულეების მიუხედავად დემოკრატიული კურსის შენარჩუნებისთვის. ასევე, დამატებით ხაზი გაესვა პოლიტიკური განათლების მნიშვნელობას, არა მხოლოდ პოლიტიკოსებისთვის, არამედ სრულიად მოსახლეობისთვის.

## დასკვნა და რეკომენდაცია

დასკვნის სახით შესაძლებელია ითქვას, რომ პოპულარული კულტურისა და პოლიტიკის კვეთა, სულ უფრო მეტად იწვევს შეშფოთებას, ეფექტური მმართველობისთვის საჭირო კვალიფიკაციის არარსებობის გამო. განათლების არარსებობა იწვევს ინტელექტუალური ჩართულობის გაუფასურებას, პოპულიზმისა ან პოლიტიკური ბრენდინგის სასარგებლოდ. მართალია, ქარიზმითა და პოპულარობით ხდება არჩევნების მოგება, თუმცა პოლიტიკურ ფილოსოფიაში, საჯარო მმართველობაში, სამართალში, ისტორიასა და ეკონომიკაში ფუნდამენტური განათლების გარეშე, გადაწყვეტილებების მიღება ხდება ინსტინქტებისა და ზედაპირული შეხედულებების საფუძველზე, რაც საბოლოო ჯამში საფრთხეს უქმნის ქვეყნის განვითარებასა და დემოკრატიული კურსის შენარჩუნებას. დემოკრატიული ინსტიტუტების შესუსტების პირობებში, კი ჩნდება მმართველობის ისეთი სისტემა, სადაც ძალაუფლება კონცენტრირებულია ერთი ლიდერის ან მცირე ჯგუფის ხელში, რომლებიც ამართლებენ თავიანთ მმართველობას სტაბილურობის, უსაფრთხოებისა და წესრიგის დაპირებით. დემოკრატიის სიკვდილი ხსნის კარს იმ რეჟიმების აღზევებისაკენ, რომლებიც აძლიერებენ ერთპიროვნულ ძალაუფლებას, თრგუნავენ თავისუფლებებს და აწესებენ კონტროლს მოქალაქეთა ცხოვრებაზე.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე პოლიტიკოსებისათვის განათლება არ უნდა იყოს არჩევითი – მაღალი თანამდებობის მსურველმა, უნდა გამოთქვას მზადყოფნა შესაბამისად მაღალი კვალიფიკაციის დასაკმაყოფილებლადაც.

კვლევის შედეგების პრაქტიკაში განვითარების მიზნით, რეკომენდებულია განხორციელდეს შესაბამისი საკანონმდებლო რეფორმები, რომელთა თანახმადაც პოლიტიკოსებისთვის დადგინდება სავალდებულო პოლიტიკური განათლების არსებობა პოლიტიკის მეცნიერებაში, საჯარო მმართველობაში, ფილოსოფიაში, ისტორიასა და სამართალში. აღნიშნული კრიტერიუმების დაკმაყოფილების ვალდებულება, უზრუნველყოფილი იქნება პოლიტიკური კანდიდატებისთვისაც.

ნაშრომში წამოჭრილი პრობლემები აქტუალურია და განხილვის საგნად რჩება თანამედროვე პოლიტიკურ რეალობაში. მასში შემოთავაზებული რეკომენდაციები ხელს შეუწყობს ჩამოყალიბდეს და განვითარდეს ახალი შეხედულებები პოლიტიკური ფილოსოფიის დისკურსში.

## გამოყენებული ლიტერატურა


პლატონი. (2003). *სახელმწიფო.* ნეკერი.

Ahmad, N. (2020). *Celebrification of Politics: Understanding Migration of Celebrities into Politics Celebrification of Celebrity Politicians in the Emerging Democracy of Indonesia.* East Asia. https://doi.org/10.1007/s12140-020-09332-z

Beta, A. R. & Neyazi, T. A. (2022). Celebrity Politicians, Digital Campaigns, and Performances of Political Legitimacy in Indonesia's 2019 Elections. *International Journal of Communication,* 16*, 331-355*. https://ijoc.org/index.php/ijoc/article/view/16575/3644

Coleman, J. S. (1965). *Education and Political Development.* New Jersey: Princeton University Press. https://archive.org/details/educationpolitic0000cole/page/n2/mode/1up

Dahl, R. A. (1998). *On Democracy.* London: Yale University Press. https://newuniversityinexileconsortium.org/wp-content/uploads/2022/08/Robert-A.-Dahl-On-Democracy-1998-1.pdf

Delandshere, G. (2005). The Moral, Social and Political Responsibility of Educational Researchers: Resisting The Current Quest for Certainty. *International Journal of Educational Research, 41(*3), 237-257. https://doi.org/10.1016/j.ijer.2005.07.003

Diamond, L. J. (2008). *The Spirit of Democracy: The Struggle to Build Free Societies Throughout the World.* New York: Times Books/Henry Holt and Co.

Drake, P. & Higgins, M. (2006). *The political celebrity and the celebrity politician.* https://pure.strath.ac.uk/ws/portalfiles/portal/495424/higgins_and_drake_celebrity_and_politics.pdf

Dreher, A (2009). The impact of political leaders' profession and education on reforms. *Journal of Comparative Economics*, 37(1), 169-193. https://doi.org/10.1016/j.jce.2008.08.005

Emler, N. & Frazer, E. (1999). Politics: The education effect. *Oxford Review of Education, 25*(1-2), 251-273. https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/030549899104242

Euben, J. P. (1997). *Corrupting Youth: Political Education, Democratic Culture, and Political Theory.* Princeton University Press. https://www.jstor.org/stable/j.ctt7t3q3

Galston, W. A. (2001). Political Knowledge, Political Engagement, and Civic Education. *Annual Review of Political Science*, 4, 217-234. https://www.zambiancu.org/1zRead/GalstonW-PoliticalKnowledgeCivicEducation%20(oer).pdf

Gogashvili, M. (2024). *The end of the Government and beginning of the Politics according Jean-Jacques Rousseau.* Tbilisi.

Habermas, J. (1964). *The Public Sphere: An Encyclopedia Article.* New German Critique.

Hall, H. (2024). *I'm not like a regular politician: Welcome to the age of celebrity government.* Cosmopolitan. https://www.cosmopolitan.com/uk/work/careers/a45597450/celebrity-politicians/

Heywood, A. (2019). *Politics* (5th Edition). London: Macmillan International Higher Education.

Hofstadter, R. (1963). *Anti-Intellectualism in American Life.* New York: Vintage Books.

Judt, T. (2010). *Ill Fares the Land.* London: Penguin Press.

Julie Sevenans, S. W. (2022). *How Politicians Downplay Lower-Educated Citizens' Opinions.* Legislative Studies Quarterly. https://onlinelibrary.wiley.com/doi/abs/10.1111/lsq.12380

Kam, C. D. (2008). Reconsidering the Effects of Education on Political Participation. *The Journal of Politics, 70(3), 612-631.* https://www.journals.uchicago.edu/doi/epdf/10.1017/S0022381608080651

Krugman, P. (2012). *End This Depression Now!* New York: W.W. Norton & Company.

Laclau, E. (2005). *On Populist Reason.* London: Verso.

Library, L. C. (n.d.). *The Fourth Discourse on Kingship.* https://penelope.uchicago.edu/Thayer/E/Roman/Texts/Dio_Chrysostom/Discourses/4*.html

Linz, Juan J. (1978)*.The Breakdown of Democratic Regimes. Baltimore.* Johns Hopkins University Press.

Majic, S. (2020). *Celebrity and Politics.* Cambridge University Press. https://doi.org/10.1017/S1537592719004602

Mankiw, N. G. (2020). *Principles of Economics* 8th edition. Boston: Cengage Learning.

Mayer, A. K. (2011). Does Education Increase Political Participation? *The Journal of Politics*. https://www.journals.uchicago.edu/doi/abs/10.1017/S002238161100034X (14.04.2025)

McKernan, B. (2011). Politics and Celebrity: A Sociological Understanding. *Sociology Compass*. https://compass.onlinelibrary.wiley.com/doi/abs/10.1111/j.1751-9020.2011.00359.x (12.04.2025)

Mill, J. S. (1859). On Liberty. London: John W. Parker and Son.

MOFFITT, B. (2016). The Global Rise of Populism: Performance, Political Style, and Representation. Redwood : Stanford University Press.

Montesquieu, C. (1748). The Spirit of Law. London: George Bell and Sons.

Morgan, S. J. (2021). *Celebrities, heroes and champions: Popular politicians in the age of reform.* Manchester University Press. http://www.jstor.org/stable/j.ctv1rm25hf

Mouffe, C. (2000). *The Democratic Paradox.* London: Verso. https://monoskop.org/images/4/41/Mouffe_Chantal_The_Democratic_Paradox_2000.pdf

Mounk, Y. (2018). *The People vs. Democracy: Why Our Freedom Is in Danger and How to Save It.* London: Harvard University Press.

Nietzsche, F. (1887). *On the Genealogy of Morals.* Cambridge: University of Cambridge.

Nisbett, G. S. (2016). Exploring the influence of celebrities in politics: A focus group study of young voters. *Atlantic Journal of Communication, 24*(3), 144-156. https://doi.org/10.1080/15456870.2016.1184664

Parliament, U. (n.d.). *Who can stand as an MP?* UK Parliament: https://www.parliament.uk/about/mps-and-lords/members/electing-mps/candidates

Persson, M. (2013). Education and Political Participation. B*ritish Journal of Political Science, 45*(3), 689-703. https://www.cambridge.org/core/journals/british-journal-of-political-science/article/abs/education-and-political-participation/D17F1067290DFBEB1EC01F8B4C166C28 (12.04.2025)

Plato. (n.d.). *Republic.* Cambridge: Huckett Publishing Company.

Rawls, J. (1971). *A Theory of Justice.* London: Harvard University Press.

Rosema, M. & Bakker, B. N. (2014). *15 Social psychology and political behaviour.* https://ris.utwente.nl/ws/portalfiles/portal/82796107/Rosema_Bakker_author_version_31_January_2014.pdf

Rousseau, J.J. (2003). *On the Social Contract*. New York: Dover Publications.

Schumpeter, j. (1976). *Capitalism, Socialism and Democracy.* Australia: George Allen & Unwin (Publishers) Ltd.

Schumpeter, J. A. (1976). *Capitalism, Socialism and Democracy.* George Allen & Unwin.

Sikorski, C. v. (2017). *A New Look at Celebrity Endorsements in Politics: Investigating the Impact of Scandalous Celebrity Endorsers and Politicians' Best Responses.* https://www.tandfonline.com/doi/full/10.1080/15213269.2017.1378109

Stanley, J. (2018). *How Fascism Works: The Politics of Us and Them.* New York: Random House.

Strauss, L. (1962). *Liberal Education and Responsibility.* https://ia801602.us.archive.org/23/items/LeoStraussOnLiberalEducation/Strauss-LiberalEducationResponsibility.pdf

Tocqueville, A. D. (1889). *Democracy in America.* London: Longmans, Green and Co.

Tosh, J. (209). The Pursuit of History. Oxfordshire: Routledge.

Weakliem, D. L. (2002). The Effects of Education on Political Opinions: An International Study. *International Journal of Public Opinion Research, 14*(2), 141-157. https://academic.oup.com/ijpor/article-abstract/14/2/141/719728 (12.04.2025)

Wheeler, M. (2013). *Celebrity Politics.* London: Polity Press.

Wille, M. B. (2010). The education gap in participation and its political consequences. *International Journal of Political Science,* 45, 393-422. https://link.springer.com/article/10.1057/ap.2010.7

Ziblatt, D. & Levitsky, S. (2018). *How Democracies Die*. New York: Crown Publishing Group.

# The Growth of Recognition of People in Politics and The Influence of The Lack of Political Education on Democracy

**Manana Gogashvili**[1*]

**Mikheil Gogatishvili**[2]

[1, 2] Grigol Robakidze University

***Corresponding author:** Manana.gogashvili23@gruni.edu.ge

**Abstract.** Collaboration between politicians and public figures during election campaigns represents a widely used and effective strategy. Such cooperation is based on the communicative skills, media experience, and broad social reach of public figures—factors that significantly determine their political success. In contemporary democratic societies, the question of who qualifies as a politician has become increasingly relevant. According to a number of leaders, traditional political education has lost its relevance in the modern political environment, resulting in political power often being accessible to individuals who possess charisma and the ability to influence the masses but lack formal academic qualifications. This paper employs qualitative research and documentary comparative analysis methods to identify the critical domains of education that form the foundation of politicians' professional competence and decision-making abilities. It also explores the potential risks associated with governance conducted in the absence of appropriate educational preparation. The research reveals that education—particularly in disciplines such as philosophy, political science, public administration, law, history, and economics—significantly contributes to the ethical quality, analytical depth, and strategic foresight of leaders' decisions in times of crisis. A lack of education limits critical judgment, weakens long-term vision, and increases public distrust toward democratic institutions, thereby creating fertile ground for the rise of populist and authoritarian tendencies. The findings of this study may prove useful not only for scholars and practitioners of public policy and governance but also for researchers and readers from other academic disciplines.

**Key words:** Celebrities in Politics, Democracy, Political Education, Philosophy, Populism, Authoritarianism

# სუროგაცია - ხსნის გზა თუ ახალი სირთულეები

**გოჩა ოჩიგავა**
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
g.ochigava@gruni.edu.ge

**რეზიუმე.** დღეს შობადობის შემცირება და დემოგრაფიული კრიზისი ევროპელი პოლიტიკოსების ერთ-ერთი ყველაზე მწვავე თავის ტკივილია. ევროპის მთელ რიგ სახელმწიფოებში რამდენიმე განსხვავებულ მეთოდს მიმართავენ, თუმცა, სურათი მკვეთრად არ იცვლება. სხვა მიზეზების გვერდით, შობადობას ამცირებს ახალი დაავადებები, სტრესული ცხოვრება, რაც იწვევს უშვილობას. ამიტომ წყვილები ცდილობენ მიმართონ ხელოვნურ განაყოფიერებას და სარგებლობენ იმ ქვეყნების მომსახურებით, სადაც სუროგაცია დაშვებულია. ასეთი ქვეყნების რიცხვშია საქართველოც. ბოლო პერიოდში, სუროგაციასთან დაკავშირებული საკითხები სულ უფრო აქტუალური გახდა. მასმედია სულ უფრო მეტ დროს უთმობს ამ თემის გაშუქებას. აშკარად გამოიკვეთა ამ საკითხის საერთაშორისო დონეზე სამართლებრივი რეგულაციისა და ამ პრობლემატიკაზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების გარდაუვალი აუცილებლობა.

**საკვანძო სიტყვები:** სამოქალაქო განათლება, სუროგაცია, სამართლებრივი რეგულირება, საერთაშორისო სამართალი, საქართველო

## 1. ახალი ინიციატივა, რომელიც უკავშირდება საქართველოში სუროგაციით სარგებლობას

### ა) პარლამენტში განხილვა შეჩერებულია

საქართველოში სამოქალაქო განათლება და ქალთა და ბავშვთა უფლებებზე მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. რაც ერთი მხრივ, განპირობებულია იმით, რომ ჩვენი ქვეყანა ცდილობს შექმნას ადამიანის უფლებათა დაცვის კიდევ უფრო მყარი, ევროპული სტანდარტების შესაბამისი მექანიზმები და მეორე მხრივ, კონკრეტული მიმართულებით ქალთა და ბავშვთა სამართლებრივი მდგომარეობა ნამდვილად არასახარბიელოა. ბოლო პერიოდში, სულ უფრო აქტუალური გახდა სუროგაციის თემასთან დაკავშირებული საკითხები, რამაც საქართველოს პარლამენტი მიიყვანა გადაწყვეტილებამდე, ამ კუთხით სერიოზული ცვლილებები გაეტარებინა.

ჯანდაცვის სამინისტრომ იმუშავა კანონპროექტზე „მედიცინის დახმარებით რეპროდუქციის შესახებ" (ამ ეტაპზე პარლამენტში კანონპროექტის განხილვა კვლავ შეჩერებულია), რომლის თანახმადაც, 2024 წლის პირველი იანვრიდან საქართველოში უნდა აკრძალულიყო უცხოელი წყვილებისთვის სუროგაცია და ამ მომსახურეობით სარგებლობა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებისთვის იქნებოდა დაშვებული. ამავე კანონპროექტის მიხედვით, უნდა დარეგულირებულიყო სუროგატი დედის ანაზღაურების საკითხიც, რომელიც „მხოლოდ უანგარობის პრინციპს" დაეფუძნებოდა. ცვლილების თანახმად,

სუროგატ დედას აუნაზღაურდებოდა მხოლოდ გამოკვლევებთან, გადაუდებელ სამედიცინო ჩარევასთან დაკავშირებული ხარჯები. ეს არ არის პირველი მცდელობა, როცა საქართველოს ხელისუფლებას ექსტრაკორპორული განაყოფიერების შედეგად (ინ ვიტრო) დაბადებული ბავშვების მიმართულებით არსებულ საკანონმდებლო ჩარჩოებში ცვლილებები შეაქვს. უფრო ადრე, 2020 წლის აგვისტოში, მაშინდელმა იუსტიციის მინისტრმა, გამოსცა ბრძანება და ამ ბრძანებით ცვლილება შევიდა „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ" 2012 წლის ბრძანებაში. ცვლილების თანახმად (ბრძანება №598, 2020 წლის 1-ლი სექტემბრიდან ამოქმედდა), (*საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება,* 2024). ექსტრაკორპორული გზით დაბადებული ბავშვის აღზრდა შეუძლია ქალსა და კაცს, თუკი ისინი იმყოფებიან ქორწინებაში და ქორწინებიდან გასულია, სულ მცირე, ერთი წელი, ან იმყოფებიან ფაქტობრივ თანაცხოვრებაში, ასევე სულ მცირე, უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში. როგორც ვხედავთ, აქ განმსაზღვრელი არა ქორწინება, არამედ ამ უფლების მხოლოდ ქალისა და მამაკაცისთვის (როგორც წყვილისთვის) მინიჭებაა. კონკრეტულ ერთწლიან ვადაზე მითითება კი საჭირო გახდა იმისთვის, რომ აღკვეთილიყო ჩვილით ვაჭრობის ტრანსნაციონალური დანაშაული და მომხდარიყო პრევენცია იმისა, რომ საქართველოში სუროგაციით დაბადებული ბავშვი არ გამხდარიყო სექსუალური ექსპლუატაციის, არაადამიანური მოპყრობის, წამების ობიექტი. ამასთან, როგორც იუსტიციის სამინისტროში განმარტავენ, ცვლილების მიზანი იყო იმ ფიქტიური წყვილების თავიდან აცილება, რომლებიც დანაშაულის მიზნებისთვის მიმართავდნენ სუროგაციას და გაჰყავდათ ბავშვები საქართველოს გარეთ. ქალთა უფლებების დამცველთა აზრით აქ სხვა პრობლემაც იჩენს თავს. სუროგაციით სარგებლობის შესაძლებლობა ეკარგებათ მარტოხელა ქალებს. კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ახალ რეგულაციებს შემოაქვთ, უკავშირდება სამედიცინო დაწესებულებების ვალდებულებას, სუროგაციასთან დაკავშირებული ინფორმაცია ასახონ ერთიან ეროვნულ რეესტრში, რაც ჩემი აზრით, ხელს შეუწყობს სისტემატიზაციისა და კონტროლის მექანიზმებს.

**ბ) რატომ გახდა აუცილებელი კანონმდებლობაში შესულიყო ცვლილებები, რომლებიც უცხოელი წყვილებისთვის სუროგაციას აკრძალავდა.**

ამის ერთ-ერთი მიზეზი იაფი სუროგაციის პროგრამებია, რის გამოც უცხოელი წყვილები სუროგატ დედებს საქართველოში ეძებენ. მაგალითად თუ აშშ-ის ზოგიერთ შტატში, სუროგაცია დაახლოებით 150 000 - 200 000 დოლარი ჯდება, ეს მომსახურება 10-ჯერ უფრო იაფია საქართველოში.

საქართველოში, სუროგაციისა და დონაციის მომხმარებლების 99% სწორედ უცხოელი წყვილები არიან. სუროგაციის პროგრამით ყველაზე მეტად სარგებლობენ წყვილები აშშ-დან, ევროპიდან, თურქეთიდან, ჩინეთიდან, ისრაელიდან. ბოლო დროს ამ ქვეყნებს შემოემატა კანადა და ავსტრალია. საქართველო კიდევ უფრო მოთხოვნადი ქვეყანა გახდა სუროგაციისათვის უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ, ცნობილია, რომ უკრაინას ბევრი უშვილო წყვილი მიმართავდა, ამ მხრივ ის მსოფლიოში ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანა იყო.

(Ponniah, 2018) კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც უცხოელი წყვილები საქართველოში ცდილობენ სუროგატი დედების პოვნას ის არის, რომ საქართველოს კანონმდებლობა უცხოელ წყვილებს აძლევს უფლებას ბავშვის გაჩენისთანავე დაბადების მოწმობაში მშობლებად ჩაეწერონ. ის ვინც სუროგაციის აკრძალვის მომხრეა, მიიჩნევს, რომ ამის ძირითადი მიზეზი ქალებისა და ბავშვების უფლებებია. სუროგაციის მოწინააღმდეგე ჯგუფში შემავალი ქვეყნები თვლიან, რომ სუროგაცია არღვევს ბავშვისა და სუროგატი დედის ღირსებას და მათ რიგითი კონტრაქტების ობიექტებად აქცევს; სუროგაცია ეწინააღმდეგება ბავშვთა უფლებებს; არ შეიძლება კერძო შეთანხმების საგანი გახდეს არც ადამიანის სხეული და არც პირთა სამოქალაქო სტატუსი.

## 2. სუროგაციის სამართლებრივი რეგულაციები საქართველოში და ფაქტები

### ა) მნიშვნელოვანი ნორმატიული აქტები

საქართველოში პირველი ბავშვი სუროგაციის პროგრამით 2007 წელს დაიბადა. ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის (საქართველოს პარლამენტი, 1997) თანახმად (მუხლი 143) ექსტრაკორპორული განაყოფიერება ნებადართულია: ა) უშვილობის მკურნალობის მიზნით, აგრეთვე, ცოლის ან ქმრის მხრიდან გენეტიკური დაავადების გადაცემის რისკის არსებობისას, წყვილის ან დონორის სასქესო უჯრედების ან ემბრიონის გამოყენებით, თუ მიღებულია წყვილის წერილობითი თანხმობა; ბ) თუ ქალს არა აქვს საშვილოსნო, განაყოფიერების შედეგად მიღებული ემბრიონის სხვა ქალის („სუროგატული დედის“) საშვილოსნოში გადატანის და გამოზრდის გზით; წყვილის წერილობითი თანხმობა აუცილებელია. ბავშვის დაბადების შემთხვევაში წყვილი ითვლება მშობლებად, აქედან გამომდინარე ეკისრება პასუხისმგებლობა და უფლებამოსილება; დონორს ან „სუროგატულ დედას“ არა აქვს დაბადებული ბავშვის მშობლად ცნობის უფლება. რაც შეეხება სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის მოქალაქეობის საკითხს, საქართველოს მოქალაქეობის შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად: (საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს მოქალაქეობის შესახებ, 2000). საქართველოს ტერიტორიაზე ექსტრაკორპორული განაყოფიერების შედეგად (სუროგაციით) დაბადებული პირი, საქართველოს მოქალაქეობას დაბადებით მოიპოვებს. ამავე პუნქტში ვკითხულობთ იმ გამონაკლისის შესახებ, რომელიც მშობლების მოქალაქეობას ეხება: სუროგაციის გზით დაბადებული პირი ვერ მიიღებს საქართველოს მოქალაქეობას, თუ მისი რომელიმე მშობლის მოქალაქეობის ქვეყანა მას საკუთარ მოქალაქედ მიიჩნევს. თუმცა, ეს შეზღუდვა არარელევანტური გახდება, თუკი უცხოელ მოქალაქეებს აეკრძალებათ საქართველოში სუროგაციით სარგებლობა. ჯერ კიდევ გაურკვეველია რა უფლებებით ისარგებლებენ ორმოქალაქეობის მქონე პირები (საქართველოს მოქალაქეობის პარალელურად). ქართველი რეპროდუქტოლოგების მნიშვნელოვანი ნაწილისა და ამ სფეროში მომუშავე 20-მდე კლინიკის წარმომადგენელთა განცხადებით: დაანონსებული აკრძალვა უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის საქართველოში ინ ვიტრო განაყოფიერების, მათ შორის, სუროგაციისა და დონაციის სერვისის მიღებასთან დაკავშირებით, საფრთხის შემცველია როგორც დარგის, მედიცინის დახმარებით

რეპროდუქციის არსებობისთვის, ისე ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის. ისინი მიიჩნევენ, რომ აკრძალვის ნაცვლად, უნდა იქნეს შემოღებული ახალი რეგულაციები, რომლებიც ქვეყანაში დონაცია-სუროგაციის საკითხებს დაარეგულირებს.

საინტერესოა, გავეცნოთ, როგორ არეგულირებს ქართული კანონმდებლობა ხელოვნური ჩასახვის გამოყენებას სქესის შერჩევის მიზნით? ასეთი ჩარევა აკრძალულია, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა აუცილებელია სქესთან კავშირში მქონე მემკვიდრეობითი დაავადების თავიდან აცილება. მართალია, პაციენტის უფლებების შესახებ საქართველოს კანონი (საქართველოს კანონი პაციენტის უფლებების შესახებ, 2000) არ აკონკრეტებს ხელოვნური ჩასახვის ფორმებს, მაგრამ კანონის განმარტებებში ვკითხულობთ, რომ „ხელოვნური ჩასახვა“ მათ შორის სუროგაციის ფორმებსაც მოიცავს (მუხლი 34). როგორც ოჯახის დაგეგმვის ერთ-ერთ ფორმას, სუროგაციას, საქართველოში 1997 წლიდან არეგულირებს კანონმდებლობა და ეს ხდება რამდენიმე ნორმატიული აქტისა და ბრძანების საშუალებით. მათ შორისაა, ზემოხსენებული კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“, კანონი „სამოქალაქო აქტების შესახებ“, ორგანული კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“, კანონი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“.

რაც შეეხება სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის ქვეყნიდან გაყვანას, ამ პროცედურის წესებს არეგულირებს საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის ერთობლივი ბრძანება (საქართველოს იუსტიციის მინისტრის & საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება, 2016). თუ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში დაცული ინფორმაციის საფუძველზე ირკვევა, რომ ბავშვი, რომელიც პირველად ტოვებს საქართველოს ტერიტორიას, არის საქართველოში ექსტრაკორპორული განაყოფიერების (სუროგაციის) გზით დაბადებული და მისი დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში, რომელიც გაცემულია სააგენტოს მიერ, ორივე მშობელი მითითებული არ არის, ან მის სახელზე სააგენტოს მიერ არ არის რეგისტრირებული დაბადების სამოქალაქო აქტი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი თანამშრომელი ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება ბავშვის საქართველოდან გაყვანაზე (საზღვრის გადაკვეთაზე) უარის თქმის შესახებ (მუხლი 5, ნაწილი მეორე). ერთ-ერთი ბოლო ნორმატიული აქტი, რომელიც სუროგაციის საკითხებს ეხება საქართველოს მთავრობის №47-ე დადგენილებაა (2024 წლის 29 თებერვალი), რომლის თანახმად საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში სახელმწიფოს მხრიდან არ ანაზღაურდება სუროგატული დედის მშობიარობა/საკეისრო კვეთის ხარჯები.

**ბ) ინფორმაცია ბოლოდროინდელი გახმაურებული ფაქტის შესახებ:**

დახურულ ჰოსტელში, რომელიც მედიცინის სააგენტო Kinderly-მ დაიქირავა, იძულებით შესახლებული სუროგატი დედების საქმეზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება

დაიწყო. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც სუროგატი დედების შესახებ რადიო თავისუფლებამ 3 აპრილს ვრცელი სტატია გამოაქვეყნა. 2025 წლის 3 აპრილს, დილით, სუროგატმა დედებმა რამდენიმე საათი გაატარეს შრომის ინსპექციაში გამოკითხვაზე. რვა ქალმა უწყების თანამშრომელს, რომელიც გამოკითხვას აწარმოებდა, დეტალურად გააცნო ის პრობლემები, რომლებსაც კომპანია Kinderly-ში დასაქმების შემდეგ გადააწყდნენ. „ჩვენი სხეულები გამოიყენეს და შემდეგ მოგვისროლეს. სანამ ორსულად ვიყავით, თითქოს ყველაფერი ნორმალურად იყო, მაგრამ როგორც კი ბავშვები გავაჩინეთ, კომპანიის წარმომადგენლები გაქრნენ, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვების ბიოლოგიურ მშობლებს ჩარიცხული აქვთ კომპანიისთვის ათიათასობით დოლარი, ჩვენ კუთვნილი ჰონორარები დღემდე ვერ მივიღეთ და ახლა ჩვენს მცირეწლოვან შვილებთან ერთად ჰოსტელში შეგვყარეს“ - აცხადებენ ქალები. კომპანია Kinderly-მ თბილისში ოფისები მიმდინარე წლის მარტის ბოლოს დახურა, სუროგატი ქალების ნაწილმა (15 ქალი) შვილებთან ერთად დახურულ ჰოსტელში მნიშვნელოვანი პერიოდი გაატარა. ყირგიზეთი, ყაზახეთი, უზბეკეთი, ტაჯიკეთი, უკრაინა, რუსეთი - სუროგატი დედები ძირითადად ამ ქვეყნებიდან არიან. მათ შორის არიან ქართველი სუროგატი ქალებიც. მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, პროკურატურამ კვალიფიკაცია შეცვალა და გამოძიება დაიწყო სსკ-ის 143-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით, რაც გულისხმობს ადამიანით ვაჭრობას წინასწარი შეცნობით, წარმოადგენს ექსპლუატაციას და ისჯება ხუთ წლამდე პატიმრობით. სუროგატი დედების საქმე გამოსაძიებლად შსს-ს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს გადაეცა. სუროგატ ქალებს ტრეფიკინგის მსხვერპლის სტატუსი მიენიჭათ.

## 3. სუროგატი დედის თანხმობის ძირითადი მიზეზი. ხარჯები და პროცედურები, რომელიც უკავშირდება სუროგაციას

საქართველოში უიშვიათესი გამონაკლისია ალტრუისტული სუროგაცია. კვლევები აჩვენებს, რომ სუროგატი დედების უმრავლესობა ამ ნაბიჯზე უმძიმესი სოციალური პირობების გამო მიდის. ამ ქალებს, როგორც წესი ჰყავთ შვილები, ცხოვრობენ მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებში, არ აქვთ სტაბილური შემოსავალი, ჰყავთ ქმრები, რომლებსაც ხშირად ვალები აქვთ. ქალი, რომელიც გამოუვალი მდგომარეობის გამო სუროგაციაზე თანხმდება, ხშირ შემთხვევაში ამას საკუთარი თავის იძულებით აკეთებს. ამიტომ უფლებადამცველთა ერთი ნაწილი ამას ქალთა მიმართ ძალადობის ერთ-ერთ ფორმად აღიქვამს. აქ მოვიყვანდით ცნობილ შემთხვევას - მუნოზი ჰაროს წინააღმდეგ (Munoz v. Haro), სადაც მექსიკელი სუროგატი ქალი გამოიყენეს თავიანთი მიზნებისთვის, მიზერული ანაზღაურებით. ეს შემთხვევა ნათლად აჩვენებს, რომ სუროგაციის პრაქტიკა მოითხოვს საერთაშორისო რეგულირებას და ამ მიმართულებით, ქალთა უფლებების დაცვის გაძლიერებას. ბუნებრივი მშობიარობის შემთხვევაში, სუროგაციის განმეორება დასაშვებია ექვსი თვის შემდეგ, თუმცა დაკვირვება აჩვენებს, რომ ქალებისვე მოთხოვნით, ზოგიერთი სააგენტო სამი თვიდან იძლევა ამის საშუალებას, რაც ვფიქრობ, აბსოლუტურად

მიუღებელია. სუროგაციის პროგრამაში ჩართვამდე, აუცილებელი კვლევების გარდა, ქალები გადიან გასაუბრებასაც, სადაც მოწმდება მათი ფსიქოლოგიური მზაობა.

კვლევები ასევე აჩვენებს, რომ ქალს, რომელსაც მატერიალურად უჭირს და ამასთან, უნდა, რომ შვილებისთვის გარემო შეცვალოს, ისეთი დიდი მოტივაცია აქვს, რომ ფსიქოლოგიურად საკმაოდ მომზადებული ხვდება ზევრ საკითხს. დღეს სუროგატი დედის ანაზღაურება საქართველოში 17-დან 23 ათას დოლარამდე მერყეობს. ამ თანხაში შედის ე.წ. ორსულობის ყოველთვიური სარჩო, 300 დოლარი, რაც მთლიანი ღირებულებიდან იქვითება. არის შემთხვევები, როცა სუროგატი დედა ტყუპებს აჩენს. ამ შემთხვევაში, ის დამატებით კიდევ 2000 დოლარს აიღებს. სუროგატ დედებთან გაფორმებული ხელშეკრულებების თანახმად, თუკი ორსულობა წყდება 24 კვირამდე, არა სუროგატი დედის მიზეზით, წყვილი ფარავს სუროგატი დედის სამედიცინო პროცედურების ხარჯს, ხოლო ქალს უხდის 500 დოლარს. იმ შემთხვევაში, თუკი ორსულობა წყდება 24 კვირიდან 32 კვირამდე, მაშინ წყვილმა სუროგატ დედას 5500 დოლარი უნდა გადაუხადოს. სუროგაციის შესახებ ხელშეკრულება სტანდარტულია. იუსტიციის მინისტრის 2020 წლის ბრძანების თანახმად, მხარეები ვალდებული არიან, სუროგაციის შესახებ ხელშეკრულების დადების მოთხოვნით მიმართონ ერთი და იმავე ნოტარიუსს და ხელი მოაწერონ სანოტარო აქტს. ხელშეკრულების დადებისას, სუროგატი დედა იღებს ვალდებულებას პირადად გამოცხადდეს ნოტარიუსთან ხელის მოსაწერად. მას არ აქვს უფლება, გარიგება დადოს წარმომადგენლის მეშვეობით. თუმცა იყო ისეთი პერიოდიც, როცა ნოტარიულად დამოწმე-ბული ხელშეკრულებების გარეშე სუროგატი დედის აყვანა, ჩვეულებრივი ამბავი იყო.

სტანდარტულ ხელშეკრულებაში უნდა ჩაიწეროს შემდეგი:

- სუროგატმა დედამ მკაცრად უნდა დაიცვას ექიმის მითითებები, ემბრიონის გადატანის მომენტიდან მშობიარობამდე. არ შეიძლება ფიზიკური სამუშაოს შესრულება;
- პოტენციური მშობლების მოთხოვნის შემთხვევაში, სუროგატი დედა ნებისმიერ დროს უნდა შეხვდეს პოტენციურ მშობელს;
- მშობიარობის შემდგომ არ გამოკვებოს ბავშვი ძუძუთი. ბავშვის დაბადების მომენტიდან არ იქონიოს არანაირი კონტაქტი ბავშვთან;
- სუროგატ დედას ეკრძალება ნებისმიერ პირთან, მათ შორის ქმართან, სექსუალური კავშირი;
- ხელშეკრულების დადების მომენტიდან, სუროგატ დედას ეკრძალება საქართველოს ტერიტორიის დატოვება. პოტენციური მშობლებისა და ექიმის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში კი მას ეძლევა მხოლოდ ქალაქის/სოფლის დატოვების უფლება.

სუროგაციის სამართლებრივი სივრცე ასევე სენსიტიურია ბავშვთა უფლებების დაცვის კუთხით. საერთაშორისო სუროგაციის დროს დაბადებული ბავშვები ხშირად ხვდებიან ე.წ. „მოქალაქეობის საკითხთა მარწუხებში“, სანამ მათი სტატუსი არ განისაზღვრება. ამის მაგალითია პარადისო და კამპანელი იტალიის წინააღმდეგ (Paradiso and Campanelli v. Italy), სადაც ბავშვი მშობლებს ჩამოერთვათ და თავშესაფარში გადაიყვანეს.

## 4. სუროგაციის მომხრეები და მოწინააღმდეგეები მსოფლიოს მასშტაბით

ბოლო მონაცემებით, კომერციული სუროგაცია ან სუროგაცია უცხოელი მოქალაქეებისთვის დაშვებულია სულ რამდენიმე ქვეყანაში, ესენია: აშშ-ს ზოგიერთი შტატი, კოლუმბია, მექსიკა, ალბანეთი, სომხეთი, საქართველო, ბელორუსი, ყირგიზეთი, უკრაინა (განახლდება საომარი მოქმედებების შეწყვეტის შემდეგ), ყაზახეთში ეს საკითხი სულ ახლახან გადაიხედა და ახალ რეგულაციებს დაექვემდებარა.

- საბერძნეთში - დასაშვებია დაქორწინებული და დაუქორწინებელი წყვილებისთვის, მარტოხელა ქალებისთვის, ქალი წყვილებისთვის.
- ალბანეთში - დასაშვებია ლგბტ წყვილებისთვის, დაქორწინებული და დაუქორწინებელი წყვილებისთვის, მარტოხელა მამაკაცებისთვის.
- სომხეთში - დასაშვებია დაქორწინებული და დაუქორწინებელი წყვილებისთვის, მარტოხელა მშობლებისთვის.
- კოლუმბიაში - დასაშვებია ლგბტ წყვილებისთვის, დაქორწინებული და დაუქორწინებელი წყვილებისთვის, მარტოხელა მშობლებისთვის.

კომერციული სუროგაცია აკრძალულია ევროკავშირის ყველა წევრ სახელმწიფოში. სამართლებრივი საფუძველია ადამიანის უფლებათა ევროპული ქარტია, (Charter of Fundamental Rights of The European Union, 2020) სადაც ვკითხულობთ, რომ ბიოლოგიისა და მედიცინის სფეროში აუცილებელია დაცულ იქნეს შემდეგი კანონზომიერება - „არ შეიძლება ადამიანის სხეული გახდეს ფინანსური სარგებლის მოტანის წყარო“ (მუხლი 3). ვფიქრობ, ევროპელმა კანონმდებლებმა ამ მუხლთან დაკავშირებით უფრო მეტი განმარტება უნდა შემოგვთავაზონ; თუკი ისინი მიიჩნევენ, რომ მსგავსი მანიპულაციების ჩატარება და სხეულის ამ მიზნით გამოყენება არ შეიძლება იყოს ფინანსური მოგების წყარო, მაშინ ეს ერთნაირად უნდა ეხებოდეს, როგორც სუროგატ დედას, რომელმაც გარკვეული გასამრჯელოს მიღების მიზნით, საკუთარი ნებით გამოიყენა თავისი სხეული, ისე იმ სამედიცინო დაწესებულებებს, რომლებიც ახორციელებენ სამედიცინო პროცედურებს კონკრეტული ადამიანის სხეულის „გამოყენების“ გზით.

აკრძალვა უნდა ეხებოდეს იმ ორგანიზაციებსა თუ ცენტრებსაც, რომლებიც აწარმოებენ მოლაპარაკებებს და იზიდავენ კლიენტებს. თუკი ზემოხსენებული მე-3 მუხლი მხოლოდ იმ ადამიანს ეხება, რომელიც იყენებს თავის სხეულს ფინანსური სარგებლის მიზნით, მაშინ შესაბამისი ჩანაწერიც უნდა გაკეთდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სუროგაციის ყველა ფორმა, მათ შორის ალტრუისტულიც უნდა იკრძალებოდეს, ვინაიდან შეიძლება სუროგატმა დედამ არა, მაგრამ კონკრეტულმა სამედიცინო დაწესებულებამ ნახა ფინანსური სარგებელი კონკრეტულ სხეულზე სამედიცინო მანიპულაციების განხორციელების შედეგად. თუ ავიღებთ კვიპროსის მაგალითს, სუროგატი დედა აქ არ არის ცალკე განყენებული ადამიანი, რომელიც ვიღაცამ მოძებნა და პროცესში ჩართო, ის კონკრეტული ცენტრის, სამედიცინო დაწესებულების თანამშრომელია, რომელიც აყვანილია ხელშეკრულების საფუძველზე, პერიოდულად გადის გამოკვლევებს და რომელიც პროცესში ჩართვისთვის (არ აქვს მნიშვნელობა შედეგს მოიტანს თუ არა) იღებს

გარკვეულ გასამრჯელოს. ეს უკანასკნელი იზრდება იმ შემთხვევაში, თუ პროცედურა წარმატებით განხორციელდა და ბავშვი დაიბადა. თანხებს არ ადგენს სუროგატი დედა. თანხების ოდენობას განსაზღვრავს კონკრეტული ცენტრი, სამედიცინო დაწესებულება. შესაბამისად, პირდაპირ არავინ ამბობს, რომ ევროკავშირის ამ ქვეყანაში დაშვებულია კომერციული სუროგაცია, თუმცა, ფინანსურ სარგებელს იღებს ყველა!

საქართველო, ევროასოცირების შეთანხმებით, პირდაპირ იღებს ვალდებულებას, რომ აღნიშნული სფეროს სამართლებრივი რეგულაცია დაექვემდებაროს ევროკავშირის სტანდარტებს. მსგავსი რეგულაციების არარსებობის შემთხვევაში, ძალიან დიდი რისკები ჩნდება როგორც ეთიკური, სამართლებრივი და სამედიცინო მომსახურების ხარისხის, ისე ევროკავშირთან დაახლოების კუთხით.

სუროგაციის ყველა ფორმა აკრძალულია საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიაში, ესპანეთში, ისლანდიაში, ფინეთში, მალაიზიაში. ამ ქვეყნებში ჯარიმა ან პატიმრობა შეიძლება დაეკისროთ როგორც პოტენციურ მშობლებსა და სუროგატ დედას, ასევე სამედიცინო პერსონალსა და „შუამავლებს“. მაგალითად, გერმანიის კანონმდებლობით, 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ან ჯარიმა ეკისრება „ნებისმიერ პირს“, რომელიც სუროგატ დედას საშვილოსნოში ემბრიონის გადატანაში დაეხმარება. ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოში დაშვებულია ალტრუისტული სუროგაცია, მაგრამ ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთი და სუროგატი დედა იმ ქვეყნის მოქალაქეა. თუმცა, საბერძნეთის შემთხვევაში (ერთადერთი გამონაკლისია ევროკავშირის მასშტაბით), შესაძლებელია მხარეს წარმოადგენდეს პირი, ვინც არ არის საბერძნეთის მოქალაქე, მაგრამ ამ ქვეყანაში დროებითი ან მუდმივი ცხოვრების უფლებით სარგებლობს.

საბერძნეთი იძლევა უფლებას, ბავშვის მოქალაქეობის საკითხი გადაწყდეს ევროკავშირის იმ ქვეყნის კანონმდებლობით, რომელსაც ერთ-ერთი მშობელი წარმოადგენს (ხაზგასმულია, რომ ეს შეიძლება იყოს ჰეტეროსექსუალი წყვილიდან ერთ-ერთი). მაგალითად პოლონეთში, ბელგიაში ალტრუისტული სუროგაციის შემთხვევში, ბავშვის დედად ითვლება ის, ვინც ბავშვი გააჩინა. ალტრუისტული სუროგაცია დაშვებულია ბრაზილიაში, კუბაში, ავსტრალიის შტატში - ვიქტორია, დიდ ბრიტანეთში, კანადაში, დანიაში, ჰოლანდიაში.

დიდი ბრიტანეთი ერთ-ერთი პირველი სახელმწიფოა, რომელმაც ოფიციალურად აღიარა სუროგაცია, როგორც ოჯახის დაგეგმვის ფორმა. ბრიტანეთში სუროგატი დედა ითვლება ბავშვის კანონიერ მშობლად, ვიდრე სასამართლო დადგენილებით მშობლის სტატუსი პოტენციურ მშობლებს მიენიჭება. დიდი ბრიტანეთის სუროგაციის კანონი განსაკუთრებით იცავს სუროგატი დედების უფლებებს და ამავე დროს ითვალისწინებს პოტენციური მშობლების ინტერესებს. თუ სუროგატი დაქორწინებულია, მისი პარტნიორიც იღებს მშობლის სტატუსს სასამართლოს გადაწყვეტილებამდე.

არის ისეთი ქვეყნები, სადაც ამ საკითხს კანონმდებლობა არ ან/და სრულყოფილად ვერ არეგულირებს, ამის მაგალითია: ირლანდია, იაპონია, კოლუმბია, კენია, ჩეხეთი, სლოვაკეთი, ბალტიისპირეთის ქვეყნები. ჩეხეთის კანონმდებლობა იცნობს ტერმინს

„სუროგატი დედა“. ამ უკანასკნელს ის უკრძალავს იმ ბავშვის შვილად აყვანას, რომელიც გააჩინა მაგრამ, რომლის ბიოლოგიურ დედად არ ითვლება (Hobzová, 2020). ზოგიერთ ქვეყანაში სუროგაციას კანონიერ საფუძველზე მიმართავდნენ ჰომოსექსუალი წყვილებიც, მაგალითად პოტრუგალიაში (2016 წლიდან გარკვეული პირობებით), კანონის მოქმედება შეჩერებულია 2018 წლიდან.

საბერძნეთის კანონმდებლობით განსაზღვრული და დაცულია წყვილის (ქალისა და მამაკაცის) მარტოხელა ქალის სამართლებრივი სტატუსი, რომელიც მიმართავს სუროგაციას. არის ქვეყნები, სადაც ალტრუისტული სუროგაცია დაშვებულია, მაგრამ იკრძალება სუროგაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის რეკლამა. არის ისეთი ქვეყნებიც (ჩინეთი), სადაც აკრძალულია, მაგრამ დარღვევა იწვევს მხოლოდ ჯარიმას და არა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

პირველი ქვეყანა, რომელმაც კომერციული სუროგაცია და მასთან დაკავშირებული ყველა ხელშეკრულების სახელმწიფოსთან შეთანხმება დააკანონა (1996 წელი), არის ისრაელი. უშვებს მხოლოდ ისრაელის მოქალაქეებზე. დაშვებულია ჰომოსექსუალ წყვილებზეც, ნებას რთავს სპეციალური კომისია. მსგავსი მიდგომა საკითხისადმი არის დანიაშიც. ცნობისთვის, მსოფლიოში ყოველ წელს 3,7 მილიონი ბავშვი იბადება ხელოვნური განაყოფიერების გზით (დიაგრამა 1).

დიაგრამა 1. სუროგაციის სამართლებრივი რეგულირება მსოფლიოში:



- როგორც კომერციული, ასევე ალტრუისტული ფორმები ლეგალურია;
- სამართლებრივი რეგულაციები არ არსებობს;
- ლეგალურია მხოლოდ ალტრუისტული;
- დაშვებულია, თუ დონორი ნათესავია (მეორე ხაზის);
- აკრძალულია;
- გაურკვეველი სტატუსი აქვს.

## დასკვნა

მაშინ, როცა მსოფლიოში ყოველწლიურად იზრდება უშვილობის პრობლემა (საერთაშორისო გამოკვლევების თანახმად, უშვილობის პრობლემა წყვილების 15-20% აქვს, რაც მთლიანობაში მილიარდ ადამიანს შეადგენს), როდესაც ბევრ ქვეყანაში მაინც ხდება სუროგაციის კომერციალიზაცია, როცა სუროგატი დედების უმრავლესობა მძიმე სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე იღებენ ამ გადაწყვეტილებას, როცა არ არსებობს არანაირი ზღვარი მათთვის, ვინც ყიდის თავის ბიოლოგიურ მასალას, ვფიქრობ, საერთაშორისო საზოგადოებამ უნდა შეიმუშაოს ერთიანი მიდგომა ამ მეტად აქტუალური და მტკივნეული პრობლემისადმი. ეს საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დადგა მას შემდეგ, რაც იტალიის პარლამენტმა 2023 წლის 17 ოქტომბერს დასავლეთის ქვეყნებს შორის ყველაზე მკაცრი კანონი მიიღო, რომელიც საერთაშორისო სუროგაციას კრძალავს. ადამიანებს, ვინც ქვეყნის ფარგლებს გარეთ სუროგატ დედებს იყენებს, ჯარიმები და პატიმრობა ემუქრება. კანონი 7-საათიანი ცხარე დებატების შემდეგ იტალიის პარლამენტმა 84 ხმით მიიღო. 58-მა დეპუტატმა წინააღმდეგ მისცა ხმა. როგორც ევროპის ბიოეთიკის ინსტიტუტის დირექტორი ლეოპოლდ ვანბელინგენი ამბობს, იტალიის პრემიერ-მინისტრის, ჯორჯა მელონის მიზანია საერთაშორისო კონვენციის მიღება, რომელიც სუროგაციის ბევრ ფორმას აკრძალავს.

მნიშვნელოვანია სიღრმისეული შესწავლა და გაანალიზება მეცნიერთა მოსაზრებებისა, კვლევებისა ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიც არის:

1. აქვს თუ არა სუროგატ დედას უფლება იშვილოს ახალშობილი და რა შემთხვევაში;
2. საჭიროა თუ არა სუროგატი მშობლების უფლებების დაცვა;
3. როგორ დარეგულირდეს დონაციის ჯერადობის საკითხი;
4. შეიძლება თუ არა სუროგაციას მიმართონ ჰომოსექსუალმა წყვილებმა;
5. უნდა ვრცელდებოდეს თუ არა სუროგაციის უფლება უცხოელ მოქალაქეებზე, როგორ მოვიქცეთ იმ შემთხვევაში თუ მხოლოდ ერთი მშობელია უცხოელი მოქალქე;
6. შეიძლება თუ არა აღვიქვათ სუროგაცია იძულების ერთ-ერთ გამოკვეთილ ფორმად იმ შემთხვევაში, თუ სუროგატი დედა უმძიმეს სოციალურ პირობებში ცხოვრობდა;
7. რა უკუჩვენებები ახლავს მრავალჯერად სუროგაციას, როგორ მოქმედებს ქალზე ჰორმონალური თერაპია;
8. როგორ უნდა რეგულირდებოდეს სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის მოქალაქეობისა და კონკრეტული ქვეყნიდან გასვლის საკითხი;
9. რა ფორმით უნდა განხორციელდეს მომავალი სუროგატი დედის ფსიქოლოგიური მდგომარეობის შემოწმება;
10. როგორ უნდა რეგულირდებოდეს სუროგატ დედად უცხო ქვეყნის მოქალაქის შერჩევის საკითხი;

11.შეიძლება თუ არა კონკრეტული პროცედურებისათვის დადგენილი თანხის მიღმა, სუროგატი დედისთვის გაკეთებული საჩუქარი (არ იგულისხმება ფულადი ანაზღაურება) ჩაითვალოს კომერციულ სუროგაციად.

როგორც ვხედავთ, სამუშაო მართლაც ბევრია. პროცესში უფრო მასშტაბურად უნდა ჩაერთონ სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, ექსპერტები. დაწვრილებით უნდა იქნეს შესწავლილი სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება. ყურადსაღებია ნებისმიერი სტატისტიკა, რომელიც ამ პროცესს უკავშირდება. უფრო მეტიც, მნიშვნელოვანია გარკვეული ფორმით მოხდეს დაკვირვება იმ ბავშვების ყოველდღიურ ცხოვრებაზე, ფსიქიკაზე, განვითარების დინამიკაზე, რომლებიც სწორედ სუროგაციის გზით გაჩნდნენ. ასევე მნიშვნელოვანია არაერთგზის სუროგაციაზე თანხმობამიცემული „დედების" ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლა. შესასწავლია იმ ბიოლოგიური დედების ძალდატანების გარეშე მიღებული თანხმობის ნამდვილობის საკითხიც, რომლებიც ძირითადად აზიურ სახელმწიფოებს წარმოადგენენ და შვილებს, ერთი შეხედვით ალტრუისტული მიზნებით, ოჯახის წევრებს უჩენენ. საჭიროა უფრო მეტი საინფორმაციო კამპანიის წარმოება ამ მიმართულებით, საზოგადოების უფრო მეტად ინფორმირება და შესაბამისად, საზოგადოების განათლების დონის ამაღლება. არანაკლებ მნიშვნელოვანია, მასმედიის როლის გაზრდა სუროგაციასთან დაკავშირებული პრობლემებისა თუ სამართლებრივი რეგულაციების შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად.

### გამოყენებული ლიტერატურა


საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება. *(2024).* საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №598 - „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 31 იანვრის №18 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

Ponniah, K. (2018, February 13). *In search of surrogates, foreign couples descend on Ukraine*. BBC. https://www.bbc.com/news/world-europe-42845602

საქართველოს პარლამენტი. (1997). *საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ"* (კონსოლიდირებული პუბლიკაცია 2023 წლის 3 ივლისის მდგომარეობით).

საქართველოს პარლამენტი. (2014). *საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ"*(კონსოლიდირებული პუბლიკაცია 2022 წლის 16 დეკემბრის მდგომარეობით).

საქართველოს პარლამენტი. (2000). *საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ"* (კონსოლიდირებული პუბლიკაცია 2022 წლის 15 დეკემბრის მდგომარეობით).

საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის ერთობლივი ბრძანება სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის ქვეყნიდან გაყვანის რეგულირების შესახებ.

Charter of Fundamental Rights of The European Union. (2020). Official Journal of the European Communities. https://www.europarl.europa.eu/charter/pdf/text_en.pdf

Hobzová, H. (2020). *Náhradní mateřství - Surrogacy.* Dissertation, Masaryk University, Faculty of Medicine, Department of Medical Ethics;

Wikipedia contributors. (n.d.). Surrogacy laws by country. In Wikipedia. Retrieved November 17, 2025, https://en.wikipedia.org/wiki/Surrogacy_laws_by_country

# Surrogacy - A Way Out or New Difficulties

**Gocha Ochigava**
Grigol Robakidze University
g.ochigava@gruni.edu.ge

**Abstract.** Today, declining birth rates and the demographic crisis are some of the most intense problems for European politicians. Several different methods are applied in several European countries; however, the picture does not change dramatically. Among other reasons, the birth rate is reduced by new diseases, and stressful life, which leads to infertility. Therefore, couples try to resort to artificial insemination and use the services of countries where surrogacy is allowed. Georgia is among such countries. Recently, issues related to surrogacy have become increasingly relevant. The mass media devotes more and more time to covering this topic. The inevitable need for legal regulation of this issue at the international level and raising public awareness of this problem has been clearly identified.

**Keywords:** Civil education, surrogacy, legal regulation, international law, Georgia

# ფემიციდი როგორც ქალთა მიმართ ძალადობის უკიდურესი ფორმა: სამართლებრივი შეფასება, ვიქტიმოლოგიური და ფემინისტური კრიმინოლოგიური ანალიზი

**გია დეკანოზიშვილი**[1*]
**ნინო ანდრიაშვილი**[2]
[1, 2] გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
*__პასუხისმგებელი ავტორი:__ g.dekanozishvili@gruni.edu.ge

**რეზიუმე.** სტატია წარმოადგენს ინტერდისციპლინურ სამეცნიერო-კვლევას ფემიციდის — შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი ქალთა მკვლელობის — სამართლებრივი, კრიმინოლოგი-ური და სოციალური ასპექტების შესახებ. ფემიციდი განიხილება როგორც ქალის შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი ძალადობის უკიდურესი ფორმა, რომლის ეფექტური სამართლებრივი აღიარება პირდაპირ უკავშირდება ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვას. სტატიაში გაანალიზებულია ფემიციდის კონცეპტუალური არსი, საერთაშორისო პრაქტიკა (ლათინური ამერიკისა და ევროპის ქვეყნების მაგალითზე), ასევე საქართველოს სამართლებრივი ჩარჩო და სასამართლო პრაქტიკა. სტატია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ვიქტიმოლოგიისა და ფემინისტური კრიმინოლოგიის განვითარებას, როგორც ახალ ინტერდისციპლინურ მეცნიერებით მიმართულებებს, რომლებიც ფემიციდის სიღრმისეულ გაგებასა და პრევენციული პოლიტიკის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

**საკვანძო სიტყვები:** ფემიციდი, შეუწყნარებლობის მოტივი, სისხლის სამართალი, ვიქტიმოლოგია, ფემინისტური კრიმინოლოგია, ადამიანის უფლებები, სექსუალური ორიენტაცია, საერთაშორისო პრაქტიკა

## შესავალი

ფემიციდი წარმოადგენს შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი ქალის მკვლელობის უკიდურეს ფორმას, რაც ქალთა მიმართ სისტემურ დისკრიმინაციას, ძალადობასა და უთანასწორობას ასახავს. გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის (UNODC, 2023) მონაცემებით, მხოლოდ 2022 წელს მსოფლიოში დაახლოებით 89,000 ქალი მოკლეს, საიდანაც ნახევარზე მეტი ოჯახის წევრისა ან ინტიმური პარტნიორის ხელით დაიღუპა. აღნიშნული მაჩვენებელი მიუთითებს, რომ ქალთა მკვლელობების მნიშვნელოვანი ნაწილი პირდაპირ კავშირშია ქალის სქესთან, შეუწყნარებლობის მოტივებთან და პატრიარქალური ძალაუფლების სტრუქტურებთან.

ფემიციდი გლობალურ დონეზე აღიარებულია არა მხოლოდ სისხლის სამართლის, არამედ ადამიანის უფლებათა დაცვის პრობლემადაც. საერთაშორისო ორგანიზაციები (UN Women, WHO, Council of Europe) ხაზს უსვამენ, რომ ქალთა მკვლელობები, რომლებიც მათი სქესის გამო ხორციელდება, საჭიროებს სპეციფიკურ სამართლებრივ აღიარებასა და რეაგირებას.

ლათინურ ამერიკაში — მექსიკაში, გვატემალაში და ელ-სალვადორში — ფემიციდი ცალკე სამართლებრივ კატეგორიად განისაზღვრა (Lagarde, 2008; Carcedo, 2019), ხოლო ევროპაში ესპანეთსა და იტალიაში ჩამოყალიბდა ძლიერი ინსტიტუციური მექანიზმები ფემიციდის პრევენციისთვის (Ferrari, 2019).

საქართველოს რეალობაში ფემიციდი კვლავ განიხილება ზოგად კატეგორიაში — „განზრახ მკვლელობის" ფარგლებში, რაც ართულებს შეუწყნარებლობის მოტივის იდენტიფიკაციასა და პრევენციულ პოლიტიკას. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანამ მოახდინა სტამბოლის კონვენციის რატიფიცირება (Council of Europe, 2011), სისხლის სამართლის კოდექსში არ არსებობს ცალკე დანაშაულის კატეგორია „ფემიციდი". შედეგად, ქალთა მკვლელობის მრავალი შემთხვევა იურიდიულად განიხილება როგორც „საოჯახო ტრაგედია" და არა როგორც სქესის ნიშნით ან/და ქალის შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი ძალადობის სისტემური გამოხატულება (საქართველოს სახალხო დამცველი, 2022).

სტატიის მიზანია: ფემიციდის სამართლებრივი აღიარების მნიშვნელობის გამოკვეთა, მისი თეორიული საფუძვლების გაანალიზება ვიქტიმოლოგიისა და ფემინისტური კრიმინოლოგიის პერსპექტივიდან, საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა და საქართველოს სამართლებრივი ჩარჩოს შეფასება ამ კონტექსტში.

## თეორიულ-კონცეპტუალური ჩარჩო: ფემიციდის კვლევის ინტერდისციპლინური საფუძვლები

ფემიციდის სიღრმისეული გაგება შეუძლებელია მხოლოდ სამართლებრივი ან სისხლისსამართლებრივი კატეგორიებით. ის მოითხოვს კომპლექსურ ანალიზს — სოციალური, კულტურული, ფსიქოლოგიური და სამართლებრივი ფაქტორების ურთიერთმოქმედების გათვალისწინებით. სწორედ ამიტომ, ბოლო ათწლეულებში ფემიციდის კვლევა გადის ინტერდისციპლინურ დონეზე, სადაც ცენტრალურ როლს იკავებს **ვიქტიმოლოგია (victimology)** და **ფემინისტური კრიმინოლოგია (feminist criminology)**.

**ვიქტიმოლოგია** როგორც მეცნიერება მეოცე საუკუნის შუა პერიოდში ჩამოყალიბდა, მაგრამ თანამედროვე ეტაპზე იგი მნიშვნელოვანად ტრანსფორმირდა და გაფართოვდა გენდერული ძალადობის მიმართულებით. მისი მიზანია მსხვერპლის — როგორც ინდივიდის, ასევე სოციალური ჯგუფის — სტატუსის, დაცვის და სამართლებრივი აღიარების სისტემური გაანალიზება (Karmen, 2020).

ფემიციდის შემთხვევებში ვიქტიმოლოგიური ანალიზი აუცილებელია, რადგან სწორედ ის იძლევა საშუალებას დაინახოს მსხვერპლი არა მხოლოდ სისხლის სამართლის პროცესის სუბიექტად, არამედ როგორც სოციალური სისტემის წევრი, რომლის მიმართ ძალადობა დაკავშირებულია გენდერულ სტერეოტიპებთან, კულტურულ ნორმებთან და ეკონომიკურ დამოკიდებულებებთან.

ვიქტიმოლოგიური მიდგომა ხაზს უსვამს შემდეგს:

1. ძალადობის ციკლის სამართლებრივი და სოციალური გააზრების აუცილებლობა;
2. მსხვერპლის გამოცდილების ჩართვა პოლიტიკისა და სასამართლო პრაქტიკის განვითარებაში;
3. პრევენციული ღონისძიებების დაფუძნება მსხვერპლზე ორიენტირებულ მიდგომებზე.

საქართველოში ვიქტიმოლოგიური ანალიზის ინტეგრაცია ჯერ კიდევ ახალია. მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს მსხვერპლის სტატუსს, პრაქტიკაში ქალთა მიმართ ძალადობისა და ფემიციდის საქმეებში მსხვერპლის ხმა ხშირად უჩინარი რჩება (ქავთარაძე, 2018; საქართველოს სახალხო დამცველი, 2022).

ფემინისტური კრიმინოლოგია გაჩნდა 1970-იანი წლებიდან, როგორც პასუხი ტრადიციულ კრიმინოლოგიაში ქალების სისტემური იგნორირების პრობლემაზე. მისი მიზანია კრიტიკულად გააანალიზოს, თუ როგორ აისახება გენდერული სტრუქტურები დანაშაულზე, ძალადობაზე და სამართლის პრაქტიკაზე (Radford & Russell, 1992; Kruttschnitt & Carbone-Lopez, 2018).

ფემინისტური კრიმინოლოგია ფემიციდს განიხილავს არა როგორც ინდივიდუალურ ტრაგედიას, არამედ როგორც სოციალური სისტემის ნაწარმს — პატრიარქალური კულტურის შედეგს, რომელიც ძალადობას ქალების მიმართ ნორმად აქცევს. ამ მიდგომით, ფემიციდის აღიარება სამართლებრივად აუცილებელია, რადგან იგი ასახავს არა მხოლოდ კონკრეტული პირის მკვლელობას, არამედ ქალთა მიმართ კოლექტიური დისკრიმინაციის მექანიზმებს (Russell, 2017).

ფემინისტური კრიმინოლოგიის ძირითადი თეზისებია:

- სამართლის ნეიტრალური ნორმები ხშირად ასახავს მამაკაცურ გამოცდილებას და უგულებელყოფს ქალთა სპეციფიკურ პრობლემებს;
- ფემიციდი უნდა აღიქმებოდეს არა როგორც ინდივიდუალური დანაშაული, არამედ როგორც სოციალური სტრუქტურის პროდუქტი;
- ფემიციდის სამართლებრივი აღიარება წარმოადგენს გენდერული თანასწორობის პოლიტიკურ აქტს.

ამ მიდგომამ მნიშვნელოვანად შეცვალა სამართლის მეცნიერება და დაედო საფუძველი საერთაშორისო კონვენციებსა და სტანდარტებს, მათ შორის **სტამბოლის კონვენციას** (Council of Europe, 2011), რომელიც ავალდებულებს სახელმწიფოებს აღიარონ ქალთა მიმართ ძალადობა და ფემიციდი როგორც ადამიანის უფლებათა დარღვევა.

**ფემიციდის ცნება** პირველად შემოიღეს ჯილ რედფორდმა (Radford) და დაიანა რასელმა (Russell) 1992 წელს, რომლებმაც იგი განსაზღვრეს როგორც „ქალთა მკვლელობა მათი სქესის გამო“. ეს განსაზღვრება მოგვიანებით განახლდა და გაფართოვდა საერთაშორისო პრაქტიკაში (Russell, 2017; Corradi et al., 2016).

ფემიციდი მოიცავს ისეთ შემთხვევებს, სადაც მკვლელობის მოტივი უკავშირდება მსხვერპლის ქალად ყოფნას — იქნება ეს პარტნიორის შურისძიება, პატრიარქალური

კონტროლი, ეკონომიკური დამოკიდებულება თუ საზოგადოებრივი სტიგმა. შესაბამისად, ფემიციდის სამართლებრივი აღიარება ნიშნავს სოციალური რეალობის სამართლებრივ აღქმას.

ფემიციდის კლასიფიკაცია მოიცავს რამდენიმე ფორმას:

- **ინტიმური ფემიციდი** - პარტნიორის ან ყოფილი პარტნიორის მიერ ჩადენილი მკვლელობა;
- **ოჯახური ფემიციდი** - ოჯახის წევრის მხრიდან ჩადენილი დანაშაული;
- **სოციალური ან პოლიტიკური ფემიციდი** - ქალთა მკვლელობა მათი აქტივობის ან იდენტობის გამო;
- **გაფართოებული ფემიციდი** - ქალთა მიმართ ძალადობის შედეგი, რომელიც არ მოიცავს პირდაპირ ფიზიკურ ქმედებას (მაგალითად, თვითმკვლელობა იძულების ფონზე).

ფემიციდის ასეთი მრავალფეროვანი ტიპოლოგია აჩვენებს, რომ ეს დანაშაული სცილდება მხოლოდ სისხლის სამართლის სფეროს და მოითხოვს სოციალურ, ფსიქოლოგიურ და პოლიტიკურ ანალიზსაც.

## ფემიციდის სამართლებრივი ბუნება და საერთაშორისო პრაქტიკა

ფემიციდის სამართლებრივი აღიარება წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე დინამიკურ პროცესს თანამედროვე საერთაშორისო სამართლისა და კრიმინოლოგიის განვითარების ფარგლებში. მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი თავდაპირველად გამოყენებული იყო მხოლოდ აკადემიურ წრეებში, ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ის თანდათან გადაიქცა სამართლებრივ კატეგორიად, რომელიც შემოღებულია არაერთ ეროვნულ და რეგიონულ კანონმდებლობაში.

გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ჯერ კიდევ 1993 წელს მიიღო ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის დეკლარაცია, სადაც განისაზღვრა, რომ ასეთი ძალადობა მოიცავს ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და სექსუალურ ძალადობას, მათ შორის ოჯახში, საზოგადოებრივ სივრცეში და სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ ჩადენილ ქმედებებს. ამ დეკლარაციამ საფუძველი ჩაუყარა ფემიციდის აღიარების სამართლებრივ პროცესს, რადგან პირველად იქნა ხაზგასმული, რომ ქალთა მიმართ ძალადობა წარმოადგენს ადამიანის უფლებათა დარღვევას.

2011 წელს მიღებულმა **ევროპის საბჭოს სტამბოლის კონვენციამ** (Council of Europe, 2011) განსაზღვრა სახელმწიფოთა ვალდებულება აღკვეთონ, გამოიძიონ და დასაჯონ ქალთა მიმართ ძალადობა და განსაკუთრებით — სიცოცხლის ხელყოფის ფაქტები გენდერული მოტივით. კონვენცია ითვალისწინებს ფემიციდის აღიარებას როგორც სპეციალური დანაშაულის ფორმას, რომელიც მოითხოვს გენდერულად სენსიტიურ გამოძიებასა და მსხვერპლის პერსპექტივის გათვალისწინებას.

გარდა ამისა, გაეროს ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი (CEDAW) თავის ზოგად რეკომენდაციებში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ფემიციდის გამოძიებისას აუცილებელია **გენდერული მოტივის სამართლებრივი აღიარება** და ძალადობის სტრუქტურული ბუნების გააზრება (CEDAW, General Recommendation No. 35, 2017).

ფემიციდის სამართლებრივი კატეგორიზაცია პირველად მოხდა ლათინურ ამერიკაში.

- **მექსიკამ** 2007 წელს მიიღო „ქალთა სიცოცხლის დაცვის კანონი", სადაც ფემიციდი განისაზღვრა როგორც ქალის მკვლელობა სქესის გამო, და განსაზღვრა შესაბამისი სასჯელი 40 წლამდე თავისუფლების აღკვეთით (Carcedo, 2019).
- **გვატემალამ** 2008 წელს მიიღო კანონი „Femicide and Other Forms of Violence Against Women", რომელიც სახელმწიფოს ავალდებულებს შექმნას სპეციალური პროკურატურა და სასამართლოები ფემიციდის საქმეების გასარჩევად.
- **ელ-სალვადორმა**, **ბოლივიამ** და **ჩილემაც** შემოიღეს მსგავსი კანონმდებლობა, რაც ადასტურებს ფემიციდის სამართლებრივი აღიარების მზარდ ტენდენციას რეგიონში.

ევროპაში ფემიციდი ცალკე სამართლებრივ დანაშაულად იშვიათადაა დადგენილი, თუმცა ქვეყნები აქტიურად იყენებენ გენდერულად სენსიტიურ პოლიტიკას.

- **ესპანეთში** 2004 წელს მიღებული „სქესობრივი ძალადობის შესახებ კანონი" მოიცავს სპეციალურ მექანიზმებს ქალთა დაცვისა და პრევენციისთვის, მათ შორის ოჯახში ძალადობის საქმეებში მკვლელობების სტატისტიკური აღრიცხვისათვის.
- **იტალიაში** 2019 წელს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილ იქნა ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს ფემიციდის განსაკუთრებულ მოტივად აღიარებას სასჯელის გამკაცრების საფუძვლად.
- **საფრანგეთი** და **გერმანია** ფემიციდის ტერმინს იყენებენ პრაქტიკაში და საჯარო პოლიტიკაში, თუმცა სამართლებრივად ის კვლავ განიხილება განზრახ მკვლელობის ფორმად, გენდერული მოტივის ხაზგასმით.

## საქართველოს რეალობა ფემიციდის საქმეები და სასამართლო პრაქტიკა

საქართველოს სამართლებრივი სივრცე ფემიციდის მიმართ ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანამ 2017 წელს მოახდინა სტამბოლის კონვენციის რატიფიცირება, ქალთა მიმართ ძალადობისა და ფემიციდის პრობლემები კვლავ რჩება ფრაგმენტულად მოწესრიგებული სამართლებრივი ველის ფარგლებში.

ფემიციდი, როგორც ცალკე დანაშაულის შემადგენლობა, არ ფიგურირებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, რაც ართულებს გენდერული მოტივის იდენტიფიცირებას და სამართლებრივად გამოკვეთას. შედეგად, მკვლელობის საქმეები უმეტესად განიხილება ზოგადი ნორმების საფუძველზე - „განზრახ მკვლელობა" ან „განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში" (სსკ მუხლები 108–109), მიუხედავად იმისა, რომ მათი ფაქტობრივი გარემოებები ნათლად მიუთითებს გენდერულ მოტივზე.

2025 წლის ცვლილებებით, საქართველოს კანონმდებლობიდან სიტყვა „გენდერი“ ფემიციდისა და ოჯახში ძალადობის კონტექსტში ამოღებულ იქნა, ხოლო სამართლებრივი ნორმები ძირითადად ბიოლოგიურ სქესსა და სხვა სოციალური იდენტობის ნიშნებზე ფოკუსირდება. ამ ცვლილებამ შესაძლოა შექმნას სირთულეები ფემიციდის ფაქტების კვალიფიცირებისა და მსხვერპლის დაცვის პროცესში, რადგან ძალადობის მოტივი ხშირად უფრო ფართო სოციალური და სისტემური ფაქტორებით განისაზღვრება.

საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის ანგარიშში მითითებულია, რომ **ფემიციდის შემთხვევების აღრიცხვისას არ ხდება გენდერული მოტივის გათვალისწინება,** რაც იწვევს მონაცემთა დამახინჯებას და ხელს უშლის რეალური სტატისტიკის ჩამოყალიბებას (სახალხო დამცველი, 2022).

საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის სპეციალური ანგარიშის მიხედვით, 2014–2022 წლებში დაფიქსირდა 109 ქალის მკვლელობა, საიდანაც მხოლოდ მცირე ნაწილი შეფასდა როგორც გენდერული ძალადობის შედეგი (საქართველოს სახალხო დამცველი, 2022). აღნიშნული მიუთითებს, რომ ფემიციდის ცნების ერთიანი განმარტება და აღრიცხვის მექანიზმი ეროვნულ დონეზე კვლავ არ არის ჩამოყალიბებული.

საქართველოსთვის მთავარი გამოწვევაა ფემიციდის სამართლებრივი აღიარების მექანიზმის შემუშავება ისე, რომ ის იყოს შესაბამისობაში საერთაშორისო სტანდარტებთან, მაგრამ ასევე მოერგოს ქვეყნის კონსტიტუციურ და სისხლის სამართლის სისტემას.

მთავარი პრობლემებია:

1. სისხლის სამართლის კოდექსში სქესის, სექსუალური ორიენტაციის და შეუწყნარებლობის მოტივის ზოგადი ფორმულირება (მუხლი $53^{1}$) პრაქტიკაში იშვიათად გამოიყენება;
2. გამოძიების სტადიაზე სქესის, სექსუალური ორიენტაციის და შეუწყნარებლობის მოტივი ხშირად არ ფიქსირდება;
3. სასამართლო გადაწყვეტილებებში სქესის, სექსუალური ორიენტაციის და შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი ძალადობის ბუნება უმეტესად იგნორირებულია;
4. მსხვერპლისა და მისი ოჯახის უფლებების დაცვა არასაკმარისად არის უზრუნველყოფილი.

ამ გამოწვევების გადალახვა მოითხოვს როგორც საკანონმდებლო ცვლილებებს (ფემიციდის ცალკე მუხლის შემოღება), ასევე საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის ტრენინგებს გენდერული სენსიტიურობის მიმართულებით.

სისხლის სამართლის პრაქტიკის გარდა, ფემიციდის აღიარებას ხელს უშლის სოციალური და ინსტიტუციური გარემოებებიც.

- სამართალდამცავ სტრუქტურებში კვლავ შეინიშნება სტერეოტიპული მიდგომა, როდესაც ძალადობის შემთხვევის შეფასება ხშირად ეფუძნება მსხვერპლის ქცევის ან მორალური კონტექსტის განხილვას, რაც არღვევს ობიექტურობის პრინციპს.

- გენდერული სენსიტიურობის ტრენინგები პოლიციასა და პროკურატურაში ხშირ შემთხვევაში ხორციელდება საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით (UN Women, UNDP, ევროკავშირის პროგრამები), თუმცა სისტემურ სახელმწიფო პოლიტიკად არ არის ქცეული.
- მედიაში ფემიციდის გაშუქება ხშირად არღვევს მსხვერპლის ღირსებას — კერძოდ, იშვიათად გამოიყენება გენდერულად მგრძნობიარე ტერმინოლოგია, ხოლო მკვლელობები ხშირად წარმოჩენილია როგორც „საოჯახო ტრაგედიები“, რაც ამცირებს საზოგადოების კრიტიკულ დამოკიდებულებას ძალადობისადმი.
- სოციალური კონტექსტი კვლავ ძლიერად არის დაკავშირებული პატრიარქალურ ნორმებთან, რაც ხელს უშლის ფემიციდის სისტემურ აღქმას როგორც საზოგადოებრივ პრობლემას და არა მხოლოდ ინდივიდუალურ დანაშაულად.

შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს პროკურატურის ანგარიშების მიხედვით, 2018–2024 წლებში ყოველწლიურად ფიქსირდება 12–20 ქალის მკვლელობა, საიდანაც უმეტესობა დაკავშირებულია ინტიმურ პარტნიორებთან ან ოჯახის წევრებთან ძალადობასთან (საქართველოს სახალხო დამცველი, 2023; საქართველოს პროკურატურა, 2023). დაახლოებით 70% შემთხვევებში წინ უძღოდა ხანგრძლივი ფსიქოლოგიური ან ფიზიკური ძალადობა, რაც აჩვენებს დანაშაულის განმეორებად და სისტემურ ბუნებას.

თუმცა გენდერული მოტივის იურიდიული აღიარება კვლავ იშვიათია. შედეგად, საქმეები აღირიცხება როგორც ჩვეულებრივი მკვლელობები, რაც ამცირებს სტატისტიკის სიზუსტეს და ხელს უშლის ფემიციდის პოლიტიკის ჩამოყალიბებას.

საქართველოს სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ მიუხედავად გენდერული მოტივის აშკარა ნიშნებისა, გადაწყვეტილებებში ეს ელემენტი იშვიათად აისახება.

**რუსთავის საქმე** (2022 წ.) — ყოფილი მეუღლის მიერ მეუღლის მკვლელობის შემთხვევა შეფასდა სსკ-ის 109-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში), თუმცა გენდერული მოტივი არ იქნა მითითებული, მიუხედავად იმისა, რომ საქმე მოიცავდა ხანგრძლივი ძალადობის ისტორიას (საქართველოს სახალხო დამცველი, 2023).

**მარნეულის საქმე** (2023 წ.) — მამაკაცმა მოკლა ყოფილი მეუღლე და დედამისი; სასამართლომ დანაშაული კვლავ შეაფასა ზოგადი ნორმით, მიუხედავად იმისა, რომ საქმე აშკარად უკავშირდებოდა გენდერულად მოტივირებულ ძალადობას.

**ზუგდიდის საქმე** (2021 წ.) — ოჯახის წევრის მკვლელობის საქმე განხილულ იქნა როგორც „დამამძიმებელი გარემოება“, თუმცა სასამართლომ კვლავ ვერ გამოყო გენდერული მოტივი, რაც განსაზღვრულად ზღუდავს პრევენციულ ეფექტს და გენდერულად მგრძნობიარე მართლმსაჯულების პრინციპს.

ეს მაგალითები აჩვენებს საერთო ტენდენციას — სასამართლო პრაქტიკა საქართველოში ჯერ კიდევ ვერ ასახავს ფემიციდის არსს სამართლებრივად გამოკვეთილი ფორმით.

2024 წელს საქართველოში გახმაურებულმა შემთხვევამ, ცნობილმა როგორც *კესარია აბრამიძის საქმე*, — წამოჭრა მნიშვნელოვანი სამართლებრივი კითხვა: შეიძლება თუ არა

ასეთი დანაშაული შეფასდეს ფემიციდად, როცა სისხლის სამართლის კოდექსი ქალის ცნებას მხოლოდ ბიოლოგიური სქესის საფუძველზე განმარტავს. როგორც პროკურატურის, ისე სასამართლოს პოზიციაში ხაზგასმულია, რომ დანაშაული სწორედ გენდერული ნიშნით განხორციელდა, რაც მნიშვნელოვანია ფემიციდის სამართლებრივი აღიარების კონტექსტში. ამავე დროს, ექსპერტულ და სამოქალაქო დისკურსში კვლავ არსებობს დებატები იმის შესახებ, რამდენად არის საკმარისი არსებული ნორმატიული ჩარჩო ფემიციდის ცნების სრულყოფილად ასახვისთვის, განსაკუთრებით ტრანსგენდერი ქალების შემთხვევაში, რომელთა იდენტობა ხშირად სამართლებრივად არ არის ადეკვატურად დაცული.

საქართველოს სახალხო დამცველის 2024 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ აღნიშნული შემთხვევა მიუთითებს კანონმდებლობისა და პრაქტიკის შეზღუდულობაზე გენდერული იდენტობის სამართლებრივი აღიარების კუთხით და აჩენს საჭიროებას ადამიანის უფლებათა სტანდარტების მოდერნიზაციისათვის.

აბრამიძის საქმე არა მხოლოდ ინდივიდუალური ტრაგედია იყო, არამედ სისტემური ხარვეზის ილუსტრაცია, როდესაც სამართლებრივი ჩარჩო ვერ პასუხობს გენდერული იდენტობის გამოწვევებს. ამ ფაქტმა საერთაშორისო ორგანიზაციების ყურადღება მიიპყრო, რადგან ის ასახავდა, რომ საქართველოში ფემიციდის ცნება საჭიროებს უფრო ინკლუზიურ განმარტებას, რომელიც მოიცავს ძალადობის ყველა ფორმას გენდერული მოტივით (Council of Europe, 2011; UN Women, 2021).

ფემიციდის სამართლებრივი აღქმისა და პრევენციის გაუმჯობესებისთვის აუცილებელია:

1. **ფემიციდის ცალკე სამართლებრივი კატეგორიის შექმნა** სისხლის სამართლის კოდექსში, სადაც მკაფიოდ იქნება განსაზღვრული გენდერული მოტივი.
2. **სასამართლო პრაქტიკაში გენდერული სენსიტიურობის გაძლიერება** — მოსამართლეებისა და პროკურორების სპეციალური მომზადებით.
3. **გენდერული იდენტობის** გათვალისწინება ადამიანის უფლებათა დაცვის ჩარჩოში, რაც ხელს შეუწყობს სამართლებრივ თანასწორობას.
4. **სახალხო დამცველისა და პროკურატურის ანგარიშების ინტეგრაცია სახელმწიფო სტატისტიკაში**, რათა ფემიციდის შემთხვევები აღირიცხოს ცალკე კატეგორიად.
5. **საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება** და მედიაში გენდერულად მგრძნობიარე ჟურნალისტური სტანდარტების დანერგვა.

ფემიციდის სამართლებრივი აღიარება საქართველოში საჭიროებს არა მხოლოდ სისხლის სამართლის რეფორმას, არამედ ინსტიტუციური სენსიტიურობის ზრდასა და ვიქტიმოლოგიისა და ფემინისტური კრიმინოლოგიის ინტეგრაციას სახელმწიფო პოლიტიკაში. მხოლოდ ამ გზით იქნება შესაძლებელი ფემიციდის აღქმა როგორც ადამიანის უფლებათა დარღვევა და არა მხოლოდ ინდივიდუალური დანაშაული.

## ფემიციდი, სექსუალური ორიენტაცია და ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტები

ფემიციდის სამართლებრივი აღიარება პირდაპირ უკავშირდება ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემას. გენდერული მოტივით ჩადენილი მკვლელობები არღვევს სიცოცხლის, ღირსების, თანასწორობისა და დაცულობის ფუნდამენტურ უფლებებს, რომლებიც გარანტირებულია როგორც საქართველოს კონსტიტუციით, ასევე საერთაშორისო სამართლის საფუძვლიანი დოკუმენტებით.

სიცოცხლის უფლება, როგორც ადამიანის ფუნდამენტური უფლება, დაცულია ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის 2-ე მუხლით, რომელიც სახელმწიფოს არა მხოლოდ უკრძალავს თვითნებურ სიცოცხლის ხელყოფას, არამედ ავალდებულებს მიიღოს ყველა გონივრული ზომა ამ უფლების დასაცავად (ECtHR, *Opuz v. Turkey,* 2009). ევროსასამართლომ აღნიშნულ საქმეში დაადგინა, რომ სახელმწიფოს მიერ ოჯახში ძალადობის პრევენციისა და გამოძიების არაეფექტიანობამ გამოიწვია სიცოცხლის უფლების დარღვევა. სწორედ ამ გადაწყვეტილებამ მოამზადა სამართლებრივი საფუძველი ფემიციდის აღიარებისკენ, როგორც ადამიანის უფლებათა დარღვევის განსაკუთრებული ფორმისა.

გარდა ამისა, **სტამბოლის კონვენციის** 38-ე და 46-ე მუხლები ავალდებულებს სახელმწიფოებს უზრუნველყონ გენდერული მოტივით ჩადენილი ძალადობის გამოძიება და სასამართლო პროცესში მსხვერპლის პერსპექტივის გათვალისწინება. შესაბამისად, ფემიციდის აღიარება არ არის მხოლოდ სისხლის სამართლის პოლიტიკის საკითხი — ის არის სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში.

ფემიციდის აღიარების კიდევ ერთი სირთულე დაკავშირებულია საზოგადოებრივ ცნობიერებასთან. ქართულ საზოგადოებაში კვლავ ძლიერია პატრიარქალური კულტურა და ტრადიციული სქესობრივი როლების აღქმა, რაც გავლენას ახდენს როგორც სამართალდამცავ სისტემაზე, ასევე სასამართლო გადაწყვეტილებებზე.

ფემიციდის შემთხვევები ხშირად აღიქმება როგორც „საოჯახო ტრაგედიები“ ან „პირადი კონფლიქტი“, რაც ამცირებს საზოგადოების კრიტიკულ დამოკიდებულებას გენდერული ძალადობისადმი. სწორედ ამიტომ, ფემიციდის სამართლებრივი აღიარება უნდა ერწყმოდეს განათლების, მედიაკომპანიის და სოციალური პოლიტიკის სისტემურ რეფორმებს.

გენდერული ცნობიერების ამაღლება — განსაკუთრებით სამართალდამცავთა, პროკურორებისა და მოსამართლეების ტრენინგების მეშვეობით — წარმოადგენს პრევენციისა და ეფექტური მართლმსაჯულების აუცილებელ ელემენტს.

## დასკვნა

ფემიციდი, როგორც უკიდურესი ძალადობის ფორმა, წარმოადგენს არა მხოლოდ სისხლის სამართლის, არამედ ადამიანის უფლებათა დაცვის, სოციალური სამართლიანობისა და თანასწორობის მნიშვნელოვან გამოწვევას. საქართველოს სამართლებრივი სივრცე დღეს

კვლავ ჩამოყალიბების პროცესშია, რის შედეგადაც აუცილებელია ფემიციდის ცალკე სამართლებრივი აღიარება სისხლის სამართლის კოდექსში, რომელიც განსაზღვრავს მას გენდერული მოტივით ჩადენილ მკვლელობად. ასეთი ნორმა ხელს შეუწყობს სამართალდამცავი ორგანოების შესაძლებლობას გენდერული მოტივის იდენტიფიცირებისა და უზრუნველყოფს სტატისტიკური მონაცემების უფრო ზუსტ აღრიცხვას.

ფემიციდის აღიარება უნდა იყოს საფუძველი მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომის განვითარებისა გამოძიებისა და სასამართლო პრაქტიკის დონეზე. ეს მოიცავს მსხვერპლის მხარდაჭერის მექანიზმების გაძლიერებას, მათ შორის ფსიქოლოგიური და იურიდიული დახმარების სისტემატურ უზრუნველყოფას, რაც მნიშვნელოვნად ზრდის სამართლებრივი დაცვის ხარისხს. ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება დამრღვევის მოტივის გათვალისწინება სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიური კვლევების ყველა დონეზე, რათა თავიდან იქნეს აცილებული სამართლებრივი ნეიტრალობის ილუზია, რომელიც ხშირად ძალადობის რეალურ ბუნებას ფარავს.

ცალკე ყურადღება უნდა დაეთმოს შემთხვევებს, სადაც მსხვერპლი განსხვავებულ სოციალურ იდენტობას ან გამოცდილებას წარმოადგენს, რადგან მათი იგნორირება არღვევს თანასწორობის პრინციპს და ზღუდავს სამართლებრივ დაცვას საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინების პირობებში. ამასთან, საერთაშორისო გამოცდილების ინტეგრაცია, განსაკუთრებით ესპანეთის, მექსიკის და იტალიის პრაქტიკა, სადაც ფემიციდის სამართლებრივი აღიარება სამართლიანობის პოლიტიკის განუყოფელ ნაწილად იქცა, მნიშვნელოვანი არის ეროვნული სამართლებრივი ჩარჩოს მოდერნიზაციისა და ეფექტურობის გაზრდისთვის.

ფემიციდის სამართლებრივი აღიარება არ წარმოადგენს მხოლოდ ნორმატიულ ცვლილებას. ეს არის მეცნიერული, სოციალური და პოლიტიკურად მნიშვნელოვანი გარდატეხა, რომელიც გულისხმობს საზოგადოების ცნობიერების ტრანსფორმაციას, სამართლებრივი კულტურის გაღრმავებას და ადამიანის ღირსების უნივერსალური პრინციპის რეალურ განხორციელებას.

## გამოყენებული ლიტერატურა

საქართველოს სახალხო დამცველი. (2022). *ქალთა მიმართ ძალადობისა და ფემიციდის პრევენცია საქართველოში.* თბილისი.

ქავთარაძე, ნ. (2018). ვიქტიმოლოგიის როლი გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში. *სამართლის ჟურნალი, 12*(3), 45–57.

შინაგან საქმეთა სამინისტრო. (2023). *ფემიციდის შემთხვევების ანალიზის ანგარიში.* თბილისი.

უზენაესი სასამართლო. (2022). *სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა ოჯახში ძალადობის საქმეებზე.* თბილისი.

ფემიციდის პრევენციის პლატფორმა. (2023). *ფემიციდის შემთხვევათა სტატისტიკური ანალიზი.* თბილისი.

Carcedo, A. (2019). *Femicide in Latin America: Legal frameworks and social responses*. UN Women.

Corradi, C., Marcuello-Servós, C., Boira, S. & Weil, S. (2016). Theories of Femicide and Their Significance for Social Research. *Current Sociology*, *64*(7), 975–995.

Council of Europe. (2011). *Convention on Preventing and Combating Violence Against Women and Domestic Violence (Istanbul Convention)*.

ECtHR. (2009). *Opuz v. Turkey* (Application no. 33401/02).

Kruttschnitt, C. & Carbone-Lopez, K. (2018). Feminist criminology in the twenty-first century. *Annual Review of Criminology*, 1, 295–312.

Karmen, A. (2020). *Crime victims: An introduction to victimology* (10th ed.). Cengage Learning.

Lagarde, M. (2008). *El feminicidio: justicia y derecho*. Universidad Nacional Autónoma de México.

Radford, J. & Russell, D. (1992). *Femicide: The politics of woman killing*. Twayne Publishers.

Russell, D. (2017). *Defining femicide and related concepts*. *Feminist Criminology*, 12(3), 286–301.

UNODC. (2023). *Global Study on Homicide: Gender-related killings of women and girls*. United Nations Office on Drugs and Crime.

# Femicide as the Extreme Form of Violence Against Women: Legal Assessment, Victimological and Feminist Criminological Analysis

**Gia Dekanozishvili**[1]
**Nino Andriashvili**[2]
[1, 2] Grigol Robakidze University
***Corresponding author:** g.dekanozishvili@gruni.edu.ge

**Abstract.** The article represents an interdisciplinary scholarly study of femicide - the gender-based killing of women motivated by intolerance - through legal, criminological, and social perspectives. Femicide is examined as the most extreme manifestation of violence against women committed on the grounds of gender-based intolerance, whose effective legal recognition is directly linked to the protection of fundamental human rights. The paper analyzes the conceptual nature of femicide, international practices (with a focus on examples from Latin American and European countries), as well as Georgia's legal framework and judicial practice. Special attention is given to the development of victimology and feminist criminology as emerging interdisciplinary fields that contribute to a deeper understanding of femicide and to the formation of effective preventive policies.

**Keywords:** Femicide, motive of intolerance, criminal law, victimology, feminist criminology, human rights, sexual orientation, international practice

# მტკიცების ცნება და მისი ტრანსფორმაცია სისხლის სამართლის საპროცესო მეცნიერებაში

**ლელა გუდაძე**[1]
**ამირან მოსულიშვილი**[2]
[1, 2] გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
***პასუხისმგებელი ავტორი:** lela.gudadze17@gruni.edu.ge

**რეზიუმე.** მტკიცების ცნება სისხლის სამართლის მეცნიერებაში ერთ-ერთი ფუნდამენტური ინსტიტუტი გახლავთ, იგი განსაზღვრავს მართლმსაჯულების პროცესში სამართლის დადგენის მეთოდოლოგიურ და თეორიულ ჩარჩოს, სტატიაში განხილულია მტკიცების როგორც სამართლებრივი ისე ფილოსოფიური შინაარსი, მისი ისტორიული განვითარება და თანამედროვე ეტაპზე განცდილი ტრანსფორმაცია. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მტკიცების ტვირთის გადანაწილების წესებს, მტკიცებულებათა შეფასების სტანდარტებსა და მართლმსაჯულების პროცესში სასამართლოს როლს. აგრეთვე წარმოდგენილია ქართული და საერთაშორისო ანალიზი, რაც საშუალებას იძლევა თვალნათლივ განვიხილოთ მტკიცების ცნებაში მომხდარი ტრანსფორმაციის ძირითადი ტენდენციები და გამოწვევები თანამედროვე სამართლებრივ რეალობაში. სტატიის მიზანია წარმოაჩინოს თუ როგორ იცვლებოდა მტკიცების თეორია სისხლის სამართლის პროცესში დროისა და სამართლებრივი სისტემების ცვლილების შესაბამისად და დაასკვნას, რომ თანამედროვე ეტაპზე მტკიცების ცნება მჭიდროდ არის დაკავშირებული ადამიანის უფლებების დაცვასთან, სამართლიანი სასამართლოს პრინციპთან და მტკიცებულებათა სრულფასოვანი, ობიექტური შეფასების აუცილებლობასთან.

**საკვანძო სიტყვები:** მტკიცება, მტკიცებულება, მტკიცების სტანდარტი

## შესავალი

სისხლის სამართლის საპროცესო მეცნიერება წარმოადგენს სამართლის იმ დარგს, რომელიც არეგულირებს იმ დანაშაულის გამოძიებისა და მართლმსაჯულების განხორციელების პროცესს, რომელშიც ერთ-ერთი განსაკუთრებული ადგილი მტკიცების ცნებას უჭირავს. მტკიცება გულისხმობს ფაქტობრივი გარემოებების დადგენის პროცედურას, რაც აუცილებლია სამართლებრივი გადაწყვეტილების მიღებისათვის.

ისტორიულად, მტკიცების ცნება სამრთლებრივ სისტემაში მუდმივი ევოლუციის პროცესში იყო, მას სხვადასხვანაირი დატვირთვა და ფორმა ჰქონდა.

თანამედროვე ეპოქაში, მტკიცების ცნება განიცდის მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას, რადგან ძიება და მტკიცება ვერ ეფუძნება მხოლოდ ძალაუფლებრივ იერარქიას ან ფორმალურ კრიტერიუმებს. ბუნებრივია პრიორიტეტი ენიჭება მტკიცებულებების სანდოობას, მხარეთა თანასწორობას, უდანაშაულობის პრეზუმციას და სამართლიანი

სასამართლოს უფლების დაცვას. ამ კონტექსტში მტკიცების ტრადიციული სტრუქტურები იცვლება, იხვეწება მტკიცების ტვირთის განაწილების პრინციპები და მკაცრდება მოთხოვნები მტკიცებულებათა მიღებისა და შეფასების სტანდარტების მიმართ.

მტკიცების ცნების ტრანსფორმაცია სისხლის სამართლის საპროცესო მეცნიერებაში არა მხოლოდ სამართლებრივი ტექნიკის დახვეწის შედეგია, არამედ წარმოადგენს ღრმა სისტემური ცვლილებების გამოძახილს.

## მტკიცება, როგორც შემეცნების ფორმა

სისხლის სამართლის პროცესში მტკიცება არის ადამიანის შემეცნების სპეციფიკური ფორმა. მისი თავისებურება დამოკიდებულია როგორც შემეცნების ფორმებსა და მეთოდებზე, რომლებიც განაპირობებს სისხლის სამართლის პროცესის მხარეთა ქცევას. იმისათვის, რომ უფრო ღრმად გავარკვიოთ შემეცნების თვალსაზრისით მტკიცების არსი, აუცილებელია შევეხოთ მის გნოსეოლოგიურ ასპექტებს.

როდესაც განვიხილავთ მტკიცებას, როგორც შემეცნების განსაკუთრებულ ფორმას, ძნელია გვერდი ავუაროთ იმ ზოგად ფილოსოფიურ დებულებებს, რომლებიც გნოსეოლოგიის ღერძია.

როგორც ცნობილია, ფილოსოფია არკვევს შემეცნებითი პროცესის ზოგად კანონზომიერებებს. შემეცნების გნოსეოლოგიური პრობლემატიკის გაშუქებისას საყურადღებოა ის გარემოება, რომ ადამიანს შესწევს უნარი, სიღრმისეულად „ჩაიძიროს" და კრიტიკულად გაანალიზოს თავისი ფიქრები, იმსჯელოს, შეიცნოს, შეაფასოს, დაასკვნას. ადამიანი მხოლოდ ინსტინქტებს არ უგდებს ყურს. იგი გაცნობიერებულადაც მოქმედებს, რაც განპირობებულია მისი გონებრივი შესაძლებლობებით. სწორედ ეს გაცნობიერებული მოქმედება არის ადამიანის გასაოცარი ნიჭი და უნარი, ანუ გონება.

გონება გაგებისა და გააზრების საშუალებაა. გონებას შესწევს უნარი, გასცდეს შესამეცნებელი ამოცანების ფარგლებს და ახალი, მოულოდნელი იდეები, თვალსაზრისები და შედეგები შეიმუშაოს. შემეცნების პროცესში გონებას განსჯა და აზროვნება ეხმარება. განსჯა გონივრული მოღვაწეობის საწყისი საფეხურია. იგი შეიძლება ასე განვმარტოთ: განსჯა არის ფსიქიკური აქტი, რომლის დროსაც ხდება მსჯელობის, დასკვნის ცნებების შემუშავება და ამ მასალით გონების „მომარაგება". განსჯის საფუძველზე ადამიანი თანამიმდევრულად და ნათლად მსჯელობს, ახდენს მოვლენათა კლასიფიკაციას და აზრობრივად აწესრიგებს მიღებულ ცოდნას.

აზროვნება არის შემეცნებითი პროცესი, რომლისთვისაც დამახასიათებელია სინამდვილის განზოგადებული, გაშუალებული სახეების შექმნა.

ფილოსოფიაში არის ტერმინი „გნოსეოლოგია" („გნოსეოლოგია" ბერძნული სიტყვაა; „გნოსის" ნიშნავს „ცოდნას"). ეს არის მოძღვრება შემეცნების ბუნებისა და კანონზომიერების შესახებ. შემეცნება ნიშნავს ცოდნის მიღებას და ცნობიერების შინაარსის გაფართოებას. ცხადია, ამის გარეშე არავითარი აქტიური მოქმედება არ სრულდება.

გნოსეოლოგიაში შემდეგი კითხვები დგას: რა არის შემეცნების სუბიექტი და ობიექტი? შეუძლია თუ არა სუბიექტს, შეიმეცნოს ობიექტი? რა უნარებით და მეთოდებით ხდება ეს შემეცნება? რა არის ჭეშმარიტება? და სხვ. ამ საკითხების კვლევა თვითმიზანი არ არის; მისი მიზანია მატერიალური და სულიერი პროცესების ურთიერთდამოკიდებულების გარკვევა და ამის საფუძველზე პრაქტიკული საქმიანობა (ზერიძე; თავართქილაძე; ფანცულაია, 2009).

მთლიანობაში, შემეცნების ობიექტია მატერიალური და სულიერი სამყარო. რაც შეეხება შემეცნების სუბიექტს, ეს არის პიროვნება, რომელიც შეიმეცნებს.

ამდენად, სუბიექტი შემეცნებას მიმართავს მის გარეთ, ტრანსცენდენტურ სინამდვილეში და მის შიგნით, იმანენტურ სინამდვილეში.

მტკიცების ფილოსოფიურ ასპექტებს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ჯერ კიდევ საბჭოთა სისხლის სამართლის საპროცესო ლიტერატურაში. დავას იწვევდა წინა პერიოდის და დასავლეთის ქვეყნების იურისტთა მოსაზრებები, რომლებიც უარყოფდნენ ე.წ. მატერიალურ ჭეშმარიტებას და ასაბუთებდნენ იურიდიული ჭეშმარიტების აუცილებლობის საკითხს.

იურიდიული ჭეშმარიტების კონცეფციის მომხრეთა მოსაზრებით, მართლმსაჯულებას საერთოდ არა აქვს სრულყოფილი ხერხები იმისათვის, რომ დადგინოს რეალური სურათი. ამიტომ მოსამართლე იძულებულია დაკმაყოფილდეს იმ მასალით, რომელიც მას ხელთ აქვს. გ. რადბრუხი პირდაპირ წერდა, რომ იურისტი არის ფორმის და არა სამართლიანობის მსახური. მისი აზრით, სასამართლო მტკიცების მიზანია ფორმალური ჭეშმარიტება. ამ აზრს იზიარებდა ცნობილი გერმანელი იურისტი ცუ–დონა. უფრო შორს მიდიოდა ინგლისელი იურისტი ნოუკსი, რომელიც ითხოვდა, რომ უტყუარობის მაგივრად პროცესში შემოღებული იქნეს ალბათობა (Жогина, 1973).

როდესაც განვიხილავთ მტკიცებას, როგორც შემეცნების განსაკუთრებულ ფორმას, გასათვალისწინებელია, რომ ის არის სამართლით დარეგულირებული წესი, ანუ სისხლის სამართლის საპროცესო საქმიანობის პროცედურა. ამასთანავე, ამ პროცედურის შინაარსი, ცხადია, მოიცავს საპროცესო საქმიანობას და მისი შედეგების ფიქსაციის წესებს, სამართლებრივი ნორმებით განპირობებულ მოქმედებათა განხორციელების, გადაწყვეტილებათა მიღების თანამიმდევრობას და საპროცესო გადაწყვეტილებების მიღების წესს. ასევე აღსანიშნავია, რომ არ არის სასურველი, როგორც ეს ზოგჯერ ხდება, საპროცესო ფორმის გაიგივება სისხლის სამართლის საპროცესო სამართალთან. სისხლის სამართლის საპროცესო ფორმა არის არა თვით სამართლის ნორმები, არამედ ამ ნორმებით განპირობებული საქმიანობის წესი, პროცედურა.

## მტკიცების ცნება და მტკიცების პროცესი

უდავოა, რომ სისხლის სამართლის პროცესის თეორიასა და პრაქტიკაში არ არსებობს არც ერთი პრობლემა, არც ერთი საკითხი, რომელიც არ არის დაკავშირებული სისხლის სამართლის საპროცესო მტკიცებასთან. ეს უკანასკნელი არის სისხლის სამართლის

პროცესის არა მარტო ღერძი, არამედ მისი მამოძრავებელი ძალაც, ე.ი. მას სიცოცხლეს ანიჭებს, საგნობრივად შეგრძნებად მოვლენად აქცევს. სისხლის სამართლის საპროცესო მტკიცების გარეშე სისხლის სამართლის პროცესი წარმოუდგენელია, რადგან ასეთ შემთხვევაში ის არსებითად იქნებოდა მხოლოდ გროვა თეორიული პოსტულატებისა თვით სისხლის სამართლის პროცესის, მის წინაშე მდგარი მიზნებისა და ამოცანების, მათი მიღწევის შესაძლო საშუალებებისა და ხერხების შესახებ, მაგრამ არა იმის თაობაზე, თუ ვინ, როგორ და რა პრაქტიკული საქმიანობის საშუალებით უნდა განახორციელოს ეს ყველაფერი. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო მტკიცების ცნება დიდი ხანია საკმაოდ მყარად დამკვიდრდა მეცნიერებაში, მისი განსაზღვრის შესახებ პროცესუალისტთა შორის დღემდე არაა ერთიანი აზრი.

მტკიცება არის შემეცნების რთული პროცესი, რომელსაც მხოლოდ მისთვის დამახასია-თებელი თვისებები აქვს. უპირველეს ყოვლისა, სისხლის სამართლის საპროცესო მტკიცების დამახასიათებელი ნიშანია მისი ნორმატიული რეგლამენტირება. საქართველოს მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, მაგალითად, გათვალისწინებულია არაერთი სამართლებრივი ნორმა, რომელიც მიუთითებს მტკიცების მიზნებსა და ამოცანებზე. აგრეთვე არეგულირებს მტკიცებულებათა შეგროვების, საპროცესო დამაგრე-ბის, შემოწმებისა და შეფასების პროცესს. ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სისხლის სამართლის საპროცესო საქმიანობის სუბიექტების უფლებამოსილებებისა და საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების წესის მარეგულირებელ ნორმებს და ა.შ. მტკიცების პროცესის სამართლებრივ ნორმებზე დაფუძნება იმაზე მიუთითებს, რომ იგი სამართლებრივი საქმიანობაა.

თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ კონკრეტულ გამოსაძიებელ და გადასაწყვეტ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებული ცოდნის მიღება შეიძლება არასაპროცესო გზითაც, კერძოდ, არასაპროცესო წყაროებიდან (მაგალითად, პრესის ცნობებიდან, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის, კერძო დეტექტიური საქმიანობის შედეგად), და იგი დაფიქსირე-ბულია არასაპროცესო ფორმით. მაგრამ ასეთი ინფორმაცია მხოლოდ მაორიენტირებელი, დამხმარე ხასიათისაა. კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეში მტკიცებულების სახით იგი არ უნდა გამოიყენებოდეს.

ფაქტობრივი მონაცემები, რომლებიც გამოსაძიებელ და გადასაწყვეტ სისხლის სამართლის საქმეში შეიძლება მტკიცებულების სახით გამოვიყენოთ, უნდა შეესაბამებოდეს გარკვეულ მოთხოვნებს და უნდა ჰქონდეს სპეციფიკური ხარისხობრივი თვისებები, მათ შორის, ის, რომ ისინი მიღებული უნდა იქნეს მხოლოდ კანონით გათვალისწინებული წყაროებიდან. მათ რიცხვს არ მიეკუთვნება ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებულმა ინფორმაციამ მტკიცებულებითი მნიშვნელობა შეიძლება მიიღოს (მტკიცებულებად გადაიქცეს) მხოლოდ შესაბამისი საპროცესო ფორმით (ნივთიერი მტკიცებულება), დოკუმენტი (სისხლის სამართლის პროცესის რომელიმე მონაწილის ჩვენება) შემოსვლის შემთხვევაში. სამართლებრივი რეგულირების, საპროცესო ფორმის გარეშე სისხლის სამართლის პროცესში მტკიცება არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს.

სისხლის სამართლის პროცესში მტკიცების შემდეგი დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ მის განსახორციელებლად უფლებამოსილი არიან სისხლის სამართლის საპროცესო კანონში მითითებული ორგანოები და პირები - სისხლის სამართლის პროცესში მტკიცების სუბიექტები.

სისხლის სამართლის პროცესში მტკიცება საერთოდ წარმოუდგენელია სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა შემცნობი სუბიექტის გარეშე. მტკიცების სუბიექტის დახასიათებისას გასათვალისწინებელია, რომ სუბიექტი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი (წარმომადგენლის სახით). მათ უნდა ჰქონდეთ გარკვეული იურიდიული უფლებები და ვალდებულებები. მტკიცების სუბიექტს უნდა ჰქონდეს გარკვეული თვისებები, რომლებიც დაკავშირებულია ნების თავისუფლებასთან, სახელდობრ: ა) გარკვეული დამოუკიდებლობა; ბ) პერსონიფიცირებული ნების გამომუშავების, გამოხატვისა და განხორციელების უნარი.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ სწორედ იურიდიული ნორმები ქმნის ფიზიკური თუ იურიდიული პირის, როგორც სამართლის სუბიექტის, ფუნქციონირების აუცილებელ საფუძველს. გამონაკლისი არც სისხლის სამართლის პროცესის მხარეთა ნორმატიული რეგლამენტაციაა. იურიდიული ნორმების საფუძველზე ყალიბდება სამართალსუბიექტობა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სამართლის სუბიექტია პირი, რომელიც ფლობს სამართალსუბიექტობას, სხვაგვარად რომ ვთქვათ, პოტენციურად უნარი აქვს, იყოს სამართალდამოკიდებულების მონაწილე, საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტია კონკრეტული საპროცესო სამართლებრივ ურთიერთობის რომელიმე რეალური მონაწილე.

სისხლის სამართლის პროცესში მტკიცების სუბიექტებს განეკუთვნებიან გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე, ბრალდებული, დამცველი, დაზარალებული, სამოქალაქო მოსარჩელე, სამოქალაქო მოპასუხე, მათი წარმომადგენლები. ყველა დასახელებული პირის მოქმედებაში აისახება მტკიცების ესა თუ ის ელემენტი. თუმცა მათი მოცულობა, შინაარსი და ფორმები განსხვავებულია.

აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ სისხლის სამართლის პროცესში მტკიცება არის წარსულში ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების გარკვეული შეცნობა, რომელსაც ახორციელებენ მტკიცების შესაბამისი სუბიექტები მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ფარგლებში და ამ კანონით გათვალისწინებული საპროცესო ფორმით.

## მტკიცების პროცესის შინაარსი

თავის შინაარსით მტკიცება არის საგამოძიებო, სასამართლო ორგანოების საქმიანობის და იმ ურთიერთობათა სისტემა, რომლებიც წარმოიქმნება ამ საქმიანობასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა შორის. მტკიცება რთული პროცესია. მტკიცების, როგორც სისტემის, განხილვისას აუცილებელია განვასხვაოთ მისი სტრუქტურული წარმონაქმნები: მტკიცების ელემენტები; მტკიცების საშუალებები; მტკიცების დონეები.

მტკიცების პროცესის შინაარსი მის ელემენტებში იხსნება. ეს ელემენტებია: გამოძიების ვერსიების აგება, მტკიცებულებების შეგროვება (აღმოჩენა, დამაგრება), მტკიცებულებების შემოწმება (გამოკვლევა), მტკიცებულებების შეფასება, სისხლის სამართლის საქმეზე დასკვნების დასაბუთება (Белкин, 2005).

მტკიცების პროცესის ყველა ელემენტი ურთიერთკავშირშია, ხორციელდება არა ერთმანეთისაგან იზოლირებულად, არამედ გარკვეულ ერთიანობაში და ახასიათებს მტკიცების ერთიანი პროცესის სხვადასხვა მხარეებს. მტკიცებულებათა შეგროვებისა და შემოწმების მიმდინარეობისას გარკვეული ზომით ხორციელდება მათი შეფასებაც და ვერსიების აგებაც. საქმეზე დასკვნების დასაბუთებისას ხდება მტკიცებულებათა შემოწმება და შეფასება. მაგრამ მტკიცების ცალკეულ ეტაპებზე მისი ესა თუ ის ელემენტი უფრო ნაკლებად ვლინდება. წინასწარი ძიების მიმდინარეობისას, მით უმეტეს, ბრალდების წარდგენამდე, ჭარბობს ვერსიების აგება, მტკიცებულებათა შეგროვება და შემოწმება, სასამართლო პაექრობისას - მტკიცებულებათა შეფასება, განაჩენის დადგენისას - საქმეზე დასკვნების დასაბუთება. მაგრამ თითოეულ ასეთ შემთხვევაში შეიძლება აღმოვაჩინოთ მტკიცების პროცესის სხვა ელემენტებიც.

მტკიცების პროცესის ერთ-ერთი ელემენტია გამოძიების ვერსიების აგება და დინამიკური განვითარება. ამას მართებულად მიაქცია ყურადღება ფ. ფატკულიანმა (Факуллин, 1973) ვერსიები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მტკიცებაში, ხელს უწყობს საქმის გარემოებათა სრულ და ობიექტურ გამოკვლევას. სისხლის სამართლის საქმეზე შეგროვილი მონაცემების გათვალისწინებით, საჭიროა წამოვაყენოთ ყველა შესაძლო ვერსია და არ უნდა შევიზღუდოთ მტკიცების ცალმხრივი მიმართულებით. თითოეულ სისხლის სამართლის საქმეზე, მის „უბრალოების" მიუხედავად, საერთო და კერძო ვერსიების აგება მტკიცების წარმატებით განხორციელების პირობაა (Шейфер, 2008).

მტკიცების პროცესის მეორე ელემენტია მტკიცებულებების შეკრება. გამომძიებელს, პროკურორსა და სასამართლოს მხარეთა შუამდგომლობით უფლება აქვთ მათ წარმოებაში არსებულ საქმეებთან დაკავშირებით დაკითხვაზე გამოიძახონ ნებისმიერი პირი, დაავალონ ექსპერტიზის ჩატარება, დაათვალიერონ, ჩხრეკის და კანონით გათვალისწინებული სხვა საგამოძიებო მოქმედებების შესრულება: მოითხოვონ დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან, თანამდებობის პირებისა და მოქალაქეებისაგან საგნებისა და დოკუმენტების წარმოდგენა; მოითხოვონ რევიზიის ჩატარება. მტკიცებულებები შეიძლება წარმოდგენილი იქნეს პროცესის მონაწილეების, აგრეთვე ნებისმიერი მოქალაქის, დაწესებულების, საწარმოს და ორგანიზაციის მიერ (Зинатуллин, 1993).

მტკიცებულებების შეკრება გულისხმობს საჭირო ინფორმაციის წყაროების ძიებასა და აღმოჩენას, მტკიცებულებითი მნიშვნელობის ფაქტების შესახებ ცნობების მოპოვებას, საჭიროა მოწმეების პოვნა და დაკითხვა, დანაშაულის ჩადენის ადგილის დადგენა და დათვალიერება და ა.შ., მაგრამ შეგროვება მხოლოდ მტკიცებულებების აღმოჩენას არ ნიშნავს. ფაქტების შესახებ ცნობები მტკიცებულებით მნიშვნელობას იძენს, თუ ისინი შესაბამისად გამაგრებულია კანონით დადგენილი ხერხითა და წესით: შედგენილია მოწმის დაკითხვის ოქმი, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი და ა. შ. მტკიცებულებების

აღმოჩენისა და დამაგრების საპროცესო ფორმის დაცვა გარკვეული გარანტიაა, რომელიც ხელს უწყობს მათ შენარჩუნებას, უზრუნველყოფს მათი შემდგომი შემოწმების, შეფასების და საქმეზე დასკვნების დასაბუთებისათვის გამოყენების შესაძლებლობას.

მტკიცების პროცესის შემდეგი ელემენტია მტკიცებულებების შემოწმება. საქმეზე შეკრებილი ყველა მტკიცებულება დაწვრილებით, ყოველმხრივ უნდა შეამოწმონ გამომძიებელმა, პროკურორმა და სასამართლომ. უნდა შემოწმდეს თითოეული მტკიცებულება, როგორც კონკრეტული ცნობა ამა თუ იმ ფაქტის შესახებ. ფაქტების შესახებ ცნობების სახით მტკიცებულებებს შეუძლია ფაქტების სწორად ასახვა ან მათი დამახინჯება, ისინი შეიძლება იყოს სარწმუნო ან პირიქით. მტკიცებულებების შემოწმება ხელს უწყობს ამის გარკვევას. მათ შესამოწმებლად სხვადასხვა მეთოდები გამოიყენება. უპირველესად საჭიროა მტკიცებულებების გულმოდგინედ გაანალიზება. ფაქტების შესახებ ცნობები დეტალურად უნდა შემოწმდეს მოწმეების სახით სხვა პირების დაკითხვის, შემთხვევის ადგილის, ნივთიერი მტკიცებულებების ყურადღებით დათვალიერების გზით. მტკიცებულებების შემოწმებისას საჭიროა მათი შედარება სხვა მტკიცებულებებთან, რომლებიც მიღებულია იმავე და სხვა წყაროებიდან. მტკიცებულებე-ბის შემოწმების ხერხია ფაქტობრივი მონაცემების ახალი წყაროების, ახალი მტკიცებულებების ძიება. მაგალითად, მოწმისაგან მიღებული ცნობები ფაქტების შესახებ შეიძლება შემოწმდეს სხვა მოწმეების მოძებნისა და დაკითხვის, სხვა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების გზით. ინფორმაციის დამახინჯება ერთი წყაროსაგან შესაძლებელია, მაგრამ წყაროთა სისტემაში ასეთი ალბათობა მცირდება ან მთლიანად ქრება. ამიტომ მტკიცებულებათა შემოწმებისას უნდა ვეძებოთ ცნობათა ახალი წყაროები იმავე ფაქტების შესახებ, გავამრავალფეროვნოთ ეს წყაროები და არ შევიზღუდოთ მხოლოდ ერთი სახეობით, მაგალითად, მოწმის ჩვენებებით; საჭიროა მტკიცებულებათა ისეთი სისტემის აგება, რომელიც დაამოწმებს მათ სარწმუნოობას.

მტკიცებულებების შემოწმებისას საჭიროა შეისწავლოთ ინფორმაციის წყარო, გავითვალის-წინოთ მტკიცებულებების აღმოჩენისა და ჩამოყალიბების პირობები, ნივთიერი მტკიცებულებების აღმოჩენის ვითარება, მოწმეთა, დაზარალებულთა, ბრალდებულთა ურთიერთობა, ექსპერტის კვალიფიკაცია და მტკიცებულებების სარწმუნოებაზე გავლენის მომხდენი სხვა გარემოებები.

მტკიცებულებების შეფასება გულისხმობს მათი მნიშვნელობის განსაზღვრას ჭეშმარიტების დადგენის, სასამართლო წარმოების ყველა ამოცანის გადაწყვეტის თვალსაზრისით. მტკიცებულებების შეფასება არის აზროვნებითი, ლოგიკური პროცესი. იგი ხორციელდება ლოგიკის, ფსიქოლოგიის კანონების საფუძველზე; მასზე გავლენას ახდენს იმ სუბიექტის სამართლებრივი და ზნეობრივი ცნობიერება, რომელიც ამოწმებს მტკიცებულებებს. ის, რომ მტკიცებულებათა შეფასება, როგორც აზროვნებითი პროცესი, ექვემდებარება აზროვნების ობიექტურ კანონებს, არ გამორიცხავს მისი სამართლებრივი რეგულირების შესაძლებლობას. სამართლებრივი ნორმები ადგენს მტკიცებულებათა შეფასების პრინციპული მნიშვნელობის მქონე ძირითად წესებს.

მტკიცებულებათა შეფასების სუბიექტი შეიძლება პროცესის ნებისმიერი მონაწილე იყოს, მაგრამ მათ შეფასებებს ერთნაირი მნიშვნელობა არა აქვთ. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა მტკიცებულებათა შეფასება იმ პირთა მიერ, რომლებიც ახორციელებენ მტკიცებას. მათ შეფასებაზეა დამოკიდებული საპროცესო გადაწყვეტილებები და საბოლოო დასკვნები საქმეზე დანაშაულის შემადგენლობის არსებობის ან არარსებობის, ბრალდებულის ბრალეულობის ან არაბრალეულობის, დამნაშავის დასჯის შესახებ.

მტკიცების პრინციპი და, მაშასადამე, მტკიცებულებათა შეფასების პრინციპები არის სისხლის სამართლის საერთო პრინციპები. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში ჩამოყალიბებულია მტკიცებულებებს შეფასების ძირთიადი სამართლებრივი მოთხოვნა. იგი გულისხმობს იმას, რომ სასამართლო, პროკურორი და გამომძიებელი მტკიცების განხორციელებისას მტკიცებულებებს აფასებენ თავიანთი შინაგანი რწმენის შესაბამისად, რომელიც ეფუძნება საქმის ყველა გარემოების ყოველმხრივ, სრულ განხილვას ერთობლიობაში, და ხელმძღვანელობენ კანონით და სამართალშეგნებით. მისი შინაარსიდან გამომდინარე, საუბარია მტკიცებულებათა შეფასების ერთიან მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, შეფასება უნდა განხორციელდეს შინაგანი რწმენის მიხედვით, რომელიც თავის მხრივ ემყარება: ა) მტკიცებულებათა ერთობლიობის ანალიზს; ბ) კანონს; გ) სამართალშეგნებას (Лупинская, 1976).

მტკიცებულებების შეფასებაში შინაგანი რწმენა საჭიროა განვიხილოთ ორ ასპექტში: როგორც მტკიცებულებათა შეფასების მეთოდი და როგორც მტკიცებულებათა შეფასების შედეგი. შინაგანი რწმენა, როგორც მტკიცებულებათა შეფასების მეთოდი, ხასიათდება შემდეგი დებულებებით: ა) მტკიცებულებების შემფასებელმა ყველა სუბიექტმა უნდა იხელმძღვანელოს მხოლოდ საკუთარი შინაგანი რწმენით; იგი უნდა გამოვიდეს არა იმ შეფასებებიდან, რომელიც მტკიცებულებებს სხვა პირებმა და პროცესის მონაწილეებმა მისცეს, არამედ მხოლოდ საკუთარი შინაგანი რწმენიდან. კანონი ავალდებულებს მტკიცების თითოეულ სუბიექტს, პირადად შეაფასოს მტკიცებულებები. ამ მოთხოვნის უგულვებელყოფას მტკიცების მცდარობამდე მივყავართ; ბ) კანონით არაა დადგენილი ფორმალური წესები, რომლებიც გავლენას ახდენს მტკიცებულებათა შეფასების ხასიათზე. კანონში მტკიცების სუბიექტები არ არიან შეზღუდული მტკიცებულებების ფორმალური შეფასებით. ეს გამოხატულია საქართველოს მოქმედ სსსკ-ის მე-19 მუხლში, რომელიც ითვალისწინებს, რომ არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე და სასამართლო მტკიცებულებებს აფასებენ თავიანთი შინაგანი რწმენით. მტკიცებულებები ფასდება არა ფორმალური ნიშნების მიხედვით, არამდე იმ პირის შინაგანი რწმენის საფუძველზე, რომელიც აფასებს მტკიცებულებებს; გ) მტკიცებულებების შეფასებას პროცესის სხვადასხვა მონაწილეების მიერ, მათ შორის, ზემდგომ თანამდებობის პირთა და ორგანოთა მიერ, არა აქვს სავალდებულო მნიშვნელობა მათი შემდგომი შეფასების თვალსაზრისით გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის (სასამართლოს) და მტკიცების განმახორციელებელი სხვა პირებისათვის. მაგალითად, თუ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა აუქმებს ქვემდგომი სასამართლოს განაჩენს და საქმეს აგზავნის ახალი სასამართლო

განხილვისათვის ან პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე, უფრო მძიმე ბრალდე-ბის წარდგენის მიზნით, მოსამართლე საქმეს აგზავნის დამატებითი გამოძიებისათვის, ორივე შემთხვევაში სასამართლოს არ აქვს უფლება წინასწარ გადაწყვიტოს ბრალდების დადასტურების ან დაუდასტურებლობის, ამა თუ იმ მტკიცებულების სარწმუნოობის ან არასარწმუნოობის, ერთი მტკიცებულების მეორესთან შედარებით უპირატესობის საკითხი; ხოლო თუ ასეთ მითითებებს პირდაპირი ან არაპირდაპირი ფორმით შეიცავს სასამართლოს განჩინება, მოსამართლის დადგენილება, მტკიცებულებების შეფასებისა საჭიროა ვიხელმძღვანელოთ მხოლოდ საკუთარი შინაგანი რწმენით.

შინაგანი რწმენა, როგორც მტკიცებულებათა შეფასების შედეგი, ნიშნავს, რომ გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე დარწმუნებული არიან მტკიცებულებების სარწმუნოობაში და იმ დასკვნების მართებულობაში, რითაც ისინი მივიდნენ სისხლის სამართლის საპროცესო მტკიცების პროცესში. მტკიცების თითოეული პროცესი უნდა დასრულდეს ასეთი რწმენის წარმოქმნით. თუ ასეთი რამ არ არის, ეს ნიშნავს, რომ მტკიცება არაა სრულყოფილი, ე.ი. საჭიროა მტკიცებულებების შეფასებიდან კვლავ მტკიცებულება-თა შეგროვებასა და შემოწმებას დავუბრუნდეთ.

შინაგანი რწმენა უნდა ემყარებოდეს საქმის ყველა გარემოების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას მათ ერთობლიობაში. მტკიცებულებათა ერთობლიობის თვალსაზრისით უნდა შეფასდეს თითოეული მტკიცებულება ცალკე აღებული და ყველა მტკიცებულება ერთად. ფაქტობრივი მონაცემების ერთობლიობის ანალიზი შემეცნების მეთოდოლოგიური საფუძველია.

სხვა ფაქტორია სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მითითება. კანონის მოთხოვნები მტკიცებულებების შესახებობის, დასაშვებობის, მტკიცებულებების შეფასების თავისებუ-რებათა შესახებ პროცესის სხვადასხვა სტადიებზე და მტკიცების საპროცესო ფორმის საკითხებთან დაკავშირებით ზემოქმედებას ახდენს გამომძიებლების, მოსამართლეების შინაგანი რწმენის ფორმირებაზე.

მასვე უკავშირდება კანონით გათვალისწინებული ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს შინაგანი რწმენის ჩამოყალიბებაზე, - იმ პირთა სამართალშეგნება, რომლებიც ახორციელებენ მტკიცებას. სამართალშეგნება ზემოქმედებას არა მარტო სისხლის სამართლის ნორმების გამოყენებაზე, არამედ საპროცესო სამართლის ნორმების გამოყენებაზედაც, კერძოდ, იმ ნორმებისა, რომლებიც გავლენას ახდენს მტკიცებულებათა შეფასებაზე. სამართალშეგნება აისახება შინაგანი რწმენის ფორმირებაზე, მტკიცებულებათა შეფასებაზე, გამომძიებლების, პროკურორებისა, მოსამართლეების სამართალშეგნებაზეა დამოკიდებული ის, თუ როგორ განიხილავენ ისინი საპროცესო კანონის მნიშვნელობას მტკიცების დროს, როგორ განმარტავენ ისეთ კატეგორიებს, როგორებიცაა „მტკიცებულე-ბათა საკმარისობა გადაწყვეტილების მისაღებად“, „წინააღმდეგობები მტკიცებულებებში“, „საპროცესო კანონის არსებითი დარღვევა“, „პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები“ და სხვ. ამ კატეგორიების განსხვავებული განმარტება პიროვნებაში ჩამოყალიბებული სამართალშეგნების საფუძველზეა, ცხადია, გავლენას ახდენს მასში შინაგანი რწმენის ჩამოყალიბებაზე მტკიცებულებების შეფასებისას. ამიტომაა

ასე მნიშვნელოვანი, განვავითაროთ, სრულვყოთ გამომძიებლების, პროკურორების, მოსამართლეების სამართალშეგნება.

საპროცესო მტკიცებაში შეფასების ობიექტებია ფაქტობრივი მონაცემები და მათი წყაროები, ე.ი. მტკიცებულებები, აგრეთვე მათი მიღების მეთოდები და ხერხები. სწორედ ამას გულისხმობს კანონი, როცა განსაზღვრავს ძირითად სამართლებრივ მოთხოვნებს მტკიცებულებათა შეფასების მიმართ. ფაქტობრივი მონაცემების სწორი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ ამ მონაცემების და მათი წყაროების, ასევე მათი მიღების მეთოდების ერთიანი შეფასების საფუძველზე. თუ მტკიცების პროცესის, მტკიცების ყველა საშუალების შეფასება მოწმობს მათ არასრულყოფილებას, კანონთან შეუსაბამობას, ეს შეიძლება მიუთითებდეს თვით იმ ფაქტობრივი მონაცემების ნაკლოვანებაზე, რომლებიც მიღებულია ასეთი მტკიცების შედეგად.

მტკიცებულებათა შეფასება გულისხმობს მათი შესახებობის, დასაშვებობის, სარწმუნოობისა და საკმარისობის განსაზღვრას (Мухин, 1971).

სისხლის სამართლის საპროცესო მტკიცებაში შეფასება შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა დონეებზე. ეს პირველ რიგში არის გამომძიებლის მიერ ფაქტობრივი ინფორმაციის შეფასება, მისგან ფაქტობრივი მონაცემების მტკიცებულებების სახით არჩევა მათი საპროცესო გაფორმების დონეზე. სხვა დონეა ცალკეული მტკიცებულებების შეფასება მათი კუთვნილების, დასაშვებობის თვალსაზრისით, რომელიც დაკავშირებულია მათი სარწმუნოობის შემოწმებასთან, შემდეგი დონეა მტკიცებულებათა შეფასება მტკიცების დამამთავრებელ ეტაპებზე - შედგენისას, განაჩენის დადგენისას და ა.შ. (Лупинская, 1996) ამ დონეზე მტკიცებულებათა ერთობლიობის შეფასება საჭიროებს დასკვნების, როგორც მტკიცების შედეგების დასაბუთებას.

მტკიცებულების შეფასება პირველ და მეორე დონეებზე არის წინასწარი შეფასება. მტკიცებულებათა წინასწარ შეფასებას მიმართავენ მტკიცების პროცესის სისხლის სამართლის პროცესის ერთი სტადიის ფარგლებში. ასეთი წინასწარი შეფასება საჭიროა შემდგომი მტკიცების დასაგეგმავად. მტკიცებულებათა შეფასება მესამე დონეზე არის საბოლოო შეფასება. პროცესის თითოეული სტადია მთავრდება გადაწყვეტილების მიღებით. გადაწყვეტილებაში მოცემული დასკვნების დასასაბუთებლად მტკიცების განმახორციელებელმა პირებმა სრულად, საბოლოდ უნდა შეაფასონ მტკიცებულებები.

მტკიცების პროცესის ელემენტებს, განხილულებთან ერთად, უნდა მივაკუთვნოთ დასკვნების დასაბუთება სისხლის სამართლის საქმეზე. დასკვნები შეიძლება იყოს კერძო, ცალკე საკითხებზე, რომელთა გადაწყვეტაც ხდება მტკიცების დროს მტკიცებულებათა შეკრების, შემოწმებისა და შეფასების პროცესში. სისხლის სამართლის საპროცესო მტკიცების მსვლელობისას საჭირო ხდება სხვადასხვა კერძო საკითხების გადაწყვეტა: ცალკე საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შესახებ; მტკიცებასთან დაკავშირებული შუამდგომლობების დაკმაყოფილებისა და უარყოფის შესახებ; საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებების ჩატარების შესახებ; მტკიცებასთან დაკავშირებული შუამდგომლობების დაკმაყოფილებისა და უარყოფის შესახებ; საგამოძიებო და სასამართლო

მოქმედებების ჩატარებისას მიღებული მთელი ინფორმაციიდან იმ ცნობებისა და ფაქტების შერჩევის შესახებ, რომლებიც საპროცესო წესით უნდა დამაგრდეს მტკიცებულებების სახით; გამოძიების, სასამართლო გამოძიების დასრულების შესახებ და ა.შ. ამ და სხვა გადაწყვეტილებების მიღება დაკავშირებულია შესაბამისი დასკვნების დასაბუთებასთან.

მტკიცება გულისხმობს სისხლის სამართლის სასამართლო წარმოებაში საერთო დასკვნების დასაბუთებას, რომლებიც დაკავშირებულია გამოძიების დაწყების, პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და მისი ბრალდებულის სახით პროცესში ჩართვის, განაჩენის დადგენის შესახებ და სხვა გადაწყვეტილებების მიღებასთან.

მტკიცებულება სისხლის სამართალწარმოებაში არის დასაბუთება დასკვნებისა არა მარტო იმ გარემოებათა არსებობის ან არარსებობის შესახებ, რომლებიც საჭიროებს მტკიცებას სისხლის სამართლის საქმეზე, ე.ი. დასკვნებისა საქმის ფაქტობრივი მხარის შესახებ, არამედ სასჯელის იურიდიული კვალიფიკაციის, სამართლიანობის შესახებაც და ყველა სხვა დასკვნებისა, რომელიც შეიძლება გაკეთდეს სისხლის სამართლის საპროცესო მტკიცების საფუძველზე.

ზოგჯერ სისხლის სამართლის საპროცესო მტკიცებას ზღუდავენ მხოლოდ ფაქტობრივ გარემოებათა შეცნობით. მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ მტკიცებას საჭიროებს სხვა დასკვნებიც სისხლის სამართლის საქმეზე, სისხლის სამართალწარმოებაში მტკიცებაში უნდა მოვიაზროთ ნებისმიერი დასკვნების დასაბუთება საპროცესო მტკიცების საშუალებებით. ასე მაგალითად, დასკვნა იურიდიული კვალიფიკაციის შესახებ საბუთდება არა მარტო სისხლის სამართლის ნორმების გაანალიზებით, არამედ იმ გარემოებების შესახებ ფაქტობრივი მონაცემების გამოყენებითაც, რომლებიც შეესაბამება დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს. ამ მონაცემებისგან მოწყვეტით შეუძლებელია იურიდიული კვალიფიკაციის შესახებ სწორი დასკვნების გაკეთება. ეს ეხება დასკვნასაც სასჯელის სამართლიანობის შესახებ. ის შეიძლება გაკეთდეს ბრალდებული პიროვნების შესახებ ფაქტობრივი მონაცემების გამოყენების საფუძველზე, რომლებიც მიუთითებს, თუ რამდენად საშიშია ეს პირი საზოგადოებისათვის. საპროცესო მტკიცების საშუალებებით შეიძლება დასაბუთდეს სისხლის სამართლის საქმეში არსებული სხვა დასკვნებიც.

სისხლის სამართლის საპროცესო მტკიცება ხორციელდება გარკვეული საშუალებების დახმარებით.

საპროცესო მტკიცების საშუალებათა ერთ-ერთი ჯგუფია კანონით დადგენილი სისხლის სამართლის საპროცესო მტკიცებულებების სახეები, ე.ი. სისხლის სამართლის საპროცესო მტკიცების დროს გამოყენებული სხვადასხვა ფაქტობრივი მონაცემები, რომლებიც მოცემულია კანონით გათვალისწინებულ წყაროებში.

საპროცესო მტკიცების საშუალებათა მეორე ჯგუფს ქმნის სისხლის სამართალწარმოებაში მტკიცებულებათა მიღების, შემოწმებისა და გამოყენების ხერხები. მათ განეკუთვნება სხვადასხვა საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებები: დაკითხვა, ბრალდებულის დაკითხვა, მოწმეების დაკითხვა, დაზარალებულის დაკითხვა, ამოსაცნობად წარდგენა, დათვალიერება, საგამოძიებო ექსპერიმენტის, ექსპერტიზის ჩატარება. სასამართლო

გამოძიების სტადიაზე შესაძლებელია იმავე მოქმედებების განხორციელება, რომლებიც მიმართულია მტკიცებულებათა შეკრებისა და შემოწმებისაკენ.

ამ მოქმედებებთან ერთად, მტკიცებულებების შეკრებისა და შემოწმების ხერხების სახით დაშვებულია: ორგანიზაციებისა და მოქალაქეებისაგან საგნებისა და დოკუმენტების გამოთხოვა; რევიზიების ჩატარება გამოძიების ორგანოები, პროკურორისა და სასამართლოს მოთხოვნით; პროცესის მონაწილეების, ორგანიზაციებისა და მოქალაქეების მიერ მტკიცებულებათა წარდგენა. ეს მოქმედებები საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებების ნაირსახეობაა. კანონით გათვალისწინებულია ყველა საგამოძიებო და სასამართლო მოქმედების ამომწურავი ჩამონათვალი. მხოლოდ მათი მეშვეობით შეიძლება განხორციელდეს მტკიცებულებების შეკრება და შემოწმება (Шейфер, 2008).

ვ. კოლდინის აზრით, საჭიროა სისხლის სამართლის საპროცესო მტკიცების სტრუქტურაში განვასხვავოთ არა მარტო მტკიცების პროცესის ელემენტები (ვერსიების აგება, მტკიცებულებათა შეკრება, შემოწმება და შეფასება, დასკვნების დასაბუთება) და მტკიცების საშუალებები (მტკიცებულებები და მათი მიღების ხერხები), არამედ მტკიცების სხვადასხვა დონეებიც (Колдин, 1974).

სისხლის სამართლის საპროცესო მტკიცების პროცესში იცვლება მისი კერძო ამოცანები, საინფორმაციო მასალის ხასიათი, მისი მიღებისა და გამოყენების ხერხები. ყველაფერი ეს გავლენას ახდენს სისხლის სამართლის საპროცესო მტკიცების სისტემაში ცალკეული დონეების გამოყოფაზე.

ერთ-ერთი მათგანია საპროცესო საქმიანობა, რომელიც გამოიხატება იმით, რომ ინფორმაციის მთელი მასალიდან, რომელიც მიღებულია საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებების საშუალებით, მტკიცებულებების სახით ავარჩიოთ ფაქტობრივი მონაცემები მათი საპროცესო დამაგრების მიზნით. ეს საქმიანობა გულისხმობს ინფორმაციის აღმოჩენას და შეფასებას იმ ცნობების საპროცესო მტკიცებულებების სახით შემდგომი დამაგრებისათვის, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს სისხლის სამართლის საქმისათვის. მტკიცებას ამ დონეზე ახორციელებს გამომძიებელი, როცა იგი დაკითხავს მოწმეებს, ათვალიერებს შემთხვევის ადგილს, ატარებს სხვა საგამოძიებო მოქმედებებს. გამომძიებელი, რომელიც იღებს სხვადასხვა ინფორმაციას, მუშაობს მასზე და აფასებს მას, იღებს გადაწყვეტილებას - რა გამორიცხოს მისგან და რა აიღოს საპროცესო დამაგრებისათვის სისხლის სამართლის საპროცესო მტკიცებულებების სახით. მტკიცების ამ დონეზე მტკიცებულებები ჯერ კიდევ არ არის; მტკიცების განმახორციელებელი პირი მხოლოდ წყვეტს მათი მიღების ამოცანას, ამასთანავე, ამას აკეთებს საპროცესო საქმიანობის საშუალებით, რომელიც მიმართულია სხვადასხვა ინფორმაციის აღმოჩენის, გამოკვლევისა და შეფასებისაკენ. ასეთი ინფორმაციის მიღება შეიძლება არა მარტო სისხლის სამართლის საპროცესო მტკიცების დონეზე, არამედ სხვა საშუალებებითაც, მაგალითად, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობით.

მტკიცების სხვა დონე დაკავშირებულია მტკიცებულებების დამაგრებასა და შემოწმებასთან. ამ დონეზე მტკიცების ამოცანაა მტკიცებულებების დამაგრება ფაქტების

შესახებ იმ ცნობების საპროცესო დამაგრების საშუალებით, რომლებიც მიღებულია კანონით გათვალისწინებული წყაროებიდან და სხვადასხვა საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებების დახმარებით. მტკიცების ეს დონე ხასიათდება როგორც საქმის ფაქტობრივ გარემოებათა დადგენით, ისე დამოწმებით. ამ დონეზე სარწმუნოდ უნდა დადგინდეს ყველა გარემოება, რომელიც საჭიროებს სისხლის საქმეზე მტკიცებას.

მტკიცების შემდეგი დონე არის „შედეგობრივი" დასკვნის დასაბუთება, რომლითაც მთავრდება მტკიცება. დასკვნების დასაბუთება უნდა განვიხილოთ სხვადასხვა ასპექტში: როგორც მტკიცების პროცესის ელემენტი, რომელიც დაკავშირებულია მის სხვა ელემენტებთან (მტკიცებულებების შეკრებასთან, შემოწმებასთან და შეფასებასთან), და როგორც მტკიცების განსაკუთრებული დონე. მტკიცება უნდა მთავრდებოდეს საერთო, ძირითადი დასკვნებით დანაშაულის მოვლენის და ბრალდებულის ბრალეულობის არსებობის ან არარსებობის შესახებ და ა.შ. ამ დასკვნების სარწმუნოობის დასაბუთება შეადგენს მტკიცების განსაკუთრებულ დონეს. წინა დონეზე მტკიცების პროცესში გამოყენებული იყო როგორც სარწმუნო, ისე არასარწმუნო მტკიცებულებები; ამოცანა იყო, განგვესაზღვრა მტკიცებულებების სარწმუნოობა. მტკიცების ბოლო დონეზე საქმე უნდა გვქონდეს მხოლოდ სარწმუნო მტკიცებულებებთან, რამდენადაც მხოლოდ მათ შეუძლიათ შექმნან იმის საფუძველი, რომ საბოლოოდ საქმეზე მიღებული იქნეს კანონიერი და დასაბუთებული დასკვნა.

## მტკიცების პროცესის ტრანსფორმაციის საკითხი

მტკიცების პროცესი რთული, დინამიკური კანონზომიერებაა. იგი იცვლება (ტრანსფორმირდება) პროცედურების ერთი ეტაპიდან სხვა ეტაპისაკენ. მტკიცებულებების თეორიაში მიღებულია მტკიცების განსაზღვრა, როგორც საპროცესო საქმიანობისა მტკიცებულებათა მოგროვების, დამაგრების, შემოწმების და შეფასების მიზნით. მასთან დაკავშირებითაც, ჩვეულებრივ, გამოიყოფა მტკიცების პროცესის შემდეგი ელემენტები (ეტაპები): ა) მტკიცებულებათა შეკრება (აღმოჩენა, დამაგრება); ბ) მტკიცებულებათა შემოწმება; გ) მტკიცებულებათა შეფასება (Строгович, 1968).

მაგრამ მტკიცება სისხლის სამართალწარმოებაში ამით არ იზღუდება, რასაც ყურადღებას უთმობს ზოგიერთი მეცნიერი. ფაქტობრივი მონაცემების გარკვევასთან დაკავშირებული მტკიცება, - წერს ვ . სავიცკი, - გრძელდება მანამ, სანამ გამოკვლევა არ მიგვიყვანს გარკვეულ დასკვნამდე (თეზისამდე, ფორმულამდე), რაც აისახება კონკრეტულ საპროცესო გადაწყვეტილებაში. ამ მომენტიდან დანაშაულის გარემოებების გამოკვლევა იქცევა მტკიცებულებად, უკვე მიღწეული დასკვნის, თეზისის დასაბუთებად (Савицкий, 1971). მტკიცების ამ მხარეს - გამოძიების ორგანოთა, სასამართლოს დასკვნების დასაბუთებას - ცალკეული ავტორები განსაზღვრავენ, როგორც მტკიცების ელემენტს, მისი არსის ერთ-ერთ მხარეს (Факллин, 1973).

ე. კარიაკინის მოსაზრებით, მტკიცებულებების შეგროვება, შემოწმება და შეფასება არ არის თვითმიზანი და ხორციელდება იმისათვის, რომ შემდგომ ვისარგებლოთ მტკიცებულებებით, გამოვიყენოთ ისინი, როგორც მტკიცების საშუალება. რუსეთის ფედერაციის მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტის 81-ე მუხლით დადგენილი იყო, რომ მტკიცება არის მტკიცებულებების შეგროვება, შემოწმება, შეფასება და გამოყენება საქმის გარემოებების დადგენის მიზნით, რომლებსაც საქმის გადასაწყვეტად აქვს მნიშვნელობა.

მტკიცებულებების გამოყენების, როგორც მტკიცების პროცესის დამოუკიდებელი ელემენტის ცნება დიდი ხანია დამკვიდრდა სისხლის საპროცესო სამართლისა და კრიმინალისტიკის თეორიაში. თვითონ ტერმინი „მტკიცებულებების გამოყენება" შემოთავაზებულ იქნა რ. ბელკინის მიერ ჯერ კიდევ 1967 წელს. მოცემული ტერმინი აისახა ზემოაღნიშნულ პროექტში, მაგრამ სამწუხაროდ, გაურკვეველი მიზეზით ის ამოღებულ იქნა რუსეთის ფედერაციის მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიდან (Карякин, 2004).

მ. დუხოვსკი იმავე პრობლემაზე აღნიშნავდა, რომ პროცესის მთელი წარმოება მიმდინარეობს, არსებითად, მტკიცებულებების შეგროვებამდე და მათ გამოყენებამდე. სამართალწარმოების ხელოვნება, - ამბობს ბენტამი, - სხვა არაფერია, თუ არა მტკიცებულებების გამოყენების ხელოვნება (Духовский, 1910).

ვერ დავეთანხმებით აღნიშნულ მოსაზრებებს. ვფიქრობთ, მტკიცებულებების გამოყენება არაა მტკიცებულებებთან მუშაობის დამამთავრებელი ეტაპი - მათი შეგროვების, გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ. მტკიცებულებების გამოყენება თვითმიზანი არ არის. მტკიცებულებების გამოყენება, როგორც „შეფასების" ერთ-ერთი საფეხური, საპროცესო შემეცნების ელემენტია.

აღსანიშნავია, რომ მტკიცების ამ რთულ პროცესის არც ერთი რგოლი არ უნდა იყოს ამოვარდნილი. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის პროცესში საპროცესო ვერსიების როლის საკითხი. საპროცესო ვერსიების შესახებ ბევრი დაწერილა, მაგრამ მეცნიერთა ერთი ნაწილი როგორც წესი, ვერსიებს არ განიხილავს მტკიცების პროცესის დამოუკიდებელ ელემენტად (Грошевой, 1975). მათ მეორე ნაწილს კი მიაჩნია, რომ თუ საგამოძიებო ვერსიებზე მუშაობა საპროცესო მტკიცების ორგანული ნაწილია, იგი არ შეიძლება არ ჩაითვალოს მის ერთ-ერთ სტურქტურულ ელემენტად (Факллин, 1973). მიგვაჩნია, რომ ვერსიებზე მუშაობა არ შეიძლება განხილული იქნეს მტკიცების ცალკე ელემენტად, რადგან ვერსიების მიხედვით ერთდროულად ხდება მტკიცებულებების შეგროვება და გამოკვლევა.

მტკიცებულებების შეკრების სტადიაზე მნიშვნელოვანია გამამართლებელი და გამამტყუნებელი მტკიცებულებების დადგენა. ავტორთა აზრით, თუ მათ შორის არაა დაძლეული გარკვეული „თანასწორობა", მაშინ საქმე უნდა შეწყდეს პირის უდანაშაულოდ ცნობის გამო (Алексеев, 1980).

ბრალდების მტკიცებულებათა დასაშვებობისა და დაცვის მტკიცებულებათა დაუშვებლობის მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს. მტკიცებულება დაუშვებლად მიიჩნევა

პროცესის მწარმოებელი ორგანოს დადგენილებით (განჩინებით). დაუშვებლად მიჩნეული მტკიცებულება ამოიღება სისხლის სამართლის საქმიდან და ინახება პროცესის მწარმოებელი ორგანოს კანცელარიაში სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადის განმავლობაში (Шейфер, 1972).

სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს საბოლოო განაჩენის კანონიერებას, დასაბუთებულობასა და სამართლიანობას მტკიცების პროცესის ეტაპების სწორად წარმართვა განაპირობებს, რადგან განაჩენი საქმეზე შეკრებილ, საპროცესო წესით დამაგრებულ, შემოწმებულ და საბოლოოდ შეფასებულ მტკიცებულებათა ერთობლიობას ეფუძნება.

თანამედროვე სისხლის სამართლის საპროცესო მეცნიერებაში მტკიცების პროცესი აერთიანებს სამართლებრივ, ლოგიკურ და ფილოსოფიურ ელემენტებს, სწორედ ამ მიდგომას ეფუძნება თანამედროვე მტკიცებულების სამართლის თეორია, რაც მკაფიოდ აისახება თანამედროვე მეცნიერულ ნაშრომებში, მტკიცების სამართალი წარმოდგენილია არამხოლოდ როგორც იზოლირებული საპროცესო ინსტრუმენტი, არამედ ის გახლავთ სისტემა და ემსახურება სამართლებრივ გადაწყვეტილებებში ინფორმაციულ ცოდნას, (Dahlman et al., 2021). ავტორები ხაზგასმით აღნიშნავენ რომ მტკიცების მიზანი არის ჭეშმარიტების დადგენა და ისეთი დასაბუთებული დასკვნის მიღება რომელიც ლეგიტიმურია და სამართლიანი, ამ კონტექსტში მტკიცების პროცესი განიხილება როგორც ისეთი შემეცნებითი ეტაპი სადაც ცოდნა ემყარება გარკვეულ წესებს, ეს წესები არ ემსახურება მხოლოდ ფაქტების დადგენას არამედ უზრუნველყოფს პროცესის სამართლიანობას პროგნოზირებადობასა და ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვას. მტკიცების პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია იმის განსაზღვრა თუ ვის ეკისრება მტკიცების ტვირთი, რადგან ეს არ არის მხოლოდ ტექნიკური კატეგორია, იგი წარმოადგენს ნორმატიულ არჩევანს, რომელიც ასახავს საზოგადოების ღირებულებით პრიორიტეტებს (Stein, 2010). სისხლის სამართლის პროცესში მტკიცების ტვირთის ბრალდების მხარისათვის დაკისრებით და გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის გამოყენებით შეცდომის რისკის გადატანა ხდება სახელმწიფოზე და არა ინდივიდზე (Stein, 2010). მტკიცებულებების შეფასება უნდა ეფუძნებიდეს ლოგიკურ თანმიმდევრობას, დასაბუთებულობას, გამჭვირვალობას, სარწმუნი არგუმენტებს, სწორედ ამიტომ შეიძლება მივიჩნიოთ მტკიცების პროცესი კონტროლირებად და რაციონალურ მოქმედებად (Menashe, 2017).

## დასკვნა

მტკიცების პროცესი სისხლის სამართლის პროცესის ქვაკუთხედია. მტკიცების პროცესი და მისი ეტაპები ძალზე ფართო და ღრმაა, ამასთანავე, საინტერესო და აქტუალური სფეროა. მტკიცების პროცესში სისხლის სამართლის პროცესის ამოცანების მიღწევა, საქმეზე გარემოებების სწორად და სრულად დადგენა შეუძლებელია, თუ მტკიცების პროცესი და მისის ეტაპები მკაცრი სამართლებრივი რეგლამენტაციისა და რეგულირების პირობებში არ განხორციელდება. მართლმსაჯულების განხორციელებისას დამაბრკოლებელი გარემოებაა

არა მტკიცების პროცესის სამართლებრივი მოწესრიგება, არამედ მოუწესრიგებელი ურთიერთობები. მტკიცების პროცესის საშუალებით დანაშაულის გახსნისა და ადამიანის უფლებების დაცვის ინტერესებს შორის ბალანსის დაცვის ერთ-ერთი რთული პრობლემაა. ამიტომ დანაშაულის გამოძიების, დამნაშავის გამოვლენისა და დასჯის ეფექტიანად განხორციელებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს მიერ შექმნილ საიმედო სამართლებრივ რეჟიმს, იმის გათვალისწინებით, რომ სისხლის სამართლის პროცესში დაცვის უფლება კანონის ფარგლებში შეუზღუდავად უნდა ხორციელდებოდეს.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლი ითვალისწინებს სამართლიანი სასამართლოს განხილვის უფლებას და იქვე იძლევა ბრალდებულის მინიმალური უფლებების ჩამონათვალს, რომელთა რიცხვს მიეკუთვნება ბრალდებულის უფლება, ჰქონდეს საკმარისი დრო და შესაძლებლობანი საკუთარი დაცვის მოსამზადებლად. ეს ის მთავარი უფლებაა, რომლის განხორციელების უზრუნველყოფაც სახელმწიფომ უნდა იტვირთოს.

## გამოყენებული ლიტერატურა


ბერიძე, ი., თავართქილაძე, გ., ფანცულაია, თ. (2009). *ფილოსოფია.* შპს „მწიგნობარი XXI".

დავითაშვილი, გ. (1998). *სასამართლო მტკიცებულებანი ხევსურულ ჩვეულებით სამართალში.* გამომცემლობა „მერიდიანი".

თარხნიშვილი, გ. (1915). *სასამართლო წარმოება საქართველოში ვახტანგ VI-ის კანონების წიგნის მიხედვით.* კრებული პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრისა, ივ. ჯავახიშვილის რედაქციით.

კეკელია, მ. (1970). *სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ.* წიგნი I. გამომც.: „საბჭოთა საქართველო".

კეკელია მ. (1981). სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ, წიგნი II, გამომც.: „საბჭოთა საქართველო", თბილისი.

მეფარიშვილი, გ. (2008). *ცხოვრება და კანონი.* გამომცემლობა „სამართალი".

ფალიაშვილი, ა. (2002). *სისხლის სამართლის პროცესი.* გამომც. „მერიდიანი".

ხარაზიშვილი, ბ. (1982). *მტკიცებითი სამართალი.* სახ. უნივერსიტეტის გამომც.,

Алексеев, Н.С., Даев, В.Г. & Кокорев Л.Д., (1980). Очерк развития науки советского уголовного процесса. Воронеж.

Белкин, А.Р. (2005). *Теория доказывания в уголовном судопроизводстве*.

Белкин, А.Р. (2000). *Теория доказывания.*

Грошевой, Ю.М. (1975). *Проблемы формирования судейского убеждения в уголовном судопроизводстве.* Харьков.

Духовский, М.В. (1910). *Русский уголовный процесс.*

Зинатуллин, З.З. (1993). *Уголовно-процессуальное доказывание.* Ижевск.

Карякин, Е.Ф. (2004). *Спорные вопросы уголовно-процессуального доказывания*. Уфа.

Колдин, В.Я. (1974). Уровни уголовно-процессуального доказывания. *Ж. «Советское государство и право»*, (11).

Лупинская, П.А. (1976). *Решения в уголовном судопроизводстве.*

Лупинская, П.А. (1996). *Доказывание в советском уголовном процессе.*

Мухин, И.И. (1971). *Объективная истина и некоторые вопросы оценки судебных доказательств при осуществлении правосудия.*

Савицкий, В.М. (1971). Государственное обвинение в суде.

Строгович, М.С. (1968). *Курс советского уголовного процесса.*

Строгович, М.С. (1955). *Материальная истина и судебные доказательства в советском уголовном процессе.*

Теория доказательств в советском уголовном процессе. (1973). 2-е изд. под ред. И.В. Жогина.
Факуллин, Ф.Н. (1973). *Общие проблемы процессуального доказывания*. Казань.
Шейфер, С.А. (2008). *Доказательства и доказывание по уголовным делам: проблемы теории и правового регулирования.*
Шейфер, С.А. (1972). *Сущность и способы собирания доказательств в советском процессе*.
Dahlman, C., Stein, A., Tuzet, G. (Eds) (2021). Philosophical foundations of evidence law.
Menashe, D., Gruner, E. (2017). A Theori of evidence law.
Stein, A., Allen, R.J. (2022). An analytical approach to evidence: Text, problems and cases (7th ed.). Wolters Kluwer.

# The Concept of Proof and Its Transformation in The Science of Criminal Procedure

**Lela Gudadze**[1]
**Amiran Mosulishvili**[2]
[1, 2] Grigol Robakidze University
***Corresponding author:** lela.gudadze17@gruni.edu.ge

**Abstract.** The concept of proof is one of the fundamental institutions in criminal law, it determines the methodological and theoretical framework for establishing law in the judicial process. The article discusses both the legal and philosophical content of proof, its historical development and the transformation it has undergone at the modern stage. Special attention is paid to the rules for distributing the burden of proof, the standards for evaluating evidence and the role of the court in the justice system. Georgian and international analysis is also presented, which allows us to clearly consider the main trends and challenges of the transformation of the concept of proof in modern legal reality. Finally, the aim of the article is to show how the theory of proof in the criminal justice process has changed over time and in accordance with changes in legal systems, and to conclude that at the modern stage the concept of proof is closely related to the protection of human rights, the principle of a fair trial, and the indispensability of a full, objective assessment of evidence.

**Keywords:** Proof, Evidence, Standard of proof

# საზოგადოებრივი ჩართულობა დანაშაულის პრევენციაში საერთაშორისო პრაქტიკის შედარებითი ანალიზი

**გია დეკანოზიშვილი**[1]
**გიორგი კვარაცხელია**[2*]
[1, 2] გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
***პასუხისმგებელი ავტორი:** giorgikvaracxelia1993@gmail.com

**რეზიუმე.** ნაშრომი განიხილავს საზოგადოების ჩართულობის მნიშვნელობას დანაშაულის პრევენციის სისტემაში და სთავაზობს საერთაშორისო პრაქტიკის შედარებით ანალიზს. მიმოხილულია სხვადასხვა ქვეყნების მოდელები, მათ შორის დიდი ბრიტანეთის *Neighbourhood Watch*, ნიდერლანდების მუნიციპალური უსაფრთხოების პარტნიორობა, აშშ-ის *Community Policing*, იაპონიის თვითორგანიზებული პატრულები და სკანდინავიური ქვეყნების სოციალური ჩართულობის მიდგომები. აღნიშნული მოდელების ეფექტიანობა შეფასებულია მათი ინსტიტუციური მხარდაჭერის, სოციალური კაპიტალის და განათლების დონით. სტატია ასევე იკვლევს საქართველოს პრევენციულ პრაქტიკას და მხედველობაში იღებს საერთაშორისო გამოცდილების ადაპტაციის შესაძლებლობებს. კვლევა აჩვენებს, რომ წარმატებული დანაშაულის პრევენცია ეფუძნება სახელმწიფოს, საზოგადოების და არასამთავრობო სექტორის მრავალმხრივი თანამშრომლობას, რაც ზრდის ნდობას სამართალდამცავი ორგანოებისადმი და ამცირებს დანაშაულის დონეს.

**საკვანძო სიტყვები:** საზოგადოებრივი ჩართულობა, დანაშაულის პრევენცია, საერთაშორისო პრაქტიკა, საჯარო პოლიტიკა, საზოგადოების ნდობა, სამართალდამცავი ორგანოები

## შესავალი

თანამედროვე საზოგადოებაში დანაშაულის პრევენცია აღარ განიხილება მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოების პასუხისმგებლობად. სახელმწიფო ინსტიტუტების შესაძლებლობები შეზღუდულია იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოების წევრები არ არიან ჩართულნი უსაფრთხოებისა და სამართლებრივი წესრიგის შენარჩუნების საერთო პროცესში. სწორედ ამიტომ, საერთაშორისო პრაქტიკაში სულ უფრო ფართოდ ვრცელდება ისეთი მიდგომები, რომლებიც პრევენციას აფუძნებს სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის პარტნიორობას.

საზოგადოებრივი ჩართულობა დანაშაულის პრევენციაში გულისხმობს მოქალაქეთა, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და კერძო სექტორის აქტიურ მონაწილეობას დანაშაულის წინააღმდეგ მიმართულ საქმიანობაში - დაწყებული ინფორმაციის გაცვლითა და ცნობიერების ამაღლებით, დამთავრებული სამართალდამცავებთან კოორდინაციითა და რისკის შემცირების პრაქტიკული ქმედებებით. ამგვარი მიდგომა არა მხოლოდ ამცირებს დანაშაულის დონეს, არამედ აძლიერებს მოქალაქეთა ნდობას სამართლებრივი ინსტიტუტებისადმი და ხელს უწყობს დემოკრატიული საზოგადოების განვითარებას.

კვლევის მიზანია დანაშაულის პრევენციის სფეროში საზოგადოების ჩართულობის საერთაშორისო მოდელების ანალიზი, მათი ეფექტიანობის შეფასება და შედარებითი მიმოხილვა, რაც საშუალებას იძლევა გამოვლინდეს წარმატებული პრაქტიკები და მათი ადაპტაციის პოტენციალი სხვა ქვეყნებისთვისაც.

## I. საზოგადოებრივი ჩართულობის თეორიული საფუძველი

საზოგადოებრივი ჩართულობის იდეა დანაშაულის პრევენციაში წარმოიშვა XX საუკუნის მეორე ნახევარში, როცა კრიმინოლოგიურმა კვლევებმა აჩვენა, რომ მხოლოდ რეპრესიული პოლიტიკა ვერ უზრუნველყოფს დანაშაულის შემცირებას. ამ კონცეფციის საფუძველია „community-oriented policing" ანუ საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციური მოდელი, რომელიც მოქალაქეებს აღიქვამს არა როგორც სამართალდამცავთა კონტროლის ობიექტს, არამედ როგორც უსაფრთხოების თანამონაწილეებს.

ევროპის საბჭოსა და გაეროს მიერ შემუშავებული დოკუმენტების მიხედვით, დანაშაულის პრევენციის წარმატება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად აქტიურია საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფი ადგილობრივ დონეზე (UNODC, Handbook *on* Crime Prevention, 2010). მოქალაქეთა ჩართულობა შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა ფორმით:

- უსაფრთხოების თემატურ ჯგუფებში მონაწილეობით („neighborhood watch");
- ახალგაზრდული დანაშაულის პრევენციის პროგრამებში;
- არასამთავრობო სექტორისა და ადგილობრივი ხელისუფლების ერთობლივი ინიციატივებით.

თეორიულად, საზოგადოებრივი ჩართულობა ეფუძნება **სოციალური კაპიტალის** კონცეფციას — ანუ მოქალაქეთა შორის ნდობისა და კოლექტიური პასუხისმგებლობის დონეს, რომელიც განაპირობებს კრიმინალური ქცევის შემცირებას. პუტნამისა და კოულმანის ნაშრომებში ხაზგასმულია, რომ მაღალი სოციალური კაპიტალის მქონე საზოგადოებები უკეთ ახერხებენ თვითრეგულაციას და სამართლის ნორმებისადმი მორჩილებას, ვიდრე მხოლოდ სახელმწიფო კონტროლზე დამოკიდებული სისტემები.

## II. საერთაშორისო პრაქტიკა

### 1. დიდი ბრიტანეთი – „Neighborhood Watch" მოდელი

დიდი ბრიტანეთი ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო იყო, რომელმაც დანაშაულის პრევენციაში აქტიურად ჩართო მოქალაქეები. 1980-იანი წლებიდან იქ ჩამოყალიბდა მოძრაობა „Neighborhood Watch", რომელიც აერთიანებს ადგილობრივ მოსახლეობას და პოლიციას ერთობლივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. მოქალაქეები რეგულარულად აწვდიან ინფორმაციას სამართალდამცავ ორგანოებს საეჭვო ქცევის, ქურდობის ან ვანდალიზმის შემთხვევებზე, ხოლო პოლიცია უზრუნველყოფს ამ

ინფორმაციის სწრაფ რეაგირებას. კვლევების თანახმად, აღნიშნულმა მოდელმა მნიშვნელოვნად შეამცირა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებები და გაზარდა მოსახლეობის ნდობა პოლიციისადმი (Home Office Report, 2018).

## 2. ნიდერლანდები – საზოგადოებრივ-პოლიციური პარტნიორობა

ნიდერლანდებში დანაშაულის პრევენცია დაფუძნებულია პრინციპზე „Samen werken aan veiligheid" („ერთად უსაფრთხოებისთვის მუშაობა"). აქ საზოგადოებრივი ჩართულობა ხორციელდება მუნიციპალიტეტების დონეზე სპეციალური პლატფორმების საშუალებით, სადაც მოქალაქეები, პოლიცია და სოციალური სერვისები ერთობლივად ადგენენ პრიორიტეტებს.

ამ მიდგომამ განსაკუთრებით ეფექტური შედეგი გამოიღო ახალგაზრდულ დანაშაულთან ბრძოლაში: საზოგადოებრივი სივრცეების განათება, სპორტული აქტივობების დაფინანსება და ქუჩის განათლების პროგრამები მნიშვნელოვნად ამცირებს რეციდივის მაჩვენებელს (Dutch Ministry of Justice, 2021).

## 3. აშშ – „Community Policing" პრაქტიკა

აშშ-ში საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიცირება წარმოადგენს ფედერალური პოლიტიკის მნიშვნელოვან კომპონენტს. „Community Policing" ეფუძნება მოქალაქეთა, ადგილობრივი ბიზნესისა და სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლობას, სადაც მიზანი არა მხოლოდ დანაშაულის გამოვლენა, არამედ მისი პრევენციაა. FBI-ის ანგარიშის მიხედვით, ამ მოდელის დანერგვამ გამოიწვია პოლიციისადმი ნდობის ზრდა ეთნიკურად მრავალფეროვან თემებში, განსაკუთრებით ქალაქებში, სადაც ისტორიულად არსებობდა სამართალდამცავთა და საზოგადოების დაძაბული ურთიერთობა (FBI, Community Relations Report, 2020).

## 4. იაპონია – საზოგადოების თვითორგანიზებული პრევენციული სტრუქტურები

იაპონიაში დანაშაულის პრევენციის მოდელი განსაკუთრებული ინტერესის საგანია. აქ მოქმედებს თვითორგანიზებული ჯგუფები — „Chonaikai" და „Bohan Patrols", რომლებიც რეგულარულად პატრულირებენ უბნებში, აწყობენ საინფორმაციო შეხვედრებს და ავითარებენ ახალგაზრდულ პასუხისმგებლობის კულტურას. აღნიშნული სისტემა ემყარება იაპონური საზოგადოების კოლექტიურ მორალსა და სოციალურ თვითრეგულაციას, რის გამოც იაპონიაში მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დაბალი დანაშაულის მაჩვენებელია (National Police Agency of Japan, 2022).

## 5. სკანდინავიური მოდელი – სოციალური ჩართულობა და პრევენციული განათლება

შვედეთსა და ნორვეგიაში დანაშაულის პრევენცია განიხილება როგორც სოციალური კეთილდღეობის ნაწილი. აქ მთავარი აქცენტი კეთდება განათლებაზე, სოციალურ ინტეგ-რაციაზე და ახალგაზრდების დასაქმების პოლიტიკაზე. სკანდინავიური მიდგომა ხაზს უსვამს სახელმწიფოსა და საზოგადოების ერთობლივ პასუხისმგებლობას, რაც საბოლოოდ ამცირებს დანაშაულის გენერირების სოციალურ საფუძვლებს (Nordic Council Report, 2019).

## III. საქართველოს პრაქტიკა საზოგადოებრივი ჩართულობის კონტექსტში

საქართველოში დანაშაულის პრევენციის პოლიტიკა ეტაპობრივად ვითარდება ევროპული სტანდარტების შესაბამისად. ქვეყნის სისხლის სამართლის პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტი სწორედ პრევენციული მიდგომების გაძლიერებაა, რაც ასახულია როგორც სამართალდამცავ სტრატეგიებში, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობების პროგრამებში.

საგულისხმოა, რომ 2019 წელს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიიღო დანაშაულის პრევენციის სტრატეგია, რომლის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება არის საზოგადოების ჩართულობის გაძლიერება სამართალდამცავ საქმიანობაში. სტრატეგიის მიზანია მოქალაქეთა ნდობის ამაღლება პოლიციისადმი, კომუნიკაციის გაუმჯობესება და უსაფრთხოების საკითხებში საზოგადოების აქტიური როლის ჩამოყალიბება.

მიუხედავად ამისა, პრაქტიკაში ჯერ კიდევ შეინიშნება რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა:

- საზოგადოების დაბალი ინფორმირებულობა დანაშაულის პრევენციის ფორმებზე;
- მოქალაქეთა პასიურობა პოლიციასთან თანამშრომლობისას;
- არასაკმარისი პარტნიორობა ადგილობრივ ხელისუფლებასა და სამოქალაქო სექტორს შორის.

ამ გამოწვევების მიუხედავად, ბოლო წლებში დაინერგა რამდენიმე პოზიტიური ინიციატივა. მაგალითად:

- **„მეზობლობის პროგრამა“** (Community Watch), რომელიც თბილისის გარკვეულ უბნებში უზრუნველყოფს მოსახლეობის ინფორმირებას უბნის უსაფრთხოების საკითხებზე;
- **ახალგაზრდული კლუბები და პრევენციული განათლება**, რომლებიც მიმართულია სკოლის ასაკის ახალგაზრდების ჩართულობისკენ;
- **არასამთავრობო ორგანიზაციების პროექტები**, როგორიცაა „კრიმინალის პრევენცია ახალგაზრდებში“ და „მშობლების ჩართულობა სკოლებში“.

საქართველოს პრაქტიკა აჩვენებს, რომ მიუხედავად სისტემური წინსვლისა, საზოგადო-ებრივი ჩართულობა ჯერ კიდევ მოითხოვს ინსტიტუციურ და კულტურულ გაღრმავებას, რაც აუცილებელია დასავლურ მოდელებთან მიახლოებისთვის.

## IV. საერთაშორისო შედარებითი ანალიზი

საერთაშორისო და ქართული პრაქტიკის შედარებითი ანალიზი იძლევა შესაძლებლობას დავინახოთ, რომ საზოგადოებრივი ჩართულობის ეფექტიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სამ ძირითად ფაქტორზე:

1. **ინსტიტუციური მხარდაჭერა და სახელმწიფოს პოლიტიკური ნება** ევროპულ და ამერიკულ ქვეყნებში საზოგადოებრივი ჩართულობის პროგრამებს ემყარება მკაფიო სამართლებრივი ჩარჩო და დაფინანსება. საქართველოში მსგავსი პროგრამები ხშირ შემთხვევაში ხორციელდება დროებითი პროექტების სახით, რის გამოც მათი მდგრადობა სუსტია;
2. **კულტურული და სოციალური გარემო** იაპონიისა და სკანდინავიის ქვეყნებში საზოგადოების მაღალი სოციალური კაპიტალი ხელს უწყობს მოქალაქეთა აქტიურობას. საქართველოში კი ნდობის დაბალი დონე სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი ხშირად აფერხებს მოქალაქეთა ჩართულობას;
3. **განათლება და ცნობიერება** განვითარებულ ქვეყნებში პრევენციული განათლება იწყება სკოლიდან, ხოლო უნივერსიტეტები და მედია აქტიურად მონაწილეობენ უსაფრთხოების კულტურის ფორმირებაში. საქართველოში ეს მიმართულება ჯერ კიდევ სუსტი რჩება, თუმცა განათლების სამინისტროსა და არასამთავრობო სექტორის თანამშრომლობა ბოლო წლებში მზარდია.

შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ დასავლური პრაქტიკების წარმატება დაფუძნებულია მრავალსექტორულ თანამშრომლობაზე – სადაც სახელმწიფო, საზოგადოება და კერძო სექტორი ერთიანად მოქმედებენ. ამ მოდელის ადაპტაცია საქართველოს რეალობაში მოითხოვს როგორც სამართლებრივი ბაზის გაძლიერებას, ისე სოციალური ცნობიერების ამაღლებას.

## V. დასკვნა და რეკომენდაციები

საზოგადოებრივი ჩართულობა დანაშაულის პრევენციაში წარმოადგენს თანამედროვე კრიმინალური პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას. საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ მოქალაქეთა აქტიური მონაწილეობა უსაფრთხოების სისტემაში ამცირებს დანაშაულის დონეს, ზრდის სამართალდამცავი ორგანოებისადმი ნდობას და აძლიერებს დემოკრატიულ მმართველობას.

კვლევის საფუძველზე შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები:

1. **ინსტიტუციური ჩარჩოს გაძლიერება:** აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობაში განისაზღვროს საზოგადოების ჩართულობის სამართლებრივი ფორმები დანაშაულის პრევენციის კონტექსტში — მაგალითად, ადგილობრივი უსაფრთხოების საბჭოების ინსტიტუციონალიზაცია.

2. **განათლებისა და ცნობიერების ამაღლება:** პრევენციული განათლება უნდა გახდეს სასკოლო და საუნივერსიტეტო პროგრამების ნაწილი, რაც გაზრდის ახალგაზრდების პასუხისმგებლობის გრძნობას.
3. **პარტნიორობის პლატფორმების შექმნა:** საჭიროა სახელმწიფო უწყებებსა და არასამთავ-რობო ორგანიზაციებს შორის მუდმივი კომუნიკაციის არხების გაძლიერება რეგულა-რული შეხვედრები, თემატური ფორუმები და მონაცემთა გაცვლის სისტემები.
4. **საზოგადოებრივი ნდობის აღდგენა:** ეფექტიანი პრევენციის საფუძველია საზოგადოების ნდობა სამართალდამცავი ორგანოებისადმი. ამისთვის საჭიროა გამჭვირვალე კომუნიკაცია, ანგარიშვალდებულება და საზოგადოების ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.
5. **საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება:** საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ევროკავშირის, გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმატებული მოდელების ინტეგრირება ადგილობრივ პოლიტიკაში.

საბოლოო ჯამში, დანაშაულის პრევენცია ვერ იქნება მხოლოდ სამართალდამცავთა პასუხისმგებლობა — ის არის საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა, რომელიც საჭიროებს მოქალაქეთა ცნობიერების, ნდობისა და კოლექტიური მოქმედების განვითარებას.

**გამოყენებული ლიტერატურა**


Dutch Ministry of Justice. (2021). *Community Safety Policy Report*. The Hague.

FBI. (2020). *Community Relations and Policing Report*. Washington, D.C.

Home Office (UK). (2018). *Evaluation of Neighborhood Watch Effectiveness*. London: Government Publications.

National Police Agency of Japan. (2022). *Annual Crime Prevention Report*. Tokyo.

პუტნამი, რ. (2000). *Social Capital and Democracy*. Harvard University Press.

UNODC. (2010). *Handbook on Crime Prevention Guidelines*. United Nations Office on Drugs and Crime.

Nordic Council. (2019). *Social Inclusion and Crime Prevention in the Nordic Countries*.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. (2019). *დანაშაულის პრევენციის სტრატეგია 2019–2022*. თბილისი.

# Public Involvement in Crime Prevention, Comparative Analysis of International Practice

**Gia Dekanozishvili**[1]*
**Giorgi Kvaratskhelia**[2]
[1, 2] Grigol Robakidze University
***Corresponding author:** giorgikvaracxelia1993@gmail.com

**Abstract.** The paper discusses the importance of community involvement in crime prevention and offers the reader a comparative analysis of international practice. Models from various countries are reviewed, including the UK's Neighbourhood Watch, the Netherlands' Municipal Safety Partnership, the US's Community Policing, Japan's self-organised patrols and the Scandinavian countries' approaches to social engagement. The effectiveness of these models is assessed by their level of institutional support, social capital and education. The article also examines Georgia's prevention practice and takes into account the possibilities of adapting international experience. The research shows that successful crime prevention is based on multi-faceted cooperation between the state, society and the non-governmental sector, which increases trust in law enforcement agencies and reduces the level of crime.

**Keywords:** Public engagement, crime prevention, international practice, public policy, public trust, law enforcement agencies

# უფლებათა მეოთხე თაობა და მოდერაციის პრივატიზაცია: სამართლის ადაპტაცია ციფრულ გამოწვევებთან

**ზაზა მჭედლიშვილი**[1*]
**სერგი ჯორბენაძე**[2]
[1, 2] გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
***პასუხისმგებელი ავტორი:** zaza.mtchedlishvili23@gruni.edu.ge

**რეზიუმე.** კვლევა ეძღვნება ციფრული ტექნოლოგიების ფუნდამენტურ გავლენას სამართლებრივ სისტემებსა და ადამიანის ძირითად უფლებებზე. გაანალიზებულია სოციალური ქსელების დომინანტური როლი, რომელიც ვირტუალური სახელმწიფოს მსგავსად მოქმედებს და ახალ გამოწვევებს უქმნის როგორც პირადი ცხოვრების დაცვას, ისე გამოხატვის თავისუფლებას. ნაშრომში განხილულია ადამიანის უფლებათა კონცეფციის ევოლუცია პრეისტორიული წყაროებიდან განმანათლებლობის იდეებამდე, რამაც საფუძველი ჩაუყარა უფლებათა მეოთხე თაობის ჩამოყალიბებას. ამ კონტექსტში, კრიტიკულად არის განხილული კიბერლიბერტარიანული იდეოლოგია (ჯონ პერი ბარლოუს მანიფესტი), რომელიც უპირისპირდება სახელმწიფო რეგულაციას, მიუხედავად იმისა, რომ უკონტროლო ციფრული სივრცე სერიოზულ საფრთხეს უქმნის ინდივიდუალურ უფლებებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ალგორითმული მმართველობის რისკებს, სადაც კონტენტის მოდერაციის პრივატიზება კერძო პლატფორმებს ანიჭებს გამოხატვის სფეროში სახელმწიფოს მსგავს ძალაუფლებას. ნაჩვენებია, რომ ზოგიერთ იურისდიქციაში (მაგალითად, აშშ-ის მინიმალისტური მიდგომის პირობებში) ეს არაეფექტური რეგულაცია იწვევს სამოქალაქო უფლებების დარღვევას, განსაკუთრებით კი მოწყვლად ჯგუფებში. ამავდროულად, დეტალურად არის გაანალიზებული საერთაშორისო პრაქტიკა, კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECHR) პრეცედენტები, რომლებიც მიზნად ისახავენ სახელმწიფოების მიერ პროპორციულობის პრინციპის დაცვას ცენზურისა და კონტენტის ბლოკირებისას. კვლევა ხაზს უსვამს აგრეთვე კიბერ-აგრესიის, შევიწროებისა და სიძულვილის მეტყველების მზარდ ტენდენციას და ეროვნული ინსტიტუტების (მაგ., სახალხო დამცველის) არაეფექტურ რეაგირებას ამ გამოწვევებზე, მათ შორის საქართველოს კონტექსტში. ნაშრომი მიდის იმ დასკვნამდე, რომ კონსტიტუციური სამართალი მოითხოვს ტრადიციული მიდგომების ფუნდამენტურ გადახედვას და ახალი, ტრანსსასაზღვრო და პროპორციული მარეგულირებელი ჩარჩოების შემუშავებას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს პიროვნების უფლებების სათანადო დაცვა გლობალურ ციფრულ ეპოქაში. ციფრული ტექნოლოგიების უპრეცედენტო ზრდამ ბოლო ათწლეულების განმავლობაში ფუნდამენტურად გარდაქმნა სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობები, რამაც, თავის მხრივ, რადიკალური გამოწვევები შეუქმნა არსებულ სამართლებრივ სისტემებსა და ადამიანის ძირითად უფლებებს. სოციალური მედია პლატფორმების გავლენა დღესდღეობით იმდენად მასშტაბურია, რომ ისინი „ვირტუალური სახელმწიფოების“ ფუნქციას იძენენ, რაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს მათ მიერ გამოხატვის თავისუფლების მართვის პრინციპებსა და პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხებს.

**საკვანძო სიტყვები:** გამოხატვის თავისუფლება, ციფრული რეგულაცია, ადამიანის უფლებათა მეოთხე თაობა, კონტენტის მოდერაცია, ალგორითმული მმართველობა, კიბერძალადობა, სოციალური მედია-პლატფორმები, პროპორციულობის პრინციპი, კორპორაციული ძალაუფლება

## შესავალი

ნაშრომი მიზნად ისახავს გააანალიზოს ადამიანის უფლებათა კონცეფციის ისტორიული ევოლუცია (კიროსის დეკლარაციიდან უფლებათა მეოთხე თაობის ჩამოყალიბებამდე) და შეაფასოს ამ უფლებების დაცვის ეფექტურობა გლობალურ ციფრულ სივრცეში. კვლევა ფოკუსირდება ორი ძირითადი პრობლემატიკის კრიტიკულ განხილვაზე: პირველი, სახელმწიფოს რეგულაციის აუცილებლობა კიბერლიბერტარიანული იდეების ფონზე (რომელიც წინააღმდეგობას უწევს ჩარევას) და, მეორე, კონტენტის ალგორითმული მოდერაციის რისკები, რომელიც კერძო კომპანიებს საჯარო ფუნქციას ანიჭებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ტრანსსასაზღვრო რეგულირების გამოწვევებს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECHR) პროგრესულ პრაქტიკას „გადამეტებული ცენზურის" პრევენციაში, აგრეთვე სამოქალაქო უფლებების დარღვევის ფაქტებს მინიმალური რეგულაციის მქონე იურისდიქციებში (მაგალითად, ფერადკანიან მოქალაქეებთან მიმართებაში). ნაშრომი ასევე აანალიზებს კიბერ-ძალადობის, სიძულვილის ენისა და დისკრიმინაციული კონტენტის გავრცელების მზარდ ტენდენციებს, მათ შორის საქართველოს კონტექსტში, და ასკვნის, რომ კონსტიტუციური სამართლის ტრადიციული მიდგომები საჭიროებს ფუნდამენტურ ადაპტაციას ციფრული რეალობის ახალ მოთხოვნებთან.

## 1. ციფრული ეპოქის გავლენა სამართალზე: სოციალური პლატფორმები, გამოწვევები და ახალი სამართლებრივი მოთხოვნები

ბოლო ათწლეულების განმავლობაში, ციფრული ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ, რადიკალურად შეცვალა ადამიანის სოციალური სამყარო (ედიშერაშვილი, 2022). ცვლილებების ობიექტად იქცა საზოგადოებრივი საქმიანობის მრავალი სფერო: სოციალური ურთიერთობები, ეკონომიკა, პოლიტიკა და რაც მთავარია სამართლებრივი სისტემები (Siderenko, 2020). სოციალური ქსელების, ინფორმაციის გაცვლის პლატფორმებისა და ონლაინ სერვისების გაჩენამ განაპირობა ადამიანების, სახელმწიფო ორგანოებსა და ბიზნესს შორის ურთიერთქმედების ახალი ფორმების წარმოქმნა. ამავდროულად, ამ მოვლენამ განაპირობა ახალი გამოწვევების რიგი საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ინტერნეტ-სივრცეში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვასთან, როგორც „პირადი ცხოვრების" ხელყოფის უსაფრთხოების საკითხებზე, ისე პირის მიერ აზრის გამოხატვის „ბოროტად" სარგებლობაზე, რაც არც თუ ისე იშვიათია ინტერნეტ-სოციუმის ყოველდღიურ ცხოვრებაში. სწორედ ამას აღნიშნავს ამერიკელი მკვლევარი დენიელ სოლოვი, რომ „ციფრულ ეპოქაში, სოციუმის პირადი ცხოვრების დაცვა მოითხოვს ისეთ სამართლებრივ ჩარჩოს, რომლის პრიორიტეტად იქცევა პირის პერსონალური ინფორმაციის დაცვის მრავალმხრივი ასპექტები" (Solove, 2008). ამ თვალსაზრისით,

ვფიქრობთ განსაკუთრებულად აღსანიშნავია ე.წ. „ციფრულ პლატფორმაზე“ სოციალური მედიის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. როგორც აღნიშნული საკითხით დაინტერესებული მკვლევარი ნ. შენგელია თავის ნაშრომში აღნიშნავს „სოციალურ ქსელ „ფეისბუქს“ ჰყავს ორ მილიარდზე მეტი მომხმარებელი. ის ჰგავს სახელმწიფოს, რომლის ვირტუალური ტერიტორია არის ციფრული პლატფორმა, მომხმარებლები - მოსახლეობა, ხოლო კანონები - „მომსახურების პირობები“ (შენგელია, 2022).

## 2. ადამიანის უფლებათა კონცეფციის ევოლუცია: „დიდი ქარტიიდან“ ციფრული სივრცის თანამედროვე გამოწვევებამდე

ადამიანის უფლებების დაცვას, როგორც უმთავრესი ღირებულებით საგანს გააჩნია პრეისტორიული საფუძვლები. ჯერ კიდევ, ძვ.წ.VI სს-ში, სპარსეთის მეფე კიროს II-მ შექმნა თიხის ცილინდრზე ამოტვიფრული ე.წ. „ადამიანის უფლებათა პირველი დეკლარაცია“, რომლის მიხედვითაც „ბოლო მოეღო მონობასა და ჩაგვრას“. ბუნებრივია, რომ ეს დოკუმენტი, თავისი არსით ადამიანის უფლებათა დეკლარაციისაგან ძალიან შორს იყო და ის წარმოადგენდა „ყოვლისმპყრობადი ღმერთკაცის“ (სწორად ამგვარად მოიხსენიებდნენ სპარსი მონარქები საკუთარ თავს) მიერ „კეთილი ნების“ გამოხატვას ჩაგრული ადამიანების გულის მოსაგებად. 1971 წელს „კიროს დიდის“ დეკლარაცია, ადამიანის უფლებათა პირველი დეკლარაციის სტატუსით გაეროს წევრი სახელმწიფოების ყველა ენაზე ითარგმნა (მელიქიშვილი, 1988). ადამიანის თანამედროვე უფლებებისა და თავისუფლებების არსის ფორმირებას საფუძველი ჩაეყარა მხოლოდ განმანათლებლობის ეპოქაში, როდესაც შეიქმნა თანასწორობის, თავისუფლებისა და ადამიანის ბუნებითი უფლებების შესახებ პირველი ფილოსოფიურ-სამართლებრივი მოძღვრებები, რის შემდეგაც ამ იდეებმა ასახვა ჰპოვეს ევროპის ქვეყნების ეროვნულ კონსტიტუციებსა თუ კანონმდებლობებში (Kartyshkin, 2023).

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებების სისტემის ჩამოყალიბებაში ინგლისის სამეფომაც დიდი წვლილი შეიტანა, რომლის უმთავრეს დანიშნულებას წარმოადგენდა პარლამენტარიზმის უფლებების გაძლიერების საპირწონედ, მონარქიის უფლებების შეზღუდვა. სწორედ ინგლისის სამეფოს მიერ 1215 წელს შექმნილი ე.წ. „დიდი ქარტია“ (magna carta) წარმოადგენს შემდგომში თანამედროვე სამყაროს მიერ მიღებული ადამიანის უფლებათა დეკლარაციის მთავარ ისტორიულ წინამორბედს (Tate, 2024). აქვე ხაზი უნდა გაესვას ინგლისის პარლამენტის მიერ, 1679 წელს ადამიანის უფლებათა დაცვის ფარგლებში მიღებულ მეორე უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს, რომელსაც ეწოდა „ჰაბეას კორპუს აქტი“; აღნიშნული აქტით მნიშვნელოვნად განმტკიცდა ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები. ჰაბეას აქტით მოწესრიგდა რიგი პროცესუალური საკითხებისა, უფრო დეტალურად განისაზღვრა ადამიანის კონსტიტუციური უფლებების დაცვის საკითხები, აგრეთვე სასამართლო სისტემის საქმიანობის სფერო (Tyler, 2021).

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების იდეის ჩასახვა ანტიკურ ხანას უკავშირდება, როდესაც ჩამოყალიბდა პირველი წარმოდგენები სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, რომლებიც დაკავშირებული იყო საზოგადოებრივ ცხოვრებაში

მონაწილეობის მიღებასთან, ძველ ბერძნულ პოლისებსა და რომის რესპუბლიკაში (Bauman, 2012); თუმცა ანტიკურ საზოგადოებაში ეს იდეები ვრცელდებოდა არა მთელ მოსახლეობაზე, არამედ მხოლოდ პრივილეგირებულ მოქალაქეთა შეზღუდულ კატეგორიებზე. შუა საუკუნეებში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების კონცეფცია რელიგიური მსოფლმხედველობის ფარგლებში ვითარდებოდა, რამაც გავლენა მოახდინა სამართლიანობისა და მართლმსაჯულების პრინციპების ფორმირებაზე (Zaiets & Pohoryelova, 2021).

თანამედროვე სამყაროში ადამიანებმა შექმნეს ადამიანის უფლებათა დაცვის უპრეცედენტო რაოდენობის აქტები, დეკლარაციები, კონვენციები და ა.შ. აგრეთვე შეიქმნა ამ მარეგულირებელი ნორმების ეფექტურად დაცვისა თუ დარღვეული უფლების აღდგენის მრავალი მექანიზმი, თუმცა მიუხედავად სამართლებრივი მექანიზმების გარკვეული სრულყოფისა, XXI საუკუნეში ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ და მათმა „უკონტროლო“ ზრდამ ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა ადამიანი; მთავარი გამოწვევა გულისხმობს, თუ რამდენად შეუძლია თანამედროვე ნორმებს პიროვნების სათანადო დაცვის უზრუნველყოფა გლობალურ ინფორმაციულ სივრცეში, სწორედ ამ საკითხზე მომზადდა გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ანგარიში (A/HRC/27/37, 2014); ადამიანის უფლებების ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა მოახდინა 1215 წლის „Magna Carta“-ში ჩადებულმა იდეებმა, რომლის საფუძველზეც შეიზღუდა მონარქის თვითნებობა და დამკვიდრდა პიროვნების დაცვის ძირითადი პრინციპები. განმანათლებლობის ეპოქაში (XVII–XVIII სს.) ფილოსოფოსებმა, როგორებიც იყვნენ ჯონ ლოკი, შარლ მონტესკიე, ჟან-ჟაკ რუსო და სხვები, განავითარეს „ბუნებითი“ უფლებების თეორია, რომელმაც ადამიანს განუსაზღვრა განუყოფელი თავისუფლებები. სწორედ ამ პერიოდში გაჩნდა კონსტიტუციური დოკუმენტები, რომლებიც აღიარებდნენ სიცოცხლის, თავისუფლებისა და საკუთრების უფლებას, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს-საფუძველს. ამგვარად, განმანათლებლობის იდეებმა ასახვა ჰპოვა აშშ-ის დამოუკიდებლობის დეკლარაციაშიც (1776) და საფრანგეთის ადამიანისა და მოქალაქის უფლებების დეკლარაციაში (Manya, 2022).

## 3. ადამიანის უფლებების ახალი თაობები სამეცნიერო დისკურსში: სოციალური ასპექტები და ინფორმაციული უფლებების განსაკუთრებული მნიშვნელობა

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, როგორც ფუძემდებლური პრინციპების ჩამოყალიბებაში, აგრეთვე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სხვადასხვა ფილოსოფიურმა იდეოლოგიებმა. კლასიკურმა ლიბერალიზმმა, რომელიც ჯონ ლოკისა და ადამ სმიტის იდეებზეა დაფუძნებული, დაადგინა პიროვნების თავისუფლების კონცეფცია (ბიჭაშვილი, 2006). XIX-XX სს-ში ჩამოყალიბებულმა ფილოსოფიურმა მიმდინარეობებმა, როგორებიც იყო მარქსიზმი, ეგზისტენციალიზმი და ნეოპოზიტივიზმი, განავითარეს ადამიანის უფლებების ცნებები. ისინი ყურადღებას ამახვილებდნენ სოციალურ ასპექტებზე (მაგალითად, შრომის, სოციალური უზრუნველყოფისა და განათლების უფლებები) (Fasenfest, 2016).

თანამედროვე სამეცნიერო დისკურსში, აქცენტი კეთდება არა მხოლოდ „კლასიკური“ უფლებებისა და თავისუფლებების ერთობლიობაზე (სამოქალაქო და პოლიტიკური), არამედ ადამიანის უფლებების ახალ თაობებზე, რომლებსაც განეკუთვნება სოციალურ-ეკონომიკური, კოლექტიური, ეკოლოგიური და ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში განსაკუთრებული აქტუალური-ინფორმაციული უფლებები. სწორედ ამ უკანასკნელთა მნიშვნელობა იზრდება თანამედროვე სამყაროში (lopez & Baroni, 2024).

## 4. უფლებათა მეოთხე თაობა და კიბერლიბერტარიანული მანიფესტი: ჯონ პერი ბარლოუს „დამოუკიდებლობის დეკლარაცია“ და მისი უტოპიური ბუნების კრიტიკა

მკვლევარი ბ. ლოპესი ზემოთ აღნიშნულ ნაშრომში მიუთითებს, რომ შეუძლებელია უკვე არსებული, ადამიანის უფლებათა „სამი თაობა“ გაუმკლავდეს ციფრულ-ტექნოლოგიურ ეპოქაში მიმდინარე გამოწვევებს (lopez & baroni, 2024); სწორედ ტექნოლოგიურმა განვითარებამ და მე-4-ე ინდუსტრიულმა რევოლუციამ ჩაუყარა საფუძველი ადამიანის უფლებათა მე-4-ე თაობის ჩამოყალიბებას, რომელიც მოცემულ მომენტში არ არის მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს მიერ ერთხმად აღიარებული ცნება, თუმცა აქტიურად გამოიყენება როგორც ფილოსოფიურ ნაშრომებში, ისე იურიდიულ-სამეცნიერო სტატიებსა თუ მონოგრაფიებში (Rise, 2021); თანამედროვე სამართლებრივ წყაროებში ხშირად აღინიშნება, რომ ინფორმაციულ-ციფრულმა სოციუმმა ჩამოაყალიბა უფლებათა მოდერნიზებული ნაკრები, რომელიც, მოიაზრება როგორც ადამიანის უფლებათა „მეოთხე თაობა“. თანამედროვე ცივილიზებული სამყარო ერთხმად აღიარებს მე-4-ე თაობის უფლებათა გარკვეულ ნაწილს, ესენია: უფლებები, რომელიც იცავს პირად მონაცემებს, პიროვნების ანონიმურობის დაცვის გარანტიებს, აზრისა თუ სიტყვის გამოხატვის თავისუფლებას, მიმოწერისა და საკომუნიკაციო საშუალებათა უსაფრთხოდ გამოყენების უფლებებს, და რაც მნიშვნელოვანია ინტერნეტ სამყაროში წარმოშობილი ყოველდღიური „ციფრული ურთიერთობების“ უფლებებს (Grimmelmann, 2009).

ადამიანის უფლებათა მე-4-ე თაობის დინამიური განვითარების თვალსაზრისით, აგრეთვე ციფრულ სივრცეში სოციუმის ურთიერთობათა, სახელმწიფოს მხრიდან ყოველგვარი ჩარევისა ან/და შეზღუდვების წინააღმდეგ გალაშქრების ე.წ. „კიბერლიბერტარიანულ“ მანიფესტს წარმოადგენს „electronic frontier foundation”-ის (EFF) თანადამფუძნებლის ჯონ პ.ბარლოუს მიერ 1996 წელს შვეიცარიის ქ. დაოსში შემუშავებული ე.წ. დეკლარაცია სახელწოდებით „a declaration of the independence of cyberspace“; (Perry & Barlow, 1996); ბარლოუს ძირითად მიზანს წარმოადგენდა კრიტიკა ხელისუფლებების მიმართ, რომლებიც ცდილობდნენ კიბერ-სივრცე „მოემწყვდიათ“ გარკვეულ ჩარჩოებში. აღვნიშნავთ დეკლარაციის ძირითად გზავნილებს ა). „კიბერსივრცე, როგორც ახალი ტერიტორია“. ბარლოუს თეორიით, ინტერნეტი წარმოადგენს დამოუკიდებელ სამყაროს, რომელსაც თავისი მოქალაქეები ჰყავს; ბ). აბსოლიტური თავისუფლება და თვითრეგულაცია. ის მიიჩნევს, რომ კიბერ-სოციუმს თავად ძალუძს მოახდინოს ურთიერთობების

რეგულირება, ხოლო ამისათვის არ არის საჭირო სახელმწიფოს მიერ სავალდებულოდ შესასრულებელი ნორმების დაწესება; გ). პიროვნების ინტელექტუალური განვითარება. ბარლოუ მიიჩნევს, რომ ციფრულ სამყაროში, სადაც ცენზურა და საზღვრები არ არსებობს, კიბერსივრცე წარმოადგენს პლატფორმას, სადაც ადამიანები იღებენ განუსაზღვრელი რაოდენობის ინფორმაციებს, რაც ხელშემწყობია განათლების მიღებისა, თუ ინფორმაციის გავრცელების თვალსაზრისით. ყოველივე ეს წარმოადგენს წინაპირობას ადამიანებს შორის ურთიერთობებისა თუ კავშირების გაღრმავებისა, რაც დადებითად აისახება ინდივიდის ინტელექტუალურ/ კოგნიტურ განვითარებაზე. მიგვაჩნია, რომ ძალიან საინტერესოა ბარლოუს დეკლარაციის ის ნაწილი, რომელიც მიმართულია სახელმწიფო სისტემების მიმართ „Governments of the Industrial World, you weary giants of flesh and steel… You have no sovereignty where we gather". ამ ტექსტში მოიაზრება ინდუსტრიული სამყაროს გიგანტები, რომელთაც ბარლოუ მოიხსენიებს შემდეგნაირად: „ხორცისა და ფოლადის გადაღლილო გიგანტებო, თქვენ არ გაგაჩნიათ სუვერენიტეტი იქ, სადაც ჩვენ ვიკრიბებით" (Perry & Barlow, 1996).

ერთი შეხედვით, ბარლოუს თავისუფლების დეკლარაცია უგულებელყოფს ყოველგვარ სამართლებრივი რეგულაციების დაწესებას ინტერნეტ-პლატფორმებში საზოგადოებრივი ურთიერთობის პროცესში, თუმცა დღეის მდგომარეობით, მისი ხედვა კიბერსივრცის კონტექსტში ვეღარ პასუხობს რეალობიდან წარმოშობილ გამოწვევებს, რამეთუ ინტერნეტი/ციფრული სამყარო იმდენად ყოვლისმომცველი შეიქნა, რომ სამართლებრივი რეგულირების გარეშე, ადამიანის უფლებები, შეიძლება აღმოჩნდეს სერიოზული საფრთხის ქვეშ. ბარლოუს ეს მართლაც „მეამბოხე მანიფესტი" კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ვატერლოოს უნივერსიტეტის პროფესორმა: ა. მორისონმა, რომელმაც ფაქტობრივად ბარლოუს დეკლარაციის საპასუხოდ გამოსცა სამეცნიერო ნაშრომი სახელწოდებით „an impossible future: john perry barlow's declaration of the independence of cyberspace" (Morrison, 2009); პროფესორი აღნიშნავდა, რომ ბარლოუმ შექმნა ძლიერად საოცნებო, ზოგჯერ უკაცრიელ უბედურების ანალოგი თავისუფლების შესახებ, იდეალური ინტერნეტის კონცეფცია, რომელმაც ვერ იარსება პრაქტიკული რეგულაციების გარეშე. მორისონი ძირითად აქცენტს აკეთებს „ბარლოუს დეკლარაციის" უფრო მეტად უტოპიურ ბუნებაზე. მისი აზრით „ბარლოუს ცვლილებები და პროგრესი, უფრო წარმოადგენს იდეალურ ნარატივს, ვიდრე რეალურს. ის აღნიშნავს, რომ კომერციული და თანამედროვე საბაზრო აქტორები ხშირად მიმართავენ ამგვარ „ხრიკებს", საკუთარი კომერციული მიზნების მისაღწევად. პროფესორი ასევე აღნიშნავს, რომ ბარლოუს დეკლარაცია გაჯერებულია ლიბერალური დემოკრატიის საბაზისო იდეებით. მორისონი ხაზს უსვამს, რომ ე.წ. „outlaw" დეკლარაცია ქმნის ისეთ მდგომარეობას, რომლისთვისაც მიუღებელია ნორმატიული რეალობა. დეკლარაცია ერთი მხრივ ლეიტმოტივად გასდევს თავისუფლებისა თუ ინოვაციურ იდეალებს, თუმცაღა ამავე დროს ის წარმოადგენს შესაძლო ზიანისა და ნეგატიური შედეგების წყაროს (Morrison, 2009).

## 5. ციფრული ანონიმურობის დილემა და უფლებების მარეგულირებელი: პერსონალური მონაცემების დაცვა, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული პრაქტიკა

ინტერნეტ-კომუნიკაციების ზრდასთან ერთად ჩნდება ციფრული ანონიმურობის ფენომენი, რომელიც მკვლევარების აზრით წარმოადგენს კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების განხორციელების ახალ ფორმას, რომელიც მოითხოვს სამართლებრივი დაცვის განსაკუთრებულ მექანიზმებს, რაც მომხმარებლებს ვირტუალურ სამყაროში საშუალებას აძლევს, ინტერნეტში ურთიერთქმედებისას შენიღბონ საკუთარი იდენტობა. ერთი მხრივ, ანონიმურობა წარმოადგენს კერძო ცხოვრებისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვის მექანიზმს, განსაკუთრებით იმ საზოგადოებებში, სადაც მაღალია ცენზურის ხარისხი. მეორე მხრივ - ანონიმურობა წარმოშობს მთელ რიგ რისკებს, მათ შორის ცილისწამების, ექსტრემისტული ინფორმაციის გავრცელებასა და დანაშაულებრივ ქმედებებს ციფრული სამყაროს „ბნელ" სეგმენტში. ციფრული ანონიმურობის სამართლებრივი რეგულირება უნდა იყოს დაბალანსებული პერსონალური მონაცემების დაცვის აუცილებლობასა და ინტერნეტში ურთიერთქმედებების გამჭვირვალობის უზრუნველყოფას შორის. მაგალითად, ზოგიერთ ქვეყანაში (როგორიცაა გერმანია და საფრანგეთი) შემოღებულია კანონები, რომლებიც ოპერატორებსა და ინტერნეტ-პროვაიდერებს ავალდებულებს, იდენტიფიცირება გაუწიონ მომხმარებლებს გარკვეული ქმედებების შესრულებისას (ფინანსური ოპერაციები, სახელმწიფო მომსახურება) (Варламова, 2023). ამავე დროს, თანამედროვე მკვლევარები მიუთითებენ ამ ფენომენის მრავალწახნაგოვან ბუნებაზე. კერძოდ, ლ. გონტარი მიუთითებს, რომ „ციფრულ ეპოქაში პერსონალური მონაცემების დაცვა მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას, რომელიც ითვალისწინებს როგორც ინფორმაციის დამუშავების ტექნოლოგიურ თავისებურებებს, ასევე ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს" (Гонтарь, 2021).

გლობალური ციფრული ეპოქის პირობებში, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის მნიშვნელობამ განსაკუთრებული როლი შეიძინა. გასული საუკუნის ბოლოს, კონცეპტუალურად განსაზღვრული პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ფუნდამენ-ტური უფლება, განსაკუთრებით ციფრული ეპოქის პირობებში, აქტუალურობის თვალსაზრისით - ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უკავია, სწორედ ამ ნარატივის გამოძახილია ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის მიწურულს ცნობილი ცივილისტებისა და მკვლევარების (ს.ვერენისა და ლ.ბრენდიეს) კლასიკად მიჩნეული ნაშრომის „the right to privacy", ციტატა, სადაც აღნიშნულია, რომ პრივატულობის უფლება, აგრეთვე მოისაზრებს არა მხოლოდ პირადი განმარტოვების უფლებას, არამედ უფლებებს ინფორმაციული ავტონომიის შესახებ (Warren & Brandies, 1890). ტრადიციულ წარმოდგენას საცხოვრებლის ხელშეუხებლობისა და პირადი ცხოვრების დაცვის უფლებაზე, ემატება - ციფრულ მონაცემთა, მათ შორის, პირადი და ბიომეტრიული ინფორმაციის დაცვის უფლება. შეგროვებული ინფორმაციების მოცულობების ზრდა, დიდი მონაცემების გამოყენება „Big data" და ე.წ. „მანქანური სწავლების" ალგორითმების ყოვლისმომცველი დანერგვა. თანამედროვე პიროვნების კონფიდენციალურობის საკითხი შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს,

რადგან ტრადიციად ქცეული კონვენციური პრაქტიკა, უპრეცედენტო გამოწვევების წინაშე დგას ე.წ. „ციფრული რევოლუციის“ ადაპტაციის პროცესში (Sumssasdin, Akmal & Marsudi, 2024).

დღევანდელ რეალობაში, პირადი მონაცემების შეგროვებისა თუ დამუშავების ნორმატიულ მოწესრიგებას განსაზღვრავს რიგი საერთაშორისო აქტებისა (მაგ. ევროკავშირის მარეგულირებელი ნორმები GDPR) (EU2016/679,the europian parliament and of the council) აგრეთვე შიდა საკანონმდებლო ნორმები, თუმცა კვლავ ღიად რჩება საკითხი იმის გარშემო, თუ რამდენად ეფექტურად ასრულებენ, მოქალაქეთა დაცვის მიზნით აღნიშნული ნორმები, თავიანთ დანიშნულებას, რომ არ მოხდეს მსხვილი კორპორაციების მხრიდან, ან/და სახელმწიფო უწყებების მიერ არასანქცირებულად, თუ არამიზნობრივად მათი გამოყენება.

ტექნოლოგიური კომპანიები ხშირად უსწრებენ კანონმდებლობის განვითარებასა და სრულყოფას, რადგან ისინი იყენებენ მონაცემთა ანალიზისათვის მუდმივად განახლებულ ინსტრუმენტებს. მაგ. რეკლამისათვის, პოლიტიკური მანიპულაციისთვის ან/და სოციალური ინჟინერიისთვის. პერსპექტივაში საჭიროა როგორც კანონმდებლობის გაუმჯობესება, ისე უფლებათა დაცვის პრაქტიკული მექანიზმების შემუშავება/დახვეწა. ეს შეიძლება მოიცავდეს მონაცემთა შეგროვებისადმი უფრო დეტალური მოთხოვნების შემუშავებას, დამოუკიდებელი მარეგულირებლების მხრიდან კონტროლის გაძლიერებას, ასევე ისეთი ტექნოლოგიების განვითარებას, რომლებიც მომხმარებლებს საკუთარ პერსონალურ მონაცემებზე დამოუკიდებლად მართვის საშუალებას მისცემს (მაგალითად, ბლოკჩეინზე დაფუძნებული დეცენტრალიზებული რეესტრები, კრიპტოგრაფიული დაცვის საშუალებები (Jakobsson & Menczer, 2007). უკრაინელი სამართლის პროფესორის ი.ბაჩილოს მოსაზრებით, რომელიც მან თავის წიგნში „Информационное право“ აღნიშნა, რომ „ინფორმაციული სამართალი ეჯახება, ტრადიციული სამართლებრივი ინსტიტუტე-ბის ციფრული რეალობის პირობებთან ადაპტაციის აუცილებლობას, ამასთან, თანამედ-როვე ტექნოლოგიური კომპანიები ხშირად უსწრებენ კანონმდებლობის განვითარებას, რის საფუძველზეც იქმნება ახალი გამოწვევები, ტრადიციული სამართლებრივი რეგულირების მექანიზმებისათვის“ (Бачило, 2023).

თანამედროვე ეპოქა - ინტერნეტისა და ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაა, სადაც ინტერნეტი გვევლინება, როგორც თვითგამოხატვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პლატფორმად, რომელიც უზრუნველყოფს მთელს მსოფლიოში, ინფორმაციის მყისიერ გავრცელებას, თუმცა ამ დადებითი მოვლენის გარდა, ეს „სიკეთე“ შესაძლოა გამოყენებულ იქნეს, როგორც დეზინფორმაციის გავრცელების თვალსაზრისით, ისე ექსტრემიზმისა და ძალადობისკენ მოწოდების მიზნით, სწორედ აქ იკვეთება სახელმწიფოების „დილემა“, რომელიც ერთი მხრივ ვალდებულია, რომ დაიცვას სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება და ამავე დროს უზრუნველყოფს გაატაროს ან/და აღკვეთოს ადამიანის ამ ორი ძირითადი უფლების ბოროტად გამოყენების ფაქტები, რაც საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ უსაფრთხოებას. ამ და მსგავს საკითხებთან დაკავშირებით, საინტერესო კვლევა აქვს ჩატარებული, საერთაშორისო და ადამიანის უფლებების ექსპერტს, ადამიანის უფლებების დარგში აშშ-ს მხრიდან დამოუკიდებელ ექსპერტს ვენეციის კომისიაში,

სამართლის პროფესორ დევიდ კეის, რომელმაც თავის ნაშრომში „the global struggle to govern the internet", აღნიშნა: „მსხვილი პლატფორმების კონტენტის მოდერაციის პოლიტიკა, ფაქტობრივად გარდაიქმნა მილიარდობით მომხმარებლებისათვის - სიტყვისა და გამოხატვის უფლებების მარეგულირებლად (David, 2019). სხვადასხვა სახელმწიფოები მიმართავენ განსხვავებულ მეთოდებს, ამ პრობლემური საკითხების გადასაჭრელად, ყველაზე გავრცელებული მექანიზმია ამა თუ იმ კონტენტის ბლოკირება/ ფილტრაცია. ამას გარდა პრაქტიკაში დანერგილია ინტერნეტ-პროვაიდერების მფლობელთა პასუხისმგებლობის მექანიზმების შემოღება. მიუხედავად ყოველივე ჩამოთვლილისა, სამართლიანად აღნიშნავს ზ. სანდერი, რომ „იკვეთება ამ ინსტრუმენტების ბოროტად გამოყენების საშიშროება, რადგან, როდესაც დეზინფორმაციასთან, ყალბ სიახლეებთან ან თუნდაც ექსტრემიზმთან ბრძოლის საბაბით, შესაძლოა შეიზღუდოს მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებები". ავტორი განსაკუთრებულ საფრთხეს ხედავს მოდერაციის გარდაქმნას ნორმატიული მმართველობის მექანიზმად („Moderation as governance"). სწორედ აქედან გამომდინარე, მკვლევარი გვთავაზობს საინტერესო გამოსავალს: ა) პროცედურების მაქსიმალურად გამჭვირვალობა; ბ) საჩივრის მექანიზმების ჩაშენება; გ) საზედამხედველო სტრუქტურის შექმნა (Sander, 2020).

ვფიქრობთ, ინტერეს მოკლებული არ იქნება სახელმწიფო ორგანიზაციებისა, კერძოდ, ევროპის საბჭოსა და გაეროს მოწოდებანი გაეროს წევრი სახელმწიფოების მიმართ, რომ დაიცვან პროპორციულობის პრინციპი და არ დაუშვან მათი მხრიდან ინტერნეტ-სივრცეში გადამეტებული ცენზურა (UN Human Rights Council Resolution, 2016); (Report of the Special Rapporteur, 2018); ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ პრაქტიკაშიც უხვად მოიძებნება სასამართლო ქეისები, სადაც ევროპული სასამართლო შეისწავლის ინტერნეტ სივრცეში, სახელმწიფოების მხრიდან, „გადამეტებული" ცენზურისა და კონტენტის ბლოკირების საკითხებს, რაც სასამართლოს აზრით არღვევს პროპორციულობის პრინციპს (მაგ. საქმეზე Ahmet Yıldırım v. Turkey, 2012), აღნიშნული საქმე ეხებოდა თურქეთის სახელმწიფოს მიერ google sites მთლიანად დაბლოკვის საკითხებს, რადგან ერთი გვერდი შეიცავდა უკანონო კონტენტს. სასამართლომ გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევად მიიჩნია ერთი ინტერნეტ გვერდის გამო, სრული პლატფორმის ცენზურა და ბლოკირება (*Ahmet Yıldırım v. Turkey*, Application no. 3111/10, Judgment of 18 December 2012); აგრეთვე, ძალიან საინტერესოა ევროპული სასამართლოს საქმე, რომელიც განიხილებოდა უნგრეთის ერთ-ერთი მოქალაქის სარჩელით უნგრეთის წინააღმდეგ (Magyar Tartalomszolgáltatók Egyesülete and Index.hu Zrt v. Hungary, 2016), აღნიშნულ საქმეზე, მოსარჩელეს დაეკისრა პასუხისმგებლობა სოციალურ ქსელში გამოთქმული ე.წ. „კომენტარების" გამო. სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სახელმწიფოს ლირებელ ზერკეტად გამოხატვის გასაკონტრომხრიდან ინტერნეტ-პლატფორმების გაკონტროლება და „ზეწოლა" კომენტარების მოდერაციაზე, შეიცავს რისკს, გარდაიქმნას, როგორც სახელმწიფოს მხრიდან მარეგულებლად, აქედან გამომდინარე, სასამართლომ მოცემულ ქეისზე პროპორციულობის დაცვისაკენ მოუწოდა მოპასუხე მხარეს (Magyar Tartalomszolgáltatók Egyesülete and Index.hu Zrt v. Hungary, Application no. 22947/13, Judgment of 2 February 2016).

ინტერეს მოკლებული არ არის ქეისი: (ისმაილოვა - აზერბაიჯანის წინააღმდეგ); საქმე ეხებოდა მოქმედი ჟურნალისტის მიმართ, ონლაინ აქტივობის შეზღუდვას, სახელმწიფო ინტერესების დაცვის საფუძვლით. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ „სახელმწიფოს მიერ მოქალაქის ციფრული კომუნიკაციის საიდუმლოდ კონტროლი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პირი არის აქტიური ჟურნალისტი და ასრულებს „დემოკრატიული ზედამხედველობის" ფუნქციას, წარმოშობს რეალურ საფრთხეს თვითცენზურისა და დემოკრატიულ დებატებში ჩართვის თავისუფლებისათვის. ასეთი ჩარევა ვერ ჩაითვლება პროპორციულად გამართლებულად, თუ არ არსებობს მკაცრად განსაზღვრული, კონკრეტული და გადამოწმებადი საჯარო საჭიროება" (Khadija Ismayilova v. Azerbaijan, Application no. 65286/13, Judgment of 10 January 2020).

როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომამ დაგვანახა, ის ქმნის ადამიანის „მე-4-ე" თაობის უფლებების დაცვის მზარდ და პროგრესულ პრაქტიკას. ევროპული სასამართლოს როლი ამით არ ამოიწურება, ის აგრეთვე ადგენს, უფლებათა დაცვის ახალ სტანდარტებს ეროვნული საკანონმდებლო სისტემებისათვის. ეს რეალობა, ბუნებრივია ისახება კონსტიტუციურ სამართალზეც, რომელიც ახალ გამოწვევებს ბადებს. სწორედ ამასთან დაკავშირებით აღნიშნა ნ. ბონდარმა: „ინფორმაციულ-ციფრული სივრცის კონსტიტუციური განზომილება, მოითხოვს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხის ტრადიციული მიდგომების გადახედვას (Bondar, 2020). სოციალური ქსელები (Facebook, Instagram, Twitter და სხვ.) წარმოადგენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში კომუნიკაციების საკვანძო ელემენტებს. ისინი საშუალებას იძლევიან, არა მხოლოდ გამოვხატოთ საკუთარი აზრი, არამედ წამოვიწყოთ საზოგადოებრივი მოძრაობები, პოლიტიკური კამპანიები ან/და საქველმოქმედო აქციები. ჯ. გრეგორიოს კვლევის თანახმად: „ციფრული კონსტიტუციონა-ლიზმი ევროპაში წარმოადგენს ფუნდამენტური უფლებების დაცვის ახალ მიდგომას ონლაინ გარემოში" (Gregorio, 2022), თუმცა, ჯ. კოენი თვლის, რომ არსებობს კითხვის ნიშნები, რადგან მსხვილი კომპანიების მიერ მონოპოლიზაცია აჩენს რისკებს, ალგორით-მული გამჭვირვალობის თუ საზოგადოებრივი აზრის მანიპულაციის თვალსაზრისით, ამასთან პიროვნების ქცევისა თუ ფსიქოლოგიური მდგომარეობის ფორმირების უნარიც გააჩნია ციფრულ სამყაროს, სოც. ქსელებს, რადგან მათ მიერ წარმოებულ კონტენტს ხშირ შემთხვევაში გააჩნია შეზღუდული ქვეტექსტები, რაც წარმოადგენს რისკს ხელშეწყობილ იქნეს პოლარიზება საზოგადოებაში და ერთგვარი რადიკალიზაციაც (Cohen, 2023).

სამართლებრივი თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, რომ მომხმარებლებს ჰქონდეთ საკუთარი უფლებების დაცვის შესაძლებლობა (მაგალითად, ცილისწამების, საავტორო უფლებების დარღვევის ან დისკრიმინაციის შემთხვევაში) და მოითხოვონ კომპანიების მხრიდან მოდერაციის პრაქტიკის გამჭვირვალობა. ამ პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კონტენტის ალგორითმული მართვის პრობლემა. განსაკუთრებით აქტუალურია ციფრული პლატფორმების საქმიანობის რეგულირების პოლიტიკურ/ სამართლებრივი კონტექსტი (მაგალითისთვის: კავშირი ცენზურასთან, პრივატულობასთან თუ დეზინფორმაციასთან). თანამედროვე პირობებში მნიშვნელოვანი ხდება ინტერნეტის ტრანსსასაზღვრო რეგულირების საკითხი. ლ. ლესინგი დამაჯერებლად აჩვენებს, რომ

„უსაზღვრო ინტერნეტის ილუზია ეჭვქვეშ დადგაეროვნული მარეგულირებელი ჩარჩოების გაჩენის შედეგად“. ამ აზრის განვითარებით, იგი მიუთითებს, რომ „კოდი ეს იგივეა, რაც კანონი კიბერსივრცეში და ციფრული პლატფორმების არქიტექტურა უშუალოდ ახდენს გავლენას ფუნდამენტურ უფლებებზე“; ეს განსაკუთრებით მნიშვნელო-ვანია ინტელექტუალური საკუთრების დაცვის კონტექსტში (Lessing, 1999).

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მოვიხმობთ მკვლევარ-მეცნიერების ნ. სუზარის, დ. კელერის და კ. კლონიკის შესანიშნავი სამეცნიერო ნაშრომიდან მცირე ამონარიდებს, რომელიც საშუალებას მოგვცემს გავაკეთოთ ნაშრომის ამ თავის მცირე შეჯამება, რასაც ამ თავის დასკვნის სახით წარმოვადგენთ: ნ. სუზარი მიიჩნევს, რომ თანამედროვე ციფრული სივრცე ცალკეულ პირებსა და საზოგადოებებს შესაძლებლობებს აძლევს, გაავრცელონ ინფორმაცია, მონაწილეობა მიიღონ საჯარო დებატებში და გააცნონ საზოგადოებას მნიშვნელოვანი ფაქტები, ამასთანავე, გლობალური ციფრული პლატფორმები „ებრძვიან“ არალეგიტიმურ ან ნეგატიურ კონტენტს, თუმცა ისინი რეალურად ახორციელებენ ძალაუფლებას გამოხატვის სფეროში, რომელიც აქამდე მხოლოდ სახელმწიფოებს ჰქონდათ (Suzor, 2019); კელერისა და კლონისის მოსაზრებით, ციფრული პლატფორმები არ შეიძლება განიხილებოდნენ, როგორც კერძო პირებად (სუბიექტებად), იქიდან გამომდინარე, რომ მათი გავლენა, სოციუმის კომუნიკაციებზე ძალზედ დიდია. ეს საკითხი კი ლეიტმოტივად გასდევს ადამიანის უფლებათა სფეროსა და მათი დაცვის სტანდარტებს, ხოლო მათი არამიზნობრივად გამოყენების რისკი, კერძოდ ციფრული-პლატფორმების შეზღუდვა სახელმწიფოების მხრიდან, ნეგატიურად აისახება ადამიანის თავისუფალი გამოხატვის უფლებაზე, რაც საბოლოოდ განსაზღვრავს სახელმწიფოს დემოკრატიულ დისკურსს. კონტენტის მოდერაციის „პრივატიზება“, სამართლებრივ რეალობაში წარმოადგენს სრულიად ახალი ტიპის გამოწვევას, სადაც, საჯარო ფუნქციის განხორციელებას იწყებენ კერძო პლატფორმები ერთგვარი დელეგირების გზით, ამასთან, მათი დაქვემდებარება არ ხდება სტანდარტული დემოკრატიული ანგარიშვალდებულების მექანიზმებით. სწორედ ეს განსაზღვრავს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, ციფრული-პლატფორმების გამჭვირვალობის და პროპორციულობის სისტემების ჩამოყალიბების თვალსაზრისით (Keller & Klonick, 2020).

„ადამიანები ხშირად აღნიშნავენ, რომ ინტერნეტი წარმოადგენს გარკვეულ სივრცეს, რომელსაც არ გააჩნია არავითარი საზღვარი“, ეს არის „გლობალური სოფელი“, სადაც ერთი დაწკაპუნება განსაზღვრავს უამრავ კომბინაციურ ქმედებებს (იქვე, შენგელია ნ. (2022); ელექტრონულ მონაცემებს არ გააჩნია წონადობა, სივრცე, მოცულობა, რომლის „აღება და გადადება“ შესაძლებელი იქნებოდა. ბუნებრივია ეს თვისება ეწინააღმდეგება იმ მოდელს, რომელსაც ამა თუ იმ სახელმწიფოს კანონმდებლობა განსაზღვრავს, სადაც სამართლებრივი სივრცის „პერიმეტრი“, როგორც წესი, ზუსტად არის დადგენილი. ეს მოცემულობითი სირთულე რომ გადაილახოს, აუცილებელია გარდაქმნილ იქნეს მოქმედების წესები. თანამედროვე იურიდიულმა მეცნიერებამ, აქტიურად დაიწყო ახალი მარეგულირებელი სამართლებრივი სისტემების შემუშავება, მისი მიზანია გამოააშკარაოს, თუ რა იურიდიული ნორმები მოქმედებს კიბერსივრცეში, რომელი არბიტრია ყველაზე

კომპეტენტური, რომელი მეთოდი წარმოადგენს ყველაზე ოპტიმალურს და მსგავსი საკითხები. ბუნებრივია, რომ ეს ნორმატივები აკავშირებს ვირტუალურ სფეროს ფიზიკურ რეალობასთან. ვებ-სივრცეში პირის უფლებების დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით, აუცილებელი იქნება ამ სუბიექტთან უშუალო ურთიერთობების დამყარება. ციფრულ სამართლებრივ რეალობაში სივრცობრივი კრიტერიუმების მექანიკური გადატანა, კონცეპტუალურად პრობლემურია, ვინაიდან კიბერსივრცე არ ექვემდებარება სახელმწიფო სუვერენიტეტის კლასიკურ, გეოგრაფიულ განსაზღვრულ მოდელს. ამიტომ, სამართლებრივი ურთიერთობების იდენტიფიკაცია მოითხოვს არა ტერიტორიულ კუთვნილებას, არამედ მონაწილე სუბიექტთა ციფრულ „იდენტობასა“ და პიროვნულ სტატუსს (Grimmelmann, 2009).

## 6. ციფრული პლატფორმების უკონტროლო ძალაუფლება: მინიმალური რეგულაციის შედეგები და მოწყვლადი ჯგუფების სამოქალაქო უფლებების ხელყოფა

ინტერნეტმა შექმნა პირობები ახალი საზღვრების ფორმირებისთვის, სადაც სხვადასხვა ინდივიდს შეუძლია ჩაერთოს ისეთი ფორმით, რაც წარსულში შეუძლებლად იყო მიჩნეული. მარეგულირებელი პოლიტიკა ისწრაფვის, შეესაბამებოდეს ტექნოლოგიურ განვითარებას. თუმცა, ტექნოლოგიური სიახლეების სწრაფი დინამიკისა და პოლიტიკის ფორმულირების შედარებით ნელი განვითარების გამო, ეს მცდელობები ხშირად არაეფექტურია. ასე, მაგ. აშშ არ ახორციელებს კონტენტის რეგულირებას ისეთ ციფრულ კომპანიებზე, როგორებიცაა „facebook“, „google“; კომუნიკაციების ფედერალური კომისია (Federal Communications Commission), რომლის მოვალეობაა საკომუნიკაციო პროცესების ნორმატიული უზრუნველყოფა, იყენებს მხოლოდ მინიმალურ რეგულაციურ მოდელს, რაც ტექნოლოგიურ კორპორაციებს საშუალებას აძლევს, თავად დაადგინონ შინაარსის მართვის წესები (Kira, 2025). სწორედ ამან განაპირობა ამერიკის შეერთებულ შტატებში დაფუძნებულიყო ონლაინ მედია სერვისები, მძლავრი და დაურეგულირებელი კორპორაციები, რომლებიც საზოგადოებრივი ზედამხედველობის მიღმა რჩებიან. დღეისათვის არსებული ტექნოლოგიური რეგულაციის ინსტრუმენტები და სტრატეგიები არასაკმარისია სოციალური ინტერესების უზრუნველსაყოფად და მხარდასაჭერად. ამგვარად, ხშირად ილახება ფერადკანიანი მოქალაქეების უფლებები და თავისუფლებები ციფრულ გარემოში. იდენტიფიცირებულია ხუთი ძირითადი სფერო, სადაც მაგ. აშშ-ს ფერადკანიანი მოქალაქეები კვლავ განიცდიან წინააღმდეგობებს ტექნოლოგიური სიახლეების კონტექსტში ადამიანისა და სამოქალაქო უფლებებთან მიმართებაში: კანონის აღსრულება, საარჩევნო პროცესებში მონაწილეობა, სასწავლო სისტემა, საცხოვრებლით სარგებლობა და დასაქმების თანაბარი შესაძლებლობები (Gorva, 2019).

## 7. კიბერ-სამყარო, როგორც გამოხატვის თავისუფლების სივრცე და კონტროლის ბოროტად გამოყენების რისკები

დღეის მდგომარეობით, კიბერ-სივრცე წარმოადგენს პირის მიერ საკუთარი აზრის თავისუფლად გამოხატვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს გარანტორს. მსოფლიოს 5 მილიარდამდე ადამიანი ყოველდღიურად სარგებლობს ინტერნეტის მომსახურებით (World Bank, 2024). ვებ-ქსელი თავისი არსით არ არის შეზღუდვადი. ერთი ინდივიდის მიერ გლობალური ქსელის ექსპლუატაცია, სხვა პირისათვის არ ამცირებს მისით სარგებლობის შესაძლებლობას. გარდა ამისა, ინტერნეტი მეტად ფასეული ხდება იმ მომხმარებელთა სიმრავლის გამო, ვინც ინტერნეტში საკუთარ ხედვებს ასაჯაროვებენ. უამრავი ინტერნეტ-მომხმარებელი, საკუთარი ნება-სურვილის მიხედვით, ანთავსებს და იძიებს ინფორმაციას, რითაც აუმჯობესებს ცოდნის ხარისხს, აღვივებს საზოგადოებრივ დისკუსიებს და უზრუნველყოფს იმგვარ სიახლეების გაცნობას, რაც წარმოუდგენელი იყო სულ რაღაც რამდენიმე წლის წინ. მიუხედავად აღნიშნულისა, გლობალური ქსელის ეს არსებითი დატვირთვა იკლებს იმ შემთხვევაში, თუკი ინფორმაციის გაცვლა წყდება, მოსაზრებები იბლოკება, ინდივიდუალურ არჩევანზე ხდება შეზღუდვის დაწესება და მონაცემები იმსხვრევა. დღეს, ინტერნეტის მომხმარებელთა საზოგადოება და არასამთავრობო სექტორი დიდ ენერგიას ხარჯავს იმისთვის, რომ გადაარჩინოს მთავარი თავისუფლებები, რომლებიც ციფრულ სამყაროშია ნებადართული. ამ უფლებების შენარჩუნებამ შესაძლოა განსაზღვროს მომავალი თაობების ბედი. იმის მიუხედავად, რომ მილიარდობით ადამიანს აქვს ინტერნეტთან მიერთების საშუალება, მოსალოდნელია, რომ მომდევნო წლებში ეს ციფრი გაორმაგდება (MacKinnon, 2012).

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში, აშკარა გახდა, რომ ვებ-სივრცეში იზრდება ტენდენცია ინდივიდების შეურაცხყოფის, დევნისა და სიძულვილის ენის ფართო გამოყენებისა. სოციალური პლატფორმების რეგულაციებმა და ტექნოლოგიურმა კონფიგურაციამ ხელი შეუწყო ამგვარი სიძულვილის გავრცელებას, რაც ზიანს აყენებს არა მხოლოდ მომხმარებლებს, არამედ აუარესებს მედიის საერთო დონეს. ამჟამად, ინტერნეტკორპორაციებზე ძლიერი ზეწოლა ხორციელდება იმ მიზნით, რომ მათ გააძლიერონ ძალისხმევა ქსელში არსებული აგრესიული ქმედებების შესამცირებლად და მოწყვლადი პირების დასაცავად მიყენებული ზიანისგან, დევნისგან, ანდა გამოხატვის თავისუფლების შესაძლო შეზღუდვისგან. ამასთან, ცვლილებების ინიცირება მოითხოვს არა მხოლოდ სიღრმისეულ განხილვას აღნიშნულ საკითხებზე, არამედ გამოყენების არსებული წესების ფუნდამენტურ გადაფასებას. ონლაინ სამყაროში ფართოდ არის მოდებული ძალადობა და შევიწროება. ხშირად უმცირესობების წარმომადგენლები და ქალები ხდებიან უცხო პირების მხრიდან საფრთხეებისა და აგრესიის სამიზნე, მხოლოდ ქსელში აქტიურობის გამო. აღსანიშნავია, რომ „ონლაინ ძალადობის“ მსხვერპლთა კოლოსალურმა რაოდენობამ განაცხადა, რომ ისინი რასიზმის, სექსიზმის, ჰომოფობიის ან ტრანსფობიის საფუძველზე განიცადეს დისკრიმინაცია (Fisk, 2016).

უნდა აღინიშნოს, რომ არც საქართველოა გამონაკლისი, ბოლო წლების გამოცდილებიდან გამომდინარე, ქართულ სოციალურ მედიასა თუ ინტერნეტ-ქსელებში, მომეტებულია

ისეთი ინფორმაციების გავრცელება, რაც ნეგატიურ კონტექსტში დაკავშირებულია პირის/ების იდენტობასთან, სქესთან, გენდერთან და ა.შ. ჯერ კიდევ 2018-2019 წლების ანგარიშებში, სახალხო დამცველი მოუწოდებდა შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ორგანოებს, რომ მათი სამოქმედო გეგმები, იყო არაეფექტური და მოუწოდებდა ეფექტური რეაგირებისათვის. მკვლევარების გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ კიბერ სივრცეში უფლებათა დამრღვევი კონტენტის შინაარსის გავრცელება, (მაგ. რასისტული), დამაბრკოლებელი ფაქტორია იურიდიულად დასაშვებ კონტექსტუალურ დიალოგთან, რომ გამოიღოს შედეგობრივი ცვლილება.

## 8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა და ანალიზი

საქართველოს საკასაციო სასამართლოს ინსტანციის წინაშე 2019 წლის მარტში პირველად წამოიჭრა პრობლემა სახელმწიფო ორგანოს მიერ სოციალურ პლატფორმაზე მოსაზრების თავისუფლების პოტენციური შეზღუდვის შესახებ. სადაო საგანს წარმოადგენდა ადვოკატ გ. ნ. შენიშვნა, რომელიც მან უწყების ოფიციალურ Facebook-ის ანგარიშზე განთავსებულ კონტენტს დაურთო. უწყების მიერ გავრცელებული მასალა ეხებოდა თ. ა. სთვის ანაზღაურების გადარიცხვას, რაც იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ვერდიქტით ეკისრებოდა. თავის განცხადებაში, იუსტიციის სამინისტრომ წარმოადგინა მზადყოფნა სასამართლოს ვერდიქტის აღსრულების მიმართ. სწორედ ამ პუბლიკაციას მიაკუთვნა პოზიცია გ.ნ.-მ, რომლის პლატფორმიდან ამოღებაც განახორციელა უწყებამ. აღნიშნული ქმედების საპასუხოდ, გ.ნ. სასარჩელო განაცხადი წარადგინა თბილისის საქალაქო სასამართლოში იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ. ადვოკატი ამტკიცებდა, რომ პიროვნების მიერ განხორციელებული მოსაზრების ამოშლითა და მისი „სოც-პროფილის“ სამინისტროს გვერდზე ბლოკირებით, სახელმწიფომ უგულებელყო მისი მოსაზრების გამოხატვის უფლება. გ.ნ.-ს თვალსაზრისით, სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ სოციალური პლატფორმების მართვა ადმინისტრაციული ფუნქციის რეალიზებად უნდა იქნეს მიჩნეული სუს-გ.#ბს-568, (2019).

თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ, აღნიშნული ქეისი კვალიფიცირდა, როგორც კერძო დავა და უარი თქვა განხილვაზე, როგორც საკუთარი იურისდიქციის ფარგლების საკითხზე (განსჯადობის თვალსაზრისით); სასამართლოს აღნიშნულმა კოლეგიამ არ ჩათვალა საქმე მის განსჯად. საბოლოოდ, უზენაესმა სასამართლომ დავა მიაკუთვნა ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიას და განჩინებაში ხაზგასმით აღნიშნა: „წარმოდგენილ ვითარებაში, პოტენციურად ფიქსირდება მოსარჩელის საქართველოს კონსტიტუციის 17-ე მუხლითა და ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებული მოსაზრების გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა იუსტიციის სამინისტროს მხრიდან“. აღსანიშნავია, რომ სასამართლომ საქმის შინაარსობრივ ნაწილზე განხილვა არ განახორციელა, თუმცა ასეთი გადაწყვეტილების მიღება და საქმის ადმინისტრაციული საქმეების კოლეგიისკენ გადამისამართება ერთობ პრეცედენტულ მნიშვნელობას იძენს.

საქალაქო სასამართლომ 2022 წელს, ერთგვარი პრეცედენტული ხასიათის გადაწყვეტილება გამოიტანა ცილისწამების საკითხთან დაკავშირებული დაპირისპირების შესახებ. სარჩელის ავტორი არ წარმოადგენს სახელმწიფო თანამდებობის პირს. იგი დასაქმებულია საჯარო სექტორში, საქმეს პოლიტიკური ხასიათი არ აქვს. დავა უკავშირდება პოტენციურად ცილისმწამებელ შინაარსს მოსარჩელის არამატერიალურ უფლებებთან მიმართებით. აღნიშნული დავა პრეცედენტულ ხასიათს ატარებს, ვინაიდან ეს წარმოადგენს პირველ შემთხვევას, როდესაც საქართველოს სასამართლომ ღირსების შელახვის საქმეში გაიზიარა სარჩელის ავტორის მოთხოვნა და საბოლოო ვერდიქტის გამოტანამდე, სარჩელის უზრუნველყოფის ფორმით, მოპასუხეს დაავალა meta-ზე გავრცელებული საჯარო შეტყობინების „only me”-ზე ე.ი. ექსკლუზიურად ავტორის ხილვადობისთვის ცვლილება, YouTube-ზე ატვირთული ვიდეომასალის საჯაროობის „რესტრაქცია“ და meta-ის პროფილის ამოშლის შეზღუდვა. რისკი, რომელიც შესაძლოა აღნიშნული პრეცედენტით წარმოიქმნას, მდგომარეობს იმაში, რომ ეს პრაქტიკა არ უნდა იყოს გამომწვევი მიზეზი იმისა, რომ სოციალურ პლატფორმებზე მოხდეს მოსაზრების გამოხატვის უფლების ლიმიტირება. გასათვალისწინებელია, რომ ანალოგიური ვერდიქტი არ უნდა იქნეს გამოყენებული ისეთ საქმეებზე, რომელთა მიმართაც საზოგადოებრივი დაინტერესება მაღალია (კურტანიძე, 2022).

ერთ-ერთი უნივერსიტეტის სტუდენტმა სოციალური ქსელის ერთ-ერთ დახურულ ჯგუფში, სადაც მნიშვნელოვანი რაოდენობის მომხმარებლები აქტიურობენ, ლექტორი მოიხსენია შეურაცხმყოფელი ეპითეტებით, რომლებიც თავის შინაარსით აშკარად შეურაცხმყოფელ და ღირსების შემლახავ ხასიათს ატარებდა. აღნიშნული ქმედების გამო პედაგოგმა ოფიციალურად მიმართა სასამართლოს შესაბამისი საჩივრით. სასამართლოს 2019 წლის გადაწყვეტილებით, სასამართლომ თბილისის ერთ-ერთი უნივერსიტეტის სტუდენტის მიერ თავისი ლექტორის მიმართ გავრცელებული უხამსი ტექსტები შეაფასა, როგორც წვრილმანი ხულიგნობა და სამართალდამრღვევად ცნო, თუმცა, სასამართლომ ინდივიდუალური გარემოებების შეფასების შედეგად სტუდენტი სასჯელის აღსრულებისგან გაათავისუფლა და მხოლოდ გაფრთხილების ზომით შემოიფარგლა. მიუხედავად იმისა, რომ განცხადებები გავრცელდა არაპუბლიკურად, დახურული ონლაინ-სივრცის ფარგლებში, აღნიშნული შემთხვევა „nonetheless“ წარმოშობს სიტყვიერ თვითგამოხატვაზე სახელმწიფოს შესაძლო ჩარევის რისკთან დაკავშირებულ მნიშვნელოვანი სამართლებრივ-დოქტრინულ კითხვებს, განსაკუთრებით აკადემიურ გარემოში კრიტიკული აზრის გამოხატვის მასშტაბისა და ლეგიტიმური შეზღუდვების საზღვრების განსაზღვრის თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ პირების მიერ გამოყენებული კონკრეტული ტერმინოლოგია შესაძლოა საზოგადოების ზოგიერთ ჯგუფში ან ეთიკურ სტანდარტებში მიუღებლად და დამაზიანებლად შეფასდეს, სიტყვით გამოხატვის თავისუფლება თავისი არსით არ განიზრახავს მხოლოდ იმ კომუნიკაციური ფორმების დაცვას, რომლებიც ნეიტრალური ან წარმატებულად ასიმილირებული აღქმის არეალში ჯდება.

დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგის კონცეფციის თანახმად, ეს უფლება ასევე მოიცავს იმ მოსაზრებების და შეფასებების დაცვასაც, რომლებიც პროვოკაციულად, შემაშფოთებლად ან ემოციურად გამაღიზიანებლად აღიქმება საზოგადოებრივი დისკურსის მონაწილეთა გარკვეული ნაწილის მიერ. სწორედ ასეთი „დაცვის მინიმალური ზღვარი“ განასხვავებს პლურალისტურ და ღია საზოგადოებას ავტორიტარული დოქტრინისგან, სადაც დაუშვებადი სიტყვის საზღვრები განისაზღვრება არა ლეგიტიმუ-რობის, არამედ დომინანტური გემოვნების ან მორალისტური სანქციის საფუძველზე. ამგვარად, პლურალიზმი, ტოლერანტობა და მოსაზრებათა მრავალფეროვნების პატივის-ცემა დემოკრატიული საზოგადოებრივი წესრიგის ფუნდამენტურ სამართლურ პრინციპებს წარმოადგენს და მათი გამოცდილებრივი რელევანტურობის გარეშე სიტყვით გამოხატვის უფლება თავიდანვე კარგავს თავის კონსტიტუციურ დანიშნულებას (ზოგვერაძე, 2019).

## დასკვნა

წარმოდგენილი ანალიზის შედეგად, დადგინდა, რომ ციფრული ტექნოლოგიების ექსპონენციურმა ზრდამ ფუნდამენტური დისონანსი შექმნა ტრადიციულ სამართლებრივ პარადიგმებსა და ახალ ციფრულ რეალობას შორის. ინტერნეტი, როგორც გამოხატვის უნივერსალური გარანტორი და უფლებათა მეოთხე თაობის წყარო, დღეს თავად იქცა იმ გამოწვევების არენად, რომელიც საჭიროებს გადაუდებელ სამართლებრივ ინტერვენციას. კვლევამ დაადასტურა, რომ კიბერლიბერტარიანული იდეების მიუხედავად, სახელმწიფოს მხრიდან სრული უარი რეგულაციაზე (როგორც მინიმალისტური მოდელი ზოგიერთ იურისდიქციაში) იწვევს კორპორაციული ძალაუფლების უკონტროლო ზრდას. ეს ძალაუფლება, რომელიც კონტენტის მოდერაციის პრივატიზაციით გამოიხატება, კერძო პლატფორმებს ანიჭებს კვაზი-საჯარო ფუნქციას, რაც საფრთხეს უქმნის დემოკრატიულ ანგარიშვალდებულებას და ზრდის სამოქალაქო უფლებების, მათ შორის მოწყვლადი ჯგუფების უფლებების დარღვევის რისკს.

ამ ფონზე, პროპორციულობის პრინციპი გადამწყვეტ როლს თამაშობს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECHR) პრეცედენტული პრაქტიკა, რომელიც „გადამეტებული ცენზურის“ საკითხებს ეხება, გვიჩვენებს, რომ სწორედ ეს პრინციპი წარმოადგენს ფუნდამენტური უფლებების დაცვის საზომს, რითაც ECHR პროგრესულ სტანდარტებს ადგენს ეროვნული სამართლებრივი სისტემებისთვის. ამასთან, კიბერ-ძალადობის, სიძულვილის მეტყველებისა და დისკრიმინაციული კონტენტის მზარდი გავრცელება, მათ შორის საქართველოს კონტექსტში, არა მხოლოდ ინდივიდებს აყენებს ზიანს, არამედ აუარესებს მედია სივრცის საერთო ხარისხს. საბოლოოდ, სამართლებრივი სისტემები დგას ტრადიციული პრინციპების ფუნდამენტური გადააზრების აუცილებლო-ბის წინაშე. სამეცნიერო პერსპექტივიდან, აუცილებელია ისეთი მარეგულირებელი ჩარჩოს დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს ალგორითმულ ანგარიშვალდებულებას და კონტენტის მოდერაციის პროცესის გამჭვირვალობას. ამასთან, საჭიროა საერთაშორისო კერძო სამართლის ადაპტაცია გლობალურ რეალობასთან, რათა დაცული იქნეს

პიროვნების უფლებები ტექნოლოგიური პროგრესის დინამიკასთან თანხვედრაში მყოფი ინოვაციური მიდგომებით. ფუნდამენტური უფლებების შენარჩუნება ციფრულ ეპოქაში დემოკრატიული იმპერატივია, რომელიც მოითხოვს სახელმწიფოთა პოზიტიურ და პროაქტიურ ვალდებულებას.

## გამოყენებული ლიტერატურა


ბიჭაშვილი, მ. (2006). *პოლიტიკური თეორია, ჯონ ლოკის ტრაქტატი სამოქალაქო მმართველობაზე,* გამ. „თბილისი“.

ბოგვერაძე, მ. (2019). *თსუ-ის ლექტორმა მიმისა და Facebook-ზე გინების გამო სტუდენტს უჩივლა.* Netgazeti.ge. https://netgazeti.ge/news/385926/

ედიშერაშვილი, თ. (2022). *ელექტრონული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში.* გრუნი.

კურტანიძე, ი. (2022). *facebook post-ს only me-ზე გადაყვანა.* მედიაჩეკერი. https://www.mediachecker.ge/ka/mediagaremo/article/91145-feisbuq-postis-only-me-ze-gadayvana-ras-nishnavs-sasamarthlos-gadatsyvetileba

მელიქიშვილი, გ. (1988). *ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია.* საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. გამ. „მეცნიერება“.

საქართველოს უზენაესი სასამართლო. (2019). განჩინება, #ბს-568, 2019. თბილისი, სუს-გ. https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/26053/0

შენგელია, ნ. (2022). *ციფრული პლატფორმების მიერ კონტენტის მართვა და ადამიანის უფლებები.* კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი. https://openscience.ge/handle/1/2948

Bauman, R. (2012). *Human Rights In Ancient Rome.* Routledge. https://doi.org/10.4324/9780203012444

Bondar, N. (2019). Information And Digital Space In The Constutional Dimension, From The Practise of The Constitutional Court in R.F. *Journal of Russian Law*, (11), 25-42. https://doi.org/10.12737/jrl.2019.11.2

Cohen, J. (2023). *Between True And Power, The Legal Constructions Of International Capitalism.* Oxford University Press. https://global.oup.com/academic/product/between-truth-and-power-9780190246693

David, K. (2019). *The Global Truggle To Govern The Internet.* Columbia Global Reports.

ECHR. (2016). Judgment, *Magyar Tartalomszolgáltatók Egyesülete and Index.hu Zrt v. Hungary*, Application no. 22947/13. Strasbourg, France, Reports of Judgments and Decisions, *European Court of Human Rights Official Reports* (ECHR Official Publication).

ECHR. (2020). European Court of Human Rights, EctHR, case judgment, Khadija Ismayilova v. Azerbaijan, Application no. 65286/13, Judgment of 10 January 2020, HUDOC Decision Database, ECtHR Case Law Section, HUDOC, Official database of the European Court of Human Rights. https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:[%22001-188993%22]}

ECHR. (2012). Strasbourg, France, Reports of Judgments and Decisions, European Court of Human Rights Official Publication. https://hudoc.echr.coe.int/fre#{%22itemid%22:[%22001-115705%22]}

EU Committee of Ministers of the Council of Europe. (2016). *Recommendation CM/Rec(2016)5 of the Committee of Ministers to member States on Internet freedom* (CM/Rec Series). Council of Europe. https://search.coe.int/cm#{%22CoEIdentifier%22:[%2209000016806415fa%22],%22sort%22:[%22CoEValidationDate%20Descending%22]}

EU The European Parliament and of the Council. (2016). General Regulation, Regulation (EU) 2016/679 of The European Parliament And of The Council Of 27 April 2016, Official Journal of The European Union, **L** 119, Pp. 1–88, Official Journal Of The European Union, https://eur-lex.europa.eu/eli/reg/2016/679/oj

Fasenfest, D. (2016). Marx, Marxism and Human Rights. *Critical Sociology*, 42(6). https://10.1177/0896920516645720

Fisk, N. W. (2016). *Framing Internet Safety: The Governance of Youth Online. International Journal of Communication***,** 10, 1736–1755.

Gorva, R. (2019). The Platform Governance Triangle: Conceptualising The Informal Regulation Of Online Content. *Internet Policy Review, 8*(2). https://doi.org/14763/2019.2.1407

Gregorio, G. (2022). *Digital Constutionalism In Europe, Reframing Rights And Powers In The Algorithmic Society.* Digital Constitutionalism in Europe: Reframing Rights and Powers in the Algorithmic Society. https://doi.org/10.1017/9781009071215

Grimmelmann, J. (2009). Virtual World Feudalism. *The Yale Law Journal Pocket Part*, *118,* 126-130. https://ssrn.com/abstract=1331602

Jakobsson, M. & Menczer, F. (2007). Social Pishing. *Communications of the ACM*, *50*(10), 94-100. https://doi.org/10.1145/1290958.1290968

Kartyshkin, V. (2023). *Human Rights, International Protection In The Context Of Globalization.* NORMA, (285).

Keller, D. & Klonick, K. (2020). Digital Platforms as New Governors of Speech. *Yale Law Journal Forum*, *130*(2). https://doi.org/ 10.26441/RC18.2-2019-A13

Kira, B. (2025). Regulatory Intermediaries In Content Moderation. *Internet Policy Review*, *14(*1). https://doi.org/10.14763/2025.1.1824

Lessing, L. (1999). *Code And Other Laws Cyberspace.* New York , Basic Books, A Member of The Perseus Books Group. https://openlibrary.org/books/OL7593621M/Code_and_other_laws_of_cyberspace

Lopez, J. & Baroni, M. (2024). Fourth Generation Human Rights. *MDPI AG,* 9(2). https://doi.org/10.3390/philosophies9020039

MacKinnon, R. (2012). *Consent of the Networked: The Worldwide Struggle for Internet Freedom*. New York: Basic Books.

Manya, K. (2022). Exploring The Development of Human Rights and The Role and Success of The United Nations In Upholding Them. *International Journal of Social Science And Economic Research*, 2455-8834, (1097), https://doi.org/10.46609/IJSSER.2022.v07i04.018

Morrison, A.H. (2009). An Impossible Future: John Perry Barlow's Declaration of The Independence of Cyberspace, *New Media And Society*, *11(*1-2), 61-64. https://doi.org/10.1177/1461444808100161

Perry, J. Barlow, John Perry Barlow. (1996). *A Declaration of The Independence of Cyberspace.* Electronic Frontier Foundation. https://www.eff.org/cyberspace-independence?utm_source=chatgpt.com

Risse, M. (2021). The Fourth Generation of Human Rights, Epistemic Rights In Digital Life Worlds. *De Gruyter, 8(2),* (355), https://doi.org/10.1515/mopp-2020-0039

Sander, B. (2020). Freedom of Expression In The Age of Online Platforms: The Promise And Pitfalls Of A Human Rights Based Approach To Content Moderation, *Fordham International Law Journal 43*(4), 939-1006. https://ir.lawnet.fordham.edu/cgi/viewcontent.cgi?article=2787&context=ilj

Siderenko, E. (2020). Transformation of Law In The Context of Digitalization of Definingthe Correct Priorities. *Digital Law Journal*, *1*(1). https://doi.org//10.38044/DLJ-2020-1-1-24-38

Solove, D. (2008). *Understanding Privacy.* Harvard university press.

Sumssasdin, S., Akmal, U. & Marsudi, S. (2024). Adapting to Digital Transformation, Challenges and Strategies for Traditional Businesses. *Global International Journal of Innovative Research*, 2(3), 704-711. https://doi.org/10.59613/global.v2i3.121

Suzor, N. (2019). *Lawless: The Secret Rules That Govern our Digital Lives.* Cambridge University Press. https://doi.org/10.1017/9781108666428

Tate, J. (2024). Magna Carta And Definition Fundamental Rights. *Tulsa Law Review*, *59*(40), 39-66. https://digitalcommons.law.utulsa.edu/tlr/vol59/iss1/5/

Tyler, A. (2021). *Habeas Corpus: Short Introduction.* Oxford University Press. https://doi.org/10.1093/actrade/9780190918989.001.0001

United Nations Human Rights Council. (2016). *The promotion, protection and enjoyment of human rights on the Internet* (Resolution 32/13). United Nations. https://ap.ohchr.org/documents/dpage_e.aspx?si=a/hrc/res/32/13

United Nations. (2014). *The right to privacy in the digital age: Report of the Office of the United Nations High Commissioner for Human Rights*. United Nations. https://digitallibrary.un.org/record/777869?v=pdf

United Nations. (2018). *Special Rapporteur on the Promotion and Protection of the Right to Freedom of Opinion and Expression*. (A/HRC/38/35). United Nations. https://docs.un.org/en/A/HRC/38/35

Warren, S. & Brandies, L. (1890). The Right To Privacy. *Harvard Law Review*, *4*(5), 197-199. https://doi.org//10.2307/1321160

World Bank. (2024). *Individuals using the Internet (% of population)* (Code: IT.NET.USER.ZS) – World Development Indicators, 2024. WDI dataset – Digital development indicators online data table. World Bank Open Data Platform. https://data.worldbank.org/indicator/IT.NET.USER.ZS

Zaiets, A.& Pohoryelova, Z. (2021). Formation of the Idea of Natural Law in Ancient Greece and Ancient Rome. *Journal Of The National Academy of Legal Sciences of Ukraine*, *28*(9), 15-28. https://doi.org/10.37635/jnalsu.28(4).2021.15-28

Бачило, И.Л. (2023). *Информационное право.* Юрайт.

Варламова, Н.В. (2019). Цифровые Права - Новое Поколение Прав Человека. *РАН, 4*(4), 9-46. https://doi.org/10.35427/2073-4522-2019-14-4-varlamova

Гонтарь, Л. О. (2021). Защита персональных данных в условиях развития интернет-компаний. *Труды по интеллектуальной собственности*, *37*(1-2), 116-140. https://doi.org/10.17323/tis.2021.13051

# Fourth-Generation Rights and The Privatization of Moderation: Adapting the Law to Digital Challenges

**Zaza Mtchedlishvili**[1*]
**Sergi Jorbenadze**[2]
[1, 2] Grigol Robakidze University
***Corresponding author:** zaza.mtchedlishvili23@gruni.edu.ge

**Abstract.** This research is dedicated to the fundamental impact of digital technologies on legal systems and basic human rights. The dominant role of social networks, which operate similarly to a virtual state, has been analyzed, creating new challenges for both the protection of private life and freedom of expression. The paper reviews the evolution of the human rights concept from prehistoric sources up to the ideas of the Enlightenment, which laid the foundation for the formation of the fourth generation of rights. In this context, the cyber-libertarian ideology (manifesto of John Perry Barlow) is critically examined, which opposes state regulation, despite the fact that an uncontrolled digital space poses a serious threat to individual rights. Special attention is paid to the risks of algorithmic governance, where the privatization of content moderation grants private platforms a state-like power over the sphere of expression. It is shown that in some jurisdictions (for example, under the minimalist approach in the USA), this ineffective regulation leads to violations of civil rights, especially among vulnerable groups. Concurrently, international practice is analyzed in detail, specifically the precedents of the European Court of Human Rights (ECHR), which aim to ensure that states adhere to the principle of proportionality in censorship and content blocking. The study also highlights the growing trend of cyber-aggression, harassment, and hate speech, and the ineffective response of national institutions (e.g., the Public Defender) to these challenges, including in the context of Georgia.In conclusion, the work arrives at the finding that constitutional law demands a fundamental revision of traditional approaches and the development of new, transnational, and proportional regulatory frameworks to ensure the adequate protection of individual rights in the global digital age. The unprecedented growth of digital technologies over the last few decades has fundamentally transformed social, economic, and political relations, which, in turn, has posed radical challenges to existing legal systems and basic human rights. The influence of social media platforms today is so massive that they acquire the function of "virtual states," questioning the principles of freedom of expression management and personal data protection exercised by them.

**Keywords:** Freedom of expression, digital regulation, the fourth generation of human rights, content moderation, algorithmic governance, cyberbullying, social media platforms, principle of proportionality, corporate power

# სამედიცინო დაწესებულებების ლიცენზირება და სახელმწიფო ზედამხედველობა: სამართლებრივი ანალიზი საქართველოსა და ევროპულ კონტექსტში

**ნატო ჭითანავა**[1*]
**მაკა სალხინაშვილი**[2]
[1, 2] გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
**პასუხისმგებელი ავტორი:** tchitanavanato@gmail.com

**რეზიუმე.** სამედიცინო დაწესებულებების ლიცენზირება და ნებართვების გაცემის პროცედურები წარმოადგენს ერთ-ერთ ფუნდამენტურ სამართლებრივ მექანიზმს, რომლის მიზანია სამედიცინო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფა, პაციენტის უსაფრთხოების დაცვა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემის სამართლებრივი სტაბილურობის შენარჩუნება. აღნიშნული ინსტიტუტი ასახავს სახელმწიფოს უფლებრივ ჩარევას ისეთ საჯარო ინტერესის სფეროში, სადაც ჯანმრთელობის დაცვის უფლება კონსტიტუციური და საერთაშორისო სამართლის პრიზმაში აღიარებულია ადამიანის ფუნდამენტურ უფლებად, რაც ამყარებს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას უზრუნველყოს მისი ეფექტიანი რეალიზაცია. თანამედროვე ევროპული სამართლებრივი პრაქტიკა ხაზს უსვამს, რომ სამედიცინო საქმიანობაზე დაშვება უნდა ეფუძნებოდეს წინასწარ განსაზღვრულ სამართლებრივ კრიტერიუმებს, პროფესიულ სტანდარტებს და შესაბამის ინსტიტუციურ ზედამხედველობას. ამ გარემოების გათვალისწინებით, ევროკავშირის უმეტეს ქვეყანაში მოქმედებს ჰიბრიდული ლიცენზირების სისტემა, რომელიც აერთიანებს ადმინისტრაციულ ნებართვას, აკრედიტაციასა და ხარისხის კონტროლის მონიტორინგს, რაც უზრუნველყოფს სამედიცინო მომსახურების ეფექტიან რეგულირებას და პაციენტის უსაფრთხოების დაცვას. კვლევის მიზანია საქართველოს სამედიცინო დაწესებულებების ლიცენზირების, ნაბართვის, საქმიანობის უფლების და სახელმწიფო ზედამხედველობის სამართლებრივი საფუძვლების სისტემატური ანალიზი, ევროპული ქვეყნების, განსაკუთრებით გერმანიისა და უნგრეთის პრაქტიკის შეფასების ფონზე. აღნიშნული ქვეყნების მოდელები განსხვავდება სამართლებრივი რეგულირების ფორმებით, თუმცა ერთობლივად ეყრდნობა საერთო პრინციპებს: სამედიცინო მომსახურების ხარისხის მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფას და პაციენტის უსაფრთხოების დაცვას სახელმწიფოს რეგულაციური ზედამხედველობის მეშვეობით. კვლევის მნიშვნელოვანი ასპექტია საქართველოს სამედიცინო დაწესებულებების ლიცენზირების (ნებართვის, საქმიანობის უფლების) სისტემის შეფასება ევროპული და საერთაშორისო სტანდარტების კონტექსტში, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს რეგულაციის ეფექტიანობის კვალიფიციური კრიტერიუმები და ჰარმონიზაციის შესაძლებლობები.

**საკვანძო სიტყვები:** სამედიცინო დაწესებულებების ლიცენზირება, სახელმწიფო ზედამხედველობა, პაციენტის უსაფრთხოება, ხარისხის მართვა, რეგულირება

## შესავალი

ევროპულ ქვეყნებს აქვს მრავალწლიანი გამოცდილება სამედიცინო დაწესებულებების ლიცენზირების, სახელმწიფო ზედამხედველობისა და ხარისხის კონტროლის სფეროში, რაც ქმნის მკაფიო სამართლებრივ ჩარჩოს სამედიცინო მომსახურების სტანდარტების დაცვისა და პაციენტის უფლებების უზრუნველყოფისთვის (Kovacs et al., 2014). აღნიშნული რეგულირება ეფუძნება ევროკავშირის ძირითად სამართლებრივ პრინციპებს - პროფესიული კვალიფიკაციის აღიარებას, პაციენტის უსაფრთხოებას, ადმინისტრაციული ზედამხედველობის გამჭვირვალობასა და პროპორციულობას, რაც უზრუნველყოფს სახელმწიფო ჩარევის ზომიერებას და სამართლებრივი პროგნოზირებადობის აღქმას (European Union Directive 2011/24/EU).

სამედიცინო დაწესებულებების რეგულირება წარმოადგენს სახელმწიფოს ფუნდამენტურ ვალდებულებას, რომელიც მიზნად ისახავს საჯარო ინტერესის დაცვას და ადამიანის ფუნდამენტური უფლებების რეალიზაციას და არ შემოიფარგლება მხოლოდ ტექნიკურ ან ორგანიზაციულ ინსტრუმენტებში (Case of *Tysiąc* v. Poland, 2007).

კვლევა ეფუძნება საერთაშორისო და ევროპულ სამართლებრივ დოკუმენტებს, მათ შორის ევროკავშირის დირექტივებს (განსაკუთრებით Directive 2011/24/EU სამედიცინო მომსახურების შესახებ) (Directive 2011/24/EU*)*, ევროპის საბჭოს რეკომენდაციებს ჯანმრთელობის დაცვის ხარისხის მართვის საკითხებზე, OECD-ის Health System Performance Assessment Framework-ს (OECD/European Commission, 2024), ასევე მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეგულაციურ პრინციპებს. აღნიშნული ნორმატიული და ინსტიტუციური ჩარჩო უზრუნველყოფს კვლევის თეორიულ-სამართლებრივ საფუძველს და იძლევა შესაძლებლობას შეფასდეს საქართველოს სამედიცინო დაწესებულებების ლიცენზირების სისტემა საერთაშორისო სამართლისა და საუკეთესო პრაქტიკის მოთხოვნებთან შესაბამისობაში. კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველია შედარებითი სამართლის მიდგომა, რომელიც მოიცავს გერმანიისა და უნგრეთის ლიცენზირების მოდელების ანალიზს (Act CLIV on Health, 1997). კომპარატიული ანალიზი ხელს უწყობს სამართლებრივი მექანიზმების იდენტიფიცირებას, რომლებიც განსაზღვრავენ რეგულაციის ეფექტიანობას, პასუხისმგებლობის მკაფიო განაწილებასა და სახელმწიფო ზედამხედველობის განმტკიცებას სამედიცინო საქმიანობაში.

## გერმანიის სამართლებრივი მოდელი სამედიცინო დაწესებულებების ლიცენზირებისა და სახელმწიფო ზედამხედველობის სფეროში

გერმანიის სამედიცინო დაწესებულებების ლიცენზირების სისტემა წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ და სამართლებრივად გამართულ მოდელს ევროპაში. ეს სისტემა ეფუძნება სახელმწიფო და ფედერალურ დონეზე არსებული კანონმდებლობის კომბინაციას, რომელიც უზრუნველყოფს სამედიცინო დაწესებულებების რეგულირებას, ფინანსირებას, ხარისხის კონტროლს და პაციენტის უფლებების დაცვას. გერმანული მოდელი განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ორგანიზებულობით, სამართლებრივი

პროგნოზირებადობითა და მაღალი ხარისხის სტანდარტების დაცვით, რაც უზრუნველ-ყოფს როგორც საჯარო, ისე კერძო დაწესებულებების ეფექტიან ფუნქციონირებას.

გერმანიაში სამედიცინო დაწესებულებების ლიცენზირება რეგულირდება რამდენიმე ძირითადი კანონით, რომელთაც აქვთ კომპლექსური ფედერალური და რეგიონული სამართლებრივი ძალა, კერძოდ:

**Krankenhausfinanzierungsgesetz (KHG)** - კანონი განსაზღვრავს საავადმყოფოების დაფინანსებას, სახელმწიფო დაფინანსების მექანიზმებსა და ადმინისტრაციულ სტრუქტურებს, რომლებიც უზრუნველყოფენ დაწესებულებების ფინანსურ მდგრადობას. KHG-ის საფუძველზე სახელმწიფო აკონტროლებს, რომ საავადმყოფოებმა შეასრულონ განახლე-ბადი ინფრასტრუქტურული და ტექნიკური სტანდარტები, რაც ხელს უწყობს მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურების მიწოდებას (Frobenius, Bingold & Beckmann, 2007).

**Krankenhauszukunftsgesetz (KHZG)** - კანონი მიზნად ისახავს საავადმყოფოების მოდერნიზა-ციას, ციფრული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას, მათ შორის ელექტრონული სამედიცინო ჩანაწერების, პაციენტთა პორტალე-ბისა და ციფრულ მონაცემთა დამუშავების სისტემებს. KHZG უზრუნველყოფს ფინანსურ სტიმულს დაწესებულებებისთვის, რომლებიც ახორციელებენ ინოვაციურ პროექტებს, ხელს უწყობენ ინფრასტრუქტურულ განახლებებსა და ხარისხის გაუმჯობესების პროცესს.

ლიცენზირების პროცედურა მოიცავს დაწესებულების ინფრასტრუქტურული და ტექნიკური სტანდარტების შემოწმებას, პერსონალის კვალიფიკაციის შეფასებას, უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვას, სამედიცინო პროცედურების რეგულარულ შემოწმებასა და ინფორმაციული სისტემების შესაბამისობას. პროცედურა ასევე ითვალის-წინებს ადმინისტრაციული, ტექნიკური და სამედიცინო ასპექტების ერთობლიობას, რაც უზრუნველყოფს სისტემის მთლიანობას.

გერმანიაში სახელმწიფო ზედამხედველობა ხორციელდება როგორც ფედერალურ, ისე რეგიონულ დონეზე. ამ მიმართულებით ძირითადი ორგანოებია:

- **ფედერალური ჯანდაცვის სამინისტრო** (Bundesministerium für Gesundheit (BMG)) - პასუხისმგებელია ქვეყნის ჯანდაცვის პოლიტიკის, კანონმდებლობისა და რეგულაციე-ბის შემუშავებაზე.
- ფედერალური მიწების ჯანდაცვის სამინისტროები (Landesgesundheitsministerien) - ზედამხედველობენ ადგილობრივ ჯანდაცვის სისტემებს, ახორციელებენ ინსპექტირე-ბებსა და ხარისხის შეფასებებს.
- საავადმყოფოების ასოციაციები (Kranken**h**ausgesellschaften) კოორდინირებენ ხარისხის მონიტორინგს, შეიმუშავებენ უმნიშვნელოვანეს ინდიკატორებს და ხელს უწყობენ რეგულაციების დანერგვას (Döring & Paul, 2010).

ზედამხედველობა მოიცავს გეგმურ და არაგეგმიურ ინსპექტირებებს, ხარისხის ინდიკატორების მონიტორინგს, პროფესიული სერტიფიკაციის შემოწმებას, პაციენტის უსაფრთხოების სტანდარტების შეფასებას და ადმინისტრაციული დარღვევების

გამოვლენას. აღნიშნული მოდელი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ისეთი სამართლებრივი პრინციპების დაცვაზე, როგორიცაა პროპორციულობა (proportionality) და გამჭვირვალობა (transparency), რაც უზრუნველყოფს რეგულაციის ეფექტიანობას და სახელმწიფო ჩარევის ზომიერებას (Council of Europe, 2019).

გერმანიის სისტემა შინაარსობრივად აერთიანებს ფინანსურ, სამართლებრივ და ხარისხობრივ კონტროლს.

ხარისხის მართვისა და პასუხისმგებლობის სისტემა მოიცავს შემდეგ მექანიზმებს:

- **გერმანიის საავადმყოფოების მომსახურების საფასურის შესახებ კანონი Krankenhausentgeltgesetz (KHEntgG)** - განსაზღვრავს საავადმყოფოების ფინანსურ ანაზღაურებას და ხარისხის ინდიკატორების გამოყენებას, რაც პირდაპირ აისახება დაწესებულების ფინანსურ სტაბილურობაზე და პაციენტის მომსახურების ხარისხზე. ამასთან, ითვალისწინებს ციფრული ტექნოლოგიების, ელექტრონული ჩანაწერებისა და მონაცემთა დაცვის სისტემების დანერგვას, რაც ზრდის სამედიცინო მომსახურების უსაფრთხოებასა და გამჭვირვალობას (Gesetz über die Entgelte für voll- und teilstationäre Krankenhausleistungen);
- ISO 9001:2015 საერთაშორისო სტანდარტი – უზრუნველყოფს ხარისხის მართვის სისტემების სტანდარტიზაციას დაწესებულებებში, რაც ხელს უწყობს პროცესების ოპტიმიზაციას და პროფესიული პასუხისმგებლობის გაძლიერებას (ISO 9001:2015).

თვალსაჩინოა, რომ გერმანული მოდელი ქმნის სამართლებრივ ბალანსს: სახელმწიფო უზრუნველყოფს რეგულაციასა და ზედამხედველობას, ხოლო დაწესებულებები ვალდებულნი არიან დაიცვან ხარისხის კონტროლის სისტემა, პროფესიული პასუხისმგებლობის ფარგლებში. ეს მიდგომა უზრუნველყოფს როგორც უსაფრთხო, ისე ეფექტიან სამედიცინო მომსახურებას, ხოლო სამართლებრივი ჩარჩო - დაწესებულებების სამართლებრივ დაცვას, ზედამხედველობის პროცესების პროგნოზირებადობას და მაღალი ხარისხის სტანდარტების დანერგვას.

სამედიცინო დაწესებულებების ლიცენზირების ერთ-ერთი ძირითადი მიზანი სწორედ პაციენტისთვის მომსახურების ხარისხისა და გამჭვირვალობის დაცვაა, რასაც ნათლად ადასტურებს გერმანიის ფედერალური სოციალური სასამართლოს (Bundessozialgericht, BSG) პრაქტიკაც, კერძოდ, საქმეზე აუთსორსინგი საავადმყოფოებში - (Outsourcing in hospitals? - Decision of the BSG from 27.04.2022). სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საავადმყოფომ თავად უნდა უზრუნველყოს სპეციალიზებული განყოფილებები, ცენტრები, სპეციალიზებული პროგრამები, საჭირო სივრცით, აღჭურვილობით და პერსონალით. კანონი არ აძლევს საავადმყოფოს უფლებას რეგულარულად გადასცეს თავისი მოვლის მანდატით გათვალისწინებული აუცილებელი მომსახურება მესამე პირებს, რომლებიც არ არიან ინტეგრირებულნი მის ორგანიზაციაში (VOELKER, 2022).

აუცილებელი მომსახურება მოიცავს ყველა მომსახურებას, რომელიც რეგულარულად არის საჭირო შესაბამის სპეციალიზებულ განყოფილებაში, გარდა დამხმარე და დამატებითი სერვისებისა, როგორიცაა ლაბორატორიული ან რადიოლოგიური გამოკვლევები. აღნიშნულ საქმეზე BSG-ის პოზიცია აგრძელებს 2011 წლის 23 მარტის გადაწყვეტილების

(B 6 KA 11/10 R) პოზიციას, სადაც ხაზგასმით ნათქვამი იყო: „საავადმყოფოს მომსახურება უნდა განხორციელდეს საკუთარი პერსონალით, რომელიც ინტეგრირებულია ორგანიზაციულ და სამეთვალყურეო სტრუქტურაში, რათა უზრუნველყოფილი იყოს ხარისხის უმაღლესი სტანდარტები.

პაციენტისთვის მომსახურების მიწოდების გამჭვირვალობა მოითხოვს, რომ ოპერაცია ან მკურნალობა შესრულდეს საავადმყოფოს ექიმის მიერ, რომელიც მუდმივად დასაქმებული და ჩართულია სტაციონარულ მკურნალობაში. 2022 წლის გადაწყვეტილება ხაზს უსვამს, რომ საავადმყოფოებისთვის აუცილებელია: საკუთარი ინფრასტრუქტურის, აღჭურვილობისა და პერსონალის უზრუნველყოფა; ძირითადი მომსახურების აუთსორსინგი ან თანამშრომლობა მხოლოდ დამხმარე სერვისებისთვისაა დაშვებული; სასამართლო უზრუნველყოფს პაციენტისთვის მომსახურების ხარისხისა და გამჭვირვალობის დაცვას.

## უნგრეთის სამართლებრივი მოდელი სამედიცინო დაწესებულებების ლიცენზირებისა და სახელმწიფო ზედამხედველობის სფეროში

უნგრეთის სამედიცინო დაწესებულებების ლიცენზირების სისტემა წარმოადგენს ევროპის ერთ-ერთ ყველაზე დარგობრივად დეტალიზებულ და ინსტიტუციურად გამართულ მოდელს, რომელიც ეფუძნება საჯარო სამართლის პრინციპებსა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სახელმწიფო ზედამხედველობის კონსტიტუციურ ვალდებულებას. რეგულირების ძირითადი სამართლებრივი საფუძველი განისაზღვრება 1997 წლის **CLIV** ჯანმრთელობის შესახებ კანონით, რომელიც განსაზღვრავს როგორც სამედიცინო საქმიანობაზე დაშვების, ისე სამედიცინო დაწესებულებათა ფუნქციონირების სამართლებრივ ჩარჩოს (Act CLIV of 1997 on Health, Section 3-4).

სამედიცინო დაწესებულებების ფუნქციონირება დასაშვებია მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის (Operating License) მიღების შემდეგ, რომელიც გაიცემა ეროვნული ჯანდაცვის ორგანოს მიერ - National Public Health Center (Government Decree No. 96/2003 (VII.15). ლიცენზია გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამედიცინო დაწესებულება აკმაყოფილებს როგორც ინფრასტრუქტურულ და ტექნიკურ სტანდარტებს, ასევე პერსონალის კვალიფიკაციის მოთხოვნებს.

ლიცენზიის გაცემის პროცედურა დეტალურად არის დარეგულირებული „**ჯანდაცვის მომსახურების განხორციელების ზოგადი პირობებისა და ოპერირების ლიცენზირების პროცედურის შესახებ“ მთავრობის დადგენილებით №96/2003 (VII. 15.)** („On the Licensing of Health Care Providers“), რომელიც განსაზღვრავს ლიცენზიის გაცემის, განახლებისა და გაუქმების პროცედურებს. დადგენილების მიხედვით, ლიცენზია მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით, თუმცა დაწესებულება ვალდებულია რეგულარულად განახორციელოს შესაბამისობის დადასტურება (Government Decree No. 96/2003 (VII. 15)).

უნგრულ მოდელში მნიშვნელოვანი სიახლეა **„დაშვების დინამიკური სისტემა“** - ანუ ლიცენზირების შემდეგ დაწესებულება ექვემდებარება პერიოდულ კონტროლს და

ხარისხის მონიტორინგს, რაც უზრუნველყოფს რეგულაციის უწყვეტობასა და არა ერთჯერადობას (OECD, 2021).

ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებების საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედ-ველობას ახორციელებს ეროვნული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი (National Public Health Center) და მისი ტერიტორიული ერთეულები - საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დეპარტამენტები (Public Health Departments), რომელთაც მინიჭებული აქვთ საჯარო სამართლის უფლებამოსილება განახორციელონ გეგმური და არაგეგმიური ინსპექტირება, მათ შორის ინფრასტრუქტურული, ჰიგიენური და პროფესიული შესაბამისობის დადგენისთვის (WHO Regional Office for Europe, 2019). კონტროლის მიზანია: სამედიცინო დაწესებულებების სტანდარტების დაცვის, ინფექციური უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ექიმების პროფესიული სერტიფიკაციის დადასტურების შემოწმება და ადმინისტრაციული დარღვევების გამოვლენა. თუ დაწესებულება არღვევს კანონით დადგენილ სტანდარტებს, ზედამხედველ ორგანოს უფლება აქვს დროებით შეაჩეროს ლიცენზია ან გააუქმოს. ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილება ექვემდებარება სასამართლო კონტროლს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით (Administrative Procedural Code of Hungary, 2016, Section 101-104).

უნგრეთის მოდელში განსაკუთრებული აქცენტია დათმობილი პაციენტის უსაფრთხოების სისტემურ მართვაზე. Act CLIV of 1997 ავალდებულებს დაწესებულებებს დანერგონ შიდა ხარისხის მართვის მექანიზმები (internal quality assurance systems), რომლებიც დაკავშირე-ბულია ISO და EU Health Safety Frameworks-თან (ISO 9001:2015, 2020). გარდა ამისა, მოქმედებს ეროვნული სერტიფიკაციის სისტემა, რომლის მიზანია ექიმებისა და კლინიკური პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების შეფასება (Continuing Medical Education – CME) (European Observatory on Health Systems, 2023).

უნგრეთის კანონმდებლობის ანალიზი იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ მოდელი სამართლებრივად გამართულ ბალანსს ქმნის: ერთი მხრივ, სახელმწიფო ადგენს რეგულაციას და ახორციელებს ზედამხედველობას, ხოლო მეორე მხრივ, სამედიცინო დაწესებულება ვალდებულია შეინარჩუნოს თვითრეგულირების ელემენტები პროფესიუ-ლი პასუხისმგებლობის ფარგლებში. მოდელი აერთიანებს ადმინისტრაციულ, პროფესი-ულ და ტექნიკურ ზედამხედველობას. მისი ეფექტიანობის მთავარი საფუძველი მდგომარე-ობს სამართლებრივი სიცხადისა და პასუხისმგებლობის მკაფიო განაწილების პრინციპებში. უნგრული მოდელი ასახავს ევროკავშირის სამართლებრივ პრინციპებს, განსაკუთრებით კი სუბსიდიარობისა და პროპორციულობის პრინციპებს, რაც გულისხმობს სახელმწიფოს ჩარევას მხოლოდ იმ ზომით, რამდენადაც ეს აუცილებელია საზოგადოებრივი ჯანმრთე-ლობის დასაცავად.

## ჯანდაცვის ლაბორატორიების ლიცენზირების საერთაშორისო პრაქტიკა

ჯანდაცვის ლაბორატორიების ლიცენზირების მოდელები სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია და დამოკიდებულია რეგულირების შესაძლებლობებზე, ჯანმრთელობის

სისტემის მოწყობაზე და პოლიტიკურ პრიორიტეტებზე. გერმანიაში ლაბორატორიების საქმიანობა მირითადად რეგულირდება ჯანმრთელობის დაზღვევის კონტრაქტებზე დაფუძნებული მოდელით, რომლის მიხედვითაც ლაბორატორიები იღებენ უფლებას იმუშაონ მხოლოდ მას შემდეგ, რაც გააფორმებენ კონტრაქტს ჯანმრთელობის დაზღვევის ფონდებთან და აკმაყოფილებენ ხარისხის სტანდარტებს, მათ შორის ISO 15189-ის მოთხოვნებს (ISO 15189:2022, 2022). ლაბორატორიების ლიცენზირება ხორციელდება ცალკე სამართლებრივი აქტის საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს როგორც ადმინისტრაციულ, ისე მატერიალურ სამართლებრივ წესებს, ხოლო ზედამხედველობას ახორციელებს ჯანდაცვის სახელმწიფო ორგანო (Huber et al., 2025).

ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედებს ზოგადი ლიცენზირების სისტემა, რომელიც ლაბორატორიების რეგულირებას ახორციელებს CLIA-ს (Clinical Laboratory Improvement Amendments) მეშვეობით და მოიცავს სერტიფიცირების, რეგულარული ინსპექტირების და ხარისხის კონტროლის მკაცრ მექანიზმებს. საერთო ტენდენცია აჩვენებს, რომ ქვეყნები, სადაც ლიცენზირების ჩარჩო ეფუძნება მკაფიო სამართლებრივ ნორმებს და სისტემურ ზედამხედველობას, უკეთ უზრუნველყოფენ დიაგნოსტიკური მომსახურების ხარისხსა და პაციენტთა უსაფრთხოებას (Huber et al., 2025).

ლიცენზია წარმოადგენს მთავარ მარეგულირებელ მექანიზმს, რათა უზრუნველყოს ლაბორატორიების უსაფრთხო ფუნქციონირება, მაღალი ხარისხის ტესტირების პრაქტიკის შენარჩუნება და საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვა. თუმცა, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) „უკეთესი ლაბორატორიები უკეთესი ჯანმრთელობისთვის" ინიციატივამ გამოავლინა მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები (მაგ., არათანმიმდევრული ლიცენზირების მოთხოვნები, არასაკმარისი ზედამხედველობის მექანიზმები და აღსრულების ნაკლებობა) ჯანდაცვის ლაბორატორიების ეროვნულ მარეგულირებელ ჩარჩოებში ჯანმო-ს ევროპის რეგიონის ზოგიერთ წევრ სახელმწიფოში (Better labs for better health, 2025); Zwetyenga et al., 2015). არასაკმარისი რეგულირება ქმნის რისკებს, როგორიცაა ლაბორატორიული სტანდარტების დარღვევა, ტესტის არაზუსტი შედეგები და პოტენციური ზიანი პაციენტებისა და საზოგადოებისთვის. ეს ნაკლოვანებები ხაზს უსვამს ლიცენზირების შესახებ ძლიერი კანონმდებლობის კრიტიკულ როლს სამედიცინო ტესტირებისა და დიაგნოსტიკური მომსახურების ხარისხისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაში (Huber et al., 2025).

### საქართველოს სამართლებრივი მოდელი სამედიცინო დაწესებულებების ლიცენზირებისა (ნებართვის, საქმიანობის უფლების მინიჭების) და სახელმწიფო ზედამხედველობის სფეროში

სამედიცინო დაწესებულებების ლიცენზიის და ნებართვის გაცემა, საქმიანობის უფლების მინიჭება წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ დადგენილ სამართლებრივ მექანიზმს, რომლის მიზანია სამედიცინო მომსახურების ხარისხის კონტროლი, პაციენტის უსაფრთხოებისა და ადმინისტრაციული წესრიგის უზრუნველყოფა (*ბერიძე, 2021).* აღნიშნული ინსტიტუტი

მნიშვნელოვანი ელემენტია საჯარო სამართლის სისტემაში, რადგან სამედიცინო საქმიანობა უშუალოდ უკავშირდება ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, რაც სახელმწიფოს აკისრებს განსაკუთრებულ მოვალეობას რეგულირების გამკაცრებისა და ზედამხედველობის გაძლიერების მიმართულებით (Manual on applying for a license to operate a medical diagnostic laboratory, 2019).

საქართველოს სამართლებრივ სისტემაში „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი ადგენს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ზოგად პრინციპებს და სახელმწიფოს პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს ჯანდაცვის სფეროში. ლიცენზირების საფუძველი ჩამოყალიბებულია რამდენიმე ძირითად ნორმატიულ აქტში.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონი ქმნის სამართლებრივ ჩარჩოს, რომელიც აერთიანებს სამედიცინო საქმიანობის ლიცენზირებისა და ნებართვის პროცედურულ სტანდარტებს, პაციენტის უსაფრთხოების დაცვისა და ადმინისტრაციული კონტროლის განხორციელებისთვის. ამ კანონის $38^2$ მუხლი უზრუნველყოფს სამართლებ-რივი თანმიმდევრულობის პრინციპს, როგორც ახალი ლიცენზის ან ნებართვის გაცემის, ისე უკვე მოქმედი ლიცენზიისა და ნებართვის გაფართოების პროცესებში.

დამატებითი საქმიანობის განხორციელების რეგულირება - ლიცენზიის ან ნებართვის მფლობელი, რომელიც გეგმავს დამატებით სხვა სამედიცინო საქმიანობას, რომლისთვისაც საჭირო იქნება სხვა ტიპის ლიცენზია ან ნებართვა, ვალდებულია დააკმაყოფილოს მხოლოდ ახალი ლიცენზიის/ნებართვის მისაღებად დადგენილი სპეციალური პირობები. კანონი აქცენტს აკეთებს პროპორციულ ადმინისტრაციულ კონტროლზე, რაც გულისხმობს იმას, რომ ადმინისტრაციული ორგანო კონცენტრირდება მხოლოდ ახალ მოთხოვნებზე და არ ახორციელებს უკვე შესრულებული პირობების გადამოწმებას.

დარღვევის სამართლებრივი შედეგები - დამატებითი სანებართვო პირობების დაუკმაყო-ფილებლობა არ წარმოშობს საქმიანობის სრული გაუქმების საფუძველს. მსგავსი შემთხვევისას, ნებართვის მფლობელს ეკრძალება მხოლოდ იმ მომსახურების გაწევა, რომლისთვისაც პირობები არ არის დაკმაყოფილებული. ეს პრინციპი უზრუნველყოფს სამართლებრივი პროპორციულობის პრინციპის დაცვას ადმინისტრაციული კონტროლის განხორციელებისას.

სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის რეგულირების ძირითად და მნიშვნელოვან სამართლებრივი ჩარჩოს წარმოადგენს „სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 17 დეკემბრის №385 დადგენილება, რომელიც განსაზღვრავს სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესსა და პირობებს. დადგენილება აერთიანებს ლიცენზირებისა და ნებართვის პროცედურულ სტანდარტებს, ადმინისტრაციულ კონტროლს და პაციენტის უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

**სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გამცემი ორგანო** არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო, რომელიც დაქვემდებარებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს.

**სამედიცინო ლიცენზიის გაცემის წესები, პროცედურა, სახეები** - სამედიცინო საქმიანობის ლიცენზია წარმოადგენს აუცილებელ სამართლებრივ წინაპირობას კონკრეტული სამედიცინო საქმიანობის განხორციელებისთვის (Jesilow & Ohlander, 2010). ლიცენზია გაიცემა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით. პროცედურას თან ერთვის როგორც საერთო, ისე სპეციალური სალიცენზიო მოთხოვნების დაკმაყოფილება, რომლებიც კონკრეტულ სამედიცინო საქმიანობას ეხება (მაგალითად, პათოლოგანატომია, სასწრაფო სამედიცინო დახმარება, სასამართლო-ექსპერტიზა). დადგენილება ხაზს უსვამს პრინციპს, რომ დამატებითი საქმიანობის განხორციელებისას დაწესებულება ვალდებულია დაიცვას მხოლოდ ახალი, სპეციალური მოთხოვნები/პირობები, ხოლო უკვე შესრულებული სალიცენზიო პირობების გადამოწმება არ ხდება. სამედიცინო საქმიანობისათვის გაიცემა შემდეგი ტიპის ლიცენზიები:

- სასწრაფო სამედიცინო დახმარების ლიცენზია;
- სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ლიცენზია;
- სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ლიცენზია;
- პათოლოგანატომიური საქმიანობის ლიცენზია;
- განსაკუთრებით საშიშ პათოგენებზე საქმიანობის ლიცენზია;
- საწარმოო ტრანსფუზიოლოგიური საქმიანობის ლიცენზია;
- ადამიანის სისხლის კომპონენტების (პლაზმა, რომელიც გამოიყენება სამკურნალო საშუალების წარმოებისთვის) ექსპორტის ლიცენზია;
- ადამიანის ორგანოების გადანერგვის ლიცენზია (გაიცემა 2026 წლის 1 სექტემბრიდან);
- ადამიანის ქსოვილებისა და უჯრედების გამოყენების ლიცენზია (გაიცემა 2026 წლის 1 სექტემბრიდან);
- ადამიანის ქსოვილების და/ან უჯრედების ექსპორტისა და/ან იმპორტის ლიცენზია (გაიცემა 2026 წლის 1 სექტემბრიდან).

**სამედიცინო ნებართვის გაცემის წესი, პროცედურა, სახეები** - სტაციონარული სამედიცინო დაწესებულების ნებართვის გაცემა ხორციელდება მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით. ნებართვა ეხება იმ სამედიცინო დაწესებულებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სამედიცინო მომსახურებას სტაციონარულ პირობებში, ანუ პაციენტის 24 საათსა და მეტ ხანს მიმდინარე დაყოვნებას და მოიცავს საქმიანობას დაავადებათა პროფილაქტიკის, დიაგნოსტიკის, მკურნალობის, რეაბილიტაციისა და პალიატიური მზრუნველობის სფეროებში.

**კონტროლის მექანიზმები** - ლიცენზიის და ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანო ახორციელებს შერჩევით შემოწმებას, რისკის შეფასების მიხედვით და ყოველწლიური ანგარიშგებების საფუძველზე. შემოწმების პროცესი მოიცავს ადგილზე შესწავლას და შემოწმების აქტის შედგენას. შესწავლის პროცესში ლიცენზიის მაძიებელიც აქტიურად მონაწილეობს.

**დარღვევის სამართლებრივი შედეგები** - ლიცენზიის ან ნებართვის მფლობელის მიერ სალიცენზიო ან სანებართვო პირობების დარღვევა იწვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სამართლებრივ პასუხისმგებლობას. პასუხისმგებლობის ხარისხი დამოკიდებულია დარღვევის სახეზე:

- დამატებითი პირობების შეუსრულებლობა - უკავშირდება მხოლოდ კონკრეტულ საქმიანობას. ასეთი დარღვევა არ წარმოშობს ლიცენზიის ან ნებართვის სრული გაუქმების აუცილებლობას, თუმცა აკრძალულია შესაბამისი საქმიანობის გაგრძელება;
- საერთო პირობების დარღვევა - იწვევს შესაბამისი ლიცენზიის ან ნებართვის, მათივე დანართების სრულ გაუქმებას.

სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის პროცედურა მოიცავს რამდენიმე ეტაპს:

**მაძიებლის მიერ განაცხადის წარდგენა** - მაძიებელი განაცხადთან ერთად წარადგენს კანონმდებლობით გათვალისწინებულ დოკუმენტაციას, კერძოდ, თუ მაძიებელი არის კერძო სამართლის იურიდიული პირი ან ინდივიდუალური მეწარმე, უნდა წარადგინოს კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მეწარმისათვის სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი; ფიზიკური პირის შემთხვევაში - იდენტიფიკაციის დამადასტურებელი, კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტის ასლი, ხოლო საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები; მოსაკრებლის დამადასტურებელი დოკუმენტი და ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტები.

**განაცხადისა და დოკუმენტაციის წინასწარი შესწავლა** - სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო ამოწმებს შესაბამისობას, ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში მაძიებელს განუსაზღვრავს ვადას გამოსასწორებლად. საჯარო გაცნობისთვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ ცნობა ქვეყნდება სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.rama.gov.ge-ზე). განცხადების საჯარო გაცნობისათვის წარდგენიდან 20 დღის განმავლობაში ნებისმიერი პირი უფლებამოსილია წერილობით წარადგინოს თავისი მოსაზრებები.

**სალიცენზიო და სანებართვო პირობების ადგილზე შემოწმება** - ადმინისტრაციული ორგანოს სპეციალური კომისია ადგენს შესაბამისობის შეფასებას, ქმნის შემოწმების აქტს, რომლის ერთი ეგზემპლარი გასაცნობად გადაეცემა მაძიებელს.

**გადაწყვეტილების მიღება** - სალიცენზიო და სანებართვო პირობების შემოწმების შედეგად დადებითი დასკვნის შემთხვევაში გამოიცემა ადმინისტრაციული ორგანოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ლიცენზიის ან ნებართვის გაცემის შესახებ, ხოლო უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში გაცემაზე უარის თაობაზე. საბოლოო გადაწყვეტილება გასაცნობად გადაეცემა მაძიებელს. ამასთან, ლიცენზიის და ნებართვის გაცემის შემთხვევაში, ინფორმაცია აისახება უწყებრივ რეესტრში და მფლობელზე გაიცემა შესაბამისი მოწმობა (ლიცენზიის შემთხვევაში - სალიცენზიო მოწმობა, ნებართვის შემთხვევაში - ნებართვის მოწმობა). ლიცენზიის გაცემის გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღის ვადაში საქართველოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში - „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში" აქვეყნებს ინფორმაციას ლიცენზიის გაცემის, მასში ცვლილების შეტანის ან მისი გაუქმების შესახებ.

მნიშვნელოვანია, რომ „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონი არა მხოლოდ ადგენს გადაწყვეტილების მიღების პროცედურულ ვადებს, არამედ განსაზღვრავს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებებსა და მაძიებლის სამართლებრივ გარანტიებს, კერძოდ ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია:

- ლიცენზიის გაცემის შესახებ გადაწყვეტილება მიიღოს მაძიებლის განცხადების წარდგენიდან 30 დღის ვადაში. თუ ამ ვადაში არ იქნა მიღებული გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ, ლიცენზია გაცემულად ჩაითვლება;
- ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილება მიიღოს მაძიებლის განცხადების წარდგენიდან 20 დღის ვადაში. თუ ამ ვადაში არ იქნა მიღებული გადაწყვეტილება ნებართვის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ, ნებართვა გაცემულად ჩაითვლება.

სამედიცინო საქმიანობისთვის სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების რეგულირების მექანიზმი წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს სახელმწიფო ზედამხედველობისა და ადმინისტრაციული პროცესების ეკონომიკური მდგრადობის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული მოსაკრებლები, განსაზღვრული „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონითა და საქართველოს მთავრობის №586 დადგენილებით, ითვალისწინებს განსხვავებულ განაკვეთებს საქმიანობის სახისა და მოცულობის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს რეგულირების პროპორციულობას და გამჭვირვალობას. მოსაკრებლის დაწესება არ განიხილება როგორც პროფესიული საქმიანობის ბარიერი, არამედ როგორც სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც ემსახურება სახელმწიფო კონტროლის ეფექტიანობას, ადმინისტრაციული ხარჯების კომპენსაციას და, საბოლოო ჯამში, პაციენტის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ინტერესების რეალიზებას.

საქართველოს სამედიცინო საქმიანობის სამართლებრივი სისტემის კვლევის ფარგლებში ცალკე უნდა გამოიყოს საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 ნოემბრის №359 დადგენილებით დამტკიცებული „მაღალი რისკის შემცველი სამედიცინო საქმიანობის ტექნიკური რეგლამენტი", რომელიც წარმოადგენს სპეციალიზებულ სამართლებრივ

ინსტრუმენტს და მისი ძირითადი ფუნქციაა პაციენტის უსაფრთხოების, ხარისხის მინიმალური სტანდარტების დაცვა და ეპიდემიოლოგიური მზადყოფნის უზრუნველყოფა სამედიცინო სერვისების მიწოდების პროცესში. ტექნიკური რეგლამენტი ავალდებულებს სამედიცინო დაწესებულებებს უზრუნველყონ აპარატურის შესაბამისობა, სტერილიზაცი-ის პროცედურების დაცვა, ინფექციური კონტროლის განხორციელება და სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების სტანდარტების დაცვა.

**ტექნიკური რეგლამენტის მოქმედების სფერო და საქმიანობის ტიპები** - რეგლამენტი ვრცელდება ამბულატორიულად ან დღის სტაციონარის პირობებში განხორციელებულ ყველა იმ სამედიცინო საქმიანობაზე, რომელიც მაღალი რისკის შემცველად არის აღიარებული. ასეთად განსაზღვრულია სტომატოლოგია, ქირურგია, მეანობა-გინეკოლო-გია, გადაუდებელი დახმარება, დერმატო-ვენეროლოგია, დიალიზი, რადიოლოგია, ენდოსკოპია, იმუნიზაცია, ფთიზიატრია, ინფექციური დაავადებების მართვა, ოპიოიდური ჩანაცვლებითი თერაპია, ქიმიოთერაპია, სარეაბილიტაციო მომსახურება და ლაბორატო-რიული დიაგნოსტიკა.

**ადმინისტრაციული ზედამხედველობა** - მაღალი რისკის შემცველი სამედიცინო საქმიანო-ბის ზედამხედველობას ახორციელებს სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო, რომლის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული საქმიანობის შესახებ შეტყობინებების მიღება, მოთხოვ-ნების შესრულების შემოწმება და შერჩევითი კონტროლის ჩატარება. სამართლებრივი მექანიზმი უზრუნველყოფს როგორც რეგულაციის ეფექტურ აღსრულებას, ისე ადმინის-ტრაციული პროპორციულობის პრინციპის დაცვას. ნებართვის გამცემს სანებართვო პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შეუძლია კალენდარული წლის განმავლობაში მხოლოდ სამჯერ.

შედარებითი ანალიზის საფუძველზე, სტატიაში განხილულია ლაბორატორიის და სტომა-ტოლოგიური საქმიანობის რეგულირების სპეციფიკა, კერძოდ, ტექნიკური რეგლამენტის მიხედვით:

**სტომატოლოგიური საქმიანობის სამართლებრივი რეგულირება** - სტომატოლოგიური მომსახურება რეგლამენტში გამოყოფილია, როგორც მაღალი რისკის მქონე სპეციფიკური მიმართულება, რომელიც ექვემდებარება წინასწარ შემოწმებას. სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მიერ დაწესებულების შეტყობინე-ბის მიღებიდან 2 თვის ვადაში უნდა განხორციელდეს ადგილზე შემოწმება, დადგენილი ტექნიკური და ჰიგიენური სტანდარტების შესაბამისობის დასადგენად. შემოწმების ვადის დარღვევის შემთხვევაში, დაწესებულებას სამართლებრივი საფუძველი აქვს საქმიანობის დაწყებისთვის, რაც უზრუნველყოფს ადმინისტრაციული პროცედურების შეფერხების სამართლებრივ პრევენციას.

**ლაბორატორიული საქმიანობის სამართლებრივი რეგულირება** - ლაბორატორიული საქმიანობა, რომლებიც ახორციელებენ ადამიანის ბიოლოგიური მასალის დიაგნოსტიკას, ასევე აღიარებულია მაღალი რისკის საქმიანობად. ტექნიკური რეგლამენტის თანახმად,

ლაბორატორიის ფუნქციონირება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება სრულად აკმაყოფილებს ინფექციური კონტროლის, ბიოუსაფრთხოების, აპარატურის სერტიფიცირების და პერსონალის კვალიფიკაციის მინიმალურ სტანდარტებს. ამასთან, გათვალისწინებულია საგამონაკლისო შემთხვევა, კერძოდ ეპიდემიოლოგიური ვითარებისას (ეპიდემია, პანდემია ან ეპიდემიური აფეთქება,) დროებითი ღონისძიების სახით ლაბორატორიული მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულების (მათ შორის ის, რომელიც ახორციელებს ადამიანის ბიოლოგიური მასალის ლაბორატორიულ დიაგნოსტიკას) ნაწილობრივ ან სრულად ამ დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნებისაგან გათავისუფლებას. თუმცა, სტომატოლოგიური საქმიანობის მსგავსად, ლაბორატორიის საქმიანობის დაწყება არ ექვემდებარება წინასწარ შემოწმების რეგულარულ ვალდებულებას.

**შერჩევითი კონტროლი და ზედამხედველობის ინტენსივობა** - მაღალი რისკის შემცველი სამედიცინო საქმიანობის ტექნიკური რეგლამენტის შესრულების პირობების შემოწმება ხორციელდება შერჩევითი კონტროლის მექანიზმით, წელიწადში სამჯერ. ტექნიკური რეგლამენტი წარმოადგენს ჰიბრიდულ სამართლებრივ ინსტრუმენტს, რომელიც ერთგვარად აერთიანებს ადმინისტრაციულ ზედამხედველობას, ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტებს და ეპიდემიოლოგიურ პირობებში მოქნილობას.

**მაღალი რისკის საქმიანობის უფლების მინიჭების** პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

**საქმიანობის უფლების მაძიებლის მიერ შეტყობინებასა და სავალდებულო დოკუმენტაციის წარდგენა** - მათ შორის სტატუსის, მოსაკრებლის გადახდისა და ტექნიკური რეგლამენტით მოთხოვნილი შესაბამისობის დამადასტურებელ დოკუმენტების წარმოდგენა;

**სავალდებულო შეტყობინებისა და დოკუმენტაციის წინასწარი შესწავლა** - სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო ახორციელებს დოკუმენტაციის შესწავლას;

**მაღალი რისკის საქმიანობის უფლების მინიჭება** - ადმინისტრაციული ორგანო, დადებითი დასკვნის საფუძველზე, გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს საქმიანობის უფლების მინიჭების თაობაზე, ხოლო უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში უარის თაობაზე. ტექნიკური რეგლამენტი ითვალისწინებს მაღალი რისკის საქმიანობის უფლების მინიჭების ორ მოდელს:

- მაძიებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად ადმინისტრაციული ორგანოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე საქმიანობის უფლების მინიჭებას ადგილზე პირობების შემოწმების გარეშე (მაგალითად, ლაბორატორიების შემთხვევაში);
- მაძიებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და პირობების ადგილზე შემოწმების საფუძველზე საქმიანობის უფლების მინიჭებას (მაგალითად, სტომატოლოგიური საქმიანობა).

ლაბორატორიული დაწესებულებებისა და სტომატოლოგიური კლინიკების მაგალითზე ივკვეთება, მაღალი რისკის შემცველი სამედიცინო საქმიანობების არაერთგვაროვანი სამართლებრივი მოწესრიგება საქართველოში. სტომატოლოგიური კლინიკების საქმიანობა ექვემდებარება წინასწარ ნებართვას, რაც წარმოადგენს პრევენციულ სამართლებრივ მექანიზმს, მაღალი რისკის მქონე სამედიცინო საქმიანობის კონტროლს და მიმართულია პაციენტის უსაფრთხოების, ასევე საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფაზე. ლაბორატორიების შემთხვევაში, საქმიანობა შეიცავს მაღალი რისკის ელემენტებს, თუმცა რეგულირება ძირითადად შემდგომი მონიტორინგისა და ზედამხედველობის მექანიზმებით ხორციელდება. ასეთი სამართლებრივი დიფერენცირება გამოხატავს კონტროლის არაერთგვაროვან ხასიათს მაღალი რისკის მქონე სამედიცინო სერვისებში, რაც ზრდის სამართლებრივი პრობლემების წარმოქმნის რისკს და შესაძლოა ვერ იქნეს უზრუნველყოფილი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სრული ეფექტიანობა, მიუხედავად პროფესიული საქმიანობის თავისუფლების შენარჩუნებისა.

## დასკვნა

სამედიცინო დაწესებულებების ლიცენზირება, ნებართვა, საქმიანობის უფლების მინიჭება და სახელმწიფო ზედამხედველობა წარმოადგენს პაციენტის უსაფრთხოების დაცვისა და ჯანდაცვის სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მთავარ სამართლებრივ ინსტრუმენტს. საქართველოს მოქმედი მოდელი ქმნის აუცილებელ ჩარჩოს, თუმცა ევროპის ქვეყნების (გერმანია, უნგრეთი) გამოცდილება აჩვენებს, რომ სისტემის ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის გასაძლიერებლად საჭიროა უფრო დინამიური და რისკზე დაფუძნებული მიდგომების დანერგვა.

გერმანიის პრაქტიკა ხაზს უსვამს „აუთსორსინგის" შეზღუდვის აუცილებლობას კრიტიკულ სამედიცინო სერვისებზე, რაც უზრუნველყოფს მომსახურების უწყვეტობასა და პაციენტის უფლებების დაცვას. უნგრული მოდელი კი გვიჩვენებს რეგულირების მოქნილობასა და ადმინისტრაციული ზედამხედველობის გამკაცრებულ სტანდარტებს, რაც ამცირებს სამედიცინო საქმიანობებთან დაკავშირებულ საფრთხეებს.

სტომატოლოგიური საქმიანობის მსგავსად, ლაბორატორიული საქმიანობაც საჭიროებს მკაცრ რეგულაციასა და წინასწარ თანხმობას, ვინაიდან ის პირდაპირ უკავშირდება დიაგნოსტიკის სიზუსტესა და პაციენტის სიცოცხლისთვის გადამწყვეტ გადაწყვეტილებებზე გავლენას. ამ სფეროში ლიცენზირების მკაფიო წესების არსებობა უზრუნველყოფს როგორც ხარისხის მინიმალურ სტანდარტებს, ისე ბიოუსაფრთხოების მოთხოვნათა დაცვას. ევროპული პრაქტიკა აჩვენებს, რომ ლაბორატორიების ლიცენზირება, რეგულარული ინსპექტირება, საერთაშორისო (ISO 15189) სტანდარტების დანერგვა და სახელმწიფო ზედამხედველობის გამკაცრება იძლევა შედეგს პაციენტის უსაფრთხოების, სანდო დიაგნოსტიკისა და ჯანდაცვის სისტემისადმი ნდობის გასაძლიერებლად. საქართველოსთვის მიზანშეწონილია:

- ლიცენზირების, ნებართვის, საქმიანობის უფლების მინიჭებისა და ზედამხედველობის ნორმების ჰარმონიზაცია ევროკავშირის რეგულაციებთან;
- მაღალი რისკის საქმიანობების (მაგ., ლაბორატორიები) საქმიანობის უფლების მინიჭე-ბის პროცედურებისა და რეგულარული ინსპექტირების მექანიზმების გამკაცრება;
- „აუთსორსინგის" სამართლებრივი ზღვრის განსაზღვრა მხოლოდ არასასიცოცხლო სერვისებზე;
- ლაბორატორიების რეგულაციის გაძლიერება საერთაშორისო (ISO 15189) სტანდარტების შესაბამისად;
- ციფრული რეესტრის შექმნა, სადაც გამჭვირვალედ გამოჩნდება ლიცენზიის, ნებართვის, საქმიანობის უფლების მინიჭების სტატუსი, ჩატარებული ინსპექტირების შედეგები და ხარისხის მაჩვენებლები.

აღნიშნული ნაბიჯები შექმნის სამართლებრივად მდგრად სისტემას, რომელიც ერთდროუ-ლად უზრუნველყოფს პაციენტის უფლებების დაცვას, სამედიცინო მომსახურების ხარისხს და სახელმწიფოს რეგულირების ინსტიტუციურ სანდოობას.

## გამოყენებული ლიტერატურა


ბერიძე, თ. (2021). *ჯანდაცვის სახელმწიფო რეგულირების სამართლებრივი საფუძვლები საქართველოში. თსუ სამართლის ფაკულტეტის შრომები, ტ. VIII, თბილისი.*

*ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ საქართველოს კანონი. 24 ივნისი 2005 წ. მუხლი 2, 8, 9, 21, 25, 26, 33, 34, 38[2].*

*საქართველოს მთავრობის დადგენილება. 17 დეკემბერი 2010 წ. №385.*

*საქართველოს მთავრობის დადგენილება. 2 დეკემბერი 2019 წ. №586.*

*საქართველოს მთავრობის დადგენილება. 22 ნოემბერი 2010 წ. №359.*

*ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონი. 10 დეკემბერი, 1997 წ. მუხლი 4, 15, 16* Act CLIV of 1997 about healthcare, Section 3-4.

https://natlex.ilo.org/dyn/natlex2/natlex2/files/download/117388/HUN-117388.pdf

Administrative Procedural Code of Hungary. Act CL of 2016, Section 101–104. https://njt.hu/jogszabaly/en/2016-150-00-00

Better labs for better health [internet]. (2025). Geneva: World Health Organization. https://www.who.int/europe/initiatives/better-labs-for-better-health

Council of Europe. CM/Rec (2019)3 on the improvement of systems of supervision of local authorities' activities, 2019, https://rm.coe.int/090000168093d066

Döring, A. & Paul, F. (2010). The German healthcare system. *EPMA Journal, (1), 535-47.* https://doi.org/10.1007/s13167-010-0060-z

European Commission. *Directive 2011/24/EU* on the application of patients' rights in cross-border healthcare. https://eur-lex.europa.eu/eli/dir/2011/24/oj/eng?utm_source

European Court of Human Rights, Case of *Tysiąc v. Poland* (2007). Right to health as a component of the right to life. https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:[%22001-79812%22]}

European Observatory on Health Systems. (2023). Hungary Health Profile. Retrieved October 25, 2025 from https://eurohealthobservatory.who.int/publications/m/hungary-country-health-profile-2023

European Union Directive 2011/24/EU on the application of patients' rights in cross-border healthcare. https://eur-lex.europa.eu/eli/dir/2011/24/oj/eng?utm_source

Frobenius, W., Bingold, F. & Beckmann, M. (2007). New regulations for the licensing of physicians in Germany [Arztliche Approbationsordnung, AAppO] - Part II: Prospects of introducing practice-related teaching and examination methods in Germany's obstetrics and Gynecology. *Geburtshilfe und Frauenheilkunde. 67. 959-965.* 10.1055/s-2007-965528.

Gesetz über die Entgelte für voll- und teilstationäre Krankenhausleistungen. https://www.gesetze-im-internet.de/khentgg/

Government Decree No. 96/2003 (VII. 15.) On The General Conditions For The Exercise Of Health Services and the Operating Licensing Procedure. https://net.jogtar.hu/jogszabaly?docid=a0300096.kor

Huber, M., Andreyeva, M., Presser, LD., Salvi Le Garrec Zwetyenga J. (2025). *Health laboratory licensing: a policy and best-practice analysis. Bull World Health Organ, 103*(6), 383-391. https://pmc.ncbi.nlm.nih.gov/articles/PMC12161156/

ISO 15189:2022. (2022). Medical laboratories - requirements for quality and competence, fourth edition. Geneva: International Organization for Standardization.

ISO 9001:2015. (2020). European Commission, Patient Safety and Quality of Care. https://www.iso.org/standard/62085.html

Jesilow, P. & Ohlander, J. (2010). The impact of the national practitioner data bank on licensing actions by state medical licensing boards. *J Health Human Services Admin*., (33), 94–126.

Kovacs, E., Schmidt, A., Szócska, G., Busse, R., Mckee, M. & Legido-Quigley, H. (2014). Licensing procedures and registration of medical doctors in the European Union. *Clinical medicine (London, England).* 14. 229-38. https://www.researchgate.net/publication/262814123_Licensing_ procedures_and_registration_of_medical_doctors_in_the_European_Union

Manual on applying for a license to operate a medical diagnostic laboratory. (2019). Valletta: Ministry for Health and Active Ageing, Healthcare Standards Directorate, Superintendence of Public Health. https://healthcarestandards.gov.mt/wp-content/uploads/2024/03/Medical_ Diagnostic_Laboratory_Licence_Manual.pdf

Ministry of Human Resources of Hungary. Act CLIV of 1997 on Health; Federal Ministry of Health (Germany), Krankenhausfinanzierungsgesetz (KHG); Turkey Ministry of Health, Regulation on Private Hospitals (Resmî Gazete No. 31538, 2021).

OECD. (2021). Regulation in the Health Sector: Hungary Country Report, Paris. https://www.oecd.org/content/dam/oecd/en/publications/reports/2021/12/hungary-country-health-profile-2021_4934b425/482f3633-en.pdf

OECD/European Commission. (2024). Health at a Glance: Europe 2024: State of Health in the EU Cycle. *OECD Publishing, Paris,* https://doi.org/10.1787/b3704e14-en. https://www.oecd.org/en/publications/health-at-a-glance-europe-2024_b3704e14-en.html?utm_source

VOELKER. (2022). Outsourcing in hospitals? - Decision of the BSG from 27.04.2022. https://www.voelker-gruppe.com/en/expertise/medizinrecht/articles/outsourcing-krankenhaus? utm_source

WHO Regional Office for Europe. (2019). Health System Review: Hungary. Retrieved October 25, 2025 from https://www.oecd.org/content/dam/oecd/en/publications/reports/2019/11/hungary-country-health-profile-2019_ec1fb348/4b7ba48c-en.pdf

Zwetyenga, J, Oskam, L, Slobodskaya, O, Berdieva, M., Turkmenova, E. & Kasymbekova, K. (2015). Better labs for better health: intersectoral challenges and solutions for laboratory systems strengthening. *Public health panorama*, *01*(02), 162-167. World Health Organization. Regional Office for Europe. https://iris.who.int/handle/10665/325518.

# Licensing and State Supervision of Medical Institutions: Legal Analysis in the Georgian and European Context

**Nato Chitanava**[1*]
**Maka Salkhinashvili**[2]
[1, 2] Grigol Robakidze University
***Corresponding author:** tchitanavanato@gmail.com

**Abstract.** Licensing and permit issuance procedures of medical institutions are one of the fundamental legal mechanisms aimed at ensuring the quality of medical services, protecting patient safety and maintaining the legal stability of the healthcare system. This institution reflects the legal intervention of the state in the sphere of public interest, where the right to health care is recognized as a fundamental human right in the prism of constitutional and international law, which establishes the positive obligation of the state to ensure its effective realization. Modern European legal practice emphasizes that admission to medical activities should be based on predetermined legal criteria, compliance with professional standards and appropriate institutional supervision. Given these circumstances, most EU countries operate a hybrid licensing system that combines administrative authorization, accreditation, and quality control monitoring, which ensures effective regulation of medical services and protection of patient safety. The aim of the study is to systematically analyze the legal foundations of licensing, permission, granting the right to operate and state supervision of medical institutions in Georgia, against the background of an assessment of the practice of European countries, especially Germany and Hungary. The models of the mentioned countries differ in the forms of legal regulation, but they are jointly based on common principles: ensuring a high standard of medical service quality and protecting patient safety through state regulatory supervision. An important aspect of the study is the assessment of the Georgian licensing system of medical institutions in the context of European and international standards, which allows determining qualified criteria for the effectiveness of regulation and opportunities for harmonization.

**Keywords:** licensing of medical institutions, state supervision, patient safety, quality management, regulation

# ნარკომანიით დაავადებული პირის სავალდებულო მკურნალობა საქართველოში; ადამიანის უფლებათა დაცვისა და საჯარო ინტერესის ბალანსი

**ამირან მოსულიშვილი**[1*]
**ანნა ბუცხრიკიძე**[2]
[1, 2] გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
***პასუხისმგებელი ავტორი:** a.mosulishvili@gruni.edu.ge

**რეზიუმე.** ნარკომანიით დაავადებული პირის სავალდებულო მკურნალობა საქართველოში წარმოადგენს სახელმწიფოს მცდელობას იპოვოს ბალანსი ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებსა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებს შორის. ნარკომანიის ბიო–ფსიქო–სოციალური ბუნების გააზრება ქმნის საფუძველს, რომ მისი აღქმა არა დანაშაულად, არამედ ჯანმრთელობის დაცვის საკითხად, რომელიც საჭიროებს ინტეგრირებულ სამედიცინო და სოციალურ ჩარევას. კვლევაში გაანალიზებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული ცვლილებები, რომლებიც ითვალისწინებს სასამართლოს მიერ სავალდებულო მკურნალობის დანიშვნის შესაძლებლობას. განხილულია გერმანიის მოდელი და სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკა (Herczegfalvy v. Austria, Wenner v. Germany, Rooman v. Belgium), რომლებიც წარმოაჩენს იძულებითი მკურნალობის სამართლებრივ და ეთიკურ საზღვრებს. მიღებული შედეგები აჩვენებს, რომ საქართველოს მიერ არჩეული მოდელი ემყარება ჰუმანიზაციის პრინციპს, თუმცა წარმატებული მოდელის არსებობისთვის მუდმივად საჭიროებს მკურნალობის პროცედურების სტანდარტი-ზაციას, კლინიკური მეთოდების განვითარებას და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას. მიმოხილული ინფორმაციის საფუძველზე იძულებითი მკურნალობის გამოყენება რეკომენდებულია მხოლოდ ინდივიდუალური სამედიცინო შეფასების საფუძველზე, მკურნალობის პროცესის გამჭვირვალობის გაზრდა, მონაცემთა მონიტორინგის სისტემის შექმნა. მიუხედავად გარკვეული დილემის არსებობისა სავალდებულო მკურნალობა, სათანადოდ რეგულირებული სამართლებრივი და სამედიცინო ჩარჩოს პირობებში, შეიძლება იქცეს არა რეპრესიულ, არამედ რეალურად სამკურნალო და პრევენციულ მექანიზმად, რომელიც ერთდროულად დაიცავს როგორც ინდივიდის ღირსებას, ისე საზოგადოებრივ უსაფრთხოებას.

**საკვანძო სიტყვები:** იძულებითი მკურნალობა, ნარკომანია, ადამიანის უფლებები, პროპორციუ-ლობა, საჯარო ინტერესი

## შესავალი

ნარკომანია ერთ-ერთი უმძიმესი სოციალური და საზოგადოებრივი გამოწვევაა, რომლის ზეგავლენაც სცდება ინდივიდუალურ დონეს და ღრმად იჭრება საზოგადოებრივ სტრუქტურაში. ნარკოტიკული დამოკიდებულება მჭიდროდ უკავშირდება, როგორც საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვას, ისე სამართლებრივი და ადამიანის უფლებების სტანდარტების განხორციელებას. აზიანებს პიროვნების ჯანმრთელობას, ფსიქო-

სოციალურ ფუნქციონირებას, ეკონომიკურ მდგომარეობას და საბოლოოდ, ზრდის დანაშაულებრივ რისკებს, რაც სახელმწიფოს ართმევს მშვიდობის, უსაფრთხოების და ჯანმრთელი გარემოს უზრუნველყოფის შესაძლებლობას.

ნარკომანია, როგორც დაავადება, საჭიროებს კომპლექსურ, სამედიცინო, სოციალურ და იურიდიულ მიდგომებს. ამ კონტექსტში განსაკუთრებით თვალსაჩინოა დისკუსია იმ ზომების კანონიერებისა და პროპორციულობის შესახებ, რომლებიც სახელმწიფოს მიერ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნარკოდამოკიდებული პირების მიმართ, მათ შორის — სავალდებულო მკურნალობის სახით.

სავალდებულო მკურნალობა წარმოადგენს იძულებითი ხასიათის ჩარევას ადამიანის ფიზიკურ და მენტალურ ავტონომიაში და, შესაბამისად, უშუალოდ ეხება ფუნდამენტურ უფლებებს, მათ შორის პირადი თავისუფლების, ღირსებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პრინციპებს. ამავე დროს, სახელმწიფოს გააჩნია პოზიტიური ვალდებულება საზოგადოებრივი ინტერესის — კერძოდ, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების — დაცვის მიზნით და რადგან ჩნდება კითხვები; თუ რამდენად ლეგიტიმური და სწორად რეგულირებულია სავალდებულო მკურნალობა? რამდენად გამართლებულია ჯანმრთელობის დაცვის მოტივით ინდივიდის ნებაყოფლობითი გადაწყვეტილების გვერდის ავლა და რამდენად იცავს არსებული სისტემა ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს?

სტატია მიზნად ისახავს გაანალიზოს სავალდებულო მკურნალობის სამართლებრივი და პრაქტიკული საფუძვლები საქართველოში და გამოიკვლიოს, რამდენად არის დაცული ბალანსი ინდივიდუალურ უფლებებსა და საზოგადოებრივ საჭიროებებს შორის. სავალდებულო მკურნალობის საკითხი მოითხოვს სამართლებრივი და ეთიკური არგუმენტების დაბალანსებულ შეფასებას, ამიტომ სტატიის ფარგლებში განხილული იქნება საქართველოს კანონმდებლობა, საერთაშორისო სტანდარტები, ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმები და არსებული მდგომარეობა, რაც საფუძველს მოგვცემს დასკვნის გასაკეთებლად და რეკომენდაციების შესამუშავებლად.

## I. ნარკომანია, როგორც დაავადება ბიო-ფსიქო-სოციალურ ჭრილში

ნარკომანია წარმოადგენს რთულ და კომპლექსურ ფსიქიკურ დარღვევას, რომელიც ფსიქოაქტიურ ნივთიერებებზე (ნარკოტიკებზე) დამოკიდებულებას მოიცავს. ის აღიარებულია, როგორც ქრონიკული, პროგრესირებადი და განმეორებადობის მაღალი რისკის მქონე დაავადება, რომელიც საჭიროებს სამედიცინო, ფსიქოთერაპიულ და სოციალურ ჩარევას (McLellan et al., 2000).

ნარკომანიას ახასიათებს რთული ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური ფაქტორების ურთიერთქმედება (Volkow et al., 2019; Koob & Volkow, 2016). ეს მიდგომა დაფუძნებულია თანამედროვე ნეირობიოლოგიურ და საზოგადოებრივ კვლევებზე, რომლებიც ხაზს უსვამენ დამოკიდებულების პროგრესირებად, განმეორებად ბუნებას, რაც მოიცავს ტვინის ფუნქციური ცვლილებებს და თანმხლებ ფსიქო-სოციალურ გამოწვევებს.

ადამიანის ტვინი ერთ-ერთი ყველაზე რთული ორგანოა. მეცნიერები და მკვლევარები ცდილობენ მოახდინონ ტვინის შესაძლებლობების განსაზღვრა. იგი პასუხისმგებელია სხეულისა და ადამიანის კოგნიტურ ფუნქციებზე, შესაბამისად, მუდმივად მუშაობის პროცესშია და მისი მუშაობის ფუნქციებზე ბევრი რამაა დამოკიდებული.

ნარკოტიკების ბოროტად გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს მავნე ზემოქმედება ინდივიდის სიცოცხლეზე და ადამიანის ტვინზე. იგი გავლენას ახდენს თავის ტვინის ღეროზე, ლიმფურ სისტემასა და ცერებრალურ ქერქზე, ხოლო ტვინის რეგულარული ფუნქციონირების ხელის შეშლას შეუძლია გავლენის მოხდენა ნერვებსა და ტვინს შორის სიგნალების გადაცემაზე და ტვინის მიერ ინფორმაციის გადამუშავების უნარზე, სხვადასხვა ტიპის ნარკოტიკებს ნერვულ სისტემაზე ერთმანეთისგან განსხვავებული გავლენა აქვთ. როდესაც ვსაუბრობთ ნარკომანიით დაავადებულ პირზე მნიშვნელოვანია განხილულ იქნეს ნარკომანიის ბიო-ფსიქო-სოციალური ასპექტები.

*ბიოლოგიური ასპექტები*

ნარკოტიკული ნივთიერებების მოქმედება ადამიანის ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე იწვევს ნეიროქიმიურ ცვლილებებს, რაც მოქმედებს მოტივაციის, სიამოვნების და ქცევის რეგულაციის მექანიზმებზე. განსაკუთრებული როლი ენიჭება დოფამინერგულ სისტემას - სწორედ ის სისტემაა პასუხისმგებელი ე.წ. „დაჯილდოების წრეზე“[8], რომელიც უკავშირდება სიამოვნებასა და მოტივაციას (Chandler et al., 2009).

ნარკოტიკული ნივთიერებები ხელს უწყობს ამ გზების ჰიპერაქტივაციას და არანორმალური დონის დოფამინის გამოყოფას, რაც პირველ ეტაპზე იწვევს ძლიერ ეიფორიას, თუმცა დროთა განმავლობაში ტვინი ეჩვევა სტიმულს, ვითარდება ტოლერანტობა და მაშინ, როცა ლტოლვა ნივთიერებაზე ძლიერდება აღქმული სიამოვნებაც იკლებს. სწორედ ეს ქმნის დამოკიდებულების ციკლს — ნივთიერების მიღების მოთხოვნილება კი აღარ უკავშირდება სიამოვნების მიღებას, არამედ მტკივნეული სიმპტომების თავიდან აცილებას (McLellan et al., 2000).

ნარკოტიკული ნივთიერებები ხელოვნურად აძლიერებენ დოფამინის გათავისუფლებას, რაც იწვევს სიამოვნების ინტენსიურ შეგრძნებას, მაგრამ დროთა განმავლობაში ტვინის პლასტიურობის შედეგად უარესდება ნეიროქიმიური ჰომეოსტაზი და იცვლება გადაწყვეტილების მიღების, თვითკონტროლისა და სტრესის რეგულაციის მექანიზმები

[8] „დაჯილდოების წრის“ ცნება შეიქმნა 1950-იან წლებში, როცა კანადელმა ნეირომეცნიერმა ჯეიმს ოლდსმა (James Olds) და პიტერ მილნერმა (Peter Milner) ჩაატარეს ექსპერიმენტები ვირთხებზე. მათ შემთხვევით აღმოაჩინეს, რომ ტვინში არსებობდა კონკრეტული ზონა, რომლის სტიმულაციაც ვირთხებისთვის იმდენად სასიამოვნო იყო, რომ ისინი მზად იყვნენ, ამ ქცევას უსასრულოდ განმეორებაზე - ზოგჯერ საჭმელსა და ძილზეც კი უარს ამბობდნენ. ამ აღმოჩენამ საფუძველი დაუდო იდეას, რომ ტვინში არსებობს ბუნებრივი „დაჯილდოების სისტემა“, რომელიც ქცევებს იმეორებს, როცა ისინი სიამოვნებას ან შვებას იწვევს. ეს აღმოჩენა მნიშვნელოვანი იყო ფსიქოლოგიის, ნეირომეცნიერებისა და მოგვიანებით - დამოკიდებულების კვლევის განვითარებისთვის.

(Goldstein & Volkow, 2011). შესაბამისად, ნარკომანიის ძირითადი მექანიზმი დაკავშირებულია ტვინის ნეირომედიატორული სისტემების, განსაკუთრებით დოფამინერგული გზების დისფუნქციასთან, რომლებიც მონაწილეობენ სიამოვნებისა და საპრიზო მექანიზმების რეგულაციაში (Koob & Volkow, 2016). ამგვარად, არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით ნარკომანია არის დაავადება, რომელიც ახდენს ტვინის გრძელვადიან ცვლილებას, როგორც სტრუქტურულ, ისე ფუნქციურ დონეზე.

*ფსიქოლოგიური ასპექტები*

ნარკომანიის ფსიქოლოგიური კომპონენტი ისეთივე მნიშვნელობისაა, როგორც ბიოლოგიური. კვლევების თანახმად, ადამიანების მნიშვნელოვანი ნაწილი იწყებს ნარკოტიკების მოხმარებას ფსიქოლოგიური ტკივილის, ტრავმის, ქრონიკული სტრესის ან ემოციური დისრეგულაციის ფონზე. ე.წ. თვითმკურნალობის ჰიპოთეზის[9] მიხედვით, ნარკოტიკები ხშირად გამოყენებულია შინაგან დისკომფორტთან გასამკლავებლად (Reif et al., 2011).

დამოკიდებულებას თან სდევს ქცევითი ცვლილებები: მოტივაციის დაკარგვა, კონტროლის დაკარგვა, ცხოვრების პრიორიტეტების გადაფასება და ინტერპერსონალურ ურთიერთობებში პრობლემები. ეს თავის მხრივ აძლიერებს ფსიქოლოგიურ იზოლაციას, შფოთვასა და დეპრესიას, რაც კვლავ აძლიერებს დამოკიდებულებას - ე.წ. „ნეგატიური განმტკიცების წრე“[10].

*სოციალური ასპექტები*

ნარკომანია მნიშვნელოვან სოციალურ ფაქტორებს ეყრდნობა, მათ შორის საზოგადოებრივ სტიგმას, სოციალურ იზოლაციას, ეკონომიკურ სირთულეებს და მხარდაჭერის სისტემების ნაკლებობას. სოციალური გარემო განსაზღვრავს როგორც დამოკიდებულების განვითარებას, ისე გამოჯანმრთელების შესაძლებლობას. მაგალითად, სტიგმა და დისკრიმინაცია ხშირად იწვევს დახმარების სათანადოდ მიღების დაბრკოლებებს, რაც ხელს უშლის მკურნალობის დაწყებას და უწყვეტობას (Room, 2005). ადამიანებს, რომლებიც სიღარიბეში

[9] თვითმკურნალობის ჰიპოთეზა (Self-Medication Hypothesis) ფსიქიატრმა ედუარდ ხაზამ 1970-იან წლებში შეიმუშავა. მისი აზრით ადამიანები ნარკოტიკებსა და ალკოჰოლს ხშირად არა მხოლოდ სიამოვნების მიღების, არამედ იმ მიზნით იყენებენ, რომ შეამცირონ შფოთვა, დეპრესია, ტრავმისგან გამოწვეული ტკივილი ან სხვა ემოციური სირთულეები. ჰიპოთეზის მიხედვით, დამოკიდებულება ბევრ შემთხვევაში წარმოადგენს თვითნებურ მცდელობას - გაუმკლავდე ფსიქიკურ ან ემოციურ დისკომფორტს. როცა ადამიანი იღებს ფსიქოაქტიურ ნივთიერებას და გრძნობს დროებით შვებას, მისი ტვინი სწავლობს, რომ ეს „შველის“, რის შედეგადაც ქცევა განმტკიცდება და დროთა განმავლობაში დამოკიდებულებად ყალიბდება. ხაზას ჰიპოთეზა დღემდე ფართოდ გამოიყენება დამოკიდებულების თერაპიაში, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როცა ფსიქიკური აშლილობები და ნივთიერებებზე დამოკიდებულება თანაარსებობს.

[10] „ნეგატიური განმტკიცების“ (negative reinforcement) კონცეპტი განსაზღვრა და გაავრცელა ამერიკელმა ფსიქოლოგმა ბიჰევიორიზმის (ქცევითი ფსიქოლოგიის) ერთ-ერთმა დამფუძნებელმა - ბ.ფ. სკინერმა 1930-40-იან წლებში. ეს არის ქცევითი ფსიქოლოგიიდან მომდინარე კონცეპტი, რომელიც აღწერს პროცესს, სადაც არასასურველი სიტუაციის ან დისკომფორტის თავიდან აცილება აძლიერებს კონკრეტულ ქცევას, რაც დროთა განმავლობაში ხდება ჩვევად და მუდმივად მეორდება.

ცხოვრობენ, განიცდიან ოჯახურ ძალადობას ან არიან მარგინალიზებული ჯგუფების ნაწილი, აქვთ ნარკომანიის განვითარების უფრო მაღალი რისკი (Reif et al., 2011).

შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ნარკომანია წარმოადგენს კომპლექსურ, ბიო-ფსიქო-სოციალურ დაავადებას, რომლის მართვა მოითხოვს ინტეგრირებულ მიდგომებს, რომლებიც ერთად აერთიანებს ნეირობიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ კომპონენტებს. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის განმარტებით ნარკომანია ფსიქო-აქტიური ნივთიერებების ისეთი გამოყენებაა, რომელიც არ არის მედიკამენტურად კონტროლირებული და იწვევს ჯანმრთელობის, ფსიქიკის, სოციალური და პროფესიული ცხოვრების მძიმე დაზიანებას, იგი არ არის უბრალოდ ნორმალური ჩვევა ან სუსტი ნებისყოფა - ეს არის სამედიცინო მდგომარეობა, რომელიც საჭიროებს მკურნალობას და მხარდაჭერას.

## II. ნარკოტიკული დანაშაულის რეგულირება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თავი XXXIII შეეხება ნარკოტიკულ დანაშაულებს, რომლის მიხედვითაც სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებული ქმედებები. მართალია XXXIII თავის დასახელებაში მხოლოდ ტერმინი „ნარკოტიკული დანაშაულია" მოხსენიებული, თუმცა დასჯად ქმედებათა ჩამონათვალში გვხვდება სხვა ისეთი ნივთიერებებიც, რომლებიც მართალია არ არის ნარკოტიკული საშუალებები, თუმცა ადამიანის ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე გავლენას ახდენს და ნარკოტიკული საშუალებებით მიღწევად მდგომარეობას იწვევს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ნარკოტიკული დანაშაულის საგანი შეიძლება იყოს ნარკოტიკული საშუალების ანალოგი, პრეკრუსორი ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებები, ასევე ფსიქოტროპული ნივთიერება, მისი ანალოგი ან ძლიერმოქმედი ნივთიერება, მცენარე კანაფი ან მარიხუანა, სხვა ნარკოტიკული საშუალება და ნარკოტიკული საშუალების მცენარე. (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999). ზოგადად, სისხლის სამართლის კერძო ნაწილში არსებული ნებისმიერი ნორმა, გარკვეული სამართლებრივი სიკეთის დაცვას ემსახურება. ნარკოდანაშაულებთან დაკავშირებით მიმდინარე დისკუსიების ერთ-ერთი მთავარი განხილვის საგანი სწორედ ისაა, თუ რა სამართლებრივ სიკეთეს იცავს სსკ-ის XXXIII თავში არსებული ნორმები. „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონში, კანონის მიზანია ხელი შეუწყოს ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას, ნარკომანიის გავრცელების თავიდან აცილებას, კერძო, საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინტერესების დაცვას ნარკოტიკული საშუალებების გამსაღებელთა და ნარკოტიკული საქმიანობის ხელშემწყობთა ხელყოფისგან, აგრეთვე ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებისა და გავრცელების პრევენციას. ცხადია, რომ კანონმდებელი ცდილობს როგორც

ინდივიდის, ისე საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას, დასახელებულ კანონში მოცემული მიზნები სისხლის სამართლის კოდექსზეც ვრცელდება. პირადი თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, მუდმივად განხილვის საგანია რამდენად შეიძლება იყოს თვითდამაზიანებელი მოქმედება სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედება. თუმცა მოცემულ სტატიაში აღნიშნული საკითხი არ წარმოადგენს კვლევის საგანს.

იქიდან გამომდინარე, რომ სსკ-ის XXXIII თავში მოცემული ნორმები ძირითადად ბლანკეტურია, დასადგენად იმისა, თუ რა ნივთიერებაზეა საუბარი და რომელ ნარკოტიკულ საშუალებასთან დაკავშირებით განხორციელებული ქმედება შეფასდება სისხლის სამართლებრივ დანაშაულად ან ადმინისტრაციულ გადაცდომად მნიშვნელოვანია გამოვიყენოთ საქართველოს „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ" კანონი. აღნიშნული კანონით განსაზღვრულია ფსიქოაქტიური ნივთიერებების საქართველოს ტერიტორიაზე ბრუნვის ძირითადი სამართლებრივი ჩარჩო. სწორედ აღნიშნული კანონი აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების ბრუნვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, ადგენს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა ლეგალური ბრუნვის და მათი უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკის სამართლებრივ საფუძვლებს და ნარკოლოგიური დახმარების პრინციპებს. აღნიშნული კანონის მიხედვით ნარკომანიით დაავადებული პირი - არის ადამიანი, რომელსაც შესაბამისმა სამედიცინო დაწესებულებამ დაუსვა სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებაზე დამოკიდებულების დიაგნოზი.

სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერება - ესაა ბუნებრივი ან სინთეზური გზით მიღებული ყველა ნივთიერება, ფარმაცევტული პროდუქტი, მცენარეული მასალა და ნარევი. მათზე დამოკიდებულების ჩამოყალიბების მაღალი პოტენციალის, მათი გავრცელების, ზემოქმედების ხანგრძლივობის, სოციალური მნიშვნელობისა და ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის საშიშროების მიხედვით, შეტანილია საქართველოს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებეთა სიაში. სიები შემდეგნაირია:

- I სია - ბრუნვისათვის მკაცრად შეზღუდული ნარკოტიკული საშუალებები – უმაღლესი სამედიცინო და სოციალური რისკის მქონე ნარკოტიკული საშუალებები, აგრეთვე სამედიცინო და სოციალური რისკის თვალსაზრისით მათთან გათანაბრებული სხვა ნივთიერებები, რომელთა ბრუნვა საქართველოს ტერიტორიაზე მკაცრად არის შეზღუდული;
- II სია - ბრუნვისათვის შეზღუდული ნარკოტიკული საშუალებები - მაღალი სამედიცინო და სოციალური რისკის მქონე, საქართველოს ტერიტორიაზე სამედიცინო მიზნით გამოყენებისათვის ნებადართული ნარკოტიკული საშუალებები, მათი წამლის ფორმები, აგრეთვე სამედიცინო და სოციალური რისკის თვალსაზრისით მათთან გათანაბრებული სხვა ნივთიერებები, რომელთა ბრუნვა საქართველოს ტერიტორიაზე შეზღუდულია;

- III სია - ფსიქოტროპული ნივთიერებები – საშუალო სამედიცინო და სოციალური რისკის მქონე, საქართველოს ტერიტორიაზე სამედიცინო მიზნით გამოყენებისათვის ნებადართული ფსიქოტროპული ნივთიერებები, მათი წამლის ფორმები, აგრეთვე სამედიცინო და სოციალური რისკის თვალსაზრისით მათთან გათანაბრებულ ი სხვა ნივთიერებები;
- IV სია - პრეკურსორები – ნივთიერებები (პრეკურსორები), რომლებიც ხშირად გამოიყენება ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო დამზადებისათვის .

როდესაც ვსაუბრობთ სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა შესაბამის სიებზე, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის გარემოება, რომ ეს სიები აუცილებელია არა მხოლოდ სისხლისსამართლებრივი, არამედ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი პასუხისხმგებლობის განსაზღვრისთვისაც. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებების გარდა ნივთიერებებზე, რომლებიც არ მიეკუთვნება სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა კატეგორიას გამოიყენება საქართველოს კანონი „ახალი ფსიქოაქტიური ნივთერებების შესახებ“, რომლის მიზანია ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების გავრცელებასთან დაკავშირებით მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეების თავიდან აცილება, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების უკანონო ბრუნვის აღკვეთა და შესაბამისი პასუხისმგებელი უწყებების კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა.

საგულისხმოა, რომ სისხლის სამართლის კოდექსის XXXIII თავში მოცემული ნორმებით გათვალისწინებული დანაშაულები ფიზიკური პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაში ითვალისწინებს თავისუფლების ვადიან და უვადო აღკვეთას, დანაშაულის ხასიათის, ხარისხისა და სიმძიმის მიხედვით, თუმცა მნიშვნელოვანია ფაქტი, რომ „ნარკოტიკული დანაშაული“-ს თავით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება ის, ვინც ნებაყოფლობით ჩააბარებს ნარკოტიკულ საშუალებას, მის ანალოგს, პრეკურსორს, ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებას, ფსიქოტროპულ ნივთიერებას, მის ანალოგს ან ძლიერმოქმედ ნივთიერებას, თუ მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები. აღნიშული თავის მიზნებისთვის ნებაყოფლობით ჩაბარებად ჩაითვლება მხოლოდ ისეთი ქმედება, როდესაც პირი გამოძიების დაწყებამდე წერილობით ან კომუნიკაციის ნებისმიერი ტექნიკური საშუალების გამოყენებით განაცხადებს ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების წარმოდგენის თაობაზე და აქტიური ქმედებით ხელს შეუწყობს მის ამოღებას. (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999). საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილია ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან/და ნარკოტიკული საშუალების, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარება ან/და ნარკოტიკული საშუალების, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების მოხმარების ფაქტის დასადგენად შემოწმებისთვის თავის არიდება, იმავე კოდექსით ისჯება მცირე ოდენობით

მცენარე კანაფის ან მარიხუანის უკანონო შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა, მოხმარება ან/და მისი ზემოქმედების ქვეშ ყოფნა. მცირე ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის მოყვანა, დათესვა, კულტივირება და სხვ.

## III. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული ცვლილება; ნარკომანიით დაავადებული პირის სავალდებულო მკურნალობა

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრულია დანაშაულები და აღნიშნული დანაშაულებისთვის დაწესებული სასჯელის სახეები, რომლის მიზანიც სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაციაა. სასჯელის მიზანი ხორციელდება მსჯავრდებულსა და სხვა პირზე ზემოქმედებით, სასჯელის მიზანი არ არის ადამიანის ფიზიკური ტანჯვა ან მისი ღირსების დამცირება, კოდექსით გათვალისწინებულია ძირითადი და დამატებითი სასჯელები, სასჯელები რომლებიც შეიძლება იყვნენ როგორც ძირითადი, ისე დამატებითი.

საქართველოს 2025 წლის 16 აპრილის კანონი №499-ის საფუძველზე სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა კარი მეოთხე[1] - სოციალური დაცვის ღონისძიება, თავი XV[1] - ნარკომანიით დაავადებული პირის სავალდებულო მკურნალობა. აღნიშნული ცვლილების საფუძველზე მართალია არა როგორც სასჯელის ერთ-ერთი სახე, თუმცა მისი თანმდევი, როგორც სოციალური დაცვის ღონისძიება, ნარკომანიით დაავადებული პირის მკურნალობა, პირის გამოხატული ნების მიუხედავად, გახდა სასამართლოს პრეროგატივა. ნარკომანიით დაავადებული პირის სავალდებულო მკურნალობა შესაძლებელია დაინიშნოს თუ პირმა ჩაიდინა სსკ-ის XXXIII თავით გათვალისწინებული დანაშაული და დანაშაულის ჩადენის შემდეგ, სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანამდე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაესვა სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებაზე დამოკიდებულების დიაგნოზი. დიაგნოზს სვამს სამედიცინო დაწესებულე-ბა, ხოლო მიღებული დასკვნა წარედგინება სასამართლოს, სავალდებულო მკურნალობის მაქსიმალური ვადაა 2 წელი, რომელსაც სასჯელთან ერთად განსაზღვრავს სასამართლო ექიმ-ნარკოლოგთა კომისიის დასკვნის საფუძველზე.

ნარკომანიით დაავადებული პირის სავალდებულო მკურნალობა შეიძლება დაინიშნოს, ასევე არასაპატიმრო სასჯელის შეფარდების შემთხვევაშიც, მათ შორის პირობითი მსჯავრის დროს და სხვ. ნარკომანიით დაავადებული პირის სავალდებულო მკურნალობის განმახორციელებელ დაწესებულებაში მოთავსების დრო ჩაითვლება ძირითადი სასჯელის ვადაში, რომლის გაანგარიშებაც განსაზღვრულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, ხოლო რაც შეეხება ნარკომანიით დაავადებული პირის სავალდებულო მკურნალობის აღსრულებას ნარკომანიით დაავადებული პირის სავალდებულო სამედი-ცინო მკურნალობა ხორციელდება „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი პრინციპების შესაბამისად და დაიწყება მაშინ, როდესაც პირის მიმართ კანონიერ ძალაში შევა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი და თუ უკვე

დადგენილია დამოკიდებულების დიაგნოზი. ნარკომანიით დაავადებული პირის სავალდებულო მკურნალობის აღსრულების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით, იგი შეიძლება შეწყვიტოს სავალდებულო მკურნალობის განმახორციელებელი დაწესებულების ადმინისტრაციამ ექიმ-ნარკოლოგთა კომისიის დასკვნის საფუძველზე.

მნიშვნელოვანია, რომ პირს, რომელსაც დაენიშნა ნარკომანიით დაავადებული პირის სავალდებულო მკურნალობა, დანიშნული მკურნალობის დაწყების მომენტიდან ყოველ 3 თვეში ერთხელ ამოწმებს ექიმ-ნარკოლოგთა კომისია, რათა დაადგინოს, არსებობს თუ არა აღნიშნული ღონისძიების შეწყვეტის საფუძველი და ასეთის არსებობის შემთხვევაში შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღოს. ნარკომანიით დაავადებული პირის სავალდებულო მკურნალობის განმახორციელებელი დაწესებულების ადმინისტრაციაა ვალდებულია შეწყვიტოს ნარკომანიით დაავადებული პირის სავალდებულო მკურნალობა, თუ ნარკომანიით დაავადების ხასიათი და სიმძიმე ისე შეიცვალა, რომ აღნიშნული ღონისძიების გამოყენება საჭირო აღარ არის.

ნარკომანიით დაავადებული პირების სავალდებულო მკურნალობის პროცესის განხორციელების მიზნით, შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის" ბაზაზე იძულებითი მკურნალობისთვის განკუთვნილი პირველი სამედიცინო განყოფილება 2025 წლის წლის 3 ივლისს გაიხსნა, სტაციონარი ამ ეტაპზე 22 პაციენტზეა გათვლილი. დაწესებულება დაკომპლექტებულია სამედიცინო პერსონალით და მკურნალობის პროცესში ჩართულია მულტიდისციპლინური გუნდი, რომლის შემადგენლობაში შედიან ნარკოლოგები, სხვადასხვა პროფილის ექიმები, ფსიქოლოგები და სოციალური მუშაკები. აღნიშნული დაწესებულება ფუნქციონირებას უკვე ასრულებს და მასში რამდენიმე მსჯავრდებული უკვე გადის სავალდებულო მკურნალობას, რომელიც ჩაეთვლება სასჯელის ძირითად ნაწილში, კოდექსით გათვალისწინებული გაანგარიშებით. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება იძულებით მკურნალობასთან დაკავშირებით, ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობისთვის დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან დიდ სიახლეს წარმოადგენს, რთულია მისი მუშაობის ხარისხზე კონკრეტული დასკვნების გამოტანა, თუმცა ვინაიდან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, წლებია წარმატებით ხორციელდება ნარკომანიით დაავადებული პირების იძულებითი მკურნალობა, საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით გარკვეული პროგნოზების გაკეთება შესაძლებელია.

## IV. საერთაშორისო გამოცდილება; გერმანიის მაგალითი - სავალდებულო მკურნალობა § 64

გერმანიის სამართლებრივ სისტემაში ნარკომანიით დაავადებული პირის სავალდებულო მკურნალობა წარმოადგენს კომპლექსურ ინსტრუმენტს, რომელიც აერთიანებს სისხლის სამართლის სანქციების ალტერნატივას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვასა და

ჯანდაცვის პოლიტიკას. აღნიშნული მიდგომა ეფუძნება პრინციპს, რომ ნარკოდამოკიდებულება პირველ რიგში დაავადებაა, თუმცა გარკვეულ შემთხვევებში მისი შედეგები შეიძლება საფრთხეს უქმნიდეს საზოგადოებრივ წესრიგს და მოითხოვდეს იძულებითი მკურნალობის გამოყენებას.

გერმანიაში ნარკომანიით დაავადებულ პირთა სავალდებულო მკურნალობის ძირითადი სამართლებრივი საფუძველი მოცემულია გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 64-ე მუხლში, რომელიც ითვალისწინებს იმ პირთა განთავსებას სპეციალურ სამკურნალო დაწესებულებაში, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული ნარკოტიკებზე დამოკიდებულების შედეგად ან მათი ზეგავლენის ქვეშ. აღნიშნული ნორმის გამოყენების წინაპირობაა სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი კავშირი დანაშაულსა და დამოკიდებულებას შორის, აგრეთვე მკურნალობის წარმატების რეალური შანსი (Müller, 2021). გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 64-ე მუხლის მიხედვით, თუ პირს აქვს მიდრეკილება - ალკოჰოლის ან სხვა თრობისმომგვრელი ნივთიერებების ჭარბად მოხმარებისკენ - და იგი ასრულებს ან სცდება დანაშაულებრივ ქმედებას, რომელიც ძირითადად ამ დამოკიდებულებას უკავშირდება, მაშინ სასამართლომ შეიძლება დაადგინოს მისი მოთავსება სპეციალურ მკურნალობის დაწესებულებაში, იმისთვის, რომ მომავალში თავიდან იქნეს აცილებული მნიშვნელოვანი და უკანონო ქმედებების ჩადენა. თუ ამ დამოკიდებულებას გამოწვეული აქვს პირის ცხოვრების სტილის, ჯანმრთელობის, შრომისუნარიანობის ან ფუნქციონირების სერიოზული და მუდმივი დარღვევა, არსებობს რეალური საფრთხე, რომ პირმა შესაძლებელია კვლავ ჩაიდინოს დანაშაული ამ დამოკიდებულების გამო.

მოთავსება სამკურნალო დაწესებულებაში შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს რეალური ნიშნები იმისა, რომ მკურნალობა მოახდენს გავლენას ან განკურნავს პირს დადგენილ პერიოდში, ან შეძლებს მის მიერ იმ ქცევების შეჩერებას, რომელიც დამოკიდებულებითაა გამოწვეული.

გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით გერმანული სასამართლო ვალდებულია დაადგინოს მკურნალობის მიზანშეწონილობა ინდივიდუალურად, თითოეული ინდივიდის მახასიათებლების გათვალისწინებით. რაც შეეხება სამკურნალო პერიოდს, საქართველოს კანონმდებლობის მსგავსად მკურნალობის ვადა განისაზღვრება ცალკე სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლით - როგორც წესი, მაქსიმუმ 2 წლით, თუმცა შეიძლება დასრულდეს ნაადრევად, თუ მიზანი მიღწეულია.

გერმანული სამართლის მიხედვით სასამართლოს შეუძლია მიიღოს პირის სპეციალურ მკურნალობის დაწესებულებაში მოთავსების გადაწყვეტილება თუ:

1. პირს ჩადენილი აქვს დანაშაული ნარკოტიკული ან ალკოჰოლური ნივთიერების მოხმარების ფონზე (ან მის გამო),
2. მას აქვს კლინიკურად დადასტურებული დამოკიდებულება, და
3. არსებობს მკურნალობის პერსპექტივა - ანუ სასამართლო და ექსპერტები ფიქრობენ, რომ რეაბილიტაცია შესაძლებელია.

სავალდებულო მკურნალობა არ განიხილება როგორც სასჯელი, არამედ როგორც საფრთხის აღმოფხვრისა და რეაბილიტაციის ღონისძიება. შესაბამისად, პირს არ უზღუდავენ თავისუფლებას მხოლოდ დასჯის მიზნით, არამედ მიზანია მისი დამოკიდებულების მკურნალობა და განმეორებითი დანაშაულის პრევენცია (Schmidt & Weber, 2019). ამ ინსტიტუტის გამოყენება გერმანიის სასამართლო პრაქტიკაში ხშირია, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც ნარკოდამოკიდებულება უშუალოდ განსაზღვრავს დანაშაულის მოტივაციას ან მიმდინარეობას.

სავალდებულო მკურნალობის დანიშვნის გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო შესაბამისი ექსპერტიზის საფუძველზე. ექსპერტი აფასებს პირის დამოკიდებულების ხარისხს, ფსიქიკურ მდგომარეობას და მკურნალობის პროგნოზს. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დადასტურდება მკურნალობის ეფექტურობის პერსპექტივა, შესაძლებელია მისი დანიშვნა. მკურნალობა, როგორც წესი, ტარდება სპეციალურ სამკურნალო დაწესებულე-ბებში, რომლებიც ფუნქციურად განსხვავდება ციხის სისტემისგან და მიზნად ისახავს არა იზოლაციას, არამედ თერაპიულ რეაბილიტაციას (Fazel et al., 2016). გარდა ამისა, გერმანიის კანონმდებლობა ითვალისწინებს სხვა სამართლებრივ მექანიზმებსაც, მათ შორის „Therapie statt Strafe“ („მკურნალობა სასჯელის ნაცვლად“) პროგრამას. აღნიშნული სისტემა საშუალებას აძლევს სასამართლოს ან პროკურატურას ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულის შემთხვევაში პირი გაათავისუფლოს თავისუფლების აღკვეთისგან იმ პირობით, რომ იგი ჩაიტარებს მკურნალობის კურსს (Deutscher Bundestag, 2020). ასეთი მიდგომა ეფუძნება ჰუმანიზმისა და პროპორციულობის პრინციპს და ცდილობს დასჯის ფუნქციის ჩანაცვლებას სამედიცინო დახმარებითა და სოციალური რეინტეგრაციით.

გარდა სისხლის სამართლის რეგულაციებისა, იძულებითი მკურნალობის საფუძველი შეიძლება იყოს ფედერალური მიწების ფსიქიკური ჯანმრთელობის კანონმდებლობა (Psychisch-Kranken-Gesetze). ამ შემთხვევაში მკურნალობა ინიშნება მაშინ, როდესაც ნარკო-დამოკიდებულ პირს აქვს მძიმე ფსიქიკური აშლილობა და წარმოადგენს საფრთხეს საკუთარ ან სხვის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე. ასეთ შემთხვევებში გადაწყვეტი-ლებას იღებს არა მხოლოდ სასამართლო, არამედ შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანო ან ფსიქიატრიული დაწესებულება, თუმცა პროცედურა მკაცრად კონტროლდება ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტებით (Hoffmann-Richter, 2018).

სავალდებულო მკურნალობა ყოველთვის ბალანსის პოვნას საჭიროებს სახელმწიფოს ინტერესსა და პიროვნების უფლებებს შორის. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა ხაზს უსვამს, რომ იძულებითი მკურნალობა დასაშვებია მხოლოდ მკაცრი პროპორციულობის პირობებში - როცა სხვა საშუალებები ამოწურულია და არსებობს რეალური შანსი, რომ მკურნალობა პირის სასარგებლოდ იმოქმედებს (Bundesverfassungsgericht, 2011). მკვლევართა შეფასებით, იძულებითი მკურნალობა ზოგჯერ იწვევს ფსიქოლოგიურ წინააღმდეგობას და არ უზრუნველყოფს გრძელვადიან თერაპიულ შედეგებს (Fazel et al., 2016). თუმცა იმ შემთხვევებში, როდესაც მკურნალობა

ტარდება პროფესიონალური მეთოდებითა და რეინტეგრაციული პროგრამებით, რეაბილიტაციისა და დანაშაულის განმეორების თავიდან აცილების მაჩვენებლები მნიშვნელოვნად უმჯობესდება (Müller, 2021).

გერმანიის სამართლებრივი სისტემა ნარკომანიით დაავადებულ პირთა მიმართ სავალდებულო მკურნალობას განიხილავს როგორც განსაკუთრებულ ზომას, რომელიც უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევებში. ეს მიდგომა ეფუძნება სამკურნალო მიზნებს და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ხოლო მისი ეფექტურობა დამოკიდებულია მკურნალობის ხარისხზე და შემდგომ სოციალურ მხარდაჭერაზე. მთლიანობაში, გერმანიის მოდელი წარმოადგენს მაგალითს იმისა, თუ როგორ შეიძლება სახელმწიფომ დააბალანსოს რეპრესიული და ჰუმანური პოლიტიკა ნარკოდამოკიდებულ პირთა მიმართ.

გერმანიაში ნარკომანიით დაავადებული პირის სავალდებულო მკურნალობის სისტემას აქვს როგორც მნიშვნელოვანი დადებითი, ისე გარკვეული კრიტიკული ასპექტები, რაც მას გარკვეულწილად სადაო საკითხადაც აქცევს. დადებით მხარეებს შორის აღსანიშნავია, რომ სავალდებულო მკურნალობა უზრუნველყოფს იმ პირების რეაბილიტაციას, რომლებიც დანაშაულს ნარკოდამოკიდებულების გავლენით ჩადიან და თვითონაც საჭიროებენ სამედიცინო ჩარევას. ამ გზით, სისტემა ეხმარება მათ გამოჯანმრთელებაში, ამცირებს განმეორებითი დანაშაულის რისკს და ამასთან, ამცირებს ციხეებში გადატვირთულობას, ვინაიდან მსგავსი შემთხვევები გადადის სამკურნალო დაწესებულებებში და არა სასჯელაღსრულების იზოლაციაში (Schmidt & Weber, 2019). ამ მიდგომის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობაა ჰუმანური მიდგომა ნარკოდამოკიდებულთა მიმართ - სახელმწიფო აღიარებს, რომ დამოკიდებულება არის დაავადება და არა მხოლოდ სამართლებრივი გადაცდომა. სავალდებულო მკურნალობა ასევე ემსახურება საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვას, ვინაიდან ნარკოდამოკიდებულ პირთა მკურნალობა ამცირებს კრიმინალურ ქცევასთან დაკავშირებულ საფრთხეებს (Müller, 2021).

გარდა ამისა, 64-ე მუხლის გამოყენება სასამართლოს საშუალებას აძლევს დანაშაულზე რეაგირებისას მოერგოს ინდივიდუალურ გარემოებებს და გამოიყენოს პროპორციული და სამკურნალო ტიპის გადაწყვეტილება, რაც ევროპული სისხლის სამართლის პოლიტიკის თანამედროვე ტენდენციას შეესაბამება. პრინციპი „Therapie statt Strafe"[11] ხაზს უსვამს სოციალურ რეინტეგრაციას და რეაბილიტაციას როგორც სასჯელის მიზანს, რაც მნიშვნელოვნად ამაღლებს სამართლის სისტემის ეფექტიანობასა და საზოგადოების ნდობას.

თუმცა, სავალდებულო მკურნალობას აქვს რიგი უარყოფითი მხარეებიც. ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა მისი ეთიკური და უფლებრივი პრობლემაა, რადგან იძულებითი მკურნალობა უპირისპირდება პიროვნების თავისუფალი ნების პრინციპს და შესაძლოა აღქმულ იქნეს როგორც თავისუფლების შეზღუდვის ფორმა სამედიცინო მიზნებით (Hoffmann-Richter, 2018). პრაქტიკაში ხშირად ჩნდება კითხვა, რამდენად რეალურია

[11] მკურნალობა სასჯელის ნაცვლად

ნარკოდამოკიდებულის მკურნალობის წარმატება მაშინ, როცა იგი მონაწილეობს იძულებით და არა საკუთარი სურვილით. კვლევების ნაწილი მიუთითებს, რომ იძულებითი მკურნალობისას მოტივაცია დაბალია, რის გამოც შედეგები შეიძლება იყოს დროებითი და არასტაბილური (Fazel et al., 2016).

მეორე სერიოზული პრობლემა უკავშირდება მკურნალობის ხარისხის არათანაბრობას ფედერალურ მიწებზე. ვინაიდან გერმანიის სისტემა დეცენტრალიზებულია, სხვადასხვა რეგიონში განსხვავებულია მკურნალობის დაწესებულებათა რაოდენობა, კადრების მომზადების დონე და პროგრამების ინტენსივობა. ეს ქმნის უთანასწორობას იმ პირებს შორის, რომელთაც ერთ რეგიონში უკეთესი სამკურნალო პირობები აქვთ, ვიდრე სხვაგან. გარდა ამისა, ზოგიერთ დაწესებულებაში სავალდებულო მკურნალობა შესაძლოა გადაიქცეს ფორმალურ პროცესად, სადაც რეალური თერაპიული მუშაობა მინიმალურია, რაც ამცირებს პროგრამის ეფექტურობას (Deutscher Bundestag, 2020).

სავალდებულო მკურნალობის კიდევ ერთი უარყოფითი ასპექტია მისი ხანგრძლივი ინტეგრაციის პროცესი. პაციენტის გამოსვლა სამკურნალო დაწესებულებიდან არ ნიშნავს სრულ რეინტეგრაციას საზოგადოებაში - ხშირია რეციდივი და კვლავ ნარკოტიკის მოხმარება. ამდენად, პროგრამის წარმატება დამოკიდებულია შემდგომ მხარდაჭერაზე - სოციალური სამსახურის ჩართულობაზე, დასაქმების პროგრამებზე და ფსიქოლოგიურ დახმარებაზე (Müller, 2021).

საერთო ჯამში, გერმანიის სავალდებულო მკურნალობის მოდელი წარმოადგენს კომპრომისს სახელმწიფოს დაცვისა და პიროვნების რეაბილიტაციის მიზნებს შორის. მისი დადებითი მხარეებია ჰუმანურობის პრინციპის დაცვა, დანაშაულის პრევენცია და ნარკო-დამოკიდებულთა ჯანმრთელობის გაუმჯობესება, ხოლო უარყოფითი - თავისუფლების შეზღუდვის რისკი, მოტივაციის ნაკლებობა და მკურნალობის ხარისხის არათანაბრობა. მიუხედავად არსებული გამოწვევებისა აღნიშნული სისტემა მაინც აღიქმება როგორც პროგრესული ნაბიჯი, რომელიც ხაზს უსვამს ნარკოდამოკიდებულებისადმი სამკურნალო და არა მხოლოდ დასჯად მიდგომას, რაც წარმოადგენს თანამედროვე ევროპული სამართლის ერთ-ერთ ძირითად ღირებულებას.

## V. ნარკომანიით დაავადებული პირის იძულებითი მკურნალობა; შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან

ნარკომანიით დაავადებული პირის იძულებითი მკურნალობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (ECHR) ჭრილში ერთ-ერთ კომპლექსურ საკითხს წარმოადგენს და სახელმწიფოს ვალდებულებებსა და ინდივიდის პირად ავტონომიას შორის ქმნის გარკვეული სახის დილემას. ერთი მხრივ, სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება დაიცვას საზოგადოებრივი უსაფრთხოება და უზრუნველყოს პაციენტის ჯანმრთელობა, ხოლო მეორე მხრივ, ნებისმიერი იძულებითი სამედიცინო ჩარევა უპირისპირდება პირის თავისუფალი ნების პრინციპს და შესაძლოა გამოიწვიოს მისი ფუნდამენტური უფლებების დარღვევა.

კონვენციის მუხლი 5(1)(e) ითვალისწინებს სახელმწიფოს შესაძლებლობას, თავისუფლება შეუზღუდოს „გონებრივად ავადმყოფს, ალკოჰოლიკს ან ნარკომანს" მკურნალობის მიზნით, მაგრამ ამ შესაძლებლობის გამოყენება გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს მკაფიო სამართლებრივი საფუძველი, სამედიცინო შეფასება და მკურნალობის რეალური თერაპიული მიზანი. სასამართლო ხაზგასმით მიუთითებს, რომ მსგავსი ჩარევა არ შეიძლება იქცეს დასჯის ან იზოლაციის საშუალებად, რადგან ასეთ შემთხვევაში იძულე-ბითი მკურნალობა კარგავს სამედიცინო ხასიათს და ეწინააღმდეგება კონვენციის არსს.

სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკაში ამ სფეროში განსაკუთრებით საყურადღებოა, რამდენიმე სასამართლო გადაწყვეტილება; პირველი მათგანია Herczegfalvy v. Austria (1992), სადაც ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოთავსებულ პაციენტს ჩაუტარდა იძულებითი მედიკამენტოზური მკურნალობა და ფიზიკური ფიქსაცია. სასამართლომ დაადგინა, რომ მსგავსი ჩარევა არ არღვევს კონვენციას, თუ იგი განხორციელებულია მკაფიო სამედიცინო აუცილებლობის პირობებში, კვალიფიციური სპეციალისტების ზედამხედველობით და პროპორციულად. ამ გადაწყვეტილებამ დააფუძნა ძირითადი პრინციპი: იძულებითი მკურნალობა შეიძლება იყოს კონვენციასთან თავსებადი მხოლოდ მაშინ, როდესაც ის წარმოადგენს ultima ratio-ს - უკანასკნელ საშუალებას, რომელიც მიზნად ისახავს პაციენტის ჯანმრთელობის რეალურ გაუმჯობესებას.

მეორე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება - Wenner v. Germany (2016) - შეეხებოდა პატიმარს, რომელსაც ნარკოდამოკიდებულების სამკურნალოდ სჭირდებოდა ოპიოიდური სუბსტიტუცია, მაგრამ სახელმწიფომ უარი უთხრა სათანადო სამედიცინო დასაბუთების გარეშე. სასამართლომ დაადგინა მუხლი 3-ის დარღვევა (არაადამიანური მოპყრობა) და განმარტა, რომ სახელმწიფოს ვალდებულებაა უზრუნველყოს ნარკოდამოკიდებულთა ადეკვატური სამედიცინო დახმარება, მათ შორის მაშინ, როდესაც ისინი იმყოფებიან იძულებით რეჟიმში. ეს საქმე ცხადყოფს, რომ იძულებით მკურნალობა მხოლოდ ფორმალურად ვერ ჩაითვლება შესაბამისად - მას უნდა ახლდეს ინდივიდუალური შეფასება და სამედიცინო არგუმენტაცია.

განსაკუთრებით აღსანიშნავია Rooman v. Belgium (2019, Grand Chamber), სადაც ნარკოდამო-კიდებულ პირს, რომელსაც ასევე ჰქონდა ფსიქიკური აშლილობა. სასამართლოს გადაწყვეტილებით მრავალწლიანი იძულებითი მოთავსება ჰქონდა დაკისრებული ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, მაგრამ რეალური თერაპიული მკურნალობა არ ხორციელდებოდა. ECHR-მა დაადგინა როგორც მუხლი 3-ის, ისე მუხლი 5-ის დარღვევა და განმარტა, რომ იძულებითი მკურნალობა კონვენციასთან თავსებადია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას თან ახლავს რეალური სამედიცინო ჩარევა და პერსპექტივა პაციენტის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, იძულებითი მოთავსება ხდება მხოლოდ ფორმალური და კარგავს სამართლიან მიზანს.

ამ პრეცედენტების საერთო ხაზი ისაა, რომ იძულებითი მკურნალობა კონვენციით დასაშვებია მხოლოდ მკაცრად განსაზღვრულ პირობებში:

(1) **კანონის საფუძველი და სასამართლო კონტროლი** – მკურნალობა უნდა იყოს დანიშნული კანონით დადგენილი ფორმით და ექვემდებარებოდეს სასამართლო ზედამხედველობას;

(2) **სამედიცინო აუცილებლობა და მიზნობრიობა** – ჩარევა გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როცა იგი აუცილებელია პაციენტის ჯანმრთელობისთვის და არსებობს მკურნალობის შედეგის რეალური შანსი;

(3) **პროპორციულობა და ჰუმანურობა** – გამოყენებული მეთოდები უნდა იყოს ზომიერი და არ უნდა იწვევდეს ტანჯვას ან დამამცირებელ მოპყრობას.

სტრასბურგის სასამართლო მუდმივად უსვამს ხაზს იმას, რომ იძულებითი მკურნალობა ვერ გამართლდება მხოლოდ საზოგადოებრივი ინტერესით ან პრევენციული მიზნებით, თუ მას არ ახლავს სამედიცინო ლეგიტიმაცია. სხვა სიტყვებით, სახელმწიფოს შეუძლია გამოიყენოს იძულებითი მკურნალობა, მაგრამ არა როგორც სანქცია, არამედ როგორც მკურნალობის მეთოდი, რომელიც ეფუძნება სამეცნიერო, ეთიკურ და სამართლებრივ კრიტერიუმებს.

ამრიგად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სისტემაში ნარკოდამოკიდებულის იძულებითი მკურნალობა წარმოადგენს მკაფიოდ დელიკატურ მექანიზმს — დასაშვებია მხოლოდ მკურნალობისა და რეაბილიტაციის მიზნებისთვის და არა პირის თავისუფლების თვითნებური შეზღუდვისთვის. ამდენად, სახელმწიფოს ვალდებულებაა უზრუნველყოს, რომ ასეთი ჩარევა იყოს სამართლიანი, ჰუმანური და ემყარებოდეს მკურნალობის რეალურ შესაძლებლობას, წინააღმდეგ შემთხვევაში ის გარდაუვლად გადაიქცევა კონვენციის დარღვევად.

## დასკვნა

ნარკომანიით დაავადებული პირის სავალდებულო მკურნალობა საქართველოში წარმოადგენს სახელმწიფოს მცდელობას იპოვოს ბალანსი საჯარო ინტერესსა და ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს შორის. აღნიშნული ინსტიტუტის დანერგვა, როგორც სოციალური დაცვის ღონისძიება, ასახავს პოლიტიკურ ნებას - ნარკომანია აღიაროს არა მხოლოდ სამართლებრივ გადაცდომად, არამედ დაავადებად, რომელიც საჭიროებს სამედიცინო და სოციალური ჩარევის ინტეგრირებულ მოდელს. ეს ცვლილება სიგნალია სახელმწიფო პოლიტიკის ჰუმანიზაციისა, რომელმაც მნიშვნელოვნად შეიძლება შეუწყოს ხელი როგორც საზოგადოების უსაფრთხოებას, ისე ნარკოდამოკიდებულ პირთა რეაბილიტაციას.

თუმცა ეს ბალანსი არც მარტივი და არც ავტომატურად მიღწევადია. იძულებითი მკურნალობა თავისი ბუნებით წარმოადგენს ადამიანის ფიზიკურ და მენტალურ ავტონომიაში ჩარევას, რაც ყოველთვის უნდა შეფასდეს მკაცრი სამართლებრივი და ეთიკური კრიტერიუმებით. ამ თვალსაზრისით, საქართველოს მიერ მიღებული მოდელი შეიძლება შეფასდეს როგორც პოტენციურად ჰუმანური, რომელიც საჭიროებს სისტემურ

გაძლიერებას, მკაფიო რეგლამენტაციასა და საერთაშორისო სტანდარტებთან მუდმივ შესაბამისობას.

დადებითია ფაქტი, რომ სასამართლოს მიერ დანიშნული მკურნალობა საშუალებას იძლევა პირის მიმართ განხორციელდეს მიზნობრივი, სამედიცინო რეაგირება, რადგან ნარკოდამოკიდებული დამნაშავე საჭიროებს მკურნალობას და არა მხოლოდ სასჯელს. ეს მიდგომა შეიძლება გახდეს ეფექტური პრევენციული მექანიზმი: მკურნალობის გავლენით იკლებს განმეორებითი დანაშაულის რისკი, მცირდება ციხეებში გადატვირთულობა და იზრდება საზოგადოებრივი უსაფრთხოება. ამასთან, სავალდებულო მკურნალობა საშუალებას იძლევა სახელმწიფო რესურსები გადანაწილდეს ჯანდაცვასა და სოციალური რეინტეგრაციის პროგრამებზე - რაც ემთხვევა ევროპის ჰუმანურ და პროპორციულ ტენდენციებს.

თუმცა სისტემას თან ახლავს გამოწვევებიც. ჯერ კიდევ გაურკვეველია მკურნალობის პროცედურების სტანდარტიზაცია, კლინიკური მეთოდოლოგია და მკურნალობის ხარისხის შეფასების კრიტერიუმები. არსებული კანონმდებლობა მეტწილად განსაზღვრავს სამართლებრივ ჩარჩოს, მაგრამ არ იძლევა გარანტიას, რომ თერაპიული პროცესი ყოველთვის შეესაბამება საერთაშორისო სამედიცინო და ეთიკურ ნორმებს. არსებობს რისკი, რომ მკურნალობა გახდეს ფორმალური, მხოლოდ სასჯელის თანმდევი ელემენტი და არა რეალური სამკურნალო პროცესი.

გარდა ამისა, იძულებითი მკურნალობა ბუნებრივად აჩენს კითხვებს ადამიანის უფლებების თვალსაზრისით - რამდენად შეიძლება სახელმწიფომ აიძულოს ინდივიდი ჩაიტაროს მკურნალობა მის ნების საწინააღმდეგოდ? სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მსგავსი ჩარევა დასაშვებია მხოლოდ მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევებში: Herczegfalvy v. Austria-ში იძულებითი მკურნალობა გამართლდა მხოლოდ სამედიცინო აუცილებლობის პირობებში; Wenner v. Germany-ში კი მკურნალობის ფორმალური უარი ჩაითვალა არაადამიანურ მოპყრობად; Rooman v. Belgium-ის საქმემ კი დაადგინა, რომ მკურნალობის რეალური შინაარსის არქონა არღვევს როგორც თავისუფლების, ისე ღირსების უფლებას. ამგვარად, საქართველოს ახალი მოდელი მხოლოდ მაშინ იქნება კონვენციურად მდგრადი, თუ მისი განხორციელება დაეფუძნება სამედიცინო მიზნობრიობას, პროპორციულობასა და სამართლებრივ გამჭვირვალობას.

უნდა აღინიშნოს, რომ სისტემა ჯერ კიდევ საწყის ეტაპზეა, სასამართლო პრაქტიკა ფორმირებადია, ხოლო სამედიცინო დაწესებულება შეზღუდული. შედეგად, შეუძლებელია მკაფიოდ განისაზღვროს, რამდენად ეფექტურად იმუშავებს ეს მოდელი გრძელვადიან პერსპექტივაში, თუმცა არსებობს გარკვეული რეკომენდაციები, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელია ვივარაუდოთ ნარკომანიით დაავადებული პირის იძულებითი მკურნალობის ეფექტური პროგნოზები:

- აუცილებელია თითოეულ საქმეში მკაფიოდ დასაბუთდეს იძულებითი მკურნალობის გამოყენების აუცილებლობა. მნიშვნელოვანია, რომ სასამართლო გადაწყვეტილება ემყარებოდეს არა მხოლოდ დაავადებული პირის დიაგნოზს, არამედ ინდივიდუალურ

ექსპერტიზას და სამედიცინო დასკვნებს, მკურნალობის ეფექტურობის პერსპექტივის და პროგნოზის შესახებ.

- მნიშვნელოვანია მკურნალობის პროცედურების გამჭვირვალობა, შესაფასებლად იმისა თუ რამდენად მიყვება იგი თანამედროვე გაიდლაინებსა და საერთაშორისო სტანდარტებს, ასევე მნიშვნელოვანია გამოყენებული მეთოდები ერგებოდეს პირის ინდივიდუალურ შემთხვევასა და მდგომარეობას.
- ასევე, მნიშვნელოვანია არსებობდეს ერთიანი ბაზა, სადაც აისახება მკურნალობის მიმდინარეობა, შედეგები, განმეორებითი დანაშაულის მაჩვენებლები და რეინტეგრაციის სტატისტიკა. მონიტორინგის შედეგები უნდა გახდეს საჯარო და ანგარიშვალდებული ინსტიტუციებისთვის.

საქართველოს მიერ სავალდებულო მკურნალობის დანერგვა არის ნაბიჯი ადამიანის უფლებათა და საჯარო ინტერესების დაბალანსების გზაზე. მისი წარმატება დამოკიდებულია იმაზე, შეძლებს თუ არა სახელმწიფო მკურნალობის პროცესის რეალურად სამედიცინო, ჰუმანურ და სამართლებრივად გამჭვირვალე ფორმად ქცევას. ამ გზით სავალდებულო მკურნალობა გადაიქცევა არა კონტროლის, არამედ დახმარების ინსტრუმენტად - სადაც ინდივიდის ღირსება და საზოგადოებრივი უსაფრთხოება თანაბრად დაცულია.

### გამოყენებული ლიტერატურა


ჯანდაცვის პორტალი. *ნარკომანიით დაავადებულთა იძულებითი მკურნალობისთვის პირველი სამედიცინო განყოფილება გაიხსნა.* https://jandacva.ge/news/health/narkomaniit-daavadebulta-idzulebiti-mkurnalobistvis-pirveli-sameditsino-ganyofileba-gaikhsna

საქართველოს პარლამენტი. (2014, 16 აპრილი). *საქართველოს კანონი ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ.* საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №2234-IIს (კონსოლიდირებული პუბლიკაციები 05.07.2018). https://matsne.gov.ge/ka/document/view/2330479?publication=3

საქართველოს პარლამენტი. (2007, 3 ივლისი). *საქართველოს კანონი ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.* საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. #5183. (კონსოლიდირებული პუბლიკაციები 02.07.2025). https://matsne.gov.ge/ka/document/view/22132?publication=16

საქართველოს პარლამენტი. (2012, 22 მაისი). *საქართველოს კანონი ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ.* საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. # 6245-Iს. (კონსოლიდირებული პუბლიკაციები) 02.07.2025). https://matsne.gov.ge/ka/document/view/1670322?publication=26

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი. (1984, 15 დეკემბერი). *საქართველოს კანონი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი.* საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. #161. (კონსოლიდირებული პუბლიკაციები 12.11.2025). https://matsne.gov.ge/document/view/28216

საქართველოს პარლამენტი. (1999, 22 ივლისი). *საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.* საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. #2287. (კონსოლიდირებული პუბლიკაციები 16.10.2025). https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=285

Apollo Hospitals. (n.d.). *როგორ მოქმედებს ნარკოტიკის ბოროტად გამოყენება ტვინზე.* https://www.apollohospitals.com/ka/diseases-and-conditions/how-does-drug-abuse-affect-your-brain

Bundesverfassungsgericht. (2011). *Judgment on involuntary treatment and proportionality principles (BVerfG, 2 BvR 882/09).* https://www.bundesverfassungsgericht.de

Chandler, R. K., Fletcher, B. W. & Volkow, N. D. (2009). Treating drug abuse and addiction in the criminal justice system: Improving public health and safety. *JAMA, 301*(2), 183–190. https://doi.org/10.1001/jama.2008.976

Council of Europe. (2023). *Rights of persons in relation to involuntary placement and treatment in mental healthcare facilities (Overview of the Court's case-law under Artic.3,5 and 8).* Strasbourg: Coun.of Europe.

Deutscher Bundestag. (2020). *Therapie statt Strafe – Drug treatment instead of punishment.* Berlin: Federal Drug Policy Office.

Fazel, S., Wolf, A., Fimińska, Z. & Larsson, H. (2016). Substance use disorders in prisoners: An updated systematic review and meta-regression analysis in recently incarcerated populations. *Addiction, 111*(10), 1725–1739. https://doi.org/10.1111/add.13426

Goldstein, R. Z. & Volkow, N. D. (2011). Dysfunction of the prefrontal cortex in addiction: Neuroimaging findings and clinical implications. *Nature Reviews Neuroscience, 12*(11), 652–669. https://doi.org/10.1038/nrn3119

Herczegfalvy v. Austria, App. No. 10533/83, 15 E.H.R.R. 437 (Eur. Ct. H.R. 1992).

Hoffmann-Richter, K. (2018). *Psychisch Kranke im Maßregelvollzug: Rechtliche Grundlagen und aktuelle Entwicklungen.* München: Nomos Verlag.

Koob, G. F. & Volkow, N. D. (2016). Neurobiology of addiction: A neurocircuitry analysis. *The Lancet Psychiatry, 3*(8), 760–773. https://doi.org/10.1016/S2215-0366(16)00104-8

Lines, R. (2022). Treatment in liberty: Human rights and compulsory detention for drug treatment. *Human Rights Law Review, 22*(1), 1–34. https://doi.org/10.1093/hrlr/ngab022

Marlatt, G. A. & Donovan, D. M. (2005). *Relapse prevention: Maintenance strategies in the treatment of addictive behaviors.* Guilford Press.

McLellan, A. T., Lewis, D. C., O'Brien, C. P. & Kleber, H. D. (2000). Drug dependence, a chronic medical illness: Implications for treatment, insurance, and outcomes evaluation. *JAMA, 284*(13), 1689–1695. https://doi.org/10.1001/jama.284.13.1689

Müller, T. (2021). Mandatory substance use treatment for justice-involved persons in Germany: Legal and ethical considerations. *International Journal of Law and Psychiatry, 75*(2), 101–115. https://doi.org/10.1016/j.ijlp.2021.101115

Office of Justice Programs. (n.d.). *Drug-related crime fact sheet.* U.S. Department of Justice. https://www.ojp.gov/ncjrs/virtual-library/abstracts/drug-related-crime-fact-sheet

Room, R. (2005). Stigma, social inequality and alcohol and drug use. *Drug and Alcohol Review, 24*(2), 143–155. https://doi.org/10.1080/09595230500102434

Rooman v. Belgium [GC], App. No. 18052/11 (Eur. Ct. H.R. 2019).

Schmidt, L. & Weber, H. (2019). Forensic treatment and rehabilitation of drug-addicted offenders in Germany. *Europ. Jour.on Criminal Policy and Resear. 25*(4), 521–540. https://doi.org/10.1007/s10610-018-9383-2

Volkow, N. D., Koob, G. F. & McLellan, A. T. (2019). Neurobiologic advances from the brain disease model of addiction. *The New England Journal of Medicine, 374*(4), 363–371. https://doi.org/10.1056/NEJMra1511480

Wenner v. Germany, App. No. 62303/13 (Eur. Ct. H.R. 2016).

World Health Organization. (n.d.). *Official website.* https://www.who.int/

Gesetze im Internet. (n.d.). *Strafgesetzbuch (StGB) § 64 — Unterbringung zur Entziehung.* https://www.gesetze-im-internet.de/stgb/index.html#BJNR001270871BJNE014405360

# Compulsory Treatment of Persons with Drug Addiction in Georgia: Balancing Human Rights and Public Interest

**Amiran Mosulishvili**[1*]
**Anna Butskhrikidze**[2]
[1, 2] Grigol Robakidze University
***Corresponding author:** a.mosulishvili@gruni.edu.ge

**Abstract.** The compulsory treatment of individuals with drug addiction in Georgia reflects the state's effort to strike a delicate balance between the protection of fundamental human rights and the safeguarding of public security. Recognizing the bio-psycho-social nature of addiction provides a foundation for approaching it not as a criminal act but as a complex public health concern requiring integrated medical and social intervention. This study examines recent amendments to the Criminal Code of Georgia, which introduce the possibility of court-mandated compulsory treatment. It further explores the German model and the jurisprudence of the European Court of Human Rights — particularly *Herczegfalvy v. Austria*, *Wenner v. Germany*, and *Rooman v. Belgium* — which delineate the legal and ethical limits of involuntary treatment. The findings suggest that Georgia's approach is guided by the principle of humanization; however, its effectiveness depends on the consistent standardization of treatment procedures, the development of clinical methodologies, and sustained compliance with international human rights and medical standards. Accordingly, the study recommends applying compulsory treatment strictly on the basis of individualized medical assessment, enhancing transparency within treatment processes, and establishing a comprehensive data monitoring system. Despite the inherent ethical dilemmas, when properly regulated within a robust legal and medical framework, compulsory treatment has the potential to evolve from a repressive tool into a genuinely therapeutic and preventive mechanism — one that upholds both individual dignity and collective security.

**Keywords:** compulsorსy treatment, addiction, human rights, proportionality, public interest

# უცხოელის საქართველოდან გაძევება და საქართველოში შემოსვლის აკრძალვა სასჯელის სახით: სამართლებრივი ანალიზი და საკანონმდებლო საფუძვლები

**გიორგი შაშიაშვილი**[1*]

**თათია სიმსივე**[2]

[1, 2] გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

***პასუხისმგებელი ავტორი:** giorgi.shashiashvili@gruni.edu.ge

**რეზიუმე.** სტატიაში განხილულია ქართულ კანონმდებლობაში უცხოელის გაძევების და საქართველოში შემოსვლის აკრძალვის სამართლებრივი ბუნება, როგორც სასჯელის გამოყენების ერთ-ერთი ფორმა, რაც წარმოადგენს სახელმწიფოს სუვერენულ უფლებამოსილებას, მაგრამ ასევე მოითხოვს ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტების დაცვას. ყურადღება გამახვილებულია სისხლის სამართლის კოდექსითა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევების კოდექსით გათვალისწინებულ რეგულაციებზე, რომლებიც განსაზღვრავენ უცხოელის გაძევების და ქვეყანაში შემოსვლის აკრძალვის საფუძვლებს, პირობებსა და პროცედურებს. სტატია ასევე მიმოიხილავს იმ სამართლებრივ ჩარჩოს, რაც უკავშირდება უცხოელის გაძევებას და შემოსვლის აკრძალვას სისხლის სამართლის პროცესში — როგორც დამატებითი ან ძირითადი სასჯელი. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პროპორციულობის პრინციპის დაცვას, გადაწყვეტილების ინდივიდუალურ საფუძვლებსა და იმ გარემოებების გათვალისწინებას, რომლებიც შეიძლება წარმოადგენდეს უცხოელისთვის გაძევების შემთხვევაში რეალურ საფრთხეს. ასევე განხილულია საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებები, მათ შორის ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენცია და ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკა. წარმოდგენილია იმ უფლებრივი გარანტიების ანალიზი, რაც უნდა ჰქონდეს უცხოელს გაძევების პროცესში — მათ შორის, სასამართლოში გასაჩივრების უფლება, პროცედურული გამჭვირვალობა, ოჯახის ერთობის პრინციპი და სხვ. სტატიის მიზანია, წარმოაჩინოს, რამდენად შესაძლებელია სახელმწიფომ ეფექტიანად და სამართლებრივად გამოიყენოს უცხოელის გაძევება და ქვეყანაში შემოსვლის აკრძალვა ისე, რომ დაცული იყოს როგორც საზოგადოებრივი უსაფრთხოება, ისე ინდივიდის ფუნდამენტური უფლებები.

**საკვანძო სიტყვები:** უცხოელი, გაძევება, სასჯელი, სისხლის სამართალი, ადამიანის უფლებები, პროპორციულობა, სამართლებრივი ანალიზი, საერთაშორისო სტანდარტები

## შესავალი

უცხოელთა სამართლებრივი სტატუსი და მათ მიმართ სახელმწიფოს მიერ იძულებითი ზომების გამოყენება — განსაკუთრებით კი უკიდურესი მექანიზმი - ქვეყნიდან გაძევება და ქვეყანაში შემოსვლის აკრძალვა, ერთ-ერთი კომპლექსური თემაა თანამედროვე საერთაშორისო სამართალში. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია იმ ქვეყნებში, რომლებიც ცდილობენ დააბალანსონ ორი მნიშვნელოვანი ღირებულება: ერთი მხრივ, სახელმწიფო უსაფრთხოება, საზოგადოებრივი წესრიგი და სუვერენიტეტის დაცვა, ხოლო მეორე მხრივ

— ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემა, რაც დაცულია როგორც ქვეყნების შიდა კანონმდებლობით, ისე საერთაშორისო დოკუმენტებითა და შეთანხმებებით. საქართველოში უცხოელთა გაძევება და საქართველოში შემოსვლის აკრძალვა რეგულირდება როგორც ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა, ისე სისხლის სამართლის კოდექსით. როცა უცხოელი არღვევს ქვეყანაში ყოფნის წესებს ან წარმოადგენს საფრთხეს საზოგადოებრივი ინტერესებისთვის, შესაძლებელია მისი ადმინისტრაციული წესით გაძევება. იმ შემთხვევაში კი, როდესაც სხვა ქვეყნის მოქალაქე ჩადის სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრულ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულ ქმედებას - დანაშაულს, გაძევება და ქვეყანაში შემოსვლის აკრძალვა შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც სისხლის სამართლის სასჯელის ერთ-ერთი სახე, როგორც ძირითად ისე დამატებით სასჯელად.

უცხოელის გაძევება და საქართველოში შემოსვლის აკრძალვა ორ მხარეს მოიცავს: ერთი მხრივ, ეს არის სახელმწიფოს უფლება — განსაზღვროს, ვინ უნდა ცხოვრობდეს მის ტერიტორიაზე და ვინ არა. მაგრამ მეორე მხრივ, ეს პროცესი პირდაპირ კავშირშია ადამიანის უფლებებთან, რაც მოითხოვს მკაფიო და სამართლიან პროცედურას, გამჭვირვალე გადაწყვეტილებებსა და თითოეულ შემთხვევაში საქმის ინდივიდუალურ შეფასებას. ამიტომაც მნიშვნელოვანია, რომ გაძევება არ იყოს ავტომატური ან ფორმალური გადაწყვეტილება. ის უნდა ეფუძნებოდეს თითოეული შემთხვევის ინდივიდუალურ განხილვას - მაგალითად, უცხოელის ოჯახური კავშირების არარსებობას საქართველოში, ქვეყანაში ცხოვრების ხანგრძლივობას, საზოგადოებაში ინტეგრაციას და პირობებს, თუ რა პირობები ელოდება მას გაძევების შემდეგ მიმღებ ქვეყანაში. საქართველოს სამართლებრივი სისტემის გამოწვევაა თუ როგორ უზრუნველყოს, უცხოელის გაძევების პროცედურები შესაბამისობაში იყოს, როგორც ადგილობრივ კანონმდებლობასთან, ისე საერთაშორისო ვალდებულებებთან — მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკასთან.

## 1. უცხოელის გაძევების და საქართველოში შემოსვლის აკრძალვის სამართლებრივი საფუძვლები

უცხოელის გაძევება და საქართველოში შემოსვლის აკრძალვა წარმოადგენს იძულებით ღონისძიებას, რომელსაც სახელმწიფო იყენებს იმ შემთხვევაში, თუ უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი არღვევს ქვეყნის კანონებს ან მისი ყოფნა ქვეყანაში წინააღმდეგობაში მოდის საზოგადოებრივ წესრიგთან, უსაფრთხოებასთან ან სხვა მნიშვნელოვან სახელმწიფო ინტერესებთან (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999; საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 1984; უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ კანონი, 2014).

საქართველოში აღნიშნულ საკითხს არეგულირებს რამდენიმე ძირითადი სამართლებრივი აქტი:

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი,

- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი,
- კანონი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ".

აღნიშნული სამართლებრივი რეგულაციები ერთმანეთთან კოორდინირებულად მოქმედებს და განსაზღვრავს, რა სამართლებრივი მექანიზმებით და პროცედურებით შეიძლება განხორციელდეს უცხოელის გაძევება ქვეყნის ტერიტორიიდან. სისხლის სამართლის კოდექსი უცხოელის გაძევებას და ქვეყანაში შემოსვლის აკრძალვას განიხილავს როგორც ერთ-ერთ რეაგირების საშუალებას დანაშაულზე და იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 41, 1999). ეს დამოკიდებულია ჩადენილი დანაშაულის ხასიათზე, სიმძიმეზე და დანაშაულთან დაკავშირებულ კონკრეტულ გარემოებებზე.

სისხლის სამართლის კოდექსის $47^2$-ე მუხლის თანახმად, უცხოელის საქართველოდან გაძევება და საქართველოში შემოსვლის აკრძალვა ნიშნავს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩამდენი უცხოელის მიერ მისი სურვილის საწინააღმდეგოდ საქართველოს დატოვების უზრუნველყოფას და მისთვის განსაზღვრული ვადით შემოსვლის აკრძალვის დაწესებას. აღნიშნული სასჯელი ინიშნება იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დაადგენს, რომ ჩადენილი ქმედების ხასიათისა და დამნაშავის პიროვნების გათვალისწინებით, მიზანშეწონილი არ არის უცხოელის საქართველოში დარჩენა. (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999). სასჯელის ეს ზომა გამოიყენება ნაკლებად მძიმე, მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების შემთხვევაში, როცა არსებობს საზოგადოებისთვის საფრთხე. სასამართლო გადაწყვეტილება შეიძლება მიღებული იქნეს იმ მიზნისთვის, რომ აიცილოს თავიდან ჩადენილი დანაშაულის განმეორება და უზრუნველყოს საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (გელაშვილი, 2020). ამ კონტექსტში, უცხოელის გაძევება აღარ განიხილება მხოლოდ როგორც სასჯელი — ის ფუნქციურად უფრო ფართო შინაარსს ატარებს. ეს არის პრევენციული ზომა, რომელიც ემსახურება სახელმწიფოს უსაფრთხოების დაცვას და საზოგადოების ინტერესებს (ჯავახიშვილი, 2018).

### 1.1. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი

უცხოელის საქართველოდან გაძევება და საქართველოში შემოსვლის აკრძალვა მხოლოდ სისხლის სამართლის დანაშაულთან არ არის დაკავშირებული — ეს ღონისძიება შეიძლება გამოყენებულ იქნეს მაშინაც, როცა პირი არღვევს ადმინისტრაციულ რეგულაციებს.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიზნებისთვის, უცხოელის საქართველოდან გაძევება ნიშნავს, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი უცხოელის მიერ მისი სურვილის საწინააღმდეგოდ საქართველოს დატოვების უზრუნველყოფას, უცხოელის საქართველოდან გაძევების შეფარდებას წყვეტს სასამართლო, შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიმართვის საფუძველზე, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დაადგენს, რომ ჩადენილი ქმედების ხასიათისა და

სამართალდამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით, მიზანშეწონილი არ არის უცხოელის საქართველოში დარჩენა.

### 1.2. კანონი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“

საქართველოში უცხოელთა გაძევების ერთ-ერთი ძირითადი სამართლებრივი საფუძველი არის სპეციალური კანონი - *„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“*. ეს კანონი დეტალურად არეგულირებს იმ წესებსა და პირობებს, რომელთა დაცვითაც უცხო ქვეყნის მოქალაქეს შეუძლია საქართველოში ცხოვრება, გადაადგილება, ხოლო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ან დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, სახელმწიფოს შეუძლია მიიღოს მისი გაძევების გადაწყვეტილება.

აღნიშნული კანონი არ შემოიფარგლება მხოლოდ ფორმალური საფუძვლების ჩამოთვლით — ის განსაზღვრავს როგორც გაძევების წინაპირობებს, ასევე პროცედურას და იმ უფლებებს, რომლებიც უცხოელს ამ პროცესში უნდა მიენიჭოს. სახელმწიფოს უფლება აქვს, განიხილოს პირის ქვეყანაში ყოფნა საზოგადოებრივი ინტერესების, ეროვნული უსაფრთხოებისა ან მიგრაციული პოლიტიკის გათვალისწინებით. შესაბამისად გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს რეალურ და მტკიცე საფუძვლებს. გაძევების გადაწყვეტილება უნდა იყოს წერილობითი, გასაგებად ფორმულირებული და იმ ენაზე, რომელიც უცხოელისთვის გასაგებია, რასაც თან უნდა ახლდეს დასაბუთება გამოყენებული ზომის შესახებ და ასევე უცხოელს განემარტოს საერთაშორისო დაცვაზე განცხადებით მიმართვის უფლება.

ეს კანონი დაკავშირებულია საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებთან, რაც სახელმწიფოს ავალდებულებს, პატივი სცეს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს. შესაბამისად, გაძევების პროცესი უნდა იყოს არა მხოლოდ სამართლებრივად სწორი, არამედ ჰუმანური და სამართლიანი.

## 2. უცხოელის გაძევება და ქვეყანაში შემოსვლის აკრძალვა სასჯელის სახით და მისი სპეციფიკა

როდესაც უცხო ქვეყნის მოქალაქე საქართველოში დანაშაულს ჩადის, სასამართლოს შეუძლია მისი გაძევება და ქვეყანაში შემოსვლის აკრძალვა განსაზღვროს სასჯელის სახედ. ეს შეიძლება იყოს დამატებითი ან ძირითადი სასჯელი — დამოკიდებულია იმაზე, რამდენად მძიმეა ჩადენილი ქმედება და რა საფრთხეს ქმნის პირი საზოგადოებისთვის.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, უცხოელის გაძევება ემსახურება რამდენიმე მიზანს. გაძევების ერთ-ერთი მთავარი მიზანი არის ახალი დანაშაულის თავიდან აცილება. თუ არსებობს რეალური საფრთხე, რომ უცხოელი კვლავ ჩაიდენს ანალოგიურ დანაშაულს, მისი ქვეყანაში დარჩენა აღარ ითვლება მიზანშეწონილად. ასეთ შემთხვევაში გაძევება განიხილება როგორც ლეგიტიმური და პრევენციული ნაბიჯი.

საზოგადოებრივი უსაფრთხოების დასაცავად უცხოელის ყოფნა საქართველოში არ უნდა წარმოადგენდეს საფრთხეს საზოგადოებრივი წესრიგისთვის, უსაფრთხოებისთვის ან ზოგადად სახელმწიფო სტაბილურობისთვის. განსაკუთრებით მკაცრად აფასებს სასამართლო ისეთ შემთხვევებს, როცა საქმე ეხება ძალადობრივ, სექსუალურ, ან ტერორისტულ დანაშაულებს — ანუ იმ ქმედებებს, რომლებიც აზიანებს ადამიანებს ან სახელმწიფო ინსტიტუციებს და მომეტებული საფრთხის წყაროს წარმოადგენენ. მნიშვნელოვანია, რომ როდესაც სასამართლო განიხილავს გაძევებას და ქვეყანაში შემოსვლის აკრძალვას სასჯელის სახით, იგი უნდა ემყარებოდეს არა ფორმალურ საფუძვლებს, არამედ რეალური საფრთხის ანალიზს. მიზანი არ უნდა იყოს მხოლოდ პირის „გაყვანა" ქვეყნიდან, არამედ — საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა, სამართლიანი სანქციის გამოყენება და კრიმინალური რისკების მართვა.

## 2.1. სასჯელის ვადა

როდესაც უცხოელის გაძევება და საქართველოში შემოსვლის აკრძალვა გამოიყენება სასჯელის სახით, სასამართლო აკონკრეტებს რამდენ ხანს იმოქმედებს ეს ზომა. სისხლის სამართლის კოდექსში განსაზღვრულია, რომ უცხოელის საქართველოდან გაძევება და საქართველოში შემოსვლის აკრძალვა შეიძლება დაინიშნოს: ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის - ორიდან ათ წლამდე, მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის ხუთიდან ოც წლამდე ან უვადოდ.

დროებითი გაძევება და ქვეყანაში შემოსვლის აკრძალვა, თავისი არსით, ითვლება ნაკლებად მკაცრ ზომად, ვიდრე უვადო, და ხშირად გამოიყენება ისეთი შემთხვევებისთვის, სადაც არსებობს გარკვეული შესაძლებლობა, რომ მომავალში პირის რეინტეგრაცია ქვეყნის ტერიტორიაზე მაინც იქნება შესაძლებელი. უვადო გაძევება განკუთვნილია მხოლოდ იმ შემთხვევებისთვის — როდესაც სასამართლო დაადგენს, რომ პირის ყოფნა ქვეყანაში ქმნის მუდმივ და სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს საზოგადოებისთვის. განსაკუთრებით ფრთხილი მიდგომა აუცილებელია იმ შემთხვევაში, თუ გაძევება იწვევს მძიმე სოციალურ შედეგებს — მაგალითად, ოჯახის გაყოფას, საბინადრო სტატუსის დაკარგვას ან სვაგვარად ინდივიდისთვის სოციალური კავშირების მოშლას. სასამართლო ვალდებულია, შეაფასოს არა მხოლოდ საზოგადოებრივი ინტერესები, არამედ პირის პირადი და ოჯახური გარემოებები, რათა გადაწყვეტილება იყოს სამართლიანი და ადამიანის უფლებების სტანდარტებთან შესაბამისი.

## 2.2. დისკრეცია და ინდივიდუალური შეფასება

როდესაც საქმე ეხება უცხოელის გაძევებას სასჯელის სახით, სასამართლო არ მოქმედებს ავტომატურად — ის სარგებლობს დისკრეციული უფლებამოსილებით, რაც ნიშნავს, რომ გადაწყვეტილება მიიღება ინდივიდუალური გარემოებების საფუძველზე და არა მხოლოდ ზოგადი წესების ან პრეცედენტების მიხედვით. სასამართლოს ვალდებულებაა, ყოველი შემთხვევა შეაფასოს ინდივიდუალურად და გააანალიზოს სხვადასხვა ფაქტორი, რომელიც

შეიძლება გავლენას ახდენდეს გაძევების საჭიროებასა და მისი ზომიერების ხარისხზე. განსახილველ ფაქტორებში მოიაზრება, პირის ინტეგრაციის დონე ქართულ საზოგადოება-ში - რამდენად არის უცხოელი საზოგადოების ცხოვრებაში ჩართული? აქვს თუ არა მას ენობრივი, კულტურული, პროფესიული ან სხვა სახის კავშირები ადგილობრივ ცხოვრებას-თან? მნიშვნელოვანია ასევე ოჯახის არსებობა და კავშირები საქართველოში - ცხოვრობს თუ არა საქართველოში მისი ოჯახის წევრები? გაძევება გამოიწვევს ოჯახის დაშლას ან ბავშვებისგან მშობლის ჩამოშორებას? გასათვალისწინებელია საქართველოში ცხოვრების ხანგრძლივობა და სოციალური კავშირები. ამასთან სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრულია თუ რა შემთხვევაში არ გამოიყენება აღნიშნული სასჯელი და ეს შემთხვევებია: იგი იდევნება პოლიტიკური მრწამსისთვის ან იმ ქმედებისთვის, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დანაშაულად არ ითვლება; იგი იდევნება ადამიანის უფლებათა და მშვიდობის დაცვისთვის, პროგრესული საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სამეცნიერო ან შემოქმედებითი საქმიანობისთვის; მის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება; მას წამების ან არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ანდა „საერთაშორისო დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლით განსაზღვრული სერიოზული ზიანის მიყენების საფრთხე შეექმნება.

ერთმნიშვნელოვნად გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს პროპორციულობის პრინციპს, რაც ნიშნავს იმას რომ სასჯელის ეს სახე, უნდა შეესაბამებოდეს როგორც ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს, ისე პირის ინდივიდუალურ მდგომარეობას. სასამართლო ვალდებულია დაიცვას ადამიანის ფუნდამენტური უფლებები.

### 2.3. გაძევების შესაბამისობა ადამიანის უფლებებთან

როდესაც უცხოელის გაძევება გამოიყენება სასჯელის სახედ, ქვეყანა ვალდებულია არ დაარღვიოს ადამიანის ფუნდამენტური უფლებები და თავისუფლება, რომლებიც დაცულია როგორც საქართველოს კონსტიტუციით, ასევე საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტებით.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შემდეგ საერთაშორისო ნორმებს. ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-8 მუხლი ითვალისწინებს პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას (ევროპის საბჭო, 1950/2010, მუხლი 8) სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, ჰყავს თუ არა უცხოელს ოჯახი საქართველოში, ჰყავს თუ არა არასრულწლოვანი შვილები და რამდენად მყარია მისი პირადი ცხოვრება ქვეყანაში. ასეთ შემთხვევებში გაძევებამ შესაძლოა გამოიწვიოს ოჯახის წევრების ერთმანეთისგან დაშორება ან სოციალური იზოლაცია, მნიშვნელოვანი არადისკრიმინაციული მოპყრობის უზრუნველყოფა. ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც შეეხება უცხოელს, დისკრიმინა-ციულად არ უნდა ეფუძნებოდეს მის ეროვნებას, ეთნიკურ კუთვნილებას, რელიგიას ან სხვა ნიშნებს. ყველა პირი, მიუხედავად მოქალაქეობისა, უნდა განიხილებოდეს თანასწორად სამართლის და კანონის წინაშე. უცხოელს უნდა ჰქონდეს გასაჩივრების უფლება, ანუ

შესაძლებლობა, გააპროტესტოს გაძევების გადაწყვეტილება სასამართლოში. ამავდროულად, მან უნდა იცოდეს თავისი უფლებები, მიიღოს გადაწყვეტილება წერილობითი და გასაგები ფორმით, და ჰქონდეს ადეკვატური დრო და რესურსი, რომ დაიცვას თავი.

საბოლოოდ, სასამართლოს ამოცანაა, რომ დააბალანსოს სახელმწიფოს ლეგიტიმური ინტერესი - როგორიცაა საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა — და ადამიანის უფლებები. ეს ბალანსი განსაკუთრებით ხდება მაშინ, როცა გაძევება შეეხება პირებს, რომლებსაც საქართველოში ჰყავთ ოჯახის წევრები, განსაკუთრებით კი — არასრულწლოვანი შვილები. მნიშვნელოვანია რომ ასეთ შემთხვევებში, თითოეულ ფაქტორზე დაფუძნებული ინდივიდუალური შეფასება და ადამიანის უფლებების მაქსიმალური დაცვა გახდეს აუცილებელი სამართლებრივი და ეთიკური მოთხოვნა.

### 2.4. პრევენციული ეფექტი

გაძევება, როგორც სასჯელი, მხოლოდ კონკრეტული პირის დასჯას არ ემსახურება — მას აქვს პრევენციის ფუნქციაც, რაც ნიშნავს, დანაშაულის თავიდან აცილებას ფართო მასშტაბით, როდესაც უცხოელისათვის ცნობილია, რომ სამართალდარღვევაც კი შეიძლება დასრულდეს ქვეყნიდან იძულებითი გაძევებით, უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის შესაძლებელია ეს გახდეს მოტივაცია კანონმორჩილი ქცევისაკენ. აღნიშნული ხელს უწყობს სამართლებრივი წესრიგის განმტკიცებას და აჩვენებს, რომ კანონმდებლობა ერთნაირად ვრცელდება ყველასთვის — მათ შორის იმ პირებისთვისაც, ვინც საქართველოში დროებით ან მუდმივად ცხოვრობს, მაგრამ არ არის ქვეყნის მოქალაქე.

## 3. საერთაშორისო სტანდარტები და ადამიანის უფლებები

მიუხედავად იმისა, რომ უცხოელის გაძევება სახელმწიფოს სუვერენული უფლებაა, ეს პროცესი უნდა განხორციელდეს მკაცრი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რომლებიც უზრუნველყოფენ ინდივიდის ფუნდამენტური უფლებების დაცვას.

საქართველო, როგორც ადამიანის უფლებათა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის ევროპული კონვენციის (ევროპის საბჭო, 1950/2010) და გაეროს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის (გაერო, 1966/2014), ხელმომწერი სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს, რომ უცხოელთა გაძევება არ ხდებოდეს:

- **არაპროპორციულად** — სანქცია უნდა იყოს სათანადოდ დაბალანსებული, გათვალისწინებული უნდა იყოს სამართალდარღვევის სიმძიმე და ინდივიდის პერსონალური გარემოებები (იხ. Maslov v. Austria, 2008);
- **დისკრიმინაციულად** — არ უნდა მოხდეს პირის განსხვავებული მოპყრობა გენდერის, ეთნოსის, რელიგიის ან სხვა პიროვნული ნიშნების საფუძველზე (გაერო, 1966/2014, მუხლი 26);

- **არაადამიანურად ან დამამცირებლად** — არ შეიძლება პირის გაძევებამ გამოიწვიოს წამება, არაადამიანური მოპყრობა ან დაბრუნება ქვეყანაში, სადაც მას საფრთხე ელოდება (ევროპის საბჭო, 1950/2010, მუხლი 3; იხ. ასევე: Hirsi Jamaa v. Italy, 2012).

საერთაშორისო სამართალი ასევე ხაზს უსვამს, რომ ნებისმიერი გაძევების გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს სამართლიანი პროცესის პრინციპებს და იყოს მიღებული კანონის უზენაესობის პატივისცემით (გაერო, 1966/2014, მუხლი 13). ეს არა მხოლოდ ინდივიდის უფლებების დაცვის გარანტიაა, არამედ მნიშვნელოვანი წინაპირობა სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემის ლეგიტიმურობისა და საერთაშორისო რეპუტაციის უზრუნველსაყოფად.

### 3.1. საქართველოს კონსტიტუციური ჩარჩო

საქართველოს კონსტიტუცია შექმნილია როგორც ზოგადი ფუნდამენტური ჩარჩო ადამიანის უფლებების დაცვისთვის. კონსტიტუციის 33-ე მუხლი მკაფიოდ განსაზღვრავს, რომ სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას ყველა ადამიანის, მათ შორის უცხოელთა, ძირითადი უფლებები ქვეყნის ტერიტორიაზე. უცხოელის გაძევების გადაწყვეტილება არ უნდა იყოს მხოლოდ ფორმალური პროცედურა ან ავტომატური ქმედება. საჭიროა ყოველი შემთხვევის ინდივიდუალური, პროპორციული და სამართლიანი შეფასება, რომელიც დაფუძნებული იქნება როგორც სამართლებრივ ნორმებზე, ასევე ადამიანის უფლებების მაქსიმალურ დაცვაზე.

### 3.2. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტი, რომელიც უშუალოდ ეხება უცხოელთა გაძევების საკითხს, არის ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენცია (ECHR). ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არ კრძალავს უცხოელთა გაძევებას, თუმცა მკაფიოდ აწესებს საერთაშორისო სტანდარტებს, რომლებიც იცავენ ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს. თუ სახელმწიფო გადაცდება ამ სტანდარტებს, იგი იწვევს სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შესაბამისი სტანდარტი გულისხმობს, რომ გაძევების გადაწყვეტილება უნდა იყოს: პროპორციული და სამართლიანი; არ უნდა შეიცავდეს დისკრიმინაციის ნიშნებს **და** არ უნდა იწვევდეს არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას.

ECHR-ის მე-8 მუხლი განსაზღვრავს პიროვნების უფლებას პირად და ოჯახურ ცხოვრებაზე. ამ მუხლის შესაბამისად, ნებისმიერი ჩარევა პირის ოჯახურ ურთიერთობებში (მაგალითად, უცხოელის გაძევება, როცა მას ქვეყანაში ჰყავს მეუღლე ან შვილები) დაშვებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ეს ჩარევა: გაწერილია კანონით; ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს (მაგალითად, საზოგადოებრივი უსაფრთხოება ან საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა); და

არის აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში, რაც ნიშნავს, რომ ჩარევა უნდა იყოს პროპორციული დასახულ მიზანთან შედარებით.

შესაბამისად, გაძევება, რომელიც იწვევს ოჯახის წევრების დაშორებას, უნდა შეფასდეს არა მხოლოდ სამართლებრივი საფუძვლების, არამედ პიროვნული და ჰუმანიტარული თვალსაზრისითაც.

### 3.3. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს (ECtHR) პრაქტიკა

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს (ECtHR) გადაწყვეტილებები უცხოელის გაძევების საკითხთან მიმართებით ცხადად აჩვენებს, რომ სახელმწიფოსთვის საკმარისი არ არის მხოლოდ იმით დაკმაყოფილება, რომ უშუალოდ არ დაარღვიოს ადამიანის უფლებები. მას აქვს პოზიტიური ვალდებულება – აქტიურად უზრუნველყოს პირის უფლებების დაცვა, მათ შორის იმ შემთხვევაშიც, როცა პირის გაძევება ფორმალურად კანონით დასაშვებია (Boultif v. Switzerland, 2001).

ძირითადი კრიტერიუმები გაძევების სამართლებრივი შეფასებისთვის ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა საქმეში - Boultif v. Switzerland (2001) ეს იყო ერთ-ერთი პირველი საქმე, სადაც ECtHR-მა დააკონკრეტა ის კრიტერიუმები, რომლებსაც სახელმწიფოებმა უნდა მიაქციონ ყურადღება გაძევების გადაწყვეტილების მიღებისას. მათ შორის არის:

- უცხოელის ცხოვრებისა და ინტეგრაციის ხანგრძლივობა მასპინძელ ქვეყანაში;
- აქვს თუ არა მას დანაშაულის ისტორია და რამდენად მძიმეა ჩადენილი დანაშაული;
- რა ტიპის ოჯახური და სოციალური კავშირები აქვს მას სახელმწიფოში;
- რა საფრთხე ელოდება მას გაძევების შემდეგ სამშობლოში.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ეს პრინციპები კიდევ უფრო განავრცო Üner v. Netherlands (2006) საქმის განხილვისას. სასამართლომ აქ დაამატა დამატებითი ასპექტები, რომლებიც განსაზღვრავს, არის თუ არა კონკრეტულ შემთხვევაში გაძევება პროპორციული:

- პირის ასაკი და მისი კულტურული ინტეგრაცია როგორც მასპინძელ, ისე სამშობლოში;
- რამდენად არის ოჯახის წევრები დამოკიდებული მასზე და შეძლებენ თუ არა მას გაყვნენ;
- რამდენი დრო გავიდა დანაშაულის ჩადენიდან და როგორია პირის ქცევა ამ პერიოდის განმავლობაში.

ორივე საქმიდან გამომდინარე იკვეთება, რომ ავტომატური ან მექანიკური გაძევება დაუშვებელია. პირის გაძევებამდე აუცილებელია მისი ინდივიდუალური, ჰუმანიტარული და სოციალურ-კულტურული გარემოებების სიღრმისეული ანალიზი. გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს პროპორციულობას, რაც უზრუნველყოფს ადამიანის პიროვნული და

ოჯახური ცხოვრებისთვის სათანადო დაცვას ევროპის კონვენციის მე-8 მუხლის შესაბამისად.

გაძევება ხშირად დაკავშირებულია არა მხოლოდ პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების დარღვევასთან (ECHR მუხლი 8), არამედ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს კონვენციის კიდევ ორ უმნიშვნელოვანეს დებულებას: მუხლი 3, რომელიც აბსოლუტურად კრძალავს წამებას, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან დასჯას; მუხლი 13, რომელიც უზრუნველყოფს ეფექტიან სამართლებრივ დაცვის საშუალებას ყველა იმ შემთხვევაში, როცა პირი უფლებების დარღვევას ამტკიცებს (ECHR, 1950).

თუ არსებობს რეალური და დასაბუთებული რისკი, რომ გაძევებული პირი სამშობლოში დაბრუნების შემთხვევაში შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არასათანადო ან არაადამია-ნურ მოპყრობას გაძევება დაუშვებელია. ეს პრინციპი აბსოლუტურია – რაც ნიშნავს, რომ არცერთ სახელმწიფოს არ შეუძლება მისგან აიცილოს პასუხისმგებლობა, მიუხედავად იმ პირის შესაძლო დანაშაულებრივი წარსულისა ან საფრთხის, რომელსაც ის შეიძლება წარმოადგენდეს საზოგადოებისთვის (Chahal v. United Kingdom, 1996).

მნიშვნელოვანია, რომ უცხოელთა გაძევებისას სახელმწიფომ დააბალანსოს ეროვნული ინტერესები და ადამიანის უფლებები. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სტანდარტები და ECtHR-ის პრაქტიკა ქმნის მკაფიო ჩარჩოს, რომლის დარღვევა არა მხოლოდ იწვევს ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დარღვევას, არამედ საქართველოს, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს, რეპუტაციისა და საერთაშორისო პასუხისმგებლობის საკითხსაც აყენებს დღის წესრიგში. უცხოელის გაძევება არ წარმოადგენს ავტომატურ სამართლებრივ მოქმედებას და ის ვერ უნდა განიხილებოდეს როგორც ფორმალური ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლის სანქცია, რომელსაც არ სჭირდება ინდივიდუალური მიდგომა. პირიქით, ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტებითა და საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი სამართლებრივი პრინციპები მოითხოვენ, რომ თითოეული გაძევების და ქვეყანაში შემოსვლის აკრძალვის გადაწყვეტილება ეფუძნებოდეს პროპორციულობის შეფასებასა და ინდივიდუალური გარემოებების დეტალურ ანალიზს. პროპორციულობის პრინციპი - როგორც თანამედროვე სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი საყრდენი - გულისხმობს, რომ ნებისმიერი ჩარევა პირის ფუნდამენტურ უფლებებში (განსაკუთრებით მიგრაციულ და ოჯახურ საკითხებში) უნდა იყოს, შესაბამისი ლეგიტიმურ მიზანთან; აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში; დაბალანსებული, ისე რომ ზიანი არ აღემატებოდეს მიზნის მიღწევის სარგებელს. ეს პრინციპი განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია მაშინ, როცა საქმე ეხება უცხოელის გაძევებას, რაც გავლენას ახდენს არა მხოლოდ მის თავისუფალ გადაადგილებაზე, არამედ ხშირად - ოჯახურ ცხოვრებაზე, სოციალური სტაბილურობის შეგრძნებასა და ზოგადად - ღირსეულ არსებობაზე.

## 3.4. ინდივიდუალური გარემოებების შეფასება

როგორც უკვე აღინიშნა გაძევების გადაწყვეტილების მიღებისას სახელმწიფო ორგანოები ან სასამართლო არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ დანაშაულის ფაქტით ან

სამართლებრივი სტატუსის დარღვევით. აუცილებელია ინდივიდუალური ანალიზი, რომელიც მოიცავს დანაშაულის ბუნებასა და სიმძიმეს. საჭიროა შეფასდეს, რამდენად მძიმეა ჩადენილი დანაშაული, წარმოადგენს თუ არა იგი სისტემურ ან განმეორებად ქმედებას, იყო თუ არა დანაშაულის გამოყენებისას გამოყენებული ძალადობა, და აქვს თუ არა საზოგადოებრივი საფრთხის პოტენციალი. მაგალითად, არაკანონიერი ბინადრობის შემთხვევაში გაძევება შეიძლება ნაკლებ პროპორციულად ჩაითვალოს, ვიდრე მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში. პირის წარსული და სამართალ-დარღვევების ისტორია — უცხოელის პირადი მახასიათებლები, წარსული ქცევა, კანონისადმი პატივისცემის ხარისხი და რეინტეგრაციის პოტენციალი პირდაპირ გავლენას ახდენს გადაწყვეტილების პროპორციულობაზე.

ასევე მნიშვნელოვანია შეფასდეს პირის ოჯახური და სოციალური კავშირები ქვეყანაში, ჰყავს თუ არა უცხოელს მეუღლე ან შვილები საქართველოში, რამდენად მჭიდროდ არის ინტეგრირებული საზოგადოებაში, ფლობს თუ არა ადგილობრივ ენას, მუშაობს თუ არა, მონაწილეობს თუ არა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ასეთი კავშირების არსებობა ხშირად მოქმედებს როგორც გაძევების წინააღმდეგ არსებული შეჩერების ფაქტორი. ქვეყანაში ცხოვრების ხანგრძლივობა — უცხოელის საქართველოში გატარებული წლები და ამ დროის განმავლობაში მისი სამართლებრივი სტატუსი (ლეგალური თუ არალეგალური ყოფნა) ასახავს მის რეალურ კავშირს სახელმწიფოსთან.

პროპორციულობის პრინციპი და ინდივიდუალური შეფასება წარმოადგენს უცხოელის გაძევების პროცესის აუცილებელ პირობას. სახელმწიფოს ვალდებულებაა, გადაწყვეტი-ლების მიღებისას არ იხელმძღვანელოს მხოლოდ ფორმალური სამართლით არამედ დაინტერესდეს იმ კონკრეტული ადამიანის ცხოვრების რეალობით, ოჯახური კავშირებით, საზოგადოებაში ინტეგრაციით და სოციალური მდგომარეობით. მხოლოდ ბალანსირებუ-ლი, ჰუმანური და ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული მიდგომა შეძლებს სწორ სამართლებრივ რეაგირებას ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებთან და საერთაშორისო სამართლებრივ ვალდებულებებთან მიმართებით.

## დასკვნა

უცხოელის გაძევება სასჯელის სახით წარმოადგენს სახელმწიფოს სუვერენულ უფლებამოსილებას, რომელიც გამოხატავს ეროვნული უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგისა და მართლწესრიგის დაცვის სურვილს. მიუხედავად ამისა, ამ უფლება-მოსილების განხორციელება არ შეიძლება აღქმულ იქნეს აბსოლუტურ, უკონტროლო ან დისკრეციულ ინსტრუმენტად. იგი უნდა დაექვემდებაროს მკაფიო სამართლებრივ ჩარჩოს, რომელიც უზრუნველყოფს როგორც სახელმწიფოს ინტერესების დაცვას, ისე პიროვნების ფუნდამენტური უფლებების პატივისცემას, სასჯელის სახით გაძევების გამოყენება უნდა ეფუძნებოდეს: კონკრეტულ და გამჭვირვალე სამართლებრივ საფუძვლებს, ინდივიდუა-ლური გარემოებების დეტალურ შეფასებას, მათ შორის პიროვნების ოჯახური, სოციალური და ეკონომიკური კავშირების გათვალისწინებას, პროპორციულობის პრინციპს, რომელიც

გულისხმობს გაძევების ზომის ლეგიტიმურ მიზნებთან შესაბამისობას, საერთაშორისო სამართლის ნორმებს, განსაკუთრებით კი ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტებს. გაძევების და ქვეყანაში შემოსვლის აკრძალვის პროცედურა არ უნდა იქცეს ფორმალურ, ბიუროკრატიულ ან პოლიტიკურად მოტივირებულ ქმედებად, რადგან ასეთ შემთხვევაში არსებობს საფრთხე, რომ სასჯელის ეს სახე გადაიზრდება ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევაში. სახელმწიფო ვალდებულია, რომ ეს ღონისძიება გამოიყენოს მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს რეალური, დასაბუთებული საფუძველი, და როცა ეს აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში.

მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობაში განსაზღვრულია დეტალურად - გაძევების საფუძვლები, პროცედურა, საჩივრის წარდგენის ფორმა და დროებითი შეჩერების მექანიზმები. ამის პარალელურად, სასამართლომ და ადმინისტრაციულმა ორგანოებმა უნდა გამოიმუშავონ პირის უფლებებზე ორიენტირებული პრაქტიკა, რომელიც არ ემყარება მხოლოდ დარღვევებს, არამედ ითვალისწინებს ადამიანის სოციალურ მდგომარეობას და ჰუმანიტარულ ფაქტორებს. საქართველო, როგორც ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით საერთაშორისო ვალდებულებების მქონე ქვეყანა, ვალდებულია, უზრუნველყოს გაძევების პროცედურების სრულყოფა, მოახდინოს შესაბამისობა ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციასა და ევროპის სასამართლოს პრაქტიკასთან, ასევე განამტკიცოს სამართლებრივი მექანიზმები, რომლებიც დაიცავს უცხოელთა პირად ღირსებას, უფლებებსა და თავისუფლებებს. გარდა დასჯისა ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული მიდგომით შეძლებს სახელმწიფო უცხოელთა გაძევების სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებას ისე, რომ ეს არ ეწინააღმდეგებოდეს კანონის უზენაესობის პრინციპს და ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა დაცვის საერთაშორისო ვალდებულებებს.

## გამოყენებული ლიტერატურა


საქართველოს პარლამენტი. (1984). *საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი.* https://matsne.gov.ge/ka/document/view/16507?publication=13

საქართველოს პარლამენტი. (1995). *საქართველოს კონსტიტუცია.* https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35

საქართველოს პარლამენტი. (1999). *საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.* https://matsne.gov.ge/ka/document/view/16516?publication=13

საქართველოს პარლამენტი. (2014). *კანონი უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ.* https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244421?publication=12

გელაშვილი, თ. (2020). *სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა და სასჯელის ფორმები უცხოელებისთვის.* თბილისი: იურიდიული კვლევები.

ჯავახიშვილი, მ. (2018). *სახელმწიფო უსაფრთხოება და ადამიანის უფლებები: სამართლებრივი ბალანსის ძიება.* თბილისი: საჯარო პოლიტიკის ანალიზი. https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=285

Andorno, R. (2017). Human rights and the limits of deportation in international law. *International Journal of Refugee Law, 29*(3), 479–506. https://doi.org/10.1093/ijrl/eez031

Council of Europe. (1950). *European Convention on Human Rights.* https://www.echr.coe.int/Documents/Convention_ENG.pdf

European Court of Human Rights. (2001). *Boultif v. Switzerland*, App. No. 54273/00. https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-58923

European Court of Human Rights. (2006). *Üner v. Netherlands*, App. No. 46410/99. https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-73152

European Court of Human Rights. (1996). *Chahal v. United Kingdom*, App. No. 22414/93.

European Court of Human Rights. (2012). *Guide on Article 8 of the European Convention on Human Rights - Right to respect for private and family life*. https://www.echr.coe.int/Documents/Guide_Art_8_ENG.pdf

European Union Agency for Fundamental Rights. (2019). *Fundamental rights report*. Luxembourg: Publications Office of the European Union.

Faist, T. (2019). *The migration–security nexus: Political practices and challenges*. Routledge.

Górny, A. & Kloc-Nowak, A. (2018). The right to family life and expulsion of foreigners: Legal and human rights perspectives. *Journal of International Migration and Integration, 19*(4), 913–929. https://doi.org/10.1007/s12134-018-0593-4

Guild, E., Groenendijk, K. & Carrera, S. (2015). *The revised European Border and Coast Guard Agency: Frontex and its evolving role in border management*. CEPS.

Hathaway, J. C. (2005). *The rights of refugees under international law*. Cambridge University Press.

International Organization for Migration. (2021). *Report on migration measures in Georgia*. https://iom.ge/reports

Kees, K. & Oomen, B. (2017). The rule of law in migration: Challenges and opportunities. *Migration Studies, 5*(2), 173–190. https://doi.org/10.1093/migration/mnx017

Kumin, J. (2004). Family reunification in the United States and Europe: Policies and practices. *Migration Policy Institute*.

Peers, S. (2016). *EU immigration and asylum law*. Bloomsbury Publishing.

United Nations General Assembly. (1948). *Universal Declaration of Human Rights*. https://www.un.org/en/about-us/universal-declaration-of-human-rights

United Nations High Commissioner for Refugees. (2014). *Guidelines on international protection No. 5: Application of the exclusion clauses*. https://www.refworld.org/docid/53a6f0824.html

# Expulsion of a Foreigner from Georgia and Entry Ban as a Form of Punishment: Legal Analysis and Legislative Grounds

**Giorgi Shashiashvili**[1*]
**Tatia Simsive**[2]
[1, 2] Grigol Robakidze University
***Corresponding author:** giorgi.shashiashvili@gruni.edu.ge

**Abstract.** The article examines the legal nature of expulsion of foreigners and prohibition of entry into Georgia as a form of punishment, which constitutes an expression of the state's sovereign authority while simultaneously requiring compliance with international human rights standards. Attention is focused on the regulations established by the Criminal Code and the Code of Administrative Offences of Georgia, which define the grounds, conditions, and procedures for expelling a foreign national and prohibiting entry into the country. The article also explores the legal framework governing expulsion and entry bans within criminal proceedings, where such measures may function as either primary or supplementary punishments. Special emphasis is placed on the observance of the principle of proportionality, the need for individualized assessment in decision-making, and the consideration of circumstances that may expose a foreigner to real risks upon expulsion. The study further addresses Georgia's international legal obligations, including those arising from the European Convention on Human Rights and the case law of the European Court of Human Rights.An analysis is presented of the legal safeguards afforded to foreigners in the expulsion process — including the right to appeal before a court, procedural transparency, and the protection of family unity. The purpose of the article is to assess how effectively and lawfully the state can apply expulsion and entry bans on foreign nationals in a manner that ensures both public security and the protection of fundamental human rights.

**Keywords**: foreigner, expulsion, punishment, criminal law, human rights, proportionality, legal analysis, international standards